

თეა ლათიფაშვილი

ლიტერატურული მასალები XX საუკუნის 10-20-იანი  
წლების კახეთის პრესაში

10.01.01

დისერტაცია შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:  
გიორგი ჯავახიშვილი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

თელავი

2011

ნაშრომი შესრულებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა  
ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის კათედრაზე

## შინაარსი

შესავალი .....	გვ 4 - 5
თავი I. ეპოქის მიმოხილვა.....	გვ. 6 - 16
1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება საქართველოში.....	გვ. 6 -9
2. პირველი მსოფლიო ომი და საქართველო.....	გვ 9 -11
3. სოციალურ -ეკონომიკური ვითარება საქართველოში.....	გვ 11-13
4. კულტურული ვითარება და ლიტერატურული ცხოვრება საქართველოში .....	გვ. 13- 15
თავი II. გაზეთი „ხმა კახეთისა“ .....	გვ. 16 -132
1. „ხმა კახეთისას“ მიმოხილვა.....	გვ. 16 -17
2. „ხმა კახეთისას“ პოეზია.....	გვ 17 -55
3. „ხმა კახეთისას“ პროზა.....	გვ 56 -93
4. ფოლკლორული მასალები „ხმა კახეთისას“ ფურცლებზე.....	გვ 94 -102
5. „ხმა კახეთისას“ პუბლიცისტიკა.....	გვ.103-114
6. ლიტერატურული წერილები და ინფორმაციები გაზეთში „ხმა კახეთისა“ .....	გვ 115-131
თავი III. გაზეთი „ახალგაზრდა ქართველი“.....	გვ. 132 - 137
თავი IV. ჟურნალი „იმედი“ .....	გვ. 138 -142
დასკვნა.....	გვ. 143-144
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები.....	გვ. 145-152

## შესავალი

XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველო აქტიური პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრებით გამოირჩეოდა. ეს ის პერიოდია, როცა საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის აქტიურ ბრძოლაშია ჩაბმული. ამ პერიოდის საქართველომ რეაქციის წლებთან ერთად ორი რევოლუცია გადაიტანა, თუმცა აქ მიმდინარე შემოქმედებითი ცხოვრება მაინც არ ჩამკვდარა. ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ძველ თაობას (“თერგდალეულებს“) ახალი, ნოვატორული იდეებით გაჟღენთილი თაობა (სიმბოლისტები-ცისფერყანწელები) ცვლის, გასული საუკუნის მეორე ათწლეულში სამოღვაწეო ასპარეზი დატოვებს აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, ვაჟა-ფშაველამ. უფრო ადრე ილია ჭავჭავაძე მოკლეს. ქართული ლიტერატურის სათავეებთან კი გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე, სანდრო შანშიაშვილი, ალექსანდრე აბაშელი და სხვები მოვიდნენ. ამ პერიოდის მწერალთა ნაწარმოებები ხშირად იბეჭდებოდა პრესის ორგანოებში. XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში რამდენიმე ათეული ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდა. ჩვენი ინტერესის სფეროს კახეთის პრესაში გამოქვეყნებული ლიტერატურული მასალები წარმოადგენს. ამ დროს ჟურნალ-გაზეთების სიმრავლით რეგიონებიდან იმერეთი და ქართლი გამოირჩეოდა. კახეთში კი 1912-1920 წლებში სულ ორი გაზეთი და ერთი ჟურნალი გამოვიდა.

გაზეთი „ხმა კახეთისა“ სიღნაღში 1912-1915 წლებში გამოდიოდა. გაზეთის ფურცლებზე მუდმივად იბეჭდებოდა როგორც რეგიონში მოღვაწე მწერლების, ისე ქვეყნის მასშტაბით ცნობილი ავტორების ნაწარმოებები. „ხმა კახეთისას“ ფურცლებზე ასობით ლექსი, მოთხრობა, თუ პუბლიცისტური წერილი გამოქვეყნდა. გაზეთთან აქტიურად თანამშრომლობდნენ ქიზიყელი მწერლები: ილო მოსაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, სიკო ფაშალიშვილი, და სხვები. აგრეთვე დადასტურებულია „ხმა კახეთისასთან“ აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ლეონიძის და სხვათა უშუალო კავშირიც. გაზეთის რედაქტორი ცნობილი საზოგადო

მოღვაწე კოტე ტყავაძე იყო. იგი გაზეთში ხშირად ფსევდონიმით „მხედარი“ იბეჭდებოდა. გაზეთმა გამოცემა 250-ე ნომრით შეწყვიტა.

1919 წლის იანვრიდან თელავში გამოსვლა დაიწყო მოწაფეთა სამხატვრო-სალიტერატურო ყოველკვირეულმა გაზეთმა „ახალგაზრდა ქართველმა“. გაზეთში ძირითადად ადგილობრივი მოსწავლეები, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები წერდნენ. აქ გამოქვეყნებული მასალები ხშირად უცნობ ავტორებს ეკუთვნოდათ. გაზეთში დაბეჭდილი ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილები ძირითადად იმ პერიოდის რეალობას ასახავდა. გაზეთმა რამდენიმე თვე იფუნქციონირა, როგორც ცნობილია მისი გამოცემა რედაქტორის, დათუნა აბაშიძის გარდაცვალების შემდეგ, მეათე ნომრით შეწყდა.

აღსანიშნავია კიდევ სიღნაში გამომავალი პირველი მოსწავლეთა ნაბეჭდი ჟურნალი „იმედი“, რომელიც ილია ჭავჭავაძის თანაკურსელის, იმ დროისთვის სიღნაღის გიმნაზიის მოსწავლეების, მიხაკო ნასიძის მხარდაჭერით გამოიცა. მისი რედაქტორები გიმნაზიის მოსწავლეები, სტეფანე ფურცელაძე და ილია ქადაგიშვილი იყვნენ. ჟურნალში გამოქვეყნებულ სხვადასხვა ტიპის წერილებთან ერთად ადგილობრივი მოსწავლეების და მოსწავლეების ლიტერატურული ნამუშევრებიც იბეჭდებოდა. ჟურნალი კერძო შემოწირულობებით საზრდოობდა და მატერიალური უსახსრობისა და მკაცრი ცენზურის ფონზე, 1920 წლის ივლისში მან არსებობა შეწყვიტა.

ჩვენი განსახილველი თემის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს რომ ზემოთ წარმოდგენილ პრესის ორგანოებში გამოქვეყნებული ლიტერატურული ნაწარმოებების დიდი ნაწილი დაწვრილებით შესწავლილი და გამოკვლეული არ არის. აღნიშნულ გაზეთებსა და ჟურნალში ცნობილი და ნაკლებად ცნობილი ავტორების შემოქმედებაა წარმოდგენილი, რომელთა შესწავლა და განხილვა ჩვენი აზრით აუცილებელია, რადგან ბევრი მათგანი სხვა პერიოდულ ორგანოებსა და გამოცემებში არ შესულა. ამიტომ ვეცდებით გარკვეული შთაბეჭდილება შევქმნათ მათ შესახებ და ამ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე შენახული ლიტერატურული მასალები ფართო საზოგადოების წინაშე წარვადგინოთ.

## 1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება საქართველოში.

XX საუკუნის 10-იანი წლების საქართველო რევოლუციური ცხოვრებითა და შიდა აჯანყებებით გამოირჩევა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სოცალური თანასწორობისთვის ბრძოლის პარალელურად მიმდინარეობდა. დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის მიმდინარე პროცესები იმ პერიოდში რუსეთში განვითარებული მოვლენების თანადროული იყო - ცარიზმის დამხობა საერთო ინტერესად იქცა. [სურგულაძე, სურგულაძე-1991;132]. არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას სოციალ-დემოკრატიული წრეები - ბოლშევიკური (ლენინის მომხრეები) და მენშევიკური (პლეხანოვის მომხრეები) ხელმძღვანელობდნენ. ამ პერიოდში ასპარეზზე მუშათა აგრარული მოძრაობა, სოციალისტ-ფედერალისტთა და სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტიები გამოვიდნენ. ამ დროს განსაკუთრებით გაძლიერდა ანარქისტული მიმდინარეობა, რომლის წარმომადგენლებიც საქართველოს ავტონომიის პრინციპებს იცავდნენ, რუსეთის კოლონიიდან ქვეყნის განთავისუფლებისა და 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების აღდგენისთვის იბრძოდნენ. ქართველ ბოლშევიკთა ხელმძღვანელობა კი თავისი იდეოლოგიის პროპაგანდას ჟურნალ „მოგზაურის“ საშუალებით ეწეოდა. ჟურნალი 1901-1904 წლებში ივანე როსტომაშვილის რედაქტორობით გამოდიოდა და თანამედრვეობის მტკივნეულ პრობლემებს ეხებოდა. 1905 წლიდან კი ჟურნალს სათავეში ფილიპე მახარაძე ჩაუდგა, რის შემდეგაც მან მტრული პოზიცია დაიკავა ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციისადმი. ამ ჟურნალში დაიბეჭდა ცილისმწამებლური სტატია ილია ჭავჭავაძე მიმართ, რომელიც ჟურნალისტმა დესპოტ მემამულედ მონათლა. ილიამ ეს ცილისწამება მტკივნეულად განიცადა და პასუხი გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა. [სურგულაძე, სურგულაძე, 1991-51].

რევოლუციურ მოღვაწეობაში აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალისტ-ფედერალისტები, რომელთა ხელმძღვანელებმაც რევოლუციის დაწყებისთანავე

შეწყვიტეს პარიზში თავიანთი გაზეთის, „საქართველოს“ გამოცემა და თბილისში დაბრუნდნენ. გაზეთ „ცნობის ფურცელის“ აკრძალვის შემდეგ ისინი პროპაგანდას გაზეთების: „შრომის“ (რედაქტორი გრ. ცეცხლაძე) და „გლეხის“ ( რედ. მიხ. ჯავახიშვილი) საშუალებით ეწეოდნენ.[ სურგულაძე , სურგულაძე, 1991- 153-154].

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძველი თაობიდან 1905-1907 წლების რევოლუციას მოესწრნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა და სხვები. მათი აზრით, რევოლუცია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხაზს ასცდა და ნიჰილისტურმა ძალებმა იგი ერისთვის საზიანო გზით წარმართეს. [ სურგულაძე , სურგულაძე , 1991- 155]. ილია ჭავჭავაძე გლეხობასა და თავადაზნაურობას მოუწოდებდა, შიდაეროვნულ ბრძოლაზე ხელი აეღოთ, ამ შეხედულებას მხარს აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე და სხვები უჭერდნენ. რევოლუციურ მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდა შემოქმედებითი ინტელიგენცია: იროდიონ ევდოშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ჭოლა ლომთათიძე, შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი, თედო სახოკია, ია ეკალაძე, ეკატერინე გაბაშვილი, ნინო ნაკაშიძე. რევოლუციური სულისკვეთების გაღვიძებაში დიდი როლი შეასრულა ქართულმა თეატრმა და სამღვდელოებამ.

რეაქციის წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ძირითადად საქველმოქმედო ნებაყოფლობითი საზოგადოებები ემსახურებოდნენ, რომელთა შორისაც მასშტაბურობით პირველი ადგილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ეკავა. ამ პერიოდში ეროვნული საკითხის ილიასეულ ტრადიციას აგრძელებდა ქართველ მოღვაწეთა ჯგფი, რომელიც ჟურნალების: „კლდეს“, „ერის“, „საქართველოს“ გარშემო იყო შემოკრებილი. 1913-1914 წლებში ეს მიმართულება საზოგადოებრივ ასპარეზზე თავისი ეროვნულ-პატრიოტულით გამოირჩეოდა და მზად იყო დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბულიყო, რასაც ხელი პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ შეუშალა.

როგორც მთლიანი საქართველოს, ისე კახეთის ცხოვრება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე განსაკუთრებული ვნებათაღელვით გამოირჩეოდა, იმის მიუხედავად რომ XX სკ-ის დასაწყისში რეგიონი განვითარების არც თუ ისე დინამიური ტემპით

გამოირჩეოდა, ათიანი წლების ბოლოს აქ სოციალურ-პოლიტიკური ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. განსაკუთრებით აღინიშნებოდა პოლიტიკური არასტაბილურობა. პირველი გაფიცვა 1905 წლის სექტემბერში სიღნაღში მოეწყო, სადაც აქციის მონაწილეები 1905 წლის 29 აგვისტოს თბილისში უიარაღო მუშების დახვრეტას აპროტესტებდნენ. [შაიშმელაშვილი, 1973-160]. კახეთის რეგიონში სიტუაცია განსაკუთრებით ოციან წლებში გაუარესდა. იმის მიუხედავად, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს საქართველო საომარი მოქმედებების ეპიცენტრში არ მოხვედრილა, ქვეყანა ომში მაინც აქტიურად მონაწილეობდა. მსოფლიო ომმა, როგორც მასში მონაწილე ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, უშუალოდ კახეთის რეგიონსაც თავისი მძიმე კვალი დაამჩნია როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური, ასევე სოცალური და კულტურული თვალსაზრისითაც. [მოსიაშვილი, 2009-158]. კახეთში მდგომარეობა განსაკუთრებით კრიმინალური თვალსაზრისით დამძიმდა. მამაკაცებისგან დაცარიელებულ სოფლებში გახშირდა ქურდობა და ყაჩაღობა, გავრცელებული ინფორმაციით ისინი შესაძლოა დეზერტირებიც ყოფილიყვნენ. რეგიონში არსებულ მძიმე კრიმინალურ ვითარებაზე როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური პრესაც აქტიურად წერდა. 1916 წლის გაზეთი „სახალხო ფურცელი“ იტყობინება: „ქიზიყში ყაჩაღობაც გახშირდა, დღე ან ღამე ისე არ გავა რომ ავაზაკებმა არავინ გაძარცონ ან დახლი არ აუწიოკონ ვინმეს. ამბობენ ყაჩაღები გამოქცეული ჯარისკაცები არიანო.“ [რედაქცია, 1916]. ან კიდევ: „სოფ. ძველი გავაზი (თელავის მაზრა). 30 იანვარს ღამის 10 საათზე ილიკო გველიკომშვილის ოჯახს თავს დაესხნენ შეიარაღებული ბოროტ-განმზრახველნი გველიკომშვილის შინ არ ყოფნის დროს და მისი 17 წლის ქალი გაიტაცეს და ამასთან ქალის დედას მუქარით წაართვეს ოცდაათი თუმანი ფული და ის იყო ცხენები დაძრეს გასაქცევად, რომ უცბად ქალების წივილ-კივილზე მეზობლები მოეშველნენ თოფებით და კეტებით შეიარაღებული და ქალი დაიხსნეს.“ [რედაქცია 1914].

ყაჩაღობა და ქურდობა იშვიათი შემთხვევა რომ არ იყო ეს ადგილობრივ გაზეთშიც ჩანს: „სოფელ ჩუმლაყში 7 მაისს ღამით ხუთი შეიარაღებული ყაჩაღი გიგა სესიაშვილის მეთაურობით დაეცნენ საბრალო დათუაშვილს, წაართვეს ხუთი თუმანი



და მიიმაღლნენ. გზის მაჩვენებელი წინია ჩიფაშვილი შეიპყრეს, რომელიც გამოტყდა ყაჩაღებთან ყოფნაში, ოქმით ერთად გადაეცა გამომძიებელს“.[„რედაქცია,1914]

ასე, რომ კახეთის ცხოვრება მთლიანად საქართველოს სხვა რეგიონების ცხოვრების რიტმის მსგავსად მიმდინარეობდა.

## 2. პირველი მსოფლიო ომი და საქართველო

პირველი მსოფლიო ომი 1914 წლის პირველ აგვისტოს დაიწყო და 1918 წლის 11 ნოემბრამდე გაგრძელდა, ამ ომში ჩაბმული იყო 38 ქვეყანა, დაიღუპა 10 მილიონი და დაიჭრა 20 მილიონი ადამიანი.[გოცირიძე, 2009- 3].

პირველი მსოფლიო ომის დაწყება დაკავშირებული იყო იმპერიალიზმისთვის დამახასიათებელ წინააღმდეგობათა უკიდურეს გამწვავებასთან, იმპერიალისტურ ქვეყნებში კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციური მოძრაობის ზრდასთან. მოწინააღმდეგე ბანაკებში (ანტანტა, ოთხთა კავშირი) შემავალი ზოგიერთი ქვეყანა აგრესიულ ომს აწარმოებდა, ზოგი – კი თავდაცვითს. შესაბამისად, მეომარ სახელმწიფოთა მიზნები დამპყრობლურთან ერთად ეროვნული ინტერესებითაც იყო ნაკარნახევი. [ გოცირიძე , 2009- 15].

პირველ მსოფლიო ომში ქართველების ნაწილი, რომელიც თავის სამშობლოდ რუსეთს მიიჩნევდა, აქტიურად ჩაება, მათ შორის იყო როგორც თავადაზნაურობა, ასევე დაბალი ფენაც. საქართველოს მოსახლეობა ბრძოლისთვის განსაკუთრებით ომში თურქეთის ჩართვის შემდეგ განეწყო. მათ მოანაწილება უნდა მიეღოთ ჭანეთის შემოერთების საქმეში, რითაც საქართველო ევროპას დაუკავშირდებოდა. ქართველობა ომისგან ქვეყანაში დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელებას, საქართველოს ისტორიული ტერიტორიების შემოერთებას, ევროპასთან დაკავშირებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ელოდა.

როგორც ოფიციალური მონაცემებიდან და ისტორიკოსთა კვლევებიდან ჩანს, საქართველოში მობილიზაცია მაღალ დონეზე ჩატარდა. ქართველების უმრავლესობა ომის დროს რუსეთის სამსახურში ჩადგა, პირველ მსოფლიო ომში იმდროინდელი

საქართველოს 13%-მა, დაახლოებით 300 000-მა კაცმა მიიღო მონაწილეობა. რუსეთის საიმპერიო არმიის ქართველმა გენერლებმა და ოფიცრებმა, რომელთა შესახებაც კარგად არის ცნობილი, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პირველი მსოფლიო ომის მსვლელობაში და რუსეთს არაერთი დიდი გამარჯვება მუპოვეს.

პირველ მსოფლიო ომში თავი კახეთის თავადაზნაურთა საგვარეულოების წარმომადგენლებმაც გამოიჩინეს, მათ შორის იყვნენ კონსტანტინე (კოტე) აფხაზი, აბელ მაყაშვილი, სპირიდონ ჭავჭავაძე, სტეფანე ახმეტელი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, სოლომონ ყარალაშვილი და სხვები. პირველი მსოფლიო ომის დაწყებას ამ პერიოდში სიღნაღში გამომავალი გაზეთი „ხმა კახეთისა“ ეხმაურება. წერილს, სათაურით „ომის გარშემო,, „ძველი მხედარი“ (კოტე ტყავაძე, ფსევდონიმი გახსნილია პროფესორ გიორგი ჯავახიშვილის მიერ) აქვეყნებს, ავტორი 1912-1913 წლების ბალკანეთის ომს მიმოიხილავს და გმობს ძალმომრეობას: „რა გასაკვირველია, რომ დიდმა ავსტრიამ აჯობოს პატარა სერბიას და დამუქრებისამებრ მიწასთან არ გაასწოროს.“ [ „მხედარი“, 1914]. ავტორი რუსეთის წყალობით ბალკანეთის პატარა ერების გათავისუფლების შესაძლებლობასა და მოსალოდნელ მსოფლიო ომზე წერს: „რუსეთის მიზანს შეადგენდა შეაერთოს მთელი სლავიანთა მოდგმის ერები და შექმნას ერთი დიდი სლავიანთა სახელმწიფო..... თუ ომი მოხდა, იგი იქნება არა მარტო ავსტრიასა და სერბიას შორის, არამედ მთელი ევროპის სახელმწიფოთა შორის“ [„მხედარი“, 1914].

პირველი მსოფლიო ომის დაწყების დღიდან გაზეთი „ხმა კახეთისა“ რეგულარულად აქვეყნებს „ომის დღიურებს“, რომლის ავტორიც „მხედარი“ (კოტე ტყავაძეა). აქვე იბეჭდება დეპეშები, რომლებიც ფრონტის სხვადასხვა ადგილებში მომხდარ მოვლენებს ასახავს. მაგალითად: „ვისლას და ვარტას შუა შეუპოვარი ომი სწარმოებს, ამ ომს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრითაც, რომ მან უნდა გადასწყვიტოს - ვის საზღვრებში შეიქმნება ბრძოლის ველი“. ან კიდევ: „გალიციაში რუსებმა წინ წაიწიეს და 20 000 ტყვეც იგდეს ხელთ, ავსტრიელებმა მიატოვეს ნოვისანდეცი“. [რედაქცია, 1914] . ამავე ნომერში რედაქცია იუწყება: „შემდეგ ნომრიდან გაზეთი „ხმა კახეთისა“ მიიღებს საკუთარ დეპეშებს ომის ველიდან, გაზეთი წინანდებურად გამოვა კვირაში ორჯერ, დანარჩენ დღეებში გამოვა ყოველ

დღე ცლცალკე დეპეშები“. [რედაქცია, 1914]. ომთან დაკავშირებით გაზეთში ვრცელი წერილი „ეხლანდელი ომი“ იბეჭდება. ეს ლექცია წაკითხული იქნა ქუთაისის საქალაქო თეატრში 28 ოქტომბეს, 1914 წელს. სტატია კიტა აბაშიძეს ეკუთვნის და დაწვრილებითაა აღწერილი ომის დაწყების მიზეზები და მიმდინარეობა.

გაზეთი „ხმა კახეთისა“ ომის შესახებ მასალებს გამოცემის ბოლომდე აქვეყნებდა. ბოლო 250-ე ნომერში კი რედაქტორი, კოტე ტყავაძე მკითხველს მის ომში გაწვევაზე ინფორმაციას აწვდის და ემშვიდობება.

### 3. სოციალურ-ეკონომიკური ვითარება საქართველოში

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდში მკვეთრად დაეცა ქვეყნის ეკონომიკა, რამაც ხალხის, დაბალი ფენების უკმაყოფილება გამოიწვია. ანალოგიური ვითარება იყო კახეთშიც. მაგალითად, სიღნაღში არ იყო მოწესრიგებული განათება, სასმელი წყლთ მომარაგება, პურის ცხოზა. მის ქუჩებს სავალალო შესახედაობა ჰქონდა, კულტურულ დაწესებულებებზე, მშრომელთათვის ხელმისაწვდომ ჯანმრთელობის დაცვის სისტემაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ამ პერიოდში კატასტროფულად მოიშალა მეურნეობა. სიძვრე, შიმშილი, სიღატაკე, პირველ ყოვლისა, მოსახლეობის ეკონომიკურად ხელმოკლე ფენას აწუხებდა. მომრავლდა მათხოვრობა, ეპიდემიებისა და შიმშილობის მსხვერპლი კი ყოველდღე მატულობდა. [ შაიშმელაშვილი , 1973-159,160].

XX საუკუნის დასაწყისში რეგიონში არსებულ მდგომარეობას კარგად აღწერს აკაკი წერეთელი თავის წერლში „კახეთში მოგზაურობა“. მგოსანი თელავში მეგობართან ჩავიდა „ალავერდობაზე“ დასასწრებად. დღესასწაულიდან დაბრუნებული აკაკი გულნატკენი ჰყვება იქ ნანახი სიღარიბის შესახებ: „ღმერთო ჩემო, ეს რა სიღარიბე ვნახე ამ დღეობაში?! რამ დაჩაგრა და დააკნინა ყოველგვარად ეს ხალხი? სად არის ის ადრინდელი კახელობა, მე რომ სიყმაწვილეში მინახავს? ჩოლოქის ომში რომ კახელობა დაესწრო იმ სანახაობას არა სჯობდა რა!.. თავადი,

აზნაური, გლეხი ყველა ერთი მეორეზე უკეთესი მოხდენილათა და მდიდრულათ მორთულ-მოკაზმულები!.. ძვირფასი იარაღითა და ბედაურებით გამოწყობილები!.. კაცი იტყოდა, რომ ამათ მტერიც ვერ გაიმეტებსო. სადღა არიან, სჩანს, რომ წასულან, იმავე ბედაურებით გადგომიან გზას და თავისი თავგადასავალიც აქ ზღაპრათ დაუგდიათ!.. ბევრს გვარათ ვეკითხებოდი ჩემს თავს და მწარე პასუხი გულში მიკვდებოდა.“ [წერეთელი, 1990- 198].. „დღეს კიდევ თელავში დავრჩი, რომ ქალაქი დამეთვალთმობინა და გამოვტყდები, რომ არ მიამა ოცი წლის წინათ რომ მინახავს, იმაზე თუ უკლია თუ არა მიუმატია რა..... თავადაზნაურობაც მარშლიდან დაწყებული უბრალომდე შეუგნიათ თავისი ცუდი მდგომარეობა და ცდილობენ, რომ როგორმე თავი დაახწიონ ეკონომიკურ გაჭირვებას, მაგრამ ძნელია თუ მიმშველი და მომხმარე არ ეყოლათ, ცუდად არიან ჩათრეული და შესალტული! მთელი კახეთი ვაჭრებისა და ჩარჩების ყმებათ არი გადაქცეული, კახელების სიმდიდრე ვენახებია და ისინიც ხომ სომხებს აქვთ გირაოთ....“ [წერეთელი, 1990- 104,205].

მწერალი მოგზაურობისას სიღნაღში არსებულ მდგომარეობასაც აღწერს და ნანახს ასე გადმოგვცემს: „თელავიდან სიღნაღზე წამოვედი და გზაში ბევრი სასიამოვნო არა მინახავს რა, ყველგან რთველი იყო გამართული, მაგრამ ლხინი და სარგებელი-კი სხვებისა იყო: თავზე მოვალეები ადგანენ ყველგან და პატრონებს-კი ყურძნის ჭამის ნებაც არ ჰქონდათ!... სიღნაღისთანა თავ-გასული და გაბრიყვებული ქალაქი სხვა აღარსად მეგულება, იქაურ ვაჭრებს ისე შეუკრავთ ერთმანეთთან პირი, სეკტანტებით, რომ სხვას აღარავის იკარებენ“. [წერეთელი, 1990- 206).

იმის მიუხედავად, რომ რეაქციისა და შემდგომ პირველი მსოფლიო ომის წლებმა მძიმე კვალი დაამჩნია კახეთის პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებას, რეგიონს განვითარებისთვის ბრძოლა მაინც არ შეუწყვეტია. ამის მაგალითია კახეთში რკინიგზის გაყვანა, რომლისთვისაც სამუშაოები 1910 წელს დაიწყო და 1915 წელს სექტემბერში ოფიციალურად დასრულდა. კახეთში რკინიგზის მშენებლობის დამთავრებამ შესაძლებელი გახადა ამ რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობის სწორად წარმართვა. როგორც ჩანს, ამ პერიოდში კახეთისთვის შემოსავლის ძირითადი წყარო მაინც მევენახეობა, მეღვინეობა იყო.

კახეთის რკინიგზის ხაზის გაყვანამ გამოიწვია ამ მხარეში სრული ეკონომიკური გადატრიალება. მოძრაობის გზის შემდეგ გაცხოველებულად დაიწყო საქონლის გაცვლა ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებელ რაიონებთან.[ მოსიაშვილი , 2009- 77]. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სწორედ ამ დროს მოხდა კახეთში „თამარის არხის“ გაყვანა, რასაც, სხვათა შორის, „ხმა კახეთისა“ აქტიურად გამოეხმაურა. გასული საუკუნის დასაწყისში სიღნაღის კოოპერატივი და ანაგის ბაზრობა დაფუძნდა, კახეთშივე ჩამოყალიბდა ქიზყ-კახეთის სააქციო საზოგადოება „ალზიორა“ (სახელი ალაზნის და იორის გაერთიანებით არის მიღებული), სადაც ამზადებდნენ სიგარეტის ასღერიან კოლოფს „ალზიორას“ სახელწოდებით. კოლოფზე გამოსახული იყო სანდრო ახმეტელი. [ჯავახიშვილი, 2002-8].

ამდენად, ქვეყანაში არსებული საკმაოდ რთული სიტუაციის მიუხედავად, კახეთის ეკონომიკის სრული ნგრევა არ მომხდარა და ის განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა.

#### 4. კულტურული ვითარება და ლიტერატურული ცხოვრება საქართველოში

XX საუკუნის 10-იანი წლები ლიტერატურული ცხოვრების მიმდინარეობის მხრივაც გამორჩეული იყო . ამ პერიოდში საზოგადოებრივ მოღვაწეობას თანდათან ტოვებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა უფროსი თაობა.

გასული საუკუნე მთელი ქვეყნისთვის ყველაზე მტკივნეული მოვლენით დაწიყო, ეს ილია ჭავჭავაძის მკვლელობა იყო. ტრაგიკული ფაქტი 1907 წლის 30 აგვისტოს წინამურთან მოხდა, როდესაც ილიას ტყვეობით შუბლი გაუხვრიტეს. დიდი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის გარდაცვალება სრულიად საქართველომ განიცადა. საუკუნის მკვლელობა ვაჟა-ფშაველამ ასე დაახასიათა: „ილიას მტრებს რომ შეეძლოთ,

საქართველოს მოჰკლავდნენო“. ილია ჭავჭავაძე 9 სექტემბერს მთაწმინდის პანთეონში დაასაფლავეს.

1912 წელს იაკობ გოგებაშვილი გარდაიცვალა, ის ჯერ დიდუბის ეკლესიასთან დაკრძალეს, 1940 წელს კი გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით მწერლის ნემუტი მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს.

1913 წელს გარდაიცვალა არჩილ ჯორჯაძე. ეროვნული მოღვაწე დიდუბის პანთეონში დაკრძალეს.

1915 წელს სოფელ სხვიტორში აკაკი წერეთელი გარდაიცვალა, დიდი მგოსანი მთაწმინდის პანთეონში დაასაფლავეს.

ამავე წელს წმინდა ნინოს სახელობის ლაზარეთში ვაჟა-ფშაველა გარდაიცვალა. „ჯერ კიდევ არ გაცივებულა დიდებული აკაკის საფლავი, რომ ჩვენი პოეზიის საკურთხეველზე ჩაქრა მეორე ბრწყინვალე ლამპარი. ის ლამპარი ფშავ-ხევსურეთის მწვერვალთაგან უხვ ნათელს ფენდა მთელ საქართველოს, გაფრინდა „მთის არწივი“ მოგვიკვდა ფშაველა“ - ეს სიტყვა ვაჟა-ფშაველას კორნელი კეკელიძემ მიუძღვნა.

ამ მოვლენების პარალელურად სამოღვაწეო ასპარეზზე ქართული მწერლობის ახალგაზრდა თაობა გამოდის. მათ შემოქმედებაში პირველ ეტაპზე, ეპოქის შესაბამისად, უიმედო განწყობილება ჩანს, თუმცა მოგვიანებით ახალ თაობაში კვლავ მომავლის რწმენა გაჩნდა. ამ პერიოდში აქტიურ სამწერლობო მოღვაწეობას ეწეოდნენ: იროდიონ ევდოშვილი, იოსებ გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ალექსანდრე აბაშელი. რეაქციის პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა დეკადენტურ-სიმბოლისტური მიმართულება, რომელიც ყველაზე მეტ გამოხატულებას ქართველი სიმბოლისტების - „ცისფერყანწელების“ შემოქმედებაში პოულობდა. ამ თაობის წარმომადგენლები იყვნენ ცნობილი პოეტები: პაოლო იაშვილი, ტიცინ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი და სხვები.

როგორც მთლიანად საქართველოში, გასული საუკუნის პირველ ოცწლეულში კახეთშიც დიდი ყურადღება დაეთმო რეგიონის კულტურულ განვითარებასა და განათლების დონის ამაღლებას. ამ პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება იყო, რომელმაც დიდი როლი შეასრულა რეგიონის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და

განათლების სფეროს განვითარებაში. 1904 წელს სიღნაღში მოქმედებდა სამი ქართული დაწყებითი სკოლა 587 მოსწავლით. 1913 წელს სიღნაღში არსებულ ვაჟთა სასწავლებელში 196, ხოლო ქალთა სასწავლებელში 156 მოსწავლე ითვლებოდა. ამათ გარდა არსებობდა ორი სამრევლო სკოლა (ქართული და სომხური). ბოდბის წმ. ნინოს მონასტერთანაც ქალთა სამრევლო (ექვსწლიანი) სკოლა ყოფილა. [შიაშმელაშვილი, 1973- 138]. ცნობილია აგრეთვე, რომ ამ პერიოდში თელავში არსებობდა სასულიერო სასწავლებელი, საბავშვო ბაღი და პროფესიული სასწავლებელი.

რაც შეეხება კახეთის კულტურულ ცხოვრებას, ოფიციალური წყაროებიდან ჩანს, რომ თელავში არსებობდა თეატრი, სადაც იდგმებოდა წარმოდგენები რუსულ-ქართულ-სომხურ ენებზე. ქართულ სცენის მოყვარეთა დასს ხელმძღვანელობდა კოტე ჭელიძე, რუსულს - გიორგი არუთინოვი და სომხურს – არამ ხოსროვი. სპექტაკლის შესახებ სარეკლამო განცხადებები იბეჭდებოდა ადგილობრივ გაზეთშიც: „ს. ველისციხე ( თავად ვანო ჯანდიერის სახლში) კვირას, 16 სექტემბერს, 1912 წ. მსახიობი შ. საფაროვი გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება : I – „უბედური“, დრ. 3 მოქმედებად. გად. გუნიას მიერ. II – „მკვდრები სდგებიან“. ვოდ. 1 მოქ. თარგ შ. საფაროვისა. III – „დივერტისმენტი“. მონაწილეობენ : ქ.ქ. ნაცვალოვისა, კნ. აღინსკისა, ტერ-მოსესოვი, მ. წითლიშვილი, ნაპალონ, გ. ქალანთაროვი, საფაროვი და სხვანი. ანტრაქტებში დაუკრავს მუსიკა. რეჟისორი შ. საფაროვი. დასაწყისი საღამოს 9 სთ-ზე.“ [რედაქცია, 1912]. კიდევ ერთი განცხადება: „პარასკევს, 22 თებერვალს, სიღნაღის სახალხო კლუბში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სიღნაღის განყოფილებასთან არსებულმა დრამატულმა სექციამ გამართა ქართული წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნა : აქვ. ცაგარელის კომედია „მათიკო“-დან მესამე მოქმედება და აზიანის 2 მოქმედება, კომედია „გაცრუებული იმედი“. [რედაქცია, 1913] ამ განცხადებებიდან ჩანს, რომ კახეთის რეგიონში თეატრალური ცხოვრება საკმაოდ აქტიური ყოფილა იმის მიუხედავად, რომ სიღნაღსა და გურჯაანში თეატრის შენობები ჯერ არ არსებობდა, მსახიობებს კი თამაში ხშირად საკუთარი სახლის ეზოში უწევდათ.

რაც შეეხება კახეთის ლიტერატურულ ცხოვრებას მის შესახებ საუკეთესო მასალას იმ პერიოდში სიღნაღში გამომავალი გაზეთი „ხმა კახეთსა“ იძლევა.

## 1. „ხმა კახეთისა“ მიმოხილვა

როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, კახეთში პირველი გაზეთი 1912 წელს გამოვიდა, ეს იყო სიღნაღში გამომავალი გაზეთი „ხმა კახეთისა“, სადაც პირველივე ნომერში მითითებულია, რომ ეს არის „სამეურნეო და სალიტერატურო სახალხო გაზეთი“. „ქართული პრესის ბიბლიოგრაფიაში“ გაზეთის შესახებ წერია: „ყოველდღიური სამეურნეო და სალიტერატურო სახალხო გაზეთი. სიღნაღი. რედაქტორ- გამომცემელი კ.ი. ტყავაძე.

პირველი (ქართული) გაზეთი კახეთში, სულ გამოვიდა:

1912წ. N1(16/IX) - N15(25/XII). თვით. 4გვ. ყოველკვ.

1913წ. N16(1/I) - N116(29/XII). თვით. 4გვ. კვირაში სამჯერ.

1914წ. N117(1/I) - N216(25/XII). თვით. 4გვ. კვირაში სამჯერ.

1915წ. N217(1/I) - N250(25/VI). თვით. 4გვ. კვირაში სამჯერ.

წვრილ-ბურჟუაზიული გაზეთი, აშუქებდა კახეთს ეკონომიკას და კულტურულ საკითხებს ( სან. განიძის, დავიწყებულის, ივ. ქიტიაშვილის, ენტესი, ბ. ვანელის და სხვა ავტორთა კორესპონდენციები სხვადასხვა სოფლებიდან), ლიტერატურულ ნაწილში თანამშრომლობდნენ: ვაჟა-ფშაველა, ი. მჭედლიშვილი, ს.ფაშალიშვილი, ალ. შანშიაშვილი“. [ბაქრაძე 1946-43].

გაზეთის პირველივე ნომერში წერია: „გამარჯობა შენი, მკითხველო! „ხმა კახეთისა“, როგორც სახელიდანაც გაიგებთ, შეძლებისდაგვარად ემსახურება ერთ პატარა, ბუნებით შემკულს და ულამაზეს კუთხეს ჩვენი ქვეყნისას - კახეთს.

ჩვენი ვიცით, რომ დიდ საქმეს ვკიდებთ ხელს. „ხმა კახეთისა“ ეცდება გააცნოს მკითხველს კახეთის ბუნება და ცხოვრება, კახეთის ჭირ-ვარამი, მისი მისწრაფება და სულისკვეთება“. [რედაქცია, 1912].

გაზეთი „ხმა კახეთისა“ 1912 წლის 16 სექტემბერს გამოვიდა და სამი წლის განმავლობაში გამოიცემოდა. ბოლო, 250-ე ნომერი 1915 წლის 19 ივნისით თრილდება. თუმცა ზოგიერთ საისტორიო კვლევაში მითითებულია, რომ „ხმა კახეთისა“ 1917



წლამდე გამოიცემოდა. ივანე შაიშმელაშვილი ნარკვევში „ქიზიყი“ წერს: „1912 წლის სექტემბრიდან სიღნაღში დაიწყო გამოსვლა კახეთის პირველმა ნაბეჭდმა გაზეთმა „ხმა კახეთისა“, ეს „სამეურნეო და სალიტერატურო სახალხო გაზეთი“ იბეჭდებოდა სიღნაღში არსებულ კერძო სტამბაში 1917 წლამდე“ [შაიშმელაშვილი, 1973-160], იგივე ცნობას იძლევა ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაც, თუმცა, „ხმა კახეთისას“ გამოცემის შეჩერების თარიღად თავის წიგნში „გაზეთი „ხმა კახეთისა“, პროფესორ გიორგი ჯავახიშვილს 1915 წელი აქვს მითითებული. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამის შემდეგ გაზეთი მართლაც აღარ გამოსულა, რადგანაც ჩვენი მრავალმხრივი ძიების მიუხედავად 1916-1917 წლებში გამოცემული ვერც ერთი ნომრის კვალი ვერ აღმოვაჩინეთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ გაზეთმა გამოცემა რედაქტორის, კოტე ტყავამს ომში გაწვევის გამო შეწყვიტა. ბოლო ნომერში რედაქტორი მკითხველს მომავალში კვლავ შეხვედრის იმედით ემშვიდობება, მაგრამ გაზეთის აღდგენა, როგორც ჩანს, ვეღარ მოხერხდა, თავად კოტე ტყავამე კი 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დახვრიტეს.

გაზეთში „ხმა კახეთისა“ დიდი რაოდენობით ქვეყნდებოდა საქართველოში ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი მწერლების ნაწარმოებები, ცნობები სხვადასხვა ლიტერატურული გამოცემების, აგრეთვე მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შესახებ. ამდენად, ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ გაზეთში გამოქვეყნებული ლიტერატურული მასალების კვლევა მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება ქართული ლიტერატურისა და პრესის ისტორიისთვის.

## 2. „ხმა კახეთისას“ პოეზია

გაზეთი „ხმა კახეთისა“ XX საუკუნის პირველ ოცწლეულში კახეთის რეგონში ყველაზე ხანგრძლივად გამომავალი პერიოდული ორგანო იყო. 1912-1915 წლებში გაზეთის 250 ნომერი გამოვიდა. „ხმა კახეთისა“ სამეურნეო და სალიტერატურო გაზეთი იყო და ის ამ დანიშნულებას ასრულებდა კიდევ. პირველივე ნომრიდან დაწყებული, გამოცემის ბოლომდე, მასში უამრავი ლიტერატურული მასალა

გამოქვეყნდა, აქ იბეჭდებოდა უკვე ცნობილი თუ ახალბედა მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ლექსები, მოთხრობები, პოემები, ფელეტონები, ნარკვევები, პუბლიცისტური წერილების ციკლები, რომლებიც სხვადასხვა თემატიკასთან ერთად ქართველი მწერლების ბიოგრაფიებსაც აცნობდა მკითხველს. გაზეთში გამოქვეყნებული ახალი ამბები ხშირად შეიცავდა ცნობებს ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოების, ახალი წიგნისა თუ ჟურნალ-გაზეთის გამოცემის შესახებ.

როგორც ჩანს, გაზეთის გამოსვლამდე სარედაქციო კოლეგია და კორესპონდენტები კარგად მომზადებულან, რადგან პირველივე ნომერში სხვა საინტერესო პუბლიკაციებთან ერთად ერთი ლექსიც გამოუქვეყნებიათ, მეორე ნომრიდან კი მხვატვრული შემოქმედებითი მოღვაწეობა უფრო გააქტიურებულია. საგულისხმოა, რომ ლიტერატურული ნაწარმოებები ხშირად მოცემული ეპოქის შესაბამისია. ავტორები მასალებში ძირითადად იმ დროის კახეთში არსებულ ვითარებას ეხმაურებიან. ლექსების ნაწილი გლეხკაცის შრომას ასახავს, ნაწილი სამშობლოს სიყვარულს ეძღვნება, ნაწილი კი სატრფიალო ხასიათს ატარებს. მაგალითად, „ხმა კახეთისაში“ 1912 წ. N23-ში გამოქვეყნდა იოსებ მჭედლიშვილის ლექსი „ქართველ გლეხს“, სადაც ავტორი მიწაზე მომუშავე გლეხის ღირსებებსა და დანიშნულებაზე წერს:

„გლეხო, დაიცევ კვლავ მიწა, შრომისა ოფლი დაღვარე,  
მიწის ვართ, მიწა გვინახავს, მიწაშივე გვაქვს სამარე,  
დეე, გიწოდონ უგუნურთა საბრალო მონა მიწისა,  
რომ შენა ჰკვებამ ქვეყანას, ეს უფრო ბევრმა იცისა.  
ეს ღმერთის ქმნლი მფეა და შენ იმისი გვირგვინი....  
ჰფლობდე მას... ღმერთმა გიკურთხოს შრომა და ტკბილი ღიღინი!,,

[მჭედლიშვილი,1912].

სოფლის შავბნელ ცხოვრებასა და გლეხის მძიმე ხვედრზე ჩივის ახალგაზრდა პოეტი სიკო ფაშალიშვილი ლექსში „სოფელს ეძინა“. ავტორი იქ გამეფებულ წყვდიადზე წერს, სადაც ყველაფერი სევდა-კაემანს მოუცავს. ლექსში უიმედობა იგრძნობა, რადგან მძინარე სოფელი მისთვის მოვლენილ საშველს ვერ ამჩნევს:

„ლაჟვარდ ტატნობზე აინთო კოცონი ვარსკვლავებისა

და სოფელს გამოუგზავნა შარავანდედი შვებისა...  
მაგრამ ვერ იგრძნო მძინარემ, შუქი ბნელეთმა მოჰპარა  
და იღუმალის კვანძითა ცას კვლავ ცრემლები მოჰგვარა!...  
სოფლს ეძინა... კვლავ სძინავს, სულს ჰხუთავს შავი სიზმარი, -  
ნეტავ ცას როდის მოჰქარგავს მის განთიადის ცისკარი?!..“

[ფაშალიშვილი, 1913].

შრომის აუცილებლობაზე საუბრობს და მკითხველს მის დაფასებას ურჩევს „გლეხი გ.კანანელის“ ფსევდონიმით ავტორი. ამ ფსევდონიმით გაზეთში „ხმა კახეთისა“ ქიზიყელი გლეხი, გიო ყარამანის ძე კანაშვილი წერდა, რომელსაც 1939 წელს ლექსების წიგნიც გამოუცია, თუმცა, ლიტერატურულ წრეებში მის შემოქმედებაზე ბევრი არაფერია ცნობილი.[მიქაძე, 1968-393]. ლექსი ალეგორიული ხასიათისაა და ის ადამიანთა შრომას ფუტკრის შრომას ადარებს. მწერალი ამ საქმიანობას ღვთის სასარგებლოდ გაწეულ შრომად თვლის და ადამიანებს უსაქმურობისთვის თავის დანებებისკენ მოუწოდებს:

„ ჩემი შრომა ნათობს ყველგან, მუდამუჟამ დაუვიწყარი-  
სჯობს უშრომოდ სიცოცხლესა კეთილ შრომისთვის მამკვდარი...  
ძე მუჟა ვარ ღვთის ერთგული და ვშრომობ მოუსვენარი.“

[გ.კანანელი, 1913]

გლეხის მძიმე ცხოვრებაზე გაზეთში ხშირად იწერებოდა. 1913 წლის სააღდგომო ნომერში რედაქციამ სააღდგომო მილოცვები გამოაქვენა სადაც სხვადასხვა სოციალური ფენისა თუ სამსახურების წარმომადგენლების მიმართ სურვილებია გამოთქმული. მილოცვებში ერთი სტრიქონი კახელ გლეხსაც ეთმობა შესაბამისი სურვილით: - „გლეხებს - თქვენი ოფლით თქვენვე ისარგებლოთ“. ეს ფრაზა შემთხვევითი არ არის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხშირად, მხატვრული ნაწარმოებებით „ხმა კახეთისა“ იმ რეალობასა და ეპოქისთვის დამახასიათებელ მდგომარეობას ეხმაურებოდა, გაზეთი მუდმივად აქვეყნებდა სტატიებს კახელი გლეხის მძიმე ხვედრზე. „ხმა კახეთისა“ გაბედულად წერდა არსებული პრობლემების შესახებ: „ ხალხი ძლიერ დაჩაგრულია, წელში გამწყდარი და უილაჯო. ერთი სიტყვით, ცხოვრების სახსარს სრულებით მოკლებულნი არიან... ახლა ამას

ზედ დაუმატე საზოგადოდ, როგორც ყველგან, ჩვენი მამასახლისის აულაგმავი მოქმედება და მაშინ წარმოიდგენ, თავხედ მამასახლისის ხელში რა დღეში უნდა იყოს ისედაც დაბეჩავებული გლეხკაცობა!“ [ რედაქცია,1914]. ამ მცირე ნაწყვეტიდანაც ჩანს, რომ გაზეთი არსებულ უსამართლობას არ ეგუებოდა და პრობლემები სახალხოდ წერილებსა და სტატიებთან ერთად ლექსებითაც გამოჰქონდა. „ხმა კახეთისაში“ ამ თემატიკის კიდევ ერთი ლექსია გამოქვეყნებული, რომელიც გლეხ გ. კანანელს, იგივე გიო კანაშვილს დაუწერია. ლექსში, „ვარცხვინოთ“, ავტორი არცხვენს იმ ადამიანს, ვისაც შრომა არ უყვარს და სხვისი ნაოფლარით არსებობს. კანანელი ასეთ ხალხს „მუქთა ჭამიას“ უწოდებს და ამბობს:

„ ადამიანის ცხოვრება ერთი წუთი და წამია,  
როცა მოვკვდებით ხორცითა, სულს უთხრათ მრავალ ჟამია.  
ყველა ცხოვრობდეს თვის შრომით, ვარცხვინოთ მუქთა ჭამია,  
ვინც ხორცს ალაღებს უსაქმოდ, იმის სულისთვის ღამია.“

[გ.კანანელი,1913]

ლექსში „მესვეურე“ კი თავის ამხანაგებს ასე მიმართავს:

„ძმებო, გავლესოთ ნამგალი, ყანა გვექნება სამკალი,  
ჯერ მუშაობით გამაძლე, მერე თუ გინდა მამკალი!  
ჩვენ ყანა მოვძკოთ, ეს გვმართებს, დეე სხვებს დარჩეთ ნამკალი.  
კვლავ დრო დადგება, განკითხვის ექნებათ შიში-კანკალი.“

[გ.კანანელი,1914].

გაზეთში დიდი ადგილი ეთმობოდა პატრიოტულ ლირიკას. საქართველოს და კონკრეტულად კახეთს ლექსებს უძღვნიდნენ ისოებ მჭედლიშვილი, სანდრო შანშიაშვილი, სიკო ფაშალიშვილი, გიო კანაშვილი და სხვები. საინტერესოა, რომ გაზეთთან თანამშრომლობდნენ აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა. „ხმა კახეთისაში“ მათი რამდენიმე ლექსიც გამოქვეყნდა, რომლებიც კახეთს მიუძღვნეს. 1913 წლის 1 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა მეთაური სტატია, სადაც გაზეთთან დაკავშირებით წერია, რომ „ხმა კახეთისას“ გმომცემლების თბილისში ყოფნის დროს მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა გაზეთის მიმართ მოწონება და თანაგრძნობა გამოხატეს, აქვე მოყვანილია აკაკის წერილი, რომელიც გაზეთს და მის რედაქტორს მოსწერა: „ძმაო,

ბატონო კოტე, დიდი მადლობელი ვარ, რომ თქვენს გაზეთს მიგზავნით, მომწონს და ეს ლექსიც მისმა სიკარგემ დამაწერინა, გულწრფელობა უნდა ედვას ყოველგვარ საზოგადო მოღვაწეობას სარჩულად და ამ გაზეთში ბევრი სჩანს. გიგზავნით ლექსს, თუ გამოგადგეთ, დაბეჭდეთ და თუ არა, დედანს ნუ დამიკარგავთ. თქვენი კეთილ-წარმატების მოსურნე აკაკი.“ [წერეთელი, 1913]. წერილს თან ერთვის ლექსი „კახელებს“, სადაც მწერალი კახეთში ორჯერ მოგზაურობის ამბავს და რეგიონის მდგომარეობას აღწერს. პირველად მგოსანი კახეთს 1882 წელს სტუმრობდა. აკაკის თქმით, მაშინ რეგიონი კახელებისვე ხელში იყო აყვავებული:

„პირველად ვნახე კახეთი  
კახელებისვე ხელშია,  
უცხოს, მოსულსა ონავრად,  
დანას ურჭობდნენ ყელშია,  
მაშინ მე, როგორც ქართველი,  
ვგრძნობდი სრულ ნეტარებასა.  
და საქართველოს ტკბილ-კუთხეს  
ვუძღვნიდი „ქებათ-ქებასა“.

კახეთში მეორედ ჩამოსულ აკაკის სულ სხვა მდგომარეობა დახვედრია, საუკუნის დასაწყისში ჩვენი კუთხე სხვების ხელში გადასულიყო, აქაური მიწები სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს ეყიდათ, ამაში კი თავისი წვლილი ადგილობრივ მცხოვრებთაც მიუძღოდათ. ამის მნახველი პოეტი გულნატკენი წერს:

„მეორედ ვნახე, მეოცა:  
ვერ ვნახე, რაც ნახულიყო!..  
ეს საქართველოს ედემი  
სხვის ხელში გადასულიყო!  
თითო ოროლა ოჯახი  
აქა-იქ დარჩენილიყო!  
მემწარა მაშინ ყოველი,  
რაც კი პირველად ტკბილ-იყო!  
ვიკითხე! სადღა არიან

შვილები დიდი-ოჯახის?  
კახეთი მომვლელ-პატრონად  
ვისა სთვლის და ვის ეძახის?  
არიან, მაგრამ სულ ცოტა,  
მათ შორის ჯანდიერიო,  
ჯერ კიდევ კახეთს ქართული  
არ შეუცვლია ფერიო.“

ეს იყო ექიმი ნიკოლოზ ჯანდიერი (1873-1964წწ.). რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის ქიზიყის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და საგანამანათლებლო საქმიანობაში. მისი მესვეურობით 1910 წელს გაიხსნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სიღნაღის განყოფილება, წიგნის მაღაზია „ცოდნის წყარო“ და ბიბლიოთეკა. [ჯავახიშვილი,2002- 24,25].

მგოსანი კი განაგრძობს:  
„კახეთის მემამულეებმა  
ვერ მოიხადეს ვალიო  
და გაატანეს სულ სხვებსა  
თავისი მიწა-წყალიო!  
გულმა გონება მომიკლა  
ამ ამბის გაგონებითა,  
მით უფრო რომ მოტყუებულთ  
გვგლეჯენ ჩვენივე ნებითა.“

ბოლოს კი აკაკი მომავლის რწმენას გამოთქვამს და ნუგეშად „ხმა კახეთისას“ მიიჩნევს:

„დღეს კი მომესმა ნუგეში  
მომავლის უკეთესისა -  
და ამ ტკბილ ნუგეშს იძლევა  
გაზეთი „ხმა კახეთისა“.

[წერეთელი, 1913].

ეს ლექსი შესულია მის თხზულებათა თხუთმეტტომეულში, თუმცა შენიშვნებსა და დამატებებში არ არის მითითებული, რომ „კახელებს“ პირველად „ხმა კახეთისაში“ გამოქვეყნდა.

„ხმა კახეთისაში“ დაიბეჭდა ვაჟა-ფშაველას ლექსი „კახეთს“, რომელიც თავდაპირველად „საქართველოს გაზეთში“ გამოქვეყნდა. ლექსს პოეტი კახეთის ქებით იწყებს, განსაკუთრებით ალავერდს ადიდებს და მას საქართველოს მშვენიერებასაც უწოდებს. ვაჟა-ფშაველა ძველ დროს და სამშობლოს დაღუპულ გმირებს იხსნებს.

„თვალს ვერ ვაცილებ ბახტრიონს,  
აყვანილი მყავ შვილადა,  
ნატბევარია სისხლისა,  
დღეს განისვენებს ტკბილადა,  
ლუხუმ-ზეზვასებრ ერთგული  
მას ეყოლება ძვირადა!  
ოცნება ბახტრიონისა  
მონასტერშია მწირადა..“

საოცარი ფერებით აღწერს ვაჟა-ფშაველა კახეთის სილამაზეს, მის მთა-ველებს:

„თვალს დავაყოლებ ალაზანს  
ქცეულსა ბევრჯერ სისხლადა, -  
ველს ოქროს მტევნად წოდებულს,  
აჰკიდებიან კისრადა -  
გაღმა-გამოდმა სოფლები,  
თავის სიცოცხლედ, იღბლადა,  
ფილტვად აქვს კახეთს თელავი,  
ხოლო სიღნაღი ღვიძლადა;  
პირისპირ დაუყენებენ  
კავკასიის ქედს ჯიბრადა  
იმ თავის ციხე-გალავნებს  
ანაგებებსა მკვიდრადა.“

მწერალი აკაკის მსგავსად დაბეჩავებულ ქვეყანასა და ხალხზე წერს და გარდასულ დიდებას იგონებს. ვაჟას თქმით, სამშობლოს იმაზე მეტი ადამიანი შეეწირა, ვიდრე კახეთის ველ-მინდვრებში ბალახი ამოდის. მწერალი ლექსში კახეთის კვლავ აყვავებას მოელის, ამისთვის კი იგი კახელებს სიზარმაცის დაძლევისა და სწავლისაკენ მოუწოდებს:

„ალავერდს გიორგისა სთხოვს,  
ბოდბეში წმინდა ნინოსა,  
რომ იმათ მეოხებითა  
კახთ სხივი მოეფინოსა,  
მეტი ისწარაფონ სწავლისკენ,  
ნაკლებსა ჰსვავენდენ ღვინოსა.“

[ვაჟა-ფშაველა, 1913]

„ხმა კახეთისაში“ ვაჟა-ფშაველას კიდევ ერთი ლექსი გამოქვეყნდა, რომელიც აგრეთვე სამშობლოს ეძღვნება. ლექსს, რომელიც ავტორმა ქუთაისში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე წაიკითხა, ჰქვია, „იმერეთს“. მწერალი იმერეთს გაერთიანებულ ქართლ-კახეთს ადარებს და ნატრობს, რომ მას მიმბაძველებიც გამოუჩნდნენ:

„შეერთებულად შენშია  
ქართლსა და კახეთს ვხედავო,  
ფარ-ხმალო საქართველოსავ,  
სხვაცა გბამავდეს ნეტაო!  
ის მომწონს თავის ქვეყნისა  
კარებს რო მაგრა ჰკეტავო...  
ვნება ნუ ასცდეს, სავნებლად  
ვინაც შენ გაგიმეტაო“.

[ვაჟა-ფშაველა, 1913]

ლექსს მითითებული აქვს, რომ ის ავტორს ქალაქ ქუთაისში 20 თებერვალს გამართულ ლიტერატურულ საღამოზე წაუკითხავს, თავად ლექსი „ხმა კახეთისაში“ 28 თებერვალს გამოქვეყნდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მწერლის თხოვლებათა



აკადემიური გამოცემის შენიშვნებსა და ვარიანტებში არ არის მითითებული, რომ ლექსები „კახეთს“ და „იმერეთს“ „ხმა კახეთისამ“ გამოაქვეყნა.

კახეთს და კახელებს მიუძღვნა ლექსი იოსებ მჭედლიშვილმა, ავტორი კახეთის სილამაზეს აღწერს და ამ კუთხეში დაბადებას ღვთის საჩუქრად მიიჩნევს, თუმცა, მწერალი იმას ჩივის, რომ ადამიანებმა საკუთარი ღირსება დაკარგეს:

„კახელო! უფალს მოუცია შენთვის დიდება,  
მაგრამ იმას ვწუხ, რომ არ გესმის შენი ღირსება!“

[მჭედლიშვილი, 1912]

კახეთს ეძღვენა ლექსი „ნეტავ!..“. მიხ. ბნელი (ფსევდონიმი გაშიფრული არ არის. თ. ლ.) ჩვენი კუთხის ულამაზეს პეიჟაჟს აღწერს, მაგრამ მაინც წარსულისკენ იხედება:

„გახედთ თუ არა ამ დიად სურათს,  
მყის შემოგეკვრით ფიქრთა ჯარები,  
მოგაგონდებათ - ჩვენნი წარსულნი,  
ძველის - ძველთაგან გმირთა-გმირები,“

[მიხ.ბნელი, 1912]

ჩვენს მიერ ციტირებული ლექსების ნაწილი, ცხადია, ლიტერატურულ შედევრებად ვერ ჩაითვლება, მაგრამ, გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას ნამდვილად იძლევა. ცხადია, რომ კორესპონდენტები და მწერლები, რომლებიც გაზეთთან თანამშრომლობდნენ, დაინტერესებულნი ყოფილან კახეთისა და ზოგადად საქართველოს ბედითაც. სწორედ ამით თუ აიხსნება ამდენი პატრიოტული ლექსის გამოქვეყნება „ხმა კახეთისაში“. კიდევ ერთი დეტალი, სამშობლოსადმი მიძღვნილი ლექსების დიდი ნაწილი აწმყოთი უკმაყოფილებას და წარსულის ნოსტალგიას გამოხატავს. ეს კი საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მათზე ჯერაც დიდი იყო რომანტიზმის გავლენა, რომლის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი სწორედ წარსულის ნოსტალგია და აწმყოთი უკმაყოფილება იყო. „ხმა კახეთისას“ პატრიოტულ ლექსებში კი, მომავლის რწმენა და იმედი ნაწილობრივ მაინც ჩანს, თუმცა ამ მიდინარეობასთან მსგავსებას ვერ უარვყოფთ.

„ჩემი სულის სიამაყე“ - ასე ჰქვია ლექსს, რომელიც სანდრო შანშიაშვილმა უცხოეთიდან გამოუგზავნა გაზეთ „ხმა კახეთისას“. სამშობლოდან შორს მყოფი მწერალი თავის კუთხეში გატარებულ დროს ტკბილად იგონებს და თავისი უკანასკნელი დღეების გატარებასაც იქ ნატრობს:

„ჩემი სული სიამაყე  
კახეთია - ჩემი მხარე,  
მან მე ნანა მიგალობა,  
მან შემომოცრემლი მწარე  
და როს მოგვკვდე, იქვე იყოს  
ჩემთვის მიწა და სამარე.“

[შანშიაშვილი, 1912]

გაზეთში „ხმა კახეთისა“ მსგავსი სახის კიდევ უამრავი ლექსია გამოქვეყნებული, მათი ავტორები არიან, ახალგაზრდა პოეტები: სიკო ფაშალიშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ილო მოსაშვილი, იოსებ მჭედლიშვილი, გლეხი პოეტი გიო კანაშვილი და სხვები.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს „ხმა კახეთისაში“ თელაველი მწერალი ქალის, „სევდიას“ (ნინო გოგოლაძე) თანამშრომლობა. გაზეთში მისი რამდენიმე ლექსი გამოქვეყნდა, მათ შორის გამოირჩევა „ოცნება“, რომელშიც ავტორი სამშობლოს ბედნიერებას ნატრობს:

„სულ სხვა მხარესა გავატანე მაცდურს ოცნებას  
ის ტურფა მხარე არა ჰგვანდა ცოდვილ მიწასა,  
იქ არ ისმოდა მონათ გმინვა, ჩაგრულთა კვნესა,  
იქ მმა არ ჰღვრიდა დაუნდობლად სისხლსა ძმისასა!  
იქ ყველა იყო კმაყოფილი, ბედით დამტკბარი,  
იქ ღონიერი არ სჩაგრავდა თვისზე უძლურსა,  
იქ ყველა ძმურად ხელს აძლევდა ერთი-მეორეს  
და იქ სუყველა თვისად ჰგრძნობდა თვის მოძმის წყლულსა.  
იქ ვერ ნახავდი შეწუხებულ, სევდიან სახეს,  
ყველას უკრთოდა ბედნიერი ტუჩზე ღიმილი...“

მე მომაგონდა ჩემი მხარე, ტანჯულთ ქვეყანა,  
გული მეტკინა და დავიწყე მწარედ ტირილი.  
გამოვერკვით... გაჰქრა მსწრაფლად ტკბილი ოცნება,  
ისევ აქ ვიყავ... გულს აღმოხდა ოხვრა საზარი.  
მას აქეთ, სული აქ ვერ სვენობს, იქით მიილტვის  
ოხ, სად მოვძებნო ტურფა მხარე ნეტავ სად არი?“

[„სევდია“ 1912]

საგულისხმოა, რომ ნინო გოგოლაძე („სევდია“) ერთადერთი ქალი მწერალია, რომელმაც „ხმა კახეთისაში“ ლიტერატურული ნაწარმოებები გამოაქვეყნა.

საინტერესოა გაზეთში პირველ მსოფლიო ომთან დაკავშირებით გამოქვეყნებული მასალები. აქ იბეჭდებოდა როგორც ომის დღიურები, სიახლეები ფრონტის ხაზიდან, აგრეთვე მხატვრული ნაწარმოებებიც. „ხმა კახეთისა“ ომის დაწყების პირველივე დღიდან გამოეხმაურა მიმდინარე მოვლენებს, გაზეთის მუდმივი თანამშრომლები კი ომთან დაკავშირებული ლექსების გამოქვეყნებას იწყებენ. 1914 წლის სექტემბრიდან 1915 წლის ივნისამდე ( გაზეთის დახურვამდე) „ხმა კახეთისას“ საშუალებით პირველ მსოფლიო ომს 25-მდე ლექსი მიემღვნა. მათი ავტორები იყვნენ: ილო მოსაშვილი, კოტე დარაშვილი, ალქსანდრე რომანიშვილი, მიხეილ ჭეიშვილი, გრიგოლ ცეცხლაძე, გიო კანაშვილი და სხვები. ყველაზე მეტი ლექსი ომის თემაზე ილო მოსაშვილს გამოუქვეყნებია. მის შემოქმედებაში ფრონტზე მიმდინარე მოვლენები ღიად არ აისახება, მაგრამ აშკარაა, რომ მწერალი ომის გამო, საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე ჩივის. ილო მოსაშვილი გულისტკივილს გამოთქვამს საშობლოს ტანჯვის გამო და მამულის გათავისუფლების იმედს არ კარგავს:

„ისევ ვიტყვებ, ან რას მიპირებ?

არ მომირჩება დედა სნეული?!

ან და მტანჯველი ჩემი მამულის

არ მომშორდება ის დაწყებული?!

შენ გენაცვალე... მითხარი მალე!...

რომ სასიცოცხლო ჩამოვკრა ზარი...

და განთიადის სხივთ სიმღერაზე  
გამოვალვიძო ნახევრად მკვდარი  
ჩემი მამული, დღემდე ტანჯული!“

[მოსაშვილი, 1915]

ომისგან გამოწვეული ტკივილი და ფრონტზე წასული ჯარისკაცების ტრაგიკული ბედი მძაფრად ჩანს ლექსში „აღდგომა“. მწერალი აღდგომის დღესაწაულს ულოცავს ქვეყანას, მაგრამ ომის გამო განცდილი სევდა იმდენად დიდია, რომ აღდგომის ბრწყინვალეობამაც ვერ აუმაღლა პოეტს განწყობა. ილო მოსაშვილი ლექსში ომში დაღუპული გმირის დედის განცდებს გადმოსცემს და მტერს სასტიკ ხვედრს უსურვებს:

„აღდგაო ქრისტე - და ბრძოლის ველზედ  
ტყვია წითლად ჰღებს მებრძოლთა გულებს,  
წითლად ჰღებს მთა-ბარს - ზარბაზნის ცეცხლით  
გადატრუსულებს, შავად დახნულებს.

აღდგაო ქრისტე – და დედა მწარედ  
მკვლელის ქვითინით დასტირის შვილებს, -  
დასტირის შვილებს „აღდგომის ტყვიით“  
შორს, ბრძოლის ველზედ მკერდ დაფლეთილებს...“

პოეტს იმედი აქვს, რომ სამშობლოს აყვავებას და თავისუფლებასაც იხეიმებს, მაშინ კი სხვანაირად დარეკს აღდგომის ზარი:

„რომ ზარის ხმაზე გამცემის გული  
მიწად გარდიქცეს, გაქვავდეს ბარე  
და ძველ სამშობლოს - ძველ ნანგრევებზე-  
კვლავ გადიფურჩქნოს სამშობლო მხარე.“

[მოსაშვილი, 1915]

ილო მოსაშვილს ომზე გამოუქვეყნებია სხვა ლექსებიც: „ალაზნის პირას“(N193), „ნუ, ნუ, ნუ სტირი“(N210), „ჩემი ახალი სიმღერა“( N211), „ელეგია“(N212).

ომის თემაზე გაზეთისთვის რამდენიმე ლექსი გორიდან ალექსანდრე რომანიშვილს მოუწერია:

„სისხლის გუბეს უერთდება  
დაფრქვეული ცრემლი მწარე,  
ვერვის ნახავ გახარებულს,  
ყველა არის მგლოვიარე.  
მზე სხივს მალავს შავ ღრუბლებში,  
კვლავ მიწა კი სისხლით ირწყვის,  
თავისუფალ ცხოვრებისთვის  
თავგანწირვით ყველა იბრძვის.“

[რომანიშვილი, 1915]

ავტორი კარგად გრძნობს ომის შედეგებს, გაღებულ მსხვერპლს კი სამშობლოს თავისუფლებისთვის თავგანწირვად აფასებს, თუმცა, რომანიშვილი სხვა ლექსებში უფრო იმედიანი ჩანს:

„დღეს ვგონებ დროა, ავცილდეთ სევდას,  
ნათელ გზისაკენ ვიბრუნოთ პირი,  
კმარა, რაც ხანი ჰგლოვობდა გული,  
კმარა გოდება, კმარა წუხილი!“

[რომანიშვილი, 1915]

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ, „ხმა კახეთისას“ ერთ-ერთი აქტიური კორესპონდენტი იოსებ მჭედლიშვილი, რომელიც გაზთის დაარსების დღიდან მასთან თანამშრომლობდა, ომის თემაზე ამ ორგანოში არც ერთი ლექსი არ გამოუქვეყნებია. როგორც „ხმა კახეთისას“ მასალების გაცნობისას გავარკვეეთ, მას 1914-1915 წლებში გაზეთთან აღარ უთანამშრომლია. ამის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს მისი ლექსების კრებული „მსოფლიო გრგვინვაში“, რომელიც ავტორმა 1928 წელს გამოსცა, თუმცა, მისივე განმარტებით, კრებულში შესული ლექსები 1914-1917 წლებშია დაწერილი: „როგორც ძალიან ახალგაზრდას, მაშინ გული ლექსად მერჩოდა, ამიტომ ლექსად ვწერდი ყველაფერს, ვწერდი თამამად და არ მეშინოდა არც ერთი ღმერთისა“- ამბობს იოსებ მჭედლიშვილი კრებულის წინასიტყვაობაში.[მჭედლიშვილი, 1912-1], თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ომთან დაკავშირებით დაწერილი მისი ლექსები გაზეთში არ დაბეჭდილა.

როგორც ცნობილია, „ხმა კახეთისა“ პირველ მსოფლიო ომთან დაკავშირებით ლექსებთან ერთად სხვადასხვა ინფორმაციებსაც აქვეყნებდა, რომელთა შესახებაც ჩვენ შესავალ ნაწილში ვისაუბრეთ.

იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში და აქედან გამომდინარე მის რეგიონებშიც (ამ კონკრეტულ შემთხვევაში - კახეთში) მძიმე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება იყო, გაზეთიც ცხოვრების დინებას მიჰყვებოდა და იმდროინდელ რეალობას ასახავდა. ჩვენ ზემოთ განვიხილეთ ომზე, გლეხკაცის შრომასა და პატრიოტიზმზე დაწერილი ნაწარმოებები, მაგრამ „ხმა კახეთისას“ მესვეურთ ადამიანურ გრძნობებზე უარი არ უთქვამთ. გაზეთი ხშირად აქვეყნებდა სატრფიალო ხასიათის ლექსებსა და პროზაულ ნაწარმოებებს. აქ დაიბეჭდა ახალგაზრდა პოეტების ლექსად გადმოცემული ემოციები. სასიყვარულო ლირიკის გაცნობის შემდეგ, პირველ ადგილზე ჩვენი აზრით, „ ხმა კახეთისაში“ გიორგი ლეონიძისა და იოსებ გრიშაშვილის თანამშრომლობა უნდა დავაყენოთ (თუმცა, უკანა პლანზე არც სხვა ავტორების გადაწევას ვაპირებთ).

გაზეთ „ხმა კახეთისას“ გამოსვლას გიორგი ლეონიძე სიხარულით შეხვედრია. იგი იმხანად სიღნაღში ხშირად ჩადიოდა, რადგან მისი და ევგენია ბოდბის წმინდა ნინოს სკოლაში სწავლობდა. ამ სასწავლებლის მოსწავლის, შემდეგ „ხმა კახეთისას“ რედაქტორის, კოტე ტყავაძის მეუღლის, მართა ტყავაძის ცნობით, „როდესაც სასწავლებლის კარს მოადგებოდა ეს წარმოსადეგი, ცისფერთვალეა ჭაბუკი, ყველა მისი დის, ევგენიას გვერდით გავჩნდებოდით, პრესის ფურცლებზე დაბეჭდილ მის ლექსებს კარგად ვიცნობდით და ვიზეპირებდით კიდეცო“ [ჯავახიშვილი, 2002-69].

გიორგი ლეონიძე „ხმა კახეთისას“ აქტიური თანამშრომელი არ ყოფილა, თუმცა მისი გაზეთთან ურთიერთობა დასტურდება. თავის ნაშრომში „გაზეთი „ხმა კახეთისა“, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, გიორგი ჯავახიშვილი წერს: „1962 წელს, როდესაც შევუდექი გაზეთ „ხმა კახეთისას“ შესწავლას, მაშინვე დავუკავშირდი რედაქტორის მეუღლეს და მისი ნათქვამი პატივცემულ პოეტს ერთ-ერთი შეხვედრისას გადავეცი. მას ჩაეღიმა და მითხრა: „ხმა კახეთისაში“ არა ნახე ჩემი ლექსები? მე დანაწილებით ჩავილაპარაკე, რომ სრული კომპლექტი ამ გაზეთისა არსად ინახება და რაც კი გავსინჯე არსად შემხვედრია-

მეთქი. არა აბა კარგად ნახე, მე არა მარტო ლექსებს ვბეჭდავდი, არამედ კორესპონდენციებსაც. მათ ფსევდონიმებსაც ვაწერდი - და იქვე ჩამაწერინა ფსევდონიმები: „ლა-ძე“, „-ლა“. ცნობისთვის მადლობა გადავუხადე . პოეტი დამპირდა, მე მაქვს არქივში რამდენიმე ნომერი და გაჩვენებო. შემდეგ, როდესაც გავახსენებდი, პოეტი მეტყოდა ხოლმე, ვერ მოვძებნე, ვნახავ და უთუოდ გაჩვენებო. . სამწუხაროდ, პოეტის სიცოცხლეში ვერ შევძელი მის არქივში დაცული „ხმა კახეთისას“ ნახვა. იმედია, არქივის გახსნისას შევხვდებით იმ ნომრებს. მათი ნახვა იმდენად არის საჭირო და საინტერესო, რომ ბიბლიოგრაფების მოწვდილი ცნობით, „ხმა კახეთისა“ 1917 წლამდე გამოდიოდა. არადა, გაზეთის 1916-1917 წლების არც ერთ ნომერს ჩვენამდე არ მოუღწევია.

რაც შეეხება გაზეთ „ხმა კახეთისაში“ გიორგი ლეონიძის თანამშრომლობას, ეს უკვე დადგენილი გვაქვს. მის ინფორმაციებსა და პუბლიცისტურ წერილებს რომ თავი დავანებოთ, პოეტის გაზეთში დაბეჭდილ ერთ ლექსს მივაკვლიეთ და ეს ფაქტიც საკმარისია.

ამ რამდენიმე წლის წინათ, საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში შალვა დადიანის არქივზე ვმუშაობდი. იქ შემხვდა (ნომრით 25427) დაცული „ხმა კახეთისას“ ერთი რვაგვერდიანი ნომერი (N250), რომელშიც გამოქვეყნებულია გიორგი ლეონიძის ლექსი „ჩანჩქერი“, ეს ლექსი იმითაც არის საინტერესო, რომ შემდგომში, როგორც იმ დროს დაწერილი მისი სხვა ლექსებიც, პოეტს თავის არც ერთ გამოცემაში არ შეუტანია.” [ჯავახიშვილი, 2002-69].

„ჩანჩქერი“, როგორც გამოკვლევის ავტორი აღნიშნავს, N250-შია გამოქვეყნებული. ეს არის „ხმა კახეთისას“ ბოლო ნომერი, რომელმაც შალვა დადიანის არქივის საშუალებით ჩვენამდე მოაღწია. ამ ლექსს კი ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო სრულად წარმოვადგენთ:

#### ჩანჩქერი

„სცემს და ღრიალებს ვნებით აღვსილი,  
სამკერდულ გახსნილს გააქვს განგაში,  
ტირიფთ სიმღერა, ტირიფთ შრიალი,

ყრუდ იმალება ზვირთების ხმაში. . .  
 განთიადისას, -ცისკრის ციმციმზე,  
 შენ ჩამოუხსენ მებრძოლს ლაგამი,  
 იბრძვის და იბრძვის ლტოლვით დამწვარი,  
 მისთვის არ არის არც დღე, არც ღამი. . .  
 ფირუზის ჯარი იბრძვის განწირვით,  
 ბრწყინავს ვით ბროლი, ვით მინანქარი,  
 ცივ მარმარილოს შუბლი ენთება,  
 ცივ მარმარილოს ევლება ქარი . . .  
 ვით მეზღვაური თავ-განწირული,  
 მსწრაფლ გადაეშვა ტირიფის ტოტი,  
 ადრე დააგდო ნავთ საყუდარი,  
 ადრე დააგდო ნაზი წალკოტი. . .  
 და მეც ტოტივით ხელი ავიღე,  
 და ვაამბორე ცრემლების ზღვები:  
 მივდევ სიყვარულს, შენსა სიყვარულს,  
 და არც კი ვიცი, - სანამ მოგყვები”.

[ლეონიძე, 1915].

„ხმა კახეთისას“ ლიტერატურული მასალების შესწავლისას ჩვენ გაზეთში გიორგი ლეონიძის კიდევ ერთი ლექსი აღმოვაჩინეთ, რომელიც, სავარაუდოდ მისი ლექსების კრებულებში არ შესულა და არც პრესის სხვა ორგანოებში გამოქვეყნებულა. იმის გამო, რომ ლექსი ლირიკულ ხასიათს ატარებს და თანაც ლიტერატურის მკვლევარებისთვის უცნობია, მასაც სრულად წარმოვადგენთ. ლექსი „ხმა კახეთისას“ ბოლოს წინა, N249-შია გამოქვეყნებული, რომელიც ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული.

ანდერძი

„როცა მოვკვდე და დავაგდო წუთიერი სამფლობელო,  
 სასაფლაოდ გამიმზადე ვარდის ბაღა, ვარდის მდელო.  
 ყვავილებით შემოჰფინე - ჩემი ბინა და სავანე -



ირგვლივ ყველა ააყვავე, ირგვლივ ყველა აამწვანე. . .  
როცა მოჰკრეფე იმ ყვავილებს და დაჰყნოსავ იმათ მტვერსა -  
ჩემი სევდის სიყვარულზე მოგიტხრობენ ყველაფერსა. “

[ლეონიძე,1915]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაზეთთან უთანამშრომლია იოსებ გრიშაშვილსაც. „ხმა კახეთისაში“ 1913 წელს მისი ორი ლექსი, „თეთრი წვიმა“ და „ცისიერი, მიწიერი“ გამოქვეყნდა. ლექსები სატრფიალო ხასიათისაა და პოეტის შინაგან განცდებს გადმოსცემს. საინტერესოა იოსებ გრიშაშვილის ლექსი „კახეთში“, სადაც არა მარტო ლექსის წყობა, მისი შინაარსიც აუცილებლად მკითხველის სულსა და გულს ჩასწვდება:

#### კახეთში

„შენ მეუბნები: „აი ახლა ლექსი მითხარო, -  
წინათო შენი არაფერი გამეგებოდა!”  
მე კი მსურს გულში სასაფლაო ამოვიტხარო  
და იქ დაგმარხო სამუდამოდ, საგანგებოდა.  
დღეს მე ბუნება შემეყვარდა. . . და იცი მერე  
რა წარმტაცია, რა ლამაზი, რა მიმზიდველი:  
შეხე აქ ცეკვავს ყვავილების სიმშვენიერე,  
აქ მზე დასცურავს უმანტიოდ, შიშველ-ტიტველი.  
.....  
ო, კარგო ქალო! ო, კურდაჭავ! ო, ჩემო კობტა!  
შენ ეს ბუნება გეცილება სიცოცხლით სავსე. . .  
მკერდიდან გული ამოფრინდა, ასხლტა, ამოხტა,  
და გულის ნაცვლად ეს ბუნება შიგ მოათავსეს.  
შენ კი მიბრძანებ: „მხოლოდ ლექსი, ლექსი მითხარო,  
რათა სდუმხარო, როცა ქალი გეჩურჩულება?!“  
მე კი მსურს გულში სასაფლაო ამოვიტხარო  
და შიგ ჩავმარხო ჩემი ლექსი, ჩემი თქმულება.”

[ გრიშაშვილი, 1914]

ლექსი „კახეთში“ 1915 წელს დაიბეჭდა ჟურნალში „განთიადი“, აგრეთვე შევიდა შემდეგ გამოცემებში: ლექსები. 1922; რჩეული. 1949; ერთტომეული. 1955; რჩეული. 1959; ხუთტომეული, ტ 1, 1969. ლექსი გამოქვეყნებულია სხვადასხვა სათაურით: „კახეთში“, „ქალი და ბუნება“, „შენ და ბუნება“.

რაც შეეხება ლექსს „ცისიერი, მიწიერი“, მას პირველად 1911 წელს აღმანახი „სალამური“ აქვეყნებს. იბეჭდება აგრეთვე შემდეგ კრებულებში: კრებული. 1914.: ერთტომეული. 1955; რჩეული. 1949; ლექსი ამ გამოცემებში სამი სათაურით გამოქვეყნებულა: „ცისიერი, მიწიერი“, „პასუხი“ და „ამონაკვესი“.

„ხმა კახეთისაში“ იოსებ გრიშაშვილის სატრფიალო ლექსების ხაზს აგრძელებს ლექსი „მთვრალი ალერსი“, რომელშიც ავტორი საოცარი სითამამით გადმოგვცემს საკუთარ ფიქრებს. ლექსს კონკრეტული ადრესატი არ ჰყავს და ზოგადად ქალის მიმართ გაჩენილ გრძნობებს გამოხატავს:

#### მთვრალი ალერსი

„ შენს ტუჩს აკლია სივარდისფერე  
( და როგორც ითხოვს წესი და რიგი)

ნება მიბოძე შევკოცნო იგი

და მერე

თვითვე შეიღებება

\* \* \*

ძლიერ გიხდება

აგრეთვე კაბა,

კაბა შენსავით შეუმწიკლავი,-

მაგრამ აკლია შენს წელს სარტყელი,

(ნება მიბოძე მოვზნიქო ყელი)

და მკლავი

სარტყლად შემოგახვიო.

\* \* \*

არ გსურს მეწვიო

და საწყლად მტოვებ  
და არ გსურს, არ გსურს ოცნების ვნება?  
(რა გაეწყობა, არა გსურს, ნუ გსურს! . . .)  
მაშ კვლავ მოვიწვევ ოცნებას ზევსურს,  
რომ სიზმრად ვნახო სიამოვნება.“

[გრიშაშვილი,1914]

როგორც „ხმა კახეთისა“ (N167) იუწყება, 1914 წელს იოსებ გრიშაშვილი მსახიობებთან: ი.ზარდალიშვილსა და მ.ვიქტორელთან ერთად სიღნაღს სწვევია და ლიტერატურული სადამო გაუმართავთ. გაზეთის რედაქციაში მას გულთბილი შეხვედრა მოუწყეს, რა დროსაც პოეტმა რედაქციას ლექსები: „კახეთში„ და „მთვრალი ალერსი“ გადასცა. ორივე ლექსი 1914 წლის N167-ში დაიბეჭდა. „ხმა კახეთისა“ დაინტერესდა იოსებ გრიშაშვილის ლექსების გამოცემით. მასზე გაზეთს ფურცლებზე რეცენზიას აქვეყნებს „ძე“ - (კოტე ტყავაძე. ფსევდონიმი გაშიფრა გ.ჯავახიშვილმა). ამ წერილში აღნიშნულია, რომ „ძნელად მოიპოვება ახლა ისეთი ქართველი, რომელსაც გრიშაშვილის ლექსი არ ჰქონდეს წაკითხული, ან გაგონილი. გრიშაშვილი თანამედროვე ხალხური მგოსანია და მისი მარგალიტებივით აწყობილი ლექსები ყველა ქართველს დაატკბობენ, ვურჩევთ ჩვენს მკითხველებს ამ წიგნის შეძენას“. [„ძე“, 1914]. სახალხო და ყველასთვის საყვარელი პოეტის ლექსები პოპულარული ალბათ სწორედ მისი ხალხურობის, მკითხველისთვის გასაგები და მისაღები ენისა და თემატიკის გამო გახდა. რაც შეეხება ლექსს „მთვრალი ალერსი“, ის არც ერთ ჩვენთვის ცნობილ გამოცემაში არ დაბეჭდილა და როგორც ჩანს, მხოლოდ „ხმა კახეთისაში“ გამოქვეყნდა.

1915 წელს გაზეთში გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მოგონება“ იბეჭდება, რომელიც თავდაპირველად ჟურნალმა „შადრევანმა“ გამოაქვეყნა. ლექსში პოეტი თავის შემოქმედებით ხაზს მიჰყვება, თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გალაკტიონი შემოქმედებით ასპარეზზე იმ დროს ახალი გამოსული იყო, მისი პირველი კრებული 1914 წელს დაიბეჭდა, ამდენად, ბუნებრივია, რომ მისი შემდგომი ნაწარმოებები გაცილებით დახვეწილია. ლექსს, რომელიც გაზეთში დაიბეჭდა, აქ მცირე შემოკლებით მოვიყვანთ:

## მოგონება

„ტყის ფართო გზაზე მახსოვს ეტლი მიგვაქროლებდა,  
შენს სუნთქვას ვგრძნობდი ბედნიერი შენსა მახლობლად.  
მე გაიმბობღი ჩემს მრავალგვარ თავგადასავალს,  
სიყმაწვილეზე გაიმბობღი შთენილი ობლად.  
სადამო იყო . . . მზე დასავლით ესვენებოდა,  
ტყეს ედებოდა გამჭვირვალე და ლურჯი ბინდი,  
ამ დროს ვიგრძენი, რომ შენ სრულად ყურს არ მიგდებდი,  
ეტლის სიღრმეში გადავემხე და ავქვითინდი.  
წამოვიწიე და მათრახი გადავკარ ცხენებს,  
ელვის სისწრაფით გზას გაეკრა ბუქ-ბუქად მტვერი,  
როგორ უგონოდ მივაფრენდი გზაზე ჩემს სევდას,  
როგორ უგონოდ ტრიალებდა გარს ყველაფერი.  
ტყე გზას გვიცლიდა და ბინდ-ბუნდში თვალს ვერ ვასწრებდით,  
ხეების გუნდი იქ, ეტლს უკან, როგორ რჩებოდა,  
ისე მწყუროდა ამ დროს ლტოლვა განუსაზღვრელი,  
ისე მომნატრდა რომ გზას ბოლო არ ჰქონებოდა  
და ერთად ერთი ცის ღრუბელი ვრცელ უდაბნოში  
მოხეტიალე, უთვისტომო, მიუსაფარი,  
თან მიგვეყვებოდა განუყრელად, განუშორებლად,  
მსუბუქი, როგორც განვლილ დღეთა შორი სიზმარი.  
მეჩვენებოდა - თითქო ტყეში ვიღაც კვნესოდა,  
და მე ეგ კვნესა უსასოო გულში მწვდებოდა,  
ცრემლი მდიოდა - რადგან ჩემი უკანასკნელი,  
ჩემი მწუხარე სიყვარული მაგონდებოდა.“

[ტაბიძე, 1915].

როდესაც სატრფიალო პოეზიაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს „ხმა კახეთისაში“ გამოქვეყნებული იოსებ მჭედლიშვილის ლექსები. როგორც ზემოთაც ვწერთ, მან თავისი ნაწარმოებების გამოქვეყნება გაზეთის

გამოსვლისთანავე დაიწყო და აქტიურად თანამშრომლობდა კიდეც. „ხმა კახეთისაში“ მისი რამდენიმე სასიყვარულო ლექსი დაიბეჭდა, მათ შორის: „ახ, ნეტავ ის დრო“, „მგზავრი“, „ ვინ შევიყვარო“, „სიმღერა“, „სამი ხმა“. მისი ლექსები უიმედო სიყვარულს ასახავს (იმ პერიოდში, ხშირად, ახალგაზრდა პოეტების შემოქმედება სენტიმენტალურობითა და პესიმიზმით გამოირჩეოდა), ასეთია ლექსი „მგზავრი“:

„ნუ, ნუ მიყურებ, თორემ ეგ მზერა  
შენს გულში ტრფობას შემააპარებს,  
ჯერ გამოუცდელს და უმანკოსა  
დაგწვამს, დაგტანჯამს და გაგამწარებს,  
ყრმავ, მე მგზავრი ვარ შორის კუთხისა,  
შუბლზე მატყვია სოფლის ღრმა წყლული,  
წუთით შევდექი შენს სიახლოვეს,  
რომ დავასვენო დაღლილი გული.  
ჯანღვივით მოველ უცნობ ქვეყნიდან  
და კვლავ ჯანღვივით წავალ სხვა მხარეს,  
ჩემი ქვეყნისგან უარყოფილი  
მივეგებები სხვა მზეს და მთვარეს. . .”

[მჭედლიშვილი, 1913].

აღსანიშნავია, რომ ეს ლექსი შეტანილია პოეტის კრებულში „ფერადი მძივი“, რომელიც პროფესორ გიორგი ჯავახიშვილის დახმარებითა და მისი წინასიტყვაობით მწერლის შვილმა 1980 წელს გამოსცა.

ლექსში „ვინ შევიყვარო“ პოეტი კვლავ სიყვარულით გამოწვეულ ტანჯვაზე საუბრობს და ამ გრძნობას უნდობლობას უცხადებს:

„ დღეს ვინც მპირდება ერთგულებას და ხანგრძლივ ტრფობას,  
ხვალე უარმყოფს, შემიგინებს უმანკო გრძნობას  
და ამგვარ ქვეყნად შეყვარებად, ღირს სიყვარული?-  
არა! ისევ სჯობს სიობლეში გაიპოს გული!“

[მჭედლიშვილი, 1913].

იოსებ მჭედლიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობა ლიტერატურის მკვლევარებს ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ, ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე თავის „ეტიუდებში“ წერს: „ჩვენს ახლანდელ სალირიკო პოეზიაში კიდევ სჭარბობს გადაჭარბებული ოპტიმიზმი. ოპტიმიზმის კვალი ამჩნევია შანშიაშვილის ლექსებსა და უხვად არის გაბნეული გრიშაშვილის, მჭედლიშვილის და სხვათა ლექსებშიო.“ [აბაშიძე, 1962-12]. იმის გარდა, რომ მან „ხმა კახეთისაში“ აქტიური თანამშრომლობით თავისი კვალი დატოვა, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სხვა დამსახურებებიც არ უნდა დავივიწყოთ. 1927 წელს იოსებ მჭედლიშვილმა, პირველმა, კახელი გლეხებისაგან შეადგინა მომღერალთა გუნდი, რომელშიც შედიოდნენ განთქმული მომღერლები: შილდელები - „დედას ლევანა,, (ასაბაშვილი), ალექსი ელოშვილი („ოსტატი ალექსა“), გრემელი მიხა ავგაროზიშვილი, კაკაბელები: მიხო ჯიღაური, სანდრო და ვანო მჭედლიშვილები და სხვები. ამ გუნდმა იმავე წელს შ. რუსთაველის თეატრში გამართა კონცერტი, რომელმაც საყოველთაო მოწონება დამსახურა. გუნდმა ბევრი ხალხური სიმღერა გააცოცხლა, სადაც „მოჩანდა უზარმაზარი გენია ქართველი ხალხისა, მისი კულტურა, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში გულით ნანატრი ტანჯვაც და სიხარულიც, კვნესაც და სიცილიც. . . “ ამრიგად, იოსებ მჭედლიშვილი მრავალმხრივი მოღვაწე იყო. თავის მემუარებში იგი განსაკუთრებული სიფაქიზითა და სიყვარულით იხსენებდა გაზეთ „ხმა კახეთისაში“ თანამშრომლობას. [ჯავახიშვილი, 2002-68].

თავისი მრავალფეროვანი შემოქმედება წარმოადგინა გაზეთში ილო მოსაშვილმა. სწორედ აქ გამოაქვეყნა პირველი ლექსები და პოემები, რომლებიც მის რჩეულ თხზულებათა სამტომეულში არ შესულა. მწერლის ლირიკა ფართოდ არის წარმოდგენილი „ხმა კახეთისაში“. ლექსში „საპასუხო“ უწყინარი სასიყვარულო თამაში ჩანს, რომელიც ნაწილობრივ სახუმარო ხასიათს ატარებს და საკმაოდ სასიამოვნო წასაკითხია:

საპასუხო

„შენ გეგონა თითქოს, თითქოს. . .

შენ გმონებდი, შენ მიყვარდი. . .  
ისიც მიტომ, რომ შენს ახლოს  
მე მოვწყვიტე თეთრი ვარდი?!  
აბა ეგ რა საბუთია,  
განა შენ თვით არ იცოდი,  
რომ მე შენი სილამაზით  
არ ვჭკნებოდი, არ ვიწვოდი?!  
ეგეც არა, თუ მიყვარდი  
ველარ შეგხვდი ისე მარტოს?!  
და განა ვერ მოგიძღვნიდი  
ტრფობის ნიშნად - ვარდის მჭკნარ რტოს?!  
არა, ცელქო! . . მე თუ ისე  
ისე ქვეშ-ქვეშ გაგიცინე -  
ეს კი შენი ბრალი არი, -  
რაზე შეკრთი, რად მიწყინე?!

[მოსაშვილი, 1914].

ამავე ნომერში ქვეყნდება ილო მოსაშვილის კიდევ ერთი ლექსი „ჩემს მზეს“,  
სადაც ის საყვარელ არსებას მათი გრძნობის საიდუმლოდ შენახვას სთხოვს:

„ცელქ მთის ნიავს არ უამბო, -  
არ უამბო ღელვა გულის. . .  
დე - მხოლოდ მე, მე ვიცოდე  
საიდუმლო სიყვარულის“.

[მოსაშვილი, 1914].

„ხმა კახეთისაში“ იბეჭდება მისი სატრფიალო ხასიათის ლექსები: „დახეულ  
რვეულიდან“, „ქალო“, „შენ“, „ჩემს ლამაზს“. საინტერესო შინაარსისაა ლექსი  
„ქალო“, სადაც პოეტი საყვარელი ქალის სიყვარულს დედის სიყვარულს  
უპირისპირებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლექსი საკმაოდ მაღალი მხატვრული  
ღირებულებისაა:

## ქალო

„ნეტავი ქალო ლამაზო. . . რისთვის მიყურებ მტრულადა. . .  
რა ვქნა არ ძალმიძს ყარიბსა. . . ვერ შეგიყვარებ სრულადა. . .  
ათასი გადაიფურჩქნო უჭკნობელ თაიგულადა. . .  
ვერ შეგიყვარებ და ვერა. . . სევდა გულს მაწევს წყლულადა. . .  
ნუ მიწყენ, არა მცალიან. . . დედა გამიხდა ავადა,  
ბედი - უბედო, წყეული. . . თავზე დამაწვა შავადა. . .  
ის შენზე მიყვარს ძალიან. . . რა ვქნა, იმისი ჭირი მე. . .  
შენც მას ენაცვლე და მეცა - იმისი კუბოს პირი მე. . .  
რას ამბობ, რა დროს ტრფობაა, გული არ გულობს საპყარი. . .  
საცაა დუმმანს გულის პირს შუა გააპობს ლახვარი! . . .“

[მოსაშვილი, 1914].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ხმა კახეთისაში“ გამოქვეყნებული ილო მოსაშვილის ნაწარმოებები მის კრებულებში არ მოხვედრილა. ძალზე სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ლექსები, რომლებსაც მკითხველი სიამოვნებით გაეცნობოდა, მხოლოდ ერთსაუკუნოვანი გაზეთის ფურცლებზეა დარჩენილი. სანამ ილო მოსაშვილის შემოქმედებაზე დავასრულებდეთ საუბარს, მისი ლექსებიდან კიდევ რამდენიმე ნაწყვეტს წარმოვადგენთ:

„შენ გენეაცვალე ლამაზო...  
კეკელუცო ვარდო ბარისა...  
დედა-მიწაზე უსწოროვ,  
ცაზე მოქიშპევ მთვარისა...  
შენს ტუჩზე ნამი ავკრიფე...  
მთის ნაკადულის ცივისა...  
და ყელს დაგკიდე ნამცვრევნი  
მარგალიტების მძივისა...“

[მოსაშვილი, 1915].

ან კიდევ:

„სატრფოვ ჩემო! - ცაც გეტრფის, გაზაფხულის ველიცა...“



შენი ჯადო - მონაა სხვისი სიყვარულიცა...

ცივი მიწაც - კი გეტრფის, გეტრფის გიჟმაჟი სიო -

და ნუთუ მე არ ძალმიძს რომ შენს მკერდს მოვეხვიო?!“

[მოსაშვილი, 1915].

სასიყვარულო ხასიათის ლექსებს გაზეთში “ზმა კახეთისა“ მწერალი სანდრო შანშიაშვილიც აქვეყნებდა, ამათგან აღსანიშნავია „გლეხის ქალი“ და „ცელქო გოგონი“. პირველ მათგანში ავტორი ყანაში მომუშავე ქალის სილამაზეს აღწერს, რომელიც თავის სატრფოს შოთას შაირს უმღეროდა. ლექსში „ცელქო გოგონი“ კი სანდრო შანშიაშვილი ერთი სიყვარულის ისტორიას ყვება, რომელიც გულისტკენით დასრულდა და გარკვეულწილად პესიმისტიკურ ჩანს:

„ცელქო გოგონი, საიდან მოჰსულხარ

ეგრე მორთული, სხივად ფრქვეული?

ეგ ყვავილები შენ თვითონ დასწან,

წელს რომ გაქვს სარტყელად შემოხვეული?

ან ეგ გვირგვინი? -რა რიგ გამშვენებს-

შესდექ ცქრიალავ! მსურს დავტკბე მზერით,

ყურსაც არ მიგდებ? -იცინი? - ჰხარობ? -

რაო? რას მამცნობ ციურის მღრით?“

პოეტი უპასუხო სიყვარულისგან გამოწვეულ ტანჯვა-წამებას აღწერს და სატრფოს სთხოვს არ მიატოვოს. ლექსში, შინაარსის გარდა მსუბუქი და ადვილად საკითხავი რითმია.

„ არ გსურს ჩემს სატრფოდ იწოდებოდე?

არა? ისწრაფი განსამორებლად?

როგორ? გეწყინა? გავკადნიერდი?

შემინდე ჩემო, ჩემო გოგონი!

წახვალ, მეწვევა სევდა დამწველი,

ჩემი მტანჯველი, გულ-დასაღონი,

ამას შენ თვითონ როგორ ისურვებ?

მაშ დარჩი ჩემთან, ცელქო გოგონი!“

[შანშიაშვილი, 1913].

გაზეთში დაიბეჭდა ახალგაზრდა მწერლის, სიკო ფაშალიშვილის რამდენიმე ლექსიც, მათ შორის „ორი ლექსიც“, მასში ავტორი ცხოვრების სირთულეებთან და ქართველებთან გამკლავების შესაძლებლობას მხოლოდ საყვარელ ადამიანთან ერთად ხედავს:

„ჩემთან იყავი, შენთან ვიქნები,  
ბედის ქართველს გადავყვეთ ერთად,  
შევქმნათ სიცოცხლის ახალი საზრდო  
და ის ვიწამოთ ჩვენს მტანჯველ ღმერთად.“

[ფაშალიშვილი, 1913].

სასიყვარულო თემატიკის რამდენიმე ლექსი გაზეთში მუდმივ კორესპონდენტსა და მწერალს, ვასილ სიფრაშვილის გამოუქვეყნებია („ოდეს ტურფა თავს მევლება“ „ხმა კახეთისა“, 1913წ. №78, „ზღვის პირს ვდგავარ“ „ხმა კახეთისა“, 1914წ, № 178 და სხვა). ლექსში „ტროფობის ნავით“, მწერალს სატროფო ხატად და ღმერთად გაუხდია, თავისი გრძნობა კი ხატოვნად გადმოგვცა:

„ შენ გიჟღერებ ოცნების ჩანგს,  
ჩანგს, მზის სხივით გადმონაჭერს,  
შენ მოგიძღვნი ჩემს გულის ვარდს,  
შენგან ნასეტყვს, შენგნით ნასერს,  
შენვე გვიცავ, დღეის იქით  
აღარ მინდა მე სხვა ღმერთი,  
შენ ხარ მხოლოდ უკვდავება,  
ცის და ქვეყნის შემაერთი“.

ლექსში საყვარელი არსების მიმართ ღია, დაუფარავი გრძნობა ჩანს, გამოყენებულია საკმაოდ თამამი ეპითეტები, სიყვარული კი სულის სიმაღლემდეა აყვანილი:

„აი ასე, ჩემი სულიც  
შენს სულს ელტვის ანათრთოლი,  
მის გარეშე იმან სხვაგან  
ვერა ჰპოვოს თვისი ტოლი!...“

ნუთუ შენ კი დამივიწყე,  
აღარ მოხველ ნაზი რხევით,  
შენ ბროლ გულ-მკერდს აკოკრებულს  
ვერ ვიხილავ აღმაფრენით?!  
ღაწვს ვარდად შლილს, ნეტავ მითხრა,  
სად ეფრქვევა ცის ნამ-ცვარი  
და წელს წერწეტს, - საროდ ასულს  
რას შეჰფრინავს სიო ჩქარი,  
თეთრთა კბილთა გამონაკრთობს  
ელვას ჰპარავს იქნებ მთვარე  
და ზილფ-კავებს მძივად ესხმის  
ვარსკვლავთ გუნდი მონარნარე?!  
მოდი ჩემთან. . . გულს აგიყრდნო. . .  
გაგიტაცო შორს, შორს ველად,  
სად ზეფირი მსუბუქ კოცნით  
გაგვიღვიძებს ბალახს მცველად,  
სად ტყის შრიალს უერთდება  
ნაკადთ ჩქეფა შვების მგვრელი  
და ათას ხმად იქსოვება  
სიმფონია მომხიბვლელი.“

[სიფრაშვილი, 1915].

ვ.სიფრაშვილის ეს ლექსი საკმაოდ ვრცლად წარმოვადგინეთ, ამის მიზეზი კი მისი ლამაზი წყობა და გულში ჩამწვდომი შინაარსია. ჩვენ ამ თავის დასაწყისში ვისაუბრეთ იმაზე, რომ გაზეთში გამოქვეყნებული პოეზიის ყველა ნიმუში საუკეთესო ვერ იქნებოდა, თუმცა, ბევრი მათგანი მართლაც აღნიშვნის ღირსია, მითუმეტეს, რომ მათი უმრავლესობა საკუთარი ავტორების კრებულებსა და პრესის სხვა ორგანოებში არ გამოქვეყნებულა. ამიტომ თავს უფლებას ვაძლევთ, რომ „ხმა კახეთისაში“ დაბეჭდილი ლირიკული ნაწარმოებების ნაწილი ნაშრომში შეძლებისდაგვარად ვრცლად წარმოვადგინოთ.

გაზეთთან თანამშრომლობდა გრიგოლ ცეცხლაძე, რომელიც სოციალისტ-ფედერალისტების ფრთას წარმოადგენდა და რევოლუციის დაწყების შემდეგ გაზეთ „შრომას“ რედაქტორობდა. „ხმა კახეთისაში“ მისი ლექსი „შემიყვარე“ დაიბეჭდა, სადაც, როგორც სხვა ზოგიერთი ზემოთ მოყვანილი ავტორის ნაწარმოებში, გრძნობები ღიად და იმ დროისთვის უჩვეულო სითამამით არის გამოხატული:

#### შემიყვარე

„შემიყვარე ნულარ მტანჯავ, შემიყვარე ნუ მაწვალე,  
ჩემს წრფელ გულსა მოენდევი და მეც, და მეც დაგაამებ!  
გრძნობის სხივად დავეფრქვევი ბროლის მკერდზე სიზმრის ხალსა,  
ტიტველ ტანზე ჩემის კოცნით, შემოგახვევ ვნების ალსა,  
მაგ შენ თმებში, გრძნულ თმებში მე ჩავაწნავ სულის სიმებს,  
ვარსკვლავით ლექსს დაგიწერ, გიგალობებ ყვავილთ ჰიმნებს,  
ერთი სიტყვით, ოკენეს მე გაგიპობ, გავუხსნი გულს  
და მის ფსკერზე, ლალის კენჭზე, მე დავხატავ შენს სიყვარულს!  
შემიყვარე ნულარ მტანჯავ, შემიყვარე ნუ მაწვალე,  
ჩემს წრფელ გულსა მოენდევი, და მეც, და მეც დაგაამებ.“

[ცეცხლაძე, 1915 ].

გაზეთში კიდევ შ. გიგინეიშვილის, ა.ხევისპირელის, ალ. რომანიშვილის, ვ.გორგაძის რამდენიმე სატრფიალო ლექსი გამოქვეყნდა. გარდა ამისა, „ხმა კახეთისაში“ ზოგჯერ სხვა მიმართულების, მაგალითად რელიგიური ხასიათის ლექსებიც იბეჭდებოდა. საერთოდ, გაზეთი ხშირად ეხმაურებოდა რეგიონის ეკლესია-მონასტრებსა თუ სასულიერო სასწავლებელში არსებულ მდგომარეობას, თამამად წერდა იქ გამეფებულ პრობლემებზეც, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ამ თემატიკის ლექსებსაც აქვეყნებდა. ერთ-ერთი მათგანი იოსებ მჭედლიშვილს ეკუთვნის და „ნინო წმინდა“ ჰქვია.

„ნინო წმინდა! ეს სიტყვები  
რა რიგ ტკბილად ესმის ქართველს,  
მაგრამ ვაჰ, რომ უღირსები  
ატარებენ დღეს ამ სახელს.

ნინო წმინდა! სხივთა თანა  
შენი სახე აღარ სუფევს!  
მოდი, თორემ ეს ქვეყანა  
წმინდა მცნებებს გადაუხვევს!”

[მჭედლიშვილი, 1913წ].

ლექსში კარგად ჩანს, რომ ავტორი იმ პერიოდში გამეფებულ რწმენის ნაკლებობას განიცდის და წმინდანს ქვეყანაში სარწმუნოების დაცვას სთხოვს. „ხმა კახეთისამ“ აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით რამდენიმე ლექსი გამოაქვეყნა. ლექსში „ქრისტე აღსდგა“ კ. დარაშვილი ქვეყანას ამ ბრწყინვალე დღესასწაულს ულოცავს:

„ სუ ღამეა... იქ გოლგოთას, სადაც მოსჩანს წმინდა ჯვარი,  
სად აწამეს მართლის მთქმელი, კაცთა ღმერთი მაცხოვარი  
ცამ იჭექა, ანგელოზი იქ დაეშვა, ვითა ტყვია,  
ლოდს შეახო თავის ხელი და ცრემლები დააფრქვია.  
ნეტარების სხივი წმინდა მთელს ქვეყანას გადმოადგა,-  
მომილოცავს აწ, ჩაგრულნო, იხარებდეთ, ქრისტე აღსდგა!...”

[დარაშვილი, 1913].

აღდგომას ეძღვნება მიხეილ ჭეიშვილის ლექსი „აღსდგა, აღსდგა!” სადაც ავტორი სიცოცხლის ძალასა და ღვთის უკვდავებაზე საუბრობს. ლექსში უფალი ჯოჯობეთის მძევლად და ჩაგრულთა დამცველად არის წარმოდგენილი.

„აგერ! აგერ! საფლავიდან  
თვით მეუფეც აღმობრწყინდა  
და სიკვდილი სიცოცხლის ღმერთს  
სამუდამოდ დაჰმორჩილდა.  
აღსდგა! აღსდგა! ქრისტე ღმერთი,  
დამთრგუნველი სიკვდილისა!  
აღსდგა!აღსდგა! ჯვარზედ ცმული  
მეფედ მეფე სიცოცხლისა... “.

[ჭეიშვილი1915].

გაზეთი ამასთან ერთად აქტიურად ეხმაურება ახალი თაობის ცხოვრებასა და მათ დამოკიდებულებას ქართული ტრადიციების მიმართ. „ხმა კახეთისაში“ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის, სანდრო შანშიაშვილის, სიკო ფაშალიშვილისა და სხვათა ლექსები. ლექსში „თანამედროვე“ აკაკიმ მწარედ გააკრიტიკა მედროვე ქართველები და მათ სასტიკი მომავალი უწინასწარმეტყველა. ლექსი თავდაპირველად გაზეთ „თემში“ დაიბეჭდა, შემდეგ კი „ხმა კახეთისაში“ გამოქვეყნდა.

#### თანამედროვე

„დედას სნეულს და ავადმყოფს, ერიდები, აშორებ თვალს!  
მოწიწებით თაყვანსა სცემ გადამთიელ დედინაცვალს.  
თვალ-ტანადათ ქართველი ხარ, მაგრამ გულით კი სხვა სჯულის,  
ღმერთად არ გწამს არავინ სხვა, გარდა კუჭის!.. გარდა ფულის.  
თეთრი კბილი, შავი გული, აი შენი პოლიტიკა!...  
საქმით მგელო!... შხამით გველო!...კუდა მელის კუდის რიკა!!!  
მოდის ის დრო, რომ დაჰგმობენ შენისთანა ფარისევლებს!  
შეგეცვლება ლხინი-ჭირად და მოიმკი კვნესით ცრემლებს!  
ჯერ-ჯერობით კმაყოფილი, რაღას ეტყვი მაშინ შვილებს,  
გულდასმით რომ გაგიშინჯვენ შავ ენას და მაგ თეთრ-კბილებს?  
ველარც კუჭი, ვერც ფულები მაშინ ველარ გიშველიან!  
წახვალ იქით, სადაც წყევლით და ბარ-ნიჩაბით მიგელიან.“

[წერეთელი, 1913].

გადაგვარებულ ახალ თაობას მისტირის იოსებ მჭედლიშვილი ლექსში „ჭმუნვა“. საინტერესოა, რომ ამ დროს ავტორი თავადაც საკმაოდ ახალგაზრდა იყო, თუმცა თავისი თაობის ნაკლს მაინც კარგად ხედავდა. მწერალი თანამედროვე ცხოვრებას წარსულის ბრწყინვალეობას ადარებს და ადამიანების შურსა და გაუტანლობაზე წუხს!

„დაბადებიდან ლაქუციით ვწევთ მონობის უღელს,  
და კიდევ ვხარობ, რომ უარესს არ დაგვადგამენ,  
გულით ვატარებ ჯოჯოხეთურ შავ-ფიქრთა ღრუბელს,  
შური და მტრობა საუკუნო ტახტებსა სდგამენ.“

ვდუმვართ, როდესაც თავში გვცემენ, ვით მასხარებსა,  
მუხლებს ვუკოცნით გაჯიბრებით უმართლო მტრებსა  
და სიხარულით მოვეწევით ხოლმე ზეცასა,  
რომ გავიგონებთ ჩვენი მოძმის დამცირებისა“.

იოსებ მჭედლიშვილი იმდროინდელ ცხოვრების ნაკლოვანებებს ხდის ფარადს და ადამიანთა მეგზურად ორგულობას და ურწმუნოებას ასახელებს. მისი აზრით, გულგარეცხილ ახალ თაობას ახლოს სიყვარულის ამაღლებული გრძნობაც კი არ ეკარება. მწერალი ასეთი ადამიანების ცხოვრებას პესიმისტურად უყურებს!

„გული მიკვდება რო ვუყურებ ახალ თაობას:  
ჩვენსა სიმჩატეს, უაზრობას არარაობას!  
ნუთუ დიდება წარსულისა უკეთესს არ ჰმობს?  
და რასაც ვხედავ ეს მხოლოდ-და სიკვდილს გვიამბობს?“

[მჭედლიშვილი, 1913].

„ზოგიერთ თანამედროვე ქართველს“- ასე ჰქვია ლექსს, რომელიც გაზეთში სანდრო შანშიაშვილის ავტორობით გამოქვეყნდა. მწერალი თანამედროვე ქართველებს წინაპრების და ქვეყნის შემარცხვენელს უწოდებს:

„ ეხ ,ქართველო! ეხ, ქართველო!  
შენი ქვეყნის დამლუპველო,  
გამფლანგველო, სხვისთვის ქველო,  
მოძმის მეტრო, ესდენ შტერო!  
ყველას ფეხქვეშ სათელველო,  
აქეთ-იქით სათრეველო,  
ეხ, ქართველო! ეხ, ქართველო! “

[შანშიაშვილი, 1914].

ავტორი წუხს, რომ ქართველები მუდამ სხვის მომსახურებაში არიან, საკუთარს კი არაფერს მატებენ. მწერალი თანამოდმეთ გონზე მოსვლისკენ და საკუთარი თავის პატივისცემისკენ მოუწოდებს. სათაურით „მაირი“ ამ თემაზე „ხმა კახეთისაში“ სიკო ფაშალიშვილს გამოუქვეყნებია. ახალგაზრდა მწერალი იმ ეპოქის ცხოვრების უკუღმართობაზე ჩივის, რომელშიც თავად უწევს ცხოვრება. როგორც ზემოთაც

ვნახეთ, აწმყოს მიმართ პესიმიზმით განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობა გამოირჩეოდა, თანაც, ყველაზე მეტად თავიანთ თანატოლებს აკრიტიკებდნენ. ამ შემთხვევაშიც, პოეტი თანამედროვე ქართველებში წინაპრების სულსა და ძალას ვეღარ ხედავს, რის გამოც, მისი აზრით ძმა ძმის წინააღმდეგ განეწყო, ერი კი უცხო ქვეყნის ფეხის ხმას აჰყვავს:

„ყველა გადაგვარებულა, აღარ იცნობაო,

უცხო ქურქით შემოსილა ქართველისა გრძნობაო. . .

ყველა მისდევს თვის დამღუპველ, სხვის ფეხის ხმასაო,

ძმა გროშისა გულისათვის ურცხვად ჰკლავს ძმასაო!“

სიკო ფაშალიშვილი ლექსში „შაირი“ დედის როლზეც წერს და წუხს, რომ ქართველი დედა ქვეყანას ეროვნული სულისკვთებით აღარ უზრდის შვილებს.

„მამულს შვილსა აღარ უზრდის ქართველი დედაო,

ძველი სული გაუცვლია ჭრელ კაბაზედაო,

დანავარდებს, დაჭიკჭიკებს უცხო ხმაზედაო -

ჩვენი ენა და ადათი სძულს, ეზიზღებაო! . . .“

[ ფაშალიშვილი, 1913].

როგორც ჩანს, იმ დროის ახალგაზრდა თაობა აქტიურად ეხმაურებოდა მიმდინარე მოვლენებს და თამამად წერდა თანამედროვეობის მანკიერ მხარეებზე. გაზეთში „ხმა კახეთისა“ კიდევ რამდენიმე საინტერესო ლექსი გამოქვეყნდა, მათ შორის აკაკის ლექსი „ჩემი რწმენა“. ლექსი პირველად ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ დაიბეჭდა, ამას ადასტურებს მინაწერი, სადაც აღნიშნულია: „ერთი უკანასკნელი და ჯერ დაუბეჭდავი ლექსთაგანი, რომელიც თვით მხცოვანმა გადმოსცა ჩვენს რედაქციას“. [„თეატრი და ცხოვრება“, 1915]. ჩვენ ვნახეთ აღნიშნული ჟურნალის ის ნომერი, სადაც „ჩემი რწმენა“ გამოქვეყნდა, ჟურნალმა ლექსი აკაკის გარდაცვალების შესახებ ცნობის გავრცელებისთანავე დაბეჭდა. ცხადია, როდესაც ის „ხმა კახეთისამ“ გამოაქვეყნა, მგოსანი ცოცხალი აღარ იყო.

კიდევ ერთი საინტერესო ლექსი ქვეყნდება გაზეთის 2-ე ნომერში, რომლის ავტორიც გიო კანაშვილია( პოეტი გლეხი გ.კანანელის ფსევდონიმით წერდა). ლექსის სათაურია „ქება“ და იგი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მსგავსი წყობისაა,



შინაარსითაც მასთან მიახლოებულია, მაგრამ აქ თამარის ნაცვლად წმინდა ნინოს ქებაა გადმოცემული. რუსთაველის მოტივები ლექსის პირველივე სტრიქონიდან ნათლად იგრძნობა:

„რომელმან შექმნა ქვეყანა ღვთის ძალით განგებიანი  
და ზეცამ სული ჩაჰბერა უკვდავი წმინდა წყლიანი! . .  
ჩვენ კაცთა მოგვცა ცხოვრება უთვალავ ფეროიანი! . .  
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე . . . თავისებრ სახ-ბადრიანი . . .  
ვის ჰშვენის გმირთა გმირობა ის არის ფარხმალიანი! . .  
მისგან აყვავდეს ქვეყანა . . ვითა ვარდი და იანი . . “

როგორც ვხედავთ, ავტორს „ვეფხისტყაოსნიდან“ მთელი რიგი ფრაზებიც კი გამოუყენებია, ზოგიერთი მათგანი მცირედ შეცვლილი სახითაც. იქ, სადაც რუსთაველი წერს: „თამარს ვაქებდეთ მეფესა“-ო, ლექსში არის: „ნინოს ვაქებდეთ ყველანი“. ავტორი ქებათ-ქებას უძღვნის ქართველთა განმანათლებელს:

„ქართველთ განმანათლებელი: კეთილ მორწმუნე, ჭკვიანი! . .  
მან გაამშვენა ბევრ ადგილს . . . ბარი იყო თუ მთიანი . .  
ღვთისა შეწევნით მტერს სძლევდეს . . . ღმერთმა აშოროს ზიანი . . .  
ნინოს უძღვნიდეთ ქებასა . . . აწ ყველა თვალ ცრემლიანი . . .  
მას ბევრიც განუკურნია . . . გონებით ბრმა-ბრუციანი . . .  
ღირსია ქებათ-ქებისა . . . მძლავრია ვაზი ჯვრიანი! . .  
მარადის უკუნისამდე ჩვენთანა სუფევს სვიანი! . . “

[გ.კანანელი, 1915].

გაზეთი თავისი არსებობის მანძილზე ყოველწლიურად ეხმაურებოდა ახალი წლის დადგომას. სადღესასწაულო მილოცვები და სხვადასხვა მასალები არაერთ ნომერში გამოქვეყნდა, რომელთა უმეტესობა ლექსებს წარმოადგენს. 1913 წლის პირველ ნომერში საახალწლო მილოცვები აკაკის ლექსით იწყება:

„მას უხაროდეს ახალი წელი,  
ვინც რომ ცხოვრებით კმაყოფილია,  
ვისი წარსულიც არ იყო მწველი  
დამომავალი ვისიც ტკბილია.“

[წერეთელი, 1913].

ახალ წელთან დაკავშირებით „ხმა კახეთისას“ ფურცლებზე ლექსი ილო მოსაშვილმაც გამოაქვეყნა, სადაც ავტორი იმ დროს საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე წუხს. მწერალი ახალი წლის დადგომასთან ერთად სამშობლოს კეთილდღეობის იმედს გამოთქვამს. აღსანიშნავია, რომ ამ დროს პირველი მსოფლიო ომი იმდინარეობდა, რომელშიც საქართველოც ჩართული აღმოჩნდა, ამიტომ, ლექსში სადღესასწაულო განწყობა არ ჩანს:

„ახალი წელი?! ნეტავ რას ველი?

ან რა მომელის, მითხარი გულო! . .

მითხარ, რომ თვალზე შემაშრეს ცრემლი . . .

მითხარი ბედო შე დაწყეულო!“

[მოსაშვილი, 1915].

აქვე, შობა-ახალ წელთან დაკავშირებით დაიბეჭდა გიო კანაშვილის ლექსი „ალილო“, სადაც ავტორი ქვეყანას და ხალხს ქრისტიანობისა და ახალი წლის დღესასწაულებს ულოცავს:

„ალილო სახლო ალილო! . . დედავ ნულა სტირ ქალილო! . .

დღეს შობა არი უფლისა . . . სჯობს გული აიყვავილო . . .

ასდექ, აანთე სანთელი, გილოცამ როგორც ქართველი! . .

მარადის საუკუნემდე ცოცხალთ მკვდრებს გიდგესთ ნათელი . . .

ხონჩით მოგვიტა საწესო: ლავაში, კვერცხი, კახური . . .

პურ-ღვინით მოიხსენიე . . . სამშობლო ქვეყნის მსახურნი!“

[გ.კანანელი, 1915].

საინტერესოა გაზეთში საბეჭდილი ქვემო მაჩხაანიდან გამოგზავნილი ლექსი, რომელსაც სათაურად აქვს „საახალწლო მილოცვა“. ავტორი ცნობილი არ არის, მას ფსევდონიმად „?“ (კითხვის ნიშანი) გამოუყენებია. ლექსი სოფლის თავკაცებისადმი მიმართული, მასში „სოფლის მამები“ სარკაზმით გაჯერებული იუმორით არიან დახასიათებულნი. ავტორი საკმაოდ კრიტიკულია, ნაწარმოები რამდენიმე ადამიანს ეძღვნება, მიმართვის დასაწყისში კი ადრესატის ინიციალები წერია:

„ზ.ნ-შვილს,,

ყველას უცინი, თავს უკრავ,  
ვით მეწვრილმანე ურია,  
აბლაკატობ და ხალხსა რევ-  
ალბათ ქევხოზა გწყურია.  
გაგიცრუვდება იმედი,  
ხალხი გყავს უმადურია  
მელა-ტურობა არ გშვენის,  
შენმა მზემ, ჩემო ზ-ია.  
დ.გ-შვილს:

სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა,  
შუა უძვე დიდი ზღვარი,  
შენ რომ საქმე დაიწყევი,  
რალად სტკიცე თან უარი?

ი.მ-შვილს:

„კუპეცობით“ თავი მოგაქვს,  
ხელში გიჭირამ დავთარი,  
სოფლისა ათი თუმანი  
დაასახელე - სად არი?  
ვინც რა უნდა თქვას,  
ბურჭულამ კი ფქვას,  
რუსულსა კარგად ვასწავლი,  
გავულაყებ თავს,  
ქართული კი ფას!“

[„?“, 1914].

როგორც ჩანს, ავტორს მკაცრად გაუკრიტიკებია ინიციალებს მიღმა მყოფი კონკრეტული ადამიანები, მათთვის ახალი წელიც ორიგინალურად მიულოცია.

გაზეთში „ხმა კახეთისა“ მსგავსი ტიპის მრავალი მისალოცია გამოქვეყნებული, მათი უმრავლესობა გარკვეული პროფესიის ადამიანებისადმი მიმართული, ამ მასალებში კრიტიკასთან ერთად საახალწლო სურვილებიც არის გამოთქმული.

„ხმა კახეთისაში“ დაბეჭდილი ლირიკული ნაწარმოებების განხილვის დროს უნდა აღინიშნოს პოემა „გლეხი ზაქრო“, რომელიც გაზეთის მეთხუთმეტე ნომერში გამოქვეყნდა. ნაწარმოები, რომელიც იოსებ მჭედლიშვილს ეკუთვნის, საკმაოდ მოცულობითია და ოთხი თავისგან შედგება. ავტორი პოემაში ქიზიყელი გლეხის ამბავს გვიყვება, რომელმაც თავისი ამბიციების გამო ოჯახი და მშობლიური კუთხე მიატოვა და საცხოვრებლად ქალაქს მიაშურა. იქ ზაქრო ერთ ადამიანს დაუახლოვდა და მასთან ერთად მუშად დაიწყო მუშაობა. პოემა ზამთრის ცივი ღამის აღწერით იწყება, როცა საშინელი გრიგალი და ყინვაა, ორი უსახლკაროდ დარჩენილი მუშა კი ღამეს გარეთ ათევს:

„სარდაფის ერთ ჩასასვლელში ორი მუშა ატუზულა,  
მათი ნაკვთი თოვლის ზვავში ნახევარზე ჩამარხულა,  
ერთმანეთსა მიჰყრდნობიან ვით ძმა ძმასა ანატირსა,  
მეგობრულად შეჰხვედრიან ერთ ბედითნი გასაჭირსა.“

სივიცესა და ყინვაში გარეთ დარჩენილი ზაქრო ამხანაგს თავის თავგადასავალს უამბობს. ის ჰყვება, რომ ჰყავდა დედ-მამა და და-ძმა, ჰქონდა თბილი კერა, მაგრამ თანამედროვე ახალგაზრდობას აჰყვავდა და ოჯახზე უარი თქვა:

„მესკამურნი გაიძახდნენ ძირს სამშობლო, ძირს ერიო,  
ბოგანოთა უნდა გახდნენ მდიდარი და მშიერიო,  
ზაქროც ნორჩი, ახალგაზრდა აჰყვავდა მათსა ფეხის ხმასა,  
გარდაიქმნა, გადაგვარდა, გადემტერა ღვიძლსა ძმასა.“

სახლიდან წასული ზაქრო კი უსახლკაროდ და ულაკმაპუროდ დარჩა. ამხანაგმა სახლში დაბრუნება და ძმისთვის პატიების თხოვნა ურჩია, თუმცა, ზაქრო, თავის მიერ გალანძღული და დამცირებული ძმის ოჯახში დაბრუნებას ვედარ ბედავდა. იმ ქარიშხლიან ღამეს ზაქროს ამხანაგმა თავისი თავგადასავალიც უამბო და უთხრა, რომ მას სახლი მოზიარემ წაართვა და დღემდე თავისი ბინის დაბრუნებას ცდილობს. მეორე თავში ზაქროს ოჯახში ამ დროს არსებული მდგომარეობაა აღწერილი. სწორედ იმ ღამეს, როცა ზაქრო თავის ამხანაგთან ერთად ყინვაში გარეთ დარჩა, დედის გულმა შვილის გასაჭირი იგრძნო. ის მთელი ღამის განმავლობაში სახლში მყოფ

მეორე შვილს გარეთ გახედვას სთხოვს, რათა ნახოს, ზაქრო ხომ არ დაბრუნდა, მაგრამ არემარე მხოლოდ თეთრ თოვლს დაეფარა და კაცის ჭაჭანება არ იყო.

მესამე თავში ისევ ზაქროს ამბავია მოთხრობილი, რომელიც კვლავ ქუჩა-ქუჩა დადიოდა და ლუკმა-პურს ძლივს შოულობდა. უკვე გაზაფხული დამდგარიყო, არემარე ყვავილებით მოფენილიყო, დიდ-პატარა გარეთ იყო გამოშლილი. ამ დროს ვილაცამ მუმას დაუძახა, ზაქროც და მისი ამხანაგიც გაიქცნენ, მაგრამ ზაქრომ ამხანაგს ხელი ჰკრა და სამუშაო წაართვა. მას მძიმე ტვირთი აჰკიდეს, რომლის ზიდვაც ძალზე გაუჭირდა და აღმართზე დაეცა. ტვირთის პატრონმა ადგომა უბრძანა და რომ ვერ შეძლო, ხმლის ბოლო წაჰკრა. ზაქრომ ეს ვედარ აიტანა, მას მუშტი შემოჰკრა და გაიქცა.

მეოთხე თავი კი ქიზიყში, ზაქროს სოფლის პეიზაჟის აღწერით იწყება, როცა აქაურები მინდორში სახნავ-სათესად გასულიყვნენ. ამ დროს ზაქრო თავისი სოფლის მიდამოებს მიუახლოვდა, მან თავისი ძმის გუთანი და სიმღერის კილო იცნო, იქით გაემურა და ძმას პატიება სთხოვა:

„მივიდა და ძმას შესძახა: „ძმაო, ძმაო, მაპატიე-  
მოდი შენსა უღირს ძმასა თავსა წყევლა დამაფრქვიე.-  
და დაემხო დათოს ფეხთან, გულ-ამოსკვნილ ქვითინითა,  
დათოც ძმასა მოუბრუნდა სიხარულის ხიჩინითა,  
შეჰხედეს და აღტაცებით გადებვივნენ ერთმანეთსა . . .  
შემდეგ რო მათ ძმობა ჰქონდათ, სხვებმაც ბევრმა ვსთხოვოთ ღმერთსა.“

[მჭედლიშვილი,1912]

პოემა, როგორც გაზეთში გამოქვეყნებული სხვა მრავალი ლიტერატურული ნაწარმოები, იმ ეპოქის რეალობას ასახავს, როცა ახალი თაობა თვითგამორკვევის გზების ძიებაშია და შეცდომასაც ბევრს უშვებს. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ზემოთ რამდენიმე ლექსიც განვიხილეთ („თანამედროვე“, „ჭმუნვა“, „ზოგიერთ თანამედროვე ქართველს“ და სხვა), სადაც ავტორები ახალგაზრდობას წინაპრების ტრადიციების უარყოფასა და საკუთარი თავის უპატივცემულობაში ადანაშაულებენ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, ავტორმა ზაქრო ბოლომდე არ გაიმეტა და მას

შეცდომის გამოსწორების საშუალება მისცა, ძმამ ძმას დანაშაული აპატია და ოჯახშიც დააბრუნა.

„ხმა კახეთისაში“ გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის პოემის, „რაჭა-ლევხუმის“ შესავალი ნაწილი, რომელიც მის რაჭა-ლევხუმში მოგზაურობას ეხება. იმის მიუხედავად, რომ ეს მხოლოდ შესავალია, მგოსანი მაინც ახერხებს მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილებების გადმოცემას, ამ კუთხის ბუნებისა და ხალხის შესახებ გარკვეული ამბის მოყოლას. აკაკი აღფრთოვანებულია იქაური პეიზაჟებით და მას შეუდარებელს უწოდებს:

„ რაჭა-ლევხუმში ავედი,  
მინდოდა მისი გაცნობა;  
სანახაობამ მომხიბლა  
და დამიმონა მთლად გრძნობა!  
ღმერთო, რა ვნახე?! სასიზმრო  
და საარაკო მხარია;  
თუ თვით ედემი არ არის  
ედემის შესადარია.  
ნუ დაიჩემებს ნურავინ-  
სხვა უკეთესსა მხარესა!  
ვარსკვლავი ყველგან ბევრია,  
მაგრამ ვერ სწვდება მთვარესა.“

პოეტი იქაურების გარეგნულ და სულიერ მშვენიერებაზე წერს, მას ყველაზე მეტად ის აღაფრთოვანებს, რომ ამ კუთხეში ქალსაც და კაცსაც ტრადიციები შეუნარჩუნებია და ძველი ადათ-წესებით ცხოვრობენ.

„ვინც აქ შობილა, გაზრდილა...  
მართლაც რომ ბედნიერია!...  
კაცები თვალ-ტანადები,  
ქალები-მშვენიერია!...  
განურჩეველად წოდების,  
ხნოვანების და სქესისა,

აქ ყველა ქართველებია,  
მიმყოლი ძველი წესისა,  
არ ჰკარგვენ მამა-პაპურსა,  
რაც კარგი რამე ჰქონიათ,  
არ ივიწყებენ, ძველებზე  
რაც კარგი გაუგონიათ.“

აკაკი რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის შრომისუნარიანობაზე მიუთითებს და წერს, რომ ეს ხალხი სულ ფუტკარივით შრომობს, თავის ნაშრომს კი ოჯახს ახმარს. აქაურები საერო და სასულიერო საქმის გვერდით დგანან და მომავალზეც ფიქრობენ. ბოლოს კი ამგოსანი ამბობს:

„აი რა ვნახე!... რა ხალხი,  
ბოლო დროს მოხუცებულმა  
და სხვაგვარ ააფრთოვანა  
მგოსანიც სულმა და გულმა.“

[ წრერთელი, 1912].

თავად პოემა პირველად გაზეთ „თემში“ დაიბეჭდა. დასაწყისში მითითებულია, რომ „მთელი პოემა წიგნად და სურათებით ცალკე გამოვა“, თუმცა, მწერლის აკადემიურ გამოცემათა თხუთმეტომეულის ცნობით ეს პოემა წიგნად აღარ გამოსულა.

ამ პოემით ჩვენ „ხმა კახეთისაში“ წარმოდგენილი ლირიკული ნაწარმოებების განხილვა დავასრულებთ. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მათში ხშირად იმ ეპოქის რეალობაა აღწერილი. მათი ნაწილი მაღალ ლიტერატურულ ღირებულებებს ნამდვილად ვერ აკმაყოფილებს, თუმცა ნაწილი მართლაც აღსანიშნავია და ფართო საზოგადოების წინაშე გამოსვლას იმსახურებს, მითუმეტეს, რომ იმ ოთხი წლის განმავლობაში, როდესაც გაზეთი გამოდიოდა, თავიანთი პოეტური შემოქმედება როგორც ადგილობრივმა, ისე საქვეყნოდ ცნობილმა პოეტებმაც გამოაქვეყნეს, რომელთა ნაწილი არც მანამდე და არც შემდგომ სხვა გამოცემებში არ დაბეჭდილა.

### 3. „ხმა კახეთისას“ პროზა

გაზეთი „ხმა კახეთისა“ რომ ლიტერატურული ჟანრების მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ეს ზემოთაც ვნახეთ და კვლავაც ხდება თვალსაჩინო. გაზეთში მუდმივად იბეჭდებოდა ქვეყნის მასშტაბით მოღვაწე თუ ადგილობრივი კორესპონდენტების მოთხრობები. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ხმა კახეთისას“ ფურცლებზე ცნობილი ავტორების პროზაული შემოქმედებაც ქვეყნდებოდა, ამიტომ ამ ქვეთავს აკაკი წერეთლის მოთხრობების განხილვით დავიწყებთ. „ხმა კახეთისას“ N 228-ში დაიბეჭდა აკაკის მოთხრობა „სიკვდილი“, როგორც რედაქცია იუწყება, ეს მნაწარმოები მგოსანმა გარდაცვალებამდე 15 წლით ადრე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ დაწერა. „ხმა კახეთისაში“ დაბეჭდვამდე „სიკვდილი“ ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ გამოქვეყნდა. ეს მოთხრობა მგოსნის აკადემიურ გამოცემათა თხუტმეტტომეულშია შესული, თუმცა არ არის მითითებული, რომ „ხმა კახეთისამ“ გამოაქვეყნა.

მოთხრობაში მწერალი გარდაცვალების შემდეგ სულის განცდებს ასახავს, მაგრამ არა იმქვეყნიურს, არამედ დედამიწაზე დარჩენილი სულისას. მიცვალებულის მონოლოგი მთლიანად პროტესტია იმ ფარისევლობისა, რომელსაც ვითომ ჭირისუფლები ადამიანის გარდაცვალების შემდეგ ამჟღავნებენ. აკაკიმ ზუსტად აღწერა ასეთ შემთხვევებში არსებული ქართული რეალობა: „ჩემს სიცოცხლეში არ უკითხვივართ, ავადმყოფი არ უნახვივართ და ახლა კი თავს იტყებენ, სიკვდილის შემდეგ აუარება ხალხი რომ შეკრებილა, სინანული? სინანული კი არა და ის კიდევ! რა ბრძანებაა!... ყველას თავ-თავისი საკუთარი გულის საფხანი რამე აქვს და მკვდარს მიზეზად მიიღებს... მამადლის. ზოგი მხოლოდ იმიტომ მოდის, დარწმუნდეს: მართლა მოვკვდი თუ არა? ზოგი ამბობს გუნებაში: ცოცხალი ხომ მინახავს - მოდი ახლა მკვდარსაც დავხედავ, როგორიაო? ზოგი მარტო ფეხის ხმას აყოლია!... საზოგადოდ კი ყველა იმ აზრისა, რომ უკანასკნელი ვალი უნდა მოვიხადოთ. დიდება შენ, ღმერთო! პირველი ვალი როდის ახსოვდათ, რომ ამ უკანასკნელს აღარ ივიწყებენ? მაგრამ ჩანს, რომ ეს მეორე უფრო ადვილი და გასართობი ყოფილა...“ სიცოცხლეში უარყოფილს სიკვდილის შემდეგ ასე ადიდებენ: „ჩაესვენა მზეო,



დაბნელდა მთვარეო, მოსწყდნენ ვარსკვლავებიო და სხვანი, ასე გატლევაც იქნება?! მერე, ვინ ამბობს ამ სიტყვებს ასე ურცხვათ? სულ ის ხალხი, რომელსაც, სანამ ცოცხალი ვიყავი, ჩემი ლანძღვისა და ცილისწამების მეტი არაფერი გაუკეთებია!... ეჰ, ეხლა კი მომასწრეს და კუდაბზიკობენ! ოჰ, რა შეურაცხყოფაა ეს ამათი ფარისევლური სიტყვები და ცბიერი ალერსი! ამათ უნდათ, რომ მჭერმეტყველობით თავი გამოიჩინონ და გული იჯერონ.“

მთელი მოთხრობა თითქოს ნამდვილ ამბავზეა აგებული, აკაკი თითქოს თავის რეალურ შეგრძნებებს გადმოგვცემს. მგოსანი იმ ადამიანების უმადურობაზე წერს, რომლებსაც მისი მართალი სიტყვა გულზე მწარედ ხვდებათ. მას ხომ ხშირად ენამწარე პოეტსაც უწოდებდნენ. ეს მომენტი ავტორს ნაწარმოებში მძაფრად აქვს განცდილი და ამაზე ღიად წერს: „ჰე, ესარის ჩვენი სიცოცხლე, მოვიდა-იცხოვრა, მოკვდა-წავიდა, გაქრაო.“ თქვა ერთმა ჭკუის კოლოფმა დიდი შეფერხებით, თითქო საკვირველი რამ ეთქვას ახალი.- „დიიიახ!ეგ არის მსოფლიო კანონიო!“- უპასუხა თავის ქნევითა და თვალების გაჭყვეტით მეორემ და გაჩუმდნენ. -„სამწუხროა ახლანდელი ქართველების მდგომარეობა! აი ახლა ეს ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ უკუღმართად გაატარა თავისი დღე და სოფელი! ვერც თავის თავს არგო რამე და ვერც ქვეყანას!.. შეეძლო დაწინაურებულიყო და კაცი გამხდარიყო! ახლა კი თითქოს არც ყოფილიყოს ქვეყანაზეო“ - ბრძანა ერთმა ბობოლამ. „მართალსა ბრძანებთ, მაგრამ ეგ საზოგადო, საყოველთაო სენია დღესო.“- მიუგო მეორემ – და გავიდნენ მეორე ოთახში. „ღმერთმა აცხონოს, მაგრამ, თუ გამოიწვევდი, ერთს იმისთანას გეტყოდა, რომ გულიდან აღარ ამოქცილდებოდა!... მაგის შიშით ხმა ვეღარ ამოგველო!... ნამეტანი იყო ნამეტანი!... - მაგისი ნიჭის პატრონს შეეძლო ბევრი ნაყოფი მოეტანა ჩვენი ქვეყნისთვის და უნაყოფობით კი ჩაიარა მაგისმა შრომამაო. ეგ სულ მისი ბრალია, რომ მე არას მიჯერებდა და თავის ნებაზე დადიოდაო.“ - კაცო, შენ ჩემი სთქვა!... არ დამიჯერა, არ იქნა, ვერ დავაწყებე ჩემებურათ წერა!... ორმოც წელიწადს წერდა და ქართული კი მაინც არ იცოდა. „ვერ ისწავლა!... თუ არ გადასწორდა მაგის ნაწერები, კაცს არ წაეკითხება!... რაღაც უცნაური ენაა, იმერულიო!... ჩაერია მეორე. – ეჰ, ღირს კი გადასასწორებლად? ისე არ მოიპოვება აზრი მაგის ნაწერებში, როგორც ურისის სახლში მირონი! ცარიელი ღლაბუცობა და ლაზღანდარობააო!“ ამის

მიუხედავად, შეკრებილმა საზოგადოებამ წარმოსათქმელი სიტყვები და გვირგვინები გაამზადა, ამ დროს კი ერთმა ახალგაზრდამ პანაშვიდის ქართულ ენაზე ჩატარება და მიცვალებულის ანდერძის წაკითხვა მოითხოვა. პირველი თხოვნა შეუსრულეს. ანდერძი კი ლექსად იყო დაწერილი.

„ოთხი ფიცარი კუბოსთვის, უბრალოდ შეუმკველათა,  
და ოთხი მუშაც წამლები, რომ გამასვენონ ხელათა,  
არც გვირგვინები, არც სიტყვა, არცა რა ცერემონია!  
არ მინდა!... მოლას ანდაზა მეც ბევრჯერ გამიგონია.  
მინდა, რომ ბაღში დამმარხონ, სადაც არ იყოს სხვა მკვდარი...  
ზაფხულმა მწვანით შემოსოს და თოვლს მაყრიდეს ზამთარი!“

ანდერძის წაკითხვის შემდეგ კარგად გამოჩნდა ადამიანების მემჩანური ბუნება - „ახლა გვიანდა არის, მომზადებული ვართ, ხალხი ცერემონიას ელის... უცდის – და ხომ ვერ მოვატყუებთო!“ - ამას რო ყური მოგვკარი, გამეცინა გუნებაში. არა, მეც თუ სულელი არა ვარ, სიცოცხლეში ვინ ამისრულა სურვილი, რომ სიკვდილის შემდეგ გამოგონოს – მეთქი!...“

გვირგვინებით და დამწუხრებული სახეებით გააცილეს მიცვალებული უკანასკნელ გზაზე, მიწიერი ცხოვრებით დაღლილი და შეწუხებული სული დასვენებას მიწის ქვეშ ელის: „ - უჰ, ძლივს არ გაათავეს!... მადლლობა ღმერთს!... ახლა კი თავს დამანებებენ!... ძლივს არ გადავრჩი!!... აი, დაახურეს კუბოს თავი... აჭედებენ... აკაკუნებენ, ჩამიშვეს სამარეში... მიწას მაყრიან... ახლა კი მშვიდობით, ჩემო სამშობლოვ!... ვნახოთ იქ რაღა იქნება.“ [წერეთელი, 1915].

ამ ნაწარმოების განხილვისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როდესაც მწერალი კეთილმოსურნეების მხრიდან მიცვალებულის შემოქმედებისა და სამწერლებო ენის კრიტიკაზე საუბრობს, ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. ცნობილი მეცნიერი, ვარლამ თოფურია, თავის ნაშრომში „აკაკი და ქართული სალიტერატურო ენა“, ასეთ რამეს წერს: „1860 წელს ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა აკაკის ცნობილი ლექსი „საიდუმლო ბარათი“, მის შესახებ თვით ავტორი გვაუწყებს: „ იმ ხანებში ამ ლექსის გამოსობით ორი წერილიც მივიღე. ერთი ჩემი უცნობის ანჩისხატის დეკანოზის ეფრემის იყო. აი რას მწერდა სხვათა შორის: „გილოცავ მეშაირობას და

თანვე გთხოვ, მამაშვილობას, ამისთანა ლექსებს მდაბიო ენით ნუ სწერ! დარბაისლური ენა ეჭირვება და შენ – კი რაღაც მშობლიურ ენითა სწერ. და ეს მით უფრო საშიშია, რომ შენი ლექსი ყველას გულში ხვდება. გამოსვლისთანავე სასიმღერო ლექსად გადაიქცევა. განსაკუთრებით ქალები იმდერნიან და ვაი თუ მაგ შენ ენას მიეჩვიონ და გადიგდონ გულიდან ძველი დარბაისლური ქართულიო.“ მეორე წერილი იყო თ. ირაკლი ლორთქიფანიძის. ისიც მაქებდა და მთხოვდა ძველი ენით სწერო. ცხრამეტი წლის ახალგაზრდას სულსა და გულს მიტკობდა უფრო ის, რომ „ქალები იმდერიანო“, და მეც გადავწყვიტე, რომ თავი დავუდვა მწერლობას, მაგრამ სახალხო ენით და არა დარბაისლურად ვწერო.“ [ თოფურია, 1990]. ამ ნაწყვეტიდანაც კარგად ჩანს ის, რასაც მწერალი მოთხრობაში „სიკვდილი“ გულისტკივილით წერს. ეჭვგარეშეა, რომ აკაკის „არ დამიჯერა, არ იქნა, ვერ დავაწყებინე ჩემებურათ წერა, ორმოც წელიწადს წერდა და ქართული კი მაინც არ იცოდა... ვერ ისწავლაო...“ შემთხვევით არ დაუწერია, არც წერილში მოყვანილი ორი ფაქტი იყო მხოლოდ, როცა მას ენას უწუნებდნენ, საკმარისია გავიხსენოთ ცნობილი „მამათა და შვილთა ბრძოლა“, სადაც, ზოგადად აკაკის თაობას, „თერგდალეულებს“ ენის საკითხში ძველი თაობა სასტიკად აკრიტიკებდა, არადა, აკაკის სწორედ მისმა ქართულმა, სახალხო ენაზე დაწერილმა ლექსებმა თუ მოთხრობებმა მოუტანა ხალხისათვის საყვარელი მგოსნის სახელი.

კიდევ ერთი დეტალი აკაკის ამ მოთხრობასთან დაკავშირებით. როგორც ზემოთ ვნახეთ, აქ მგოსანი მხატვრული პერსონაჟის პირით ანდერძს ტოვებს, სადაც მის შემსრულებლებს უცერემონიოდ უგვირგვინოდ დასაფლავებას სთხოვს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ „ხმა კახეთისაში“ აკაკის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა მისი ნამდვილი ანდერძი, რომელშიც გამოთქმული თხოვნები ძალზე წააგავს მოთხრობაში ლექსად დაწერილ ანდერძს: „მე თავადი აკაკი როსტომის ძე წერეთელი, რომელიც ვარ სრულ ჭკუაზე და მტკიცე მეხსიერებაზე, საჭიროდ ვთვლი სიკვდილის შემდეგ დავტოვო შემდეგი ანდერძი: მთელს ჩემს კეთილშენამენ უძრავ მამულებს ვუტოვებ ჩემს მეუღლეს კნეინა ნატალია პეტრე ბაზილევსკის ასულს წერეთლისას და ჩემს შვილს, თავადს ალექსი წერეთელს, რომ უფლობდნენ მას და სარგებლობდნენ მთელის სიცოცხლის განმავლობაში. ამ მამულიდან სამოსახლო ადგილს შენობებითა

და კარის ეკლესიით სოფელ სხვიტორში, შორაპნის მაზრაში, საკუთრებად ვუტოვებ ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომ იქ გაიხსნას დედათა სკოლა ჩემი სახელობისა; ვენახსა და დანარჩენ ჩემს მამულს ვუტოვებ საკუთრებად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას, ქართულ ზღაპრებისა, არაკებისა და საერთო ზეპირ თქმულებათა შესაკრებად და გამოსაცემად.

რადგან ზემოხსენებულ სამოსახლო ადგილთან დაკავშირებულია ჩემთვის ფრიად ძვირფასი მოგონებანი, ამიტომ ვთხოვლობ როდესაც უფალი თავისთან გამიწვევს, დამასაფლაოთ კარის ეკლესიის გვერდით სოფელ სხვიტორში. გთხოვთ დამასაფლაოთ უბრალოდ და უგვირგვინოდ. გვირგვინის მსურველს ვთხოვ, გვირგვინის ფასი გადასცეს ზემოხსენებული საეთნოგრაფიო საზოგადოებას. ზემოთ აღნიშნულ მიზნისთვის.“[ წერეთელი, 1915]. როგორც ჩანს აკაკის, მისი მოთხოვნების გმირის მსგავსად, ვერ შეუსრულეს უკანასკნელი სურვილი, რადგან მგონის გარდაცვალება ეროვნულ გლოვად იქცა, მისი ნეშტი კი მთაწმინდის მიწას მიაბარეს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთი ამავე ნომერში შემდეგ მცირე განცხადებასაც აქვეყნებს: „რედაქცია საჭიროდ სთვლის აღნიშნოს, რომ განსვენებულმა პოეტმა გარდაცვალების წინათ თავის ნათესავებსა და ახლობლებს განუცხადა იქ დამასაფლავეთ, სადაც ჩემი ერი მოისურვებსო“. [რედაქცია,1915].

ამ მოთხოვნის გაგრძელება გამოქვეყნდა ჟურნალ „თეატრი დაცხოვრების“ 6-ე ნომერში. ამ ნაწილში მიცვალებულის სულის მდგომარეობაა აღწერილი 40 დღის განმავლობაში, სანამ სული თავის სამუდამო ადგილს დაიმკვიდრებს, ისევ დედამიწაზე დახეტიალობს, თავის მეგობრების გარშემო ჩნდება, ზოგი დამწუხრებულია მისი გარდაცვალების გამო, ზოგს უკვე დაავიწყდა. საყვარელმა ქალმაც შემცვლელი იპოვა. რედაქციებზე მის ავ-კარგიანობაზე საუბრობენ. ამასობაში ორმოცი დღეც გავიდა და სული წალკოტში, „ქართველების სავანეში“ მოხვდა, სადაც მეფეები და სხვა დამსახურებული ადამიანები იმყოფებოდნენ: აღმაშენებელი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, ვახტანგ გორგასალი, ბაგრატი და სხვები. მათ ამ ქვეყნის ამბები გამოჰკითხეს, ახლად მოსულმა დამხვდურებს მწარე სიმართლე მოუყვა, რომ ეხლანდელ ვაჟკაცებს გული მხოლოდ ქვრივ-ობლებთან და სუსტებთან ერჩით, რომ იარაღს შინაურებში ხმარობენ, კანონი და სამართალი აღარ არის, აღრც

სარწმუნოებას სცემენ პატივს, განათლებული თაობა ჩრდილშია, ქალები, ცოლები, დედები სულ სხვანაირები გახდნენ - ამ ამბის მოყოლის დროს ერთი მოხუცი გამოვიდა - სულხან-საბა ორბელიანი ყოფილა: „როგორ გეკადრებათ ამის ყურის გდება! არ იცით ეს ვინ არისო? მე რომ სიბრძნე-სიცრუეში ყიამყრალა მყავს აწერილი ის გახლავსთო და სულ უსიამოვნო რამეს ლაპარაკობს, თვარა ღმერთმა ნუ ქნას, რომ საქმე ასე გაფუჭებულიყოსო - ეს რომ მოისმინეს, დავით აღამშენებელმა უღვაშებში ჩაიციინა, თამარმა გაიღიმა და თქვა: სწორედ მართალი უნდა იყოსო! ეს აქაურობასაც აურევსო და ისევ გააგდეთ იქითკენ, საიდანაც მოსულაო. თქმა და გაგონება ერთი იყო. გამოცვივდნენ აქედან, იქიდან ბოქაულები, მტაცეს ხელი, ერთი მისთანა პანდური მჩანთეს, რომ სულ ბზრიალ-ბზრიალით წამოვედი მაღლიდან, გამხდა ბრეგვა მიწაზე და კიდევაც გამომელვიდა.“ [წერეთელი, 1915]

გაზეთი „ხმა კახეთისა“ დიდი მგოსნის კიდევ ერთ მოთხრობას აქვეყნებს, რომელიც თავდაპირველად გაზეთ „დროებაში“ (N31, 1871წ), შემდეგ კი გაზეთ „თემში“ დაიბეჭდა, „ხმა კახეთისაში“ კი მისი ნაწილია მოყვანილი. „აკაკის ძველი ნაწერებიდან“- ასე ჰქვია მოთხრობას, რომელიც სამი თავისაგან შედგება და იგავის ხასიათს ატარებს. თითოეულ თავში სხვადასხვა ამბავია მოთხრობილი და მკითხველისთვის ჭკუის სასწავლებელია. პირველ თავში ავტორი იმ ცხვრების შესახებ ჰყვება, რომლებსაც ძაღლის ყეფა მობეზრდათ და ფარიდან გააგდეს, რამდენიმე დღეში კი მგელი მოუვარდათ და ცხვრებს უმოწყალოდ დაუწყო ხოცვა. ცხვრებმა ღმერთს მიმართეს და ძაღლის დაბრუნება სთხოვეს, რაზეც ასეთი პასუხი მიიღეს: „თქვენ ისეთი ჯიშისა ხართ, რომ კუდი მოკლე გაქვსთ და რქები დიდიო და სანამ მაგ რქებს არ მოიცვლით და ტყავს კუდის რიკამდე არ ჩაგახევენ, ვერც ძაღლს იგუებთ და ვერც კატასაო! ბულბულის სტვენით მტერი ვის მოუგერიებიაო? წაბრძანდით და ეხლა თქვენს მელიებს დაეკითხეთო!...“

მეორე თავში სამართლიანი ხელმწიფის ამბავია მოთხრობილი, რომელთანაც ერთ საწყალ კაცზე საჩივრელად ათასამდე ქალი მივიდა და მისი სიკვდილით დასჯა მოითხოვა. ხელმწიფემ დაიბარა ეს კაცი და პასუხის გაცემა მოსთხოვა. ბრალდებულმა უპასუხა: „ბატონო, ნურც მარტო მაგ ქალების საჩივარზე გაივლიო. მაგათ გარდა ერთი ორმოციოდე ქალი კიდევ დარჩა ჩვენს სოფელში და თუ ისინიც

შეგვედრებიან ჩემს ჩამოხრჩობას, მაშინ თანახმა გავხდები, მაღლობა ღმერთსაო!“  
დაეთანხმა ხელმწიფე. მოაყვანინა ის ორმოცი ქალიც და მათაც დაეკითხა. ის ქალები  
კაცის მაღლიერები იყვნენ. გაუკვირდა ხელმწიფეს და ჰკითხა: საიდან გყავს ამდენი  
მტერი და ამდენი კარგი მეგობარიო? კაცმა უპასუხა: მე არც ერთისათვის დამიშავებია  
რაიმე და არც მეორესთვის გამიკეთებია. აბა შეხედე, ამ ათას ქალში ერთი ლამაზი  
ნახო და ამ ორმოც ქალში მახინჯიო? მე ერთი საწყალი ხელოსანი ვარ, სარკეებს  
ვაკეთებ, ლამაზები ჩაიხედავენ შიგ-ლამაზებად გამოჩნდებიან, მახინჯები  
ჩაიხედავენ-მახინჯებად. მე იმიტომ ვაკეთებ სარკეებს, რომ ლამაზმა შიგ იკეკლუცოს,  
მახინჯმა კი პირი დაიბანოს და გამოსწორებას ეცადოს. ესენი კი თავის სიმახინჯეს  
ჩემს გაკეთებულ სარკეებს აბრალებენ, ახლა რისი ღირსიც ვიყო, ისე მომექცეითო.  
მოეწონა ხელმწიფეს კაცის ნაამბობი და ბრძანება გასცა, რომ აღარავის გაეხედა  
ჩივილი არც მესარკეებზე და არც მწერლებზე, რადგან მოხელეობით ორივე  
ერთმანეთს ემსგავსებაო.

მესამე ნაწილში კი ერთი მზეთუნახავის ამბავია მოთხრობილი, რომელიც  
გარყვნილი ცხოვრებისგან სიკვდილის პირას იყო მისული. მისი გადარჩენა ქალის  
სიყვარულით აღვსილმა ორმა ყმაწვილმა კაცმა გადაწყვიტა. ერთმა თავისი ნაღველი  
ამოიღო, თავისსავე ცრემლსა და ოფლში დაზილა და წამალი გამოწურა, თან იფიქრა,  
ეს წამალი მზეთუნახავს კი მოარჩენს, მაგრამ მე განმდევნიან, თუმცა, მაინც  
მირჩევენია მისი გამოჯანმრთელებაო. მეორე ვაჟმა კი უბრალო შარბათი დაამზადა –  
მის გულს ეამება თავს შევაყვარებ და პატივში ვეყოლები, ბოლოს თუ აწყენს მე ხომ  
მაინც მოგებული დავრჩებიო. პირველმა ვაჟმა წამალი ძალით დააღვეინა  
მზეთუნახავს რომელმაც სიმწრისგან თმა-წვერი დააგლიჯა და სახლიდან გააგდო,  
მეორის მიერ მომზადებული შარბათი კი სიამოვნებით დალია და ვაჟი საყვარლადაც  
დაისვა, თავად კი განიკურნა და ლამაზი, ჯანმრთელი ვაჟიც ეყოლა. ერთ დღეს ქალს  
ერთი გლახაკი შეხვდა ბაღში და თავი დაუკრა. ვინ ხარ? - ჰკითხა ქალმა. - მე ის ვარ,  
ვისი წყალობითაც დღეს ასე მშვენიერი ხარ და ვისი სიყვარულიც უნდა გქონოდა. -  
გეტყობა, რომ ისე მშვენიერი არასოდეს არ იქნებოდი, რომ შენი შეყვარება  
შემძლებოდა. - არა, მიუგო გლახაკმა მე შენს საყვარელს ვჯობდი კიდეც, შენ რომ თმა-  
წვერი არ დაგეგლიჯა და არ დაგემახინჯებინეო. ამ სიტყვებზე მზეთუნახავს შერცხვა

და ფულის ჩუქება დააპირა, თუმცა გლახაკმა უარი უთხრა: მე ჩემი ჯილდო მიღებული მაქვს, ჩემი შრომა და წამლები რომ არა დღეს ასეთი მშვენიერი არ იქნებოდი. ჩემი თავმოყვარეობა დაკმაყოფილებულია თქვენი ბედნიერების ნახვითო - ეს უთხრა და თავის გზას დაადგა სასაფლაოსაკენ. ცხადია, რომ ამ ნაწარმოებებში აკაკიმ ყველასთვის სამაგალითო აზრი ჩადო. პირველ თავში ცხვრებს ბულბულის სტვენის მოსმენას ძაღლის ყეფა რომ აეტანათ, მათ ფარას მგელი ვერაფერს დააკლებდა. მესამე მოთხრობაშიც მზეთუნახავმა შეცდომა დაუშვა ტკბილი შარბათი რომ არჩია მწარე წამალს, მეორე ნაწილში კი მწერალმა დაგვანახა, რომ თუ სარკეში სხეული ჩანს ნაწერში სულიც შეიძლება გამოჩნდეს, მწერლობა ხომ ცხოვრების ანარეკლია.

აკაკის მოთხრობის ბოლოს კიდევ პატარა ჩანაწერი გაუკეთებია, რომლის ციტირებასაც მოვახდენთ : „აქ კიდევ მინდოდა სხვა ზღაპრებიც მეთქვა, მაგრამ წყეული ბუზები დაეხვივნენ ჩემ ტკბილ მასალებს და მასთანაც მეშინია, რომ თქვენი გულიც არ დავშაქრო ისე, რომ ზედ ბუზები და ჭიები დაგეხვიოთ. - ჰო, მართლა, ამ ბუზებზედ მომაგონდა: იცით რას მომაგონებენ ხოლმე ჩვენში ლამაზი ქალები მათის მშვენიებითა და ელვარებითა?... ციციანათელა ხომ მოგეხსენებათ მისთანა ჭია არის, რომელიც ბნელ ღამეში დაფრინავს ხან იქით და ხან აქეთ და თანაც ანათებს. მე ჩემს ერთ ციციანათელათაგანს აი რა ლექსი დავუწერე: აქ აკაკის ლექსი „ციციანათელა“ მოჰყავს. [წერეთელი, 1914].

გაზეთში პერიოდულად ქვეყნდებოდა ადგილობრივ შემოქმედთა მოთხრობებიც, თუმცა სხვა ჟანრის ნაწარმოებებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ყველა მათგანი ფსევდონიმითაა დაბეჭდილი. მათგან ზოგი გახსნილია, ზოგი კი დღემდე უცნობი დარჩა. „ხმა კახეთისაში“ იბეჭდებოდა როგორც მოკლე ნოველები და მინიატურები, ასევე ვრცელი მოთხრობები, რომელთა გამოქვეყნებაც ზოგჯერ გაზეთის რამდენიმე ნომერში გრძელდებოდა. აქვეა რუბრიკა „პატარა ფელეტონი“, სადაც სხვადასხვა ავტორების მცირე მოცულობის პროზაული ნაწარმოებები ქვეყნდებოდა.

გაზეთი №231-ში ბეჭდავს მინიატურას „ფოთოლი“ (პატარა სიცოცხლის ამბავი), ფსევდონიმით „ვინმე“, რომლის უკანაც ბოდბისხეველი დიმიტრი ბარანაბიშვილი

დგას.[ჯავახიშვილი, 2002-81]. მოთხრობაში წუთისოფლის ამოების საკითხია დასმული. ავტორი ტყეში სევდიან ფოთოლთან შეხვედრის ამბავს ყვება, რომელიც ოხრავდა და უხმოდ ტიროდა. ფოთოლი ჩიოდა, რომ ადრე უდარდელად ცხოვრობდა, ახლა კი რაღაც უეცარი სევდა შემოაწვა, აქამდე უკვდავების ძალას გრძნობდა, ახლა კი დაილია და გაყვითლება დაიწყო: „ ... გაქრა ზღაპარი სიცოცხლისა, ხოლო ლანდი სიკვდილისა თავს დამტრიალებს... და ვგრძნობ რომ მალე მოვკვდები... - სევდის ღიმილი დააჩნდა ფოთოლს და მითხრა: - როგორა სთქვი: ფოთოლო სიცოცხლისაო?!... არა, მე ვარ მხოლოდ ფოთოლი ჟამისა... ჟამი მიჰქრის, ჩვენ მას მიდევთ, ისცოცხლობს, ჩვენ კი ვკვდებით, მასში ერთვის დასაბამი დასასრულისა.“ სიკვდილ-სიცოცხლისა და მარადიულობის თემა ქართულ ( და არა მხოლოდ ქართულ) ლიტერატურაში უცხო არ არის, ამ საკითხისთვის, როგორც ჩანს, ვერც „ხმა კახეთისას“ კორესპონდენტებს აუვლიათ გვერდი და მსოფლიოს ტკივილი ავტორს ერთი პატარა ფოთოლისთვის უთქმევინებია. ცხოვრების დასასრული კი მოკლედ და ნათლად არის გადმოცემული მინიატურის ბოლოს: „ ერთხელ როდესაც სევდამ შემიპყრა, ტყეს ვეწვიე, ჩემსავით სევდიანს და ნაცნობ ხესთან ნაცნობი ფოთოლი დავინახე... ჩამოვარდნილიყო გამხმარი, გაყვითლებული... ტყე კი წარბს არ ირხევდა და ნაღვლის გამომხატველი სახით ცას გაჰურებდა“... [„ვინმე“ 1915].

„ხმა კახეთისაში“ მწერალისა და პულიცისტის, სანდრო შანშიაშვილის მოთხრობა, „სურათი ქიზიყელთა ცხოვრებიდან“ გამოქვეყნდა. ავტორი ამხანაგს თანასოფლელ სეოს ამბავს აყოლინებს, რომელსაც ღარიბი ოჯახის შვილი, ნუცა უყვარდა, მშობლებმა კი არ შეართვევინეს - „მაგისთანა ცარიელ-ტარიელს ჩვენს ოჯახში არ შემოვუშვებთ, რძლათ არ გავიხდითო“ და ცოლად მეზობელი სოფლიდან, მდიდარი ოჯახის ქალი მოაყვანინეს. მოთხრობის მიხედვით ნუცაც გათხოვდა, მაგრამ მალე მისი ქმარი ომში წაიყვანეს, თავად კი დროებით მშობლებთან დაბრუნდა. სეო ნუცას რამდენჯერმე შეხვდა და არშიყობა დაუწყო. ქალმა ქმარს მისწერა ამის შესახებ, შაქრო უფროსობას რამდენიმე დღით დაეთხოვა და სოფელში დაბრუნდა, რამაც სეო ძალზე შეაშინა, ეგონა, მის მოსაკლავად ჩამოვიდა. სეო და შაქრო თანასოფლელებმა შეარიგეს, რის შემდეგაც შაქრო კვლავ ფრონტზე დაბრუნდა,



სეოს კი ამხანაგები ამის შემდეგ ოინებს უწყობდნენ და დასცინოდნენ.[შანშიაშვილი, 1915].

გაზეთში თავის მოთხრობას „მახინჯი ნანობს“ ფსევდონიმით „მიშ“, სანდრო შანშიაშვილის მამა, ილია შანშიაშვილი აქვენებს, სადაც „სიტურფე“ და „სიმახინჯე“, თავ-თავის „შესაფერს“ ეძებენ, მაგრამ ვერ პოულობენ. [„მიშ“, 1914].

„ხმა კახეთისაში“ დაიბეჭდა სამსონ ფირცხალავას პატარა მოთხრობა „ფიქრები, მხოლოდ ფიქრები“, რომელსაც დართული აქვს ფსევდონიმი „სიტყვა“. ეს ნოველა თავდაპირველად „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებულა. ავტორი ნაწარმოებში ცხოვრების მიმართ თავის ტკბილ-მწარე განცდებს გამოხატავს, თუმცა, მისი აზრით, ყველაზე ძლიერი გრძნობა, სამშობლოდან შორს მყოფ ადამიანს თავის ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ ეუფლება ხოლმე: „გრძნობიერს გულს ბევრი განუცდია სიმწარე და სიამე, მიტირნია საშინლად უძვირფასესის განძის დაკარგვისათვის, მიცინია ტკბილათ, გულს განუცდია ულამაზესი გრძნობანი, მაგრამ ჩემს ცხოვრებას არ ახსოვს ისეთი ძლიერი, მოზღვავებული, უსაზღვრო, დიადი საამო ნეტარება, რომელიც განვიცადე სამშობლოში დაბრუნების გამო. არ შემიძლია ამას სახელი ვუწოდო, მივცე გარკვეული სახე - ეს რაღაც მთვრალი ბურუსია, ოცნებათა სამეფოში გადასვლა, სიტკბოება დაუსრულებელი!“ [ფირცხალავა, 1913]. ალბათ ძნელია ნოსტალგიით გულავსებული ადამიანის სამშობლოში დაბრუნების სიხარულის ამაზე უფრო ღრმად და მრავალფეროვნად გამოხატვა.

გაზეთი, როგორც ვნახეთ, ხშირად აქვეყნებდა სხვადასხვა პერიოდული ორგანოებიდან ამოღებულ მასალებს, მათ შორის მოთხრობებსაც. ერთ-ერთი მათგანი ივანე გომართელს ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ დაუბეჭდავს. მოთხრობას „დაწყველილი დღე“ ჰქვია და ექიმი ილარიონის ამბავ გადმოსცემს, რომელიც ავადმყოფებთან დადის, მაგრამ ყველა ისეთი გაჭირვებულია, რომ მეეტლის გასასტუმრებელ ფულსაც ვერ აძლევენ. ილარიონი ბოლოს ერთ-ერთ ავადმყოფთან მიდის, რომელსაც ორ დღეში ერთხელ ნახულობდა ხოლმე და გასამრჯელოსაც იღებდა, ახლაც იმ იმედით მივიდა, რომ ეტლის ქირას მაინც გაისტუმრებდა, თუმცა პაციენტი უკვე გარდაცვლილი დახვდა. სწორედ ამიტომ ჰქვია ამ მოთხრობას „დაწყველილი დღე“. [გომართელი, 1914].

გაზეთის №37-ში გამოქვეყნდა სანგანიძის (სანდრო გრძელიშვილი, გაზეთ „სახალხო საქმის“ მუდმივი თანამშრომელი) მოთხრობა „ქვითინებს დედა!“ რომელსაც მითითებული აქვს, რომ ნამდვილ ამბავს შეეხება. ერთ ღარიბ ოჯახში დედა და ოთხი შვილია დარჩენილი, თუმცა, ორი უფროსი ვაჟი რეაქციის წლებში დაეღუპა, დარჩა უმცროსი ქალ-ვაჟი, თამრო და ვანო. ვანო მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულების ბრალდებით დააპატიმრეს, რომლის დარდმაც თამრო ლოგინად ჩააგდო, ისიც თანდათან დასუსტდა და დედის ბევრი მცდელობის მიუხედავად, მალე გარდაიცვალა. ამან დედა საბოლოოდ მოტეხა და გაანადგურა. ცოტა ხანში კი გადასახლებული ვანოს სიკვდილის ცნობაც მოვიდა, რაც მეზობლებმა მწუხარებისგან ჭკუიდან შეშლილ დედას აღარ შეატყობინეს. ეს ამბავი ავტორმა მხატვრულად და მთელი სიმძაფრით გადმოგვცა, ყველაზე მძიმე კი ის არის, რომ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ ნაწარმოებში ნამდვილი ამბავია გადმოცემული, სადაც აუტანელ სიღარიბესთან ერთად ბედის უკუღმართობა - ოჯახის სრული განადგურება ჩანს. [სანგანიძე, 1913].

„ხმა კახეთისაში“ გამოქვეყნებული ლიტერატურული მასალები ხშირად რეალურ ცხოვრებას ასახავს, ან ცხოვრებისეულ პრობლემებს გამოხატავს. პატარა ესკიზი „კურდღელი“ სწორედ ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება. მისი ავტორის ფსევდონიმია „ენტე“, რომლის უკანაც ეგნატე მენტეშაშვილი დგას. მოთხრობაში ავტორი ბოსტანში შეპარულ კურდღელთან ბოსტნის პატრონის საუბარს ასახავს. პატრონი კურდღლის მოკვლას აპირებდა, როდესაც მან ხმა ამოიღო და კაცს მიმართა, თოფს რისთვის მესვრიო? - მემამულემ ჰკითხა - შენ რიდასთვის მინადგურებ ჭირნახულსაო? - სწორედ ამას მოჰყვა კურდღლის მონოლოგი, რომელიც ადამიანს თვითგადარჩენის ინსტიქტებსა და არსებობისათვის ბრძოლაზე ესაუბრება. ავტორი კურდღლის პირით ადამიანების ბოროტებასა და გაუტანლობაზე საუბრობს, თუმცა ამის მიზეზად სწორედ არსებობისათვის ბრძოლას ასახელებს: „ჩვენ, უტყვევ გვდევნით, როცა ჩვენ ვზრუნავთ არსებობისათვის, ძალებს გვისევთ, სათითაოდ გვიმეტებთ, სადაც შეგხვდებით გვხოცავთ და თვით თქვენ მეტყველნი კი, ადამიანები ათასჯერ უმეტეს დამნაშავენი ხართ ამავე არსებობისათვის ბრძოლაში... აბა ფხიზელის თვალთ ჩაუკვირდით თქვენს ადამიანურს ცხოვრებას და მაშინ

დაინახავთ, რომ ძმა ძმას აღარ სცნობს, მოყვარე მოყვარეს კარგავს, მეზობელს მეზობელი სძულს ერთს მეორე ადამიანი კაცად აღარ მიაჩნია და მერე ეს რათა ხდება? აბა მიბრძანეთ! იმისთვის, ჩემო ბატონო, რომ თქვენც იბრძვით არსებობისათვის. ეს საერთო ბრძოლაა ცხოვრებაში.“ კურდღელი ბოსტნის პატრონს შეპირდა, რომ თუ ადამიანები ამ ბრძოლაზე უარს იტყვიან, დამყარდება ნამდვილი ადამიანური ცხოვრება, მოისპობა შური და მტრობა, მაშინ ცხოველებიც შორს გადაიხვეწებიან და მათ ზიანს აღარ მიაყენებენ, მაგრამ, ბოლოს კურდღელმა დასძინა: „ აი ბატონო, ხომ ხედავ არსაით გავრბივარ, მესროლეთ! სულ ერთია დღეს თუ ხვალ ისევ ერთ-ერთ თქვენგანის ხელით უნდა მოვკვდე.“ ამ სურათს დიდხანს ვუმზერდი, მწარე ფიქრის შემდეგ შემრცხვა, ვიგრძენ სინდისის ქენჯნა, გადვიგდე თოფი მხარზე და კვალად ჩაფიქრებულმა და თითქმის დაღონებულმა გამოვწიე შინისაკენ. მკითხველო, თქვენ თითონ მიხვდით: - რა მამცნო კურდღელმა.“ [„ენტე“, 1913]. საკითხი, რომელიც მოთხრობის გმირმა კურდღელმა დააყენა, არა მარტო იმ დროს, არამედ დღესაც აქტუალურია და ალბათ არც მომავალში დაკარგავს ინტერესს. ფაქტი კი ის არის, რომ არსებობისათვის ბრძოლაში მართლაც ბევრი უსამართლობაა, ჩვენ ყველანი კი კურდღლის პოზიციაში ვართ.

შემდეგი მოთხრობა კი ზემოთ განხილულისგან განსხვავებით საპირისპიროს ამტკიცებს. „ალალი კაცის ქომაგი ღმერთია“ „მახნიას“ დაუწერია (ფსევდონიმი გაშიფრული არ არის), სადაც მიხეილ გულკეთილაძის ამბავია მოთხრობილი. გულკეთილაძეს კარგი სამსახური ჰქონდა და ჰყავდა საყვარელი ცოლ-შვილი, ის თავს ბედნიერ კაცად თვლიდა. მას ერთი მეგობარი ჰყავდა, რომელსაც უმნიშვნელო ამბავსაც უზიარებდა, მას გაანდო სამსახურის პატარა შეცდომებიც, რომელმაც ეს ამბავი გაზვიადებულად და დამახინჯებულად მიუტანა უფროსს, ამის შემდეგ გულკეთილაძე სამსახურიდან გაათავისუფლეს, მის ოჯახს მალე უკიდურესად გაუჭირდა. ერთ დღესაც გულკეთილაძე ქუჩაში გამოსულიყო, მას გულს დარდი უღრღნიდა, ამ დროს ძირს დაგდებული პორტფელი დაინახა, აიღო და სახლში წაიღო, ეგონა ვინმე ჩინოვნიკს ეკუთვნოდა და შიგ სამსახურის ქაღალდები იქნებოდა. სახლში მისულს პორტფელი ცოლმა გამოართვა და გახსნა, ყველანი გაშეშდნენ, პორტფელი სავსე იყო ფულით. ცოლმა მიხას მკაცრი ტონით ჰკითხა: „სად

იპოვე ეს ფული?! - მიხამ შეხედა ცოლს, მიხვდა იმის აღელვების მიზეზს და ღიმილით უთხრა: - არა, ჩემო პატიოსანო მეუღლე, - შენი მიხა ჯერ ისე არ დაცემულა, რომ ქურდობას მიჰმართოს: ქუჩაში ვიპოვე... აბა ერთი კარგად გასინჯე, ფულის გარდა ხომ არა არის რა კიდევ პორტფელში, - ანიკომ მთრთოლარე თითებით ასწია ფულის დასტები და იმათ ქვეშ იპოვა უბის წიგნაკი. - აი, სწორედ ეგ გვეტყვის, ვის ეკუთვნის ეს სიმდიდრე, - წამოიძახა მიხამ. გადაშალა წიგნაკი და იმის პატარა უბეში იპოვა რამდენიმე სავიზიტო კარტოკვები, ამგვარ წარწერით: „ რომან ანტონის მე მოურავიოვი, უფროსი მოურავი თავად თ - გს მამულებისა, აღდგომის ქუჩა „№ 0“ - მიხომ აიღო პორტფელი, იპოვა მოურავის სახლი და ფული დაუბრუნა. თურმე ეს ფული თავადის ყოფილა, მოურავს ბანკში შესატანად გაატანა და მიხას პატიოსნება რომ არა, თავადიც და მოურავიც უსიამოვნებას შეხვდებოდნენ. მოურავმა გულკეთილაძეს ფულის მესამედი შესთავაზა, რომელიც მას ეკუთვნოდა, მაგრამ მიხამ უარი უთხრა. მეორე დღეს კი თავადისაგან 20 000 მანეთი საჩუქრად და სამსახურის შემოთავაზება მიიღო. ამ მოთხრობით ავტორმა გვითხრა, რომ ამ ქვეყანაზე შურისა და ბოროტების გარდა სიკეთე და პატიოსნებაც არსებობს და რომ „ალალი კაცის ქომაგი ღმერთია“. [„მახნია“, 1913]

„ხმა კახეთისა“ ხშირად აქვეყნებდა სხადასახვა ჟანრის ლიტერატურულ თარგამნებს, მათ შორის მოთხრობებსაც. გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა ლერმონტოვის, ოსკარ უაილდის და სხვათა ნაწარმოებები, უმეტესობას კი ავტორის ვინაობა მითითებული არ აქვს.

ოსკარ უაილდის მცირე ნოველები ჭკუის სასწავლებელი ხასიათისაა, აქ ერთ-ერთ მათგანს „წინასწარმეტყველი“ ჰქვია. მოთხრობაში წინასწარმეტყველი ერთ სასახლეს ეწვია, სადაც ლხინი იყო გაჩაღებული, იქ მას მდიდრულ სავარძელში მჯდომი ყმაწვილი დახვდა, რომელსაც თავზე გვირგვინი ეხურა და ღაწვები ღვინისგან ასწითლებოდა. სტუმარი დაიხარა მისკენ და ჰკითხა. ასეთ ცხოვრებას რატომ ატარებო? - ვაჟმა იცნო წინასწარმეტყველი და უთხრა: მე კეთროვანი ვიყავი და შენ მომარჩინე, აბა სხვაგვარად როგორ ვიცხოვრო? - წინასწარმეტყველი ქუჩაში გავიდა, სადაც ერთ მემავს შეხვდა, მას ერთი ვაჟი ასდევნებოდა და თითქოს თვალეზით სჭამდა, წინასწარმეტყველმა ვაჟს ჰკითხა, მასე მუშტრის თვალით რატომ

უყრებ მაგ ქალსაო? - ყმაწვილმა მიუგო: მე ბრმა ვიყავი და თვალი ამიხილე, მაშ რას ვუყურო? - წინასწარმეტყველი ახლა ქალთან მივიდა და ჰკითხა: არ შეგიძლია პატიოსნად ცხოვრება, ცოდვის გზით სიარულს თავს რატომ არ ანებებო? - შენ ხომ მომიტევე ჩემი შეცოდებანი, ცოდვის გზა კი ისე ტკბილია და სასიამოვნო... წინასწარმეტყველმა ქალაქი დატოვა, კარიბჭესთან ერთ ჭაბუკს შეხვდა რომელიც მწარედ ტიროდა. წინასწარმეტყველი მიუახლოვდა მას და ჰკითხა: რა გატირებსო, ჭაბუკმა შეხედა და მიუგო: მე მკვდარი ვიყავი და შენ გამაცოცხლე აბა როგორ არ ვიტყო? ნოველაში ავტორმა დაგვანახა, თუ როგორ იყენებენ ადამიანები მათთვის მინიჭებულ ამქვეყნიურ სიკეთეს. ჭიშკართან მჯდარი ჭაუჭი კი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ცხოვრების უსამართლობაზე ტირის. უაილდის კიდევ ერთი მოთხრობა, რომელც „ხმა კახეთისაში“ გამოქვეყნდა, არის „სამსჯავრო“, რომელიც თემატურად ზემოთ განხილულ ნოველას გავს. მოთხრობის მიხედვით, ადამიანი გარდაცვალების შემდეგ სამსჯავროზე ღმერთის წინაშე წარსდგა. ღმერთმა კაცს მის მიერ ჩადენილი ცოდვები გაახსენა: „ცხოვრება შენი აღსავსე იყო ბოროტებითა, გულის მაგივრად ქვა გედვა მკერდში, შენ არ იბრალედი არავის და სასტიკად ექცეოდი ყველას, ვინც დახმარებას გემუდარებოდა. უსახლკაროს ბინას არ აძლევდი და შეუბრალეבלად კინწისკვრით გარედ აგდებდი, ლატაკნი გთხოვდნენ მოწყალებას შენ კი ყურს არიდებდი, სარჩო-საბადებელს ართმევდი ობლებს, მამულს უხდენდი მეზობლებს, გზიდან ერეკებოდი ჩემს კეთროვანთა, რომელნიც მშვიდად ცხოვრობდნენ უდბნოში და მადიდებდნენ მე. შენ ბავშვებს პურს სტაცებდი და უყრიდი ძაღლებსა. უდანაშაულო სისხლით წითლად ჰღებავდი დედამიწას, იმ დედამიწას რომლისგანაც შენ თითონ ხარ შექმნილი. საზარელი იყო შენი ცხოვრება. სიკეთის დახსომება შენ არ იცოდი, სიკეთის მაგიერ ყველას ბოროტებით უსწორდებოდი, სათნო ქცევას უსამართლობით აძლევდი პასუხს, ჭრილობებით აწყლულედი იმ ხელს, რომელიც გაჭირვებიდან გიხსნიდა და დაღუპვის გზაზე მდგომს ფეხზე გაყენებდა“... კიდევ მრავალი ცოდვა გაუხსენა უფალმა ადამიანს და უთხრა, რომ ჯოჯოხეთში მოხვდებოდა. - ჯოჯოხეთში ვერ გამგზავნი - მიუგო კაცმა - იმიტომ, რომ ჯოჯოხეთში ვცხოვრობდი. მაშინ სამოთხეში გაგზავნი, უთხრა ღმერთმა. ვერც სამოთხეში გამგზავნი - უპასუხა ადამიანმა- იმიტომ, რომ სამოთხე

ვერსად ვერ წარმომიდგენიაო. [„ხ.კ.“ 1913]. ამ მოთხრობაში ადამიანის სამყაროსადმი დამოკიდებულებაა გამოხატული. თუ კაცი სიცოცხლეში ჯოჯოხეთს ეძებს, ის სიკვდილის შემდეგაც შეძლებს ამ გზის გაგრძელებას, ადამიანმა თუ მოინდომა სამოთხეშიც კი იპოვის ჯოჯოხეთს. კიდევ ერთი დეტალი, რაც შეეხება ოსკარ უაილდის ამ ორ მოთხრობას, ისინი ერთსა და იმავე ადამიანს უთარგმნია, ფსევდონიმით „ხ.კ.“ თუმცა ფსევდონიმი გახსნილი არ არის.

კიდევ ერთი ნათარგმნი მოთხრობა „მტვერი“ ლატვიელ მწერალ, ივ.პორუკს ეკუთვნის, მის თარგმანს კი მიწერილი აქვს „მთიები“. პატარა ესკიზში უგზო-უკვლოდ მოხეტიალე მტვერის ამბავია მოთხრობილი, რომელიც ვერც ცაში და ვერც დედამიწაზე საკუთარ ადგილს ვერ პოულობს. ის ხან ვარდის ფურცელზე ეფინება, ნიავი ხან ნაძვის ტოტებისკენ გადაისვრის, მაგრამ სიმშვიდეს და მოსვენებას ვერსად პოულობს, „ყოველგან ის იყო მხოლოდ მტვერი. ვარსკვლავები ცეცხლეული ქროლვით თავისი გზით მიჰქროდნენ, ის კი, მსუბუქი, დარჩა უკან. მოუსვენრად ჰფრინავდა ის, არ იღუპებოდა, მაგრამ არც სიცოცხლე ჰქონდა მზიური. ოდეს შემოქმედი ჰქმნიდა მსოფლიოს, მტვერი თავის ქედუხრელ სიამაყით ჩამორჩა ბუნებას. მას ჰსურდა ყოფილიყო თავისებური, თვით არსი ქვეყანა. ჭეშმარიტად, დარჩა ერთი თავისებური, შეუპოვარი არარა მტვერი“. მოთხრობის მიხედვით მტვერმა ღამე სასაფლაოზე მდგარ ნაძვის ტოტზე გაატარა. დილით მესაფლავე ახალგათხრლი სამარის ნაძვის ტოტებით მოსართავად მივიდა, ის ტოტი, რომელზეც მტვერი მოფენილიყო, საფლავის პირზე დაჰკიდა, ხოლო როდესაც მიცვალებული სამარეში ჩაასვენეს და მიწას აყრიდნენ, უეცრად საფლავში ნაძვის ტოტი ჩავარდა და მტვერიც ჩაჰყვა. მოთხრობა კი ასე მთავრდება: „იძინე მარადიული ძილით ქვეყანაზე უქმად, უაზროდ მავალო მტვერო“. [„მთიები“, 1914].

„ხმა კახეთისაში“ რადენიმე მოთხრობა ავტორის მითითების გარეშეა გამოქვეყნებული. ერთი მათგანია „ფიქრები სიკვდილით დასჯის შემდეგ“, რომელიც რუსულიდან სანდრო გრძელიშვილს უთარგმნია. მოთხრობა დამნაშავეების სიკვდილით დასჯას შეეხება და ავტორი ამ ქმედების წინააღმდეგ გამოდის. ნაწარმოებში წუთისოფლის ამოებაზეა ხაზი გასმული: „მესაზარია, მესაზარი ადამიანის ცხოვრება... იგი სავსეა ცრემლით, ვაებით, სახრჩობელებით, თვითეულ

ფეხის გადადგმაზე განსაცდელი, უფსკრული ელის და რა ცოტაა საჭირო, რომ ამ უფსკრულში ჩაინთქას, ჩაიღუპოს და ამ ქვეყნად წარიხოცოს, მოისპოს, გააქრეს შენი ხსენება!... იღუმალეების ძაძით მოსილი ხარ შენც თვითონ, ადამიანო! ნეტა როგორ სცოცხლობ, როგორ ჰსიამოვნებ, როგორ იცინი და მხიარულობ, როდესაც იცი, რომ ყოველ წამს განსაცდელი მოგელის! როგორ ეძლევი შვებას, როდესაც იცი, რომ აი ეხლა შენ მხიარულობ და შენს უკან კი სიკვდილი, ყოვლის ჩამყლაპავი სიკვდილი მიმალულა, იკრიჭება და დასცინის შენს გულუბრყვილობას, უზრუნველობას!... ოჰ, რა საბრალო და სასაცილო ხარ, ადამიანო...“ მოთხრობა ისედაც ხანმოკლე სიცოცხლის ფონზე სიკვდილმისჯილი ადამიანის განცდებს ასახავს, როდესაც ჩამოსახრჩობად გამზადებულები უკვე ჩამოხრჩობილებს უყურებენ და იციან, რომ მალე მათაც იგივე მოელით. რა ხდება ამ დროს მათ გულსა და გონებაში? „ნუთუ ესენიც ისეთივე ადამიანები იყვნენ, როგორც ჩვენ? ნუთუ ესენიც ისე ჰფეთქავდნენ, გრძნობდნენ, იცინოდნენ, სტიროდნენ, როგორც ჩვენ?... მორჩა, გათავდა... სუთ!... მოისპო სიცოცხლე, მოისპო ადამიანი! აღარ არის ეხლა საჭირო არც ცრემლი, არც სიმღერა!... უნებურად აძლევ შენს თავს კითხვას: ნუთუ ეს მართლა ასუ უნდა იყვეს? ნუთუ საჭიროა სიცოცხლისთვის სიცოცხლე მოუსპო სხვას, წაართვა.“ აქვე ავტორი მეორე კითხვასაც სვამს - ადამიანი ნამდვილად დამნაშავეა თუ არა, და თუ ასეა, მისთვის სიცოცხლის მოსპობით მათ მიერ მოკლული ადამიანები გაცოცხლდებიან თუ არა. მაშინ რატომ, რა მიზნით ხდება დამნაშავეთა ჩამოხრჩობა? მოთხრობაში იმის შესაებ არის მსჯელობა, შესაძლოა თუ არა მძიმე დანაშაულის ჩამდენის გამოსწორება? აქ კიდევ ერთხელ ავტორი სიკვდილით დასჯას აპროტესტებს დ სიკვდილმისჯილების სულიერ განწყობილებასთან ერთად ამ ფაქტს ქრისტიანული რელიგიიდან გამომდინარეც განიხილავს: „აბა ჩააცქერდით მათ სახეში სახრჩობელაზე აყვანამდე, ჩააცქერდით მიმქრალ თვალებში... დაინახავთ, რომ შიგნით დიდი, დიდი მუშაობაა, რამდენი იფიქრეს, რამდენი იტანჯეს ამ უბედურებმა სიკვდილის მოლოდინში! მათ უკვე გამოისყიდეს დანაშაული თავისი ტანჯვით, სინდისმა ისინი დატანჯა და აწამა, მთლად გარდაქმნა, გადაასხვაფერა და როცა შეიგნეს ჭეშმარიტება, შეიგნეს სიცოცხლის ფასი, როცა მზად არიან დაუბრუნდნენ ცხოვრებას გარდაქმნილნი, მათ ამის ნებას არ აძლევენ და ძალით,

უხეში ხელით ჰგლეჯენ, უსპობენ სიცოცხლეს...“ დასჯის დღეს კი „ძმობა? ერთობა? სიყვარული?... აი, რისთვის შევკრებილვართ, აი რისთვის მოგვიყრია თავი... რომ ვუყუროთ, როგორ ახრჩობენ ჩვენს ძმებს... განა ამის ნახვა შეჭვერის ნამდვილ, გულწრფელ ქრისტიანს?...“, [გრძელიშვილი, 1919]. გაზეთში კიდევ ერთი უავტორო თარგმანია რუსულიდან, რომელიც ივანე სირამეს გადმოუთარგმნია. მოთხრობას „მოულოდნელი გაჩხრეკა“ ჰქვია, მისი შინაარსი კი ასეთია: ცოლის მიერ „დამონავებული“ ქმარი ეჭვობს, რომ ცოლი ღალატობს, მაგრამ შიშით კითხვას ვერ უბედავს და დახმარებას მეგობრებს სთხოვს. ისინიც, ვითომ პოლიციიდან არიან, მის სახლს გაჩხრეკენ, ცოლის ოთახში კი საყვარლის გამოგზავნილ წერილებს იპოვიან და თან წაიღებენ, შემდეგ კი, როგორც ოჯახის უფროსს, კაცს გადასცემენ. რამდენიმე დღის შემდეგ კი დამწუხრებული მეგობარი ისევ მათ მიმართავს და ეუბნება: ჩემმა ცოლმა წერილები გამომტაცა და ცეცხლში შეყარა, მე კი არ წამიკითხავს ისინი და დამამტკიცებელი საბუთებიც არ მაქვს, იქნებ ხელმეორედ გაჩხრიკოთო.- მეგობრებმა კი მიაფურთხეს მას და სამუდამოდ დაშორდნენ. [გრძელიშვილი, 1913].

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ უცხო ქვეყნების ლიტერატურიდან ნათარგმნ ნაწარმოებებში მხოლოდ იმ ქვეყნებისა და ხალხების ცხოვრება არ აისახება, მისი მთარგმნელებიც და რედაქციაც ალბათ გულმოდგინედ არჩევდნენ ამ მასალებს, რათა ქართველი მკითხველისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო. ყველა მოთხრობაში საყოველთაო, ზოგადსაკაცობრიო საკითხებია დასმული, რომლებიც აქტუალობას არცერთ ქვეყანას და ეპოქაში არ კარგავს.

გაზეთ „ხმა კახეთისას“ ფურცლებზე პერიოდულად სცენები და პიესები ქვეყნდებოდა, რომლებსაც ხშირად ადგილობრივი თეატრალური დასები დგამდნენ. რამდენიმე ნომერში დაიბეჭდა ოპერა „ხაპხაპას“ სცენები, რომლის ავტორიც „დემონია“ (ილო მოსაშვილი, გაშიფრა გ. ჯავახიშვილმა). მოქმედება მაშინდელ სიღნაღის მაზრაში -ჭოტორ-მადარო-ნუკრიანში ვითარდება. პირველი სცენა ეკლესიის გალავანთან, ანდრონიკ „ხაპხაპიელის“ საფლავთან ვითარდება, სადაც მისი მიმდევრები მიდიან და მათ მოძღვარს მადლობას სწირავენ. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იქ მისული ადამიანები „ხაპხაპიელის“ ბოროტი სურვილების შემსრულებლები არიან, ისინი წინამძღოლს ასე მიმართავენ: „ ჩემო სათაყვანებელო,



წმინდა მოძღვარო ანდრონიკ ხაპხაპელო! შენ ჩამინერგე ჩემს ნორჩ გულში მოძმეთა სიძულვილი, მეზობელთადმი შური, მტრობა, ღალატი და გაუტანლობა! მთავრობის წინაშე სიცრუე და თვალთ-მაქცობა, შეუგნებელ ჩვენ მოქალაქეთა საქმეებში დაუდევრობა, მათი ქონების უაზროთ გაფლანგვა და სხვა და სხვა. შენვე შემაჯავრე ყოველივე კეთილისადმი მისწრაფება და ტანჯულობა და დაჩაგრულობა სიბრალული! შენ დამაყენე იმ ბრძოლის გზაზე, საიდანაც ბრუნდებიან ან დამარცხებულნი და ან ქვეყნისგან დაწყევლილნი და შეჩვენებულნი.“ მეორე მოქმედება კი სკოლის დარბაზში მიმდინარეობს, სადაც მაუდგადაფარებულ მაგიდაზე ანდრონიკ „ ხაპხაპელის“ სურათი საპატიოდ დაუდგამს. აქაც მისი მიმდევრების სამადლობელი მიმართვებია. სცენებში „ხაპხაპელის“ მიმდევართა დიდ არმიასთან ერთად ხორც მონაწილეობს, რომელიც „ ხაპხაპელს“ აგრეთვე ხოტბას ასხამს. საბოლოოდ მთელი ოპერა, როგორც სცენაშია გადმოცემული ანდრონიკ „ ხაპხაპელისა“ და მისნაირთა უკუღმართ ცხოვრებას ეხება, რომლებიც დღე და ღამ ცუდის გაკეთებას ცდილობენ და ამით კმაყოფილები და ბედნიერები არიან. [ „დემონი“,1914]

„ხმა კახეთისაში“ „დემონის“ ფსევდონიმით ილო მოსაშვილის „სცენები ბნელეთის დევ-გმირთა ცხოვრებიდან“ დაიბეჭდა. ეს ნაწარმოებიც თავისი შინაარსითა და მოქმედი პირებით ზემოთ განხილულ ოპერა „ხაპხაპას“ წააგავს. აქ მოქმედება ქალაქ „ხაპხაპკენდის“ ციხის ეკლესიის გვერდით მიმდინარეობს. აღნიშნული პიესის სცენაც კახეთში ვითარდება, რადგან აქ მოხსენიებულია სოფელი „წნორიანი“ და თავად „წნორიც“. მონაწილეთა სახელები და გვარებიც მათთვის შესაფერისი შეურჩევია ავტორს, რაც მათ კარგად ახასიათებთ. სცენის მონაწილენი არიან: „მელა ქათამამე- ცოტათი დაბალი, გაქუცული, ქერა გრძელი ულვაშებიანი, მუდამ დაბლა მაცქერალი, მძიმეთ მოსიარულე, სოფლის მოხელეების წურბელა, გაიძვერა, გაწვრთნილი და გამწვრთნელი ქანქარის შეძენაში.

მოსე მწერალი- მაღალ-მაღალი, სხვის ხარჯზე მოქეიფე სოფლის წურბელა.

ქევხა ნადირი - შუა ტანის ჩასხმული, გარეგნულად დარბაისელი, ნამდვილი გვალაძუა, ეშმაკი, ყველა შავი ძალების მეგობარი, უფროსების მორჩილი, ღარიბ-ღატაკთა დამჩაგვრელი.

კლემანკო ყბედაძე - შუა ტანისა-ჩასხმული, მოინტელიგენტე ახალგაზრდა, ოპოზიციისათვის ოპოზიციონერი, ქარაფშუტა ორატორი, უპრინციპო, მოუმწიფებელი ფილოსოფოსი, ბარაქალობისთვის სხვის იარაღი, მყვირალა“.

სცენაში მონაწილეობდნენ ბნელეთის მცხოვრებნი: ბნელეთის დევ-გმირთა დამქაშები, მათი მსხვერპლნი და ბნელეთის აღმადგენელ-მებრძოლი ძალები. მთელი პიესის მანძილზე ბნელეთის ბოროტ და კეთილ ძალებს შორის ბრძოლა მიმდინარეობს, ცალკე ბნელეთის დევ-გმირების ინტრიგები და ცალკე დევი ბრძოლაძე და მისი მომხრეები, რომლებისაც ბნელ ძალებს ეშინოდათ. ორმხრივ ბრძოლას დასასრული არ აქვს, ეს სცენაც რეალობასთან ახლოს დგას, იმ რეალობასთან, რომელშიც იმ პერიოდში ავტორს უხდებოდა ცხოვრება. [„დემონი“ 1915]

კიდევ ერთი პიესა, რომელიც „ კარდენახელის“ ფსევდონიმით კ.გულიაშვილმა გამოაქვეყნა, არის „რედაქტორი უბედურია“, რომელიც გაზეთის სამ ნომერში გრძელდება. მისი მონაწილეები არიან: რედაქტორი-გიორგი შაქოიშვილი, კოტე-რედაქციის თანამშრომელი, სანდრო-კორესპონდენტი, შიბრია-16 წლის პოეტი, ბოქაული, ჟანდარმი და მოქალაქეები. სცენა სარედაქციო ოთახს წარმოადგენს, სადაც შოთას, ილიას და აკაკის სურათებია ჩამოკიდული. გიორგი რედაქციაში შემოსულ ლექსებს კითხულობს და გულმოსული ამბობს, რომ რედაქტორისთანა უბედური ადამიანი ქვეყანაზე არ იქნება. მეორე გამოსვლაში რედაქციაში ერთი ქალი მიდის, რომელიც გიორგის ეუბნება, რომ ქმართან გაყრას აპირებს და მას ეს ამბავი გაზეთის საშუალებით უნდა შეატყობინოს. მესამე გამოსვლა რედაქციაში რედაქტორის მიერ დაწუნებული ლექსის ავტორის სტუმრობით იწყება. შიბრია (ლექსის ავტორი) გიორგის ეკითხება, თუ რატომ არ დაიბეჭდა მისი ლექსი, რედაქტორი უხსნის, რომ ლექსი არ იყო მხატვრული ღირებულების. პოეტი უკმაყოფილო მიდის რედაქციიდან. შემდეგ გამოსვლაში რედაქციაში მოქალაქე ხახაშვილი მიდის და მის საწინააღმდეგოდ გამოქვეყნებული ბრალდებების საპასუხო წერილის დაბეჭვდას ითხოვს. მან იმხელა წერილი მიიტანა, გაზეთის ოთხ ნომერშიც არ დაეტეოდა, ამიტომ ნაწერის შემოკლება სთხოვეს, რაზეც ავტორი არ დათანხმდა, ამას შეხლა-შემოხლა მოჰყვა. ამასობაში ოთახში ბოქაული და ჟანდარმები შემოდიან და

რედაქტორს ეუბნებიან, რომ გაზეთის მეთაური წერილის გამო ან ჯარიმა, 200 მანეთი უნდა გადაიხადოს, ან ერთი თვით ციხეში ჩასვავენ-და გაჰყავთ გიორგი. კოტე (მუდმივი თანამშრომელი) ხახაშვილს აგდებს რედაქციიდან და ფიქრობს: ყოველი რედაქტორი უბედური თუ არ არის, არა მგონია, ბედნიერი მოიპოვებოდესო. სცენაც კოტეს სიტყვებით სრულდება: „ხომ ხედავთ ბატონებო-მოზრდანი და ეხლა ირედაქტორეთ“. [„კარდენახელი“, 1914]

როგორც ჩანს, ავტორებმა ეს სცენები ნაწილობრივ რეალური ცხოვრებიდან აიღეს, რადგან მოქმედება მაშინდელი სიღნაღის მაზრის სოფლებში მიმდინარეობს. გაზეთში გამოქვეყნებულ სხვა მასალებთან ერთად, აღნიშნული ნაწარმოებები იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მათ ხშირად ადგილობრივი თეატრალური დასები დგამდნენ ხოლმე.

გაზეთი თავისი არსებობის ოთხი წლის მანძილზე აქვეყნებდა რუბრიკას „პატარა ფელეტონი“, რომელიც მცირე ზომის პროზაულ ნაწარმოებებს წარმოადგენდა. რუბრიკას ერთი ავტორი არ ჰყავდა, მაგრამ მას რამდენიმე მუდმივი კორესპონდენტი უძღვებოდა. „ხმა კახეთისაში“ პირველი ფელეტონი მესამე ნომერში „კარდენახელის“ ფსევდონიმით იბეჭდება, რომელიც კ. გულიაშვილს ეკუთვნის[მიქაძე, 1984-84, 116]. გაზეთში სხვა ნაწარმოებებთან ერთად მისი ორი ფელეტონი გამოქვეყნდა. ერთ-ერთი მათგანია „ხელ-ფეხნი გაიფიცნენ“. ფელეტონში ახალგაზრდა ნადიას ერთი საღამოს ისტორიაა მოთხრობილი, როცა ის სეირნობიდან სახლში გვიან დაბრუნდა, დედა ჩაძინებული დახვდა, თავის ოთახში ჩუმად შევიდა, საწოლზე დაწვა თუ არა მაშინვე ჩაეძინა და საშინელი სიზმარი ესიზმრა: თითქოს მისმა ხელ-ფეხმა მუშაობაზე უარი თქვეს იმ მიზეზით, რომ ნადიას ლამაზი „მანტეკლერის“ კაბა მათ ბოჭავდა და მოძრაობაში ხელს უშლიდა, ხელ-ფეხმა ნადიას თავი დაანებეს და კარისკენ წავიდნენ. ახალგაზრდა ქალმა ლამაზი კაბა სწრაფად დახია და კიდურებს თავის ადგილზე დაბრუნება სთხოვა, თუმცა ფეხებმა კვლავ უარი განუცხადეს, ამასობაში შეშინებულ ნადიას გამოედვიდა, რასაკვირველია, ხელ-ფეხიცა და „მანტეკლერის“ კაბაც თავის ადგილზე დახვდა. [„კარდენახელი“, 1912].

გაზეთში, რუბრიკა „პატარა ფელეტონში“ გულიაშვილის ერთი ლექსი გამოქვეყნდა. პოეტური ფელეტონით ავტორი იმ დროის სიღნაღის მმართველს, ე.წ.

„ქალაქის თავს“, ენიკოლოფოვს აკრიტიკებს და არჩევნების გაყალბებაში ადანშაულებს, ლექსს „კაპიკის ფასი“ ჰქვია:

„კაპიკი- ერთი, იწამეთ ღმერთი,  
მხოლოდ ეს არის ეხლა ფულიო  
ენიკოლოფოვს, სიღნადის თავსა,  
თურმე „კაპიკით“ უდგა სულიო-  
იკითხავთ ყველა, „კაპიკით“ შველა  
როგორ იქნება და რა გზითაო?!  
როდესაც მასა, ქალაქის თავსა,  
გოგრა აქვს სავსე სქელ ტვინითაო?  
დასამტკიცებლად, რომ ამ გოგრაში  
ყოფილა ჭკუა, რომ არ გვეგონა,  
რა უცნაური, დამიგდეთ ყური,  
საშუალება მან მოიგონა:  
მოვიდა დრონი, ახლა კი მგონი  
შემოიტანენ ფულს კასაშიო!  
ვინც არ მოიტანს ხმა არ ექნება  
გოლოვობისა არჩევანშიო.  
ვინცა მყავს მტერი, რომ შემოიტანს  
გარდასახადსა სრულად ფულსაო,  
„კაპიკს“ დავტოვებ, არ გამოვართმევ,  
მით დავუკარგავ იმას ხმასაო!  
ესეც მოიქცა ქალაქის თავი,  
რომ არ გვეგონა იგი ჭკვიანი,  
ეხლა ხო ნახეთ, კარგათ შეიგნეთ,  
რომ ფული არის „კაპიკიანი!“

[„კარდენახელი“, 1913].

ავტორს ამ ფელეტონით იმ დროის ქალაქის ხელმძღვანელობის ნაკლოვანი მხარეები სააშკარაოზე გამოაქვს, ამასთან ერთად, ადამიანებს მიანიშნებს, თუ რა საქმის გაკვეთება შეუძლია ერთ კაპიკსაც კი.

„ხმა კახეთისაში“ „პატარა ფელეტონის“ რუბრიკის ქვეშ რამდენიმე ნაწარმოები გამოუქვეყნებია კაჭრეთელ ილო ბაზიერაშვილს. ავტრი გაზეთში სახელით „ი. ბაზ“ იბეჭდებოდა. საინტერესოა მისი ერთ-ერთი ფელეტონი „ფირფიტა“, რომელსაც სათაურის ქვეშ მიწერილი აქვს „ვუძღვნი პატარა ქართველებს“. ფელეტონში პატარა ბიჭი ჰყვება, თუ როგორ შეიყვანეს სკოლაში და როგორ მიუხაროდა სასწავლებლისკენ: „ნეტა მასწავლებელი მაჩვენა-მეთქი ვიტყოდი ხოლმე გულში და აი, ნატვრა ამისრულდა, მამა-ჩემმა გადაწყვიტა ჩემი სკოლაში გაგზავნა და დღეს კიდევაც წამიყვანენ. მზე ამოსული არ იყო, როცა მე და მამა გზას დავადექით, წინ მამა მიდიოდა, მე კი უკან შვლის ნუკრივით მივხტოდი. ჩვენი სახლიდან სკოლამდე ოთხი ვერსია, თუმცა მე ბევრ სიარულს შეჩვეული არ ვიყავი, მაგრამ სიხარულის გამო ოთხი ვერსი ისე გავიარე, რომ სრულიად არ დავდლილვარ“. მასწავლებელთან გასაუბრების შემდეგ (მის რუსულს სხვა მასწავლებელი უთარგმნიდა) მამა სახლში დაბრუნდა, ბიჭი კი საკლასო ოთახში შევიდა, სადაც არცერთი ბავშვი ხმას არ იღებდა. როგორც ავტორი ბავშვის პირით ყვება, მასწავლებელი მთელი გაკვეთილის განმავლობაში რუსულად საუბრობდა, რის გამოც მოსწავლეებმა ვერც ერთი სიტყვა ვერ გაიგეს. შესვენებაზე გარეთ გამოსული ბავშვებიდან ერთ-ერთს, რომელიც ქართულად საუბრობდა, ერთი ბიჭი მიეპარა და კისერზე მედალივით ფირფიტა ჩამოჰკიდა. მას ხუმრობა ეგონა, მოიხსნა ფირფიტა და გადააგდო, რის გამოც მოსწავლე მასწავლებელს მიუყვანეს, თურმე ამ სკოლაში ასეთი წესი ყოფლია: ვინც ქართულად დაილაპარაკებდა, ფირფიტას ჩამოჰკიდებდნენ კისერზე და თუ ბავშვი გაკვეთილების დამთავრებამდე ფირფიტას არ „გაასაღებდა“ (სხვა მოსწავლე უნდა გამოეჭირა ქართულად საუბრის დროს და მისთვის ჩამოეკიდა ფირფიტა), უნდა დარჩენილიყო და კლასები გაეწმინდა, შეშა დაეჭრა და წყალი მოეტანა. ამ შემთხვევაში მოსწავლეს აპატიეს, რადგან ახალი გადმოსული იყო სკოლაში და აქაური წესები ჯერ არ იცოდა. მეორე დღეს კი მსგავსი სასჯელი ჩვენს მთავარ გმირს არ ასცდა. „უკანასკნელი გაკვეთილი იწყებოდა - ჰყვება ის - სკოლის კარებთან

ვიდექი მოუთმენლად ზარის დარეკვას ველოდებოდი, მიხლოდა ფირფიტა თავიდან ამცდინა. მთელი დღე ვატყობდი, რომ ერთი ფირფიტიანი ბიჭი თვალყურს მადევნებდა, უნდოდა ფირფიტა ჩამოეკიდა ჩემთვის, მაგრამ მე სულ მთლად დავმუნჯდი და მიზანს ვერ მიხვია. ბოლოს შეჩვენებულმა ფირფიტაიანმა სხვა ხერხს მიჰმართა, პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა - „აქ რას უდგახარო“ - მითხრა და კოხტა სილაქი მაჭამა. „ვაიმე დედა!“ - დავიძახე და დავიწყე ტირილი. მე ვტირი და ფირფიტაიანი ფირფიტას მკიდებს კისერზე, ეს რომ დავინახე, უფრო ვუმატე ღრიალს. „მასწავლებელი“ მობრძანდა და მითხრა: „დღეს უსადილოდ იქნები, ქართულად ტირილი არ შეიძლება“. დასჯილი ბიჭი სახლში დაღამებულზე მივიდა, თან ფიქრობდა, როგორ ვისწავლო რუსულად ტირილიო, დილით კი დედას ეხვეწებოდა - სკოლაში ნუ გამგზავნიოთ. [„ი.ბაზ“, 1912].

ამ ფელეტონით ავტორი საქართველოში რუსული ენის გაბატონებულ მდგომარეობასა და ეროვნულ საფუძვლზე სწავლა-განათლების არარსებობაზე წუხს, მოთხრობაში მწვავედ დგას საკითხი - როგორ უნდა ისწავლოს ბავშვმა ქართული, როცა სკოლაში ქართულად ტირილსაც კი უკრძალავენ და რუსულად ტირილს სთხოვენ. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ავტორები „ხმა კახეთისას“ ფურცლებზე მშობლიური ენის მიმართ გამოჩენილი უყურადღებობისა და ქართული ადათ-წესების გადავიწყების გამო ხშირად ჩივიან.

გაზეთში, „პატარა ფელეტონის“ რუბრიკის ქვეში, სათაურით, „მწარე სინამდვილე“, წამდენიმე წერილი „ქრისტიანს“ გამოუქვეყნებისა. (ფსევდონიმი გამიფრული არ არის). ნაწარმოებში რეალური პრობლემებია განხილული. ერთ-ერთი ფელეტონია „წმინდა ნინობა“, სადაც უცნობი ავტორი მისთვის მტკივნეულ საკითხს ეხება, ამისათვის კი მას საკმაოდ მწარედ და პირდაპირ უწევს საუბარი: „მე ბევრი მინახავს, ბევრი მსმენია, ბევრი შავი დღეც გამომივლია, ჩემს თავს რაღა არ გადაჰხდენია? - წისქვილის ქვა არ დაბრუნებულა, თორემ სხვა ყველაფერი გამოცდილება კარგი მაქვს. იმ თავიდანვე მიყვარდა გამეცნო ჩემი თავი, სხვები და რამდენათმე მივალწიე კიდევ ჩემს მიზანს. მე ჩემი ფილოსოფია მაქვს მსოფლიოზე, სიცოცხლეზე და კერძოთ ადამიანზე. მაგრამ ერთი დიდი ნაკლიც მაქვს, ბარემ ვიტყვი ეხლავე, - მიყვარს პირში სიმართლის თქმა და მაგარიც ეს გახლავთ, რომ

პირში მიხლება მართალი არავის მოსწონს. ათ ნაცნობში ცხრა მტრად მყავს გადაქცეული: ყველა ეჭვის თვალით მიყურებს, ამას ვინ ჩივის, ყურშიც მაგონებენ: „დახე, დახე, კაცო, მღვდლების ცოდვასაო“, „აფრაკა, ბუზებიანი, მსუბუქი“ და ვინ იცის რაღას არ მეძახიან. ეჰ, იმ ანდაზისა არ იყოს: „ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“. დეე, ვისაც როგორ ჰსურს, ისე ილაპარაკოს ჩემზე, მე კი ჩემსას მაიც ვიტყვი, დავწერ... ათში ერთიც რომ გამიხდეს თანამოაზრე, ესეც კმარა“.

„ქრისტიანი“ თავისი ნაცნობისგან კიევიდან მიღებული წერილის შესახებ ჰყვება, სადაც 14 იანვარს, წმინდა ნინოს დღის აღნიშვნის ამბავია გადმოცემული. როგორც ავტორმა შეიტყო, კიევში, სამების ეკლესიაში, ნინობასთან დაკავშირებით წირვა-ლოცვა ქართულად აღევლინა. მონასტერში დიდძალი ხალხი მისულა, როგორც ქართველები, ასევე რუსებიც. წირვაზე ქართველ სტუდენტთა გუნდს უგალობია, ქართულად გადაუხდიათ პარაკლისიც, შემდეგ კი ქართველ სტუდენტს, ფილიპე სირაძეს, რუსულად გაუცვნია შეკრებილთათვის წმინდა ნინოს მოღვაწეობის, მამულისა და ქრისტეს რჯულის დასაცავად ქართველების მედგარი ბრძოლის შესახებ. „ყოველ ქართველს ომში ერთ ხელში ჯვარი ეპყრა, მეორე ხელში ხმალი. წმინდა ნინო, წმინდა მოწამე დედოფალი ქეთევანი და წმინდა თამარ მეფე, აი სამება და სიქადული საქართველოს ყოველ ჭეშმარიტ ქართველისა...“ წერილის მიხედვით, რუსებს ძლიერ მოსწონებიათ ქართულად წირვა და გალობა, ქართველთა დიდებული წარსული და თურმე ქართველებს ეკითხებოდნენ, თუ სად იყო დაკრძალული წმინდა ნინო, როგორ აღნიშნავდნენ საქართველოში ნინობას. სწორედ ამის გამო მიიღო ფელეტონის ავტორმა მეგობრისგან ეს წერილი სადაც სთხოვდა დაწვრილებით მიეწერა ამის შესახებ თუ როგორ იდღესასწაულეს ნინობა საქართველოში. „ქრისტიანს“ გადაუწყვეტია, მეგობარს მწარე სიმართლე მისწეროს და მასაც სთხოვს, იქაურებს ეს სიამრთლე დაუმახინჯებლად გადასცეს. ავტორი ამხანაგს საპასუხოდ აღნიშნულ ფელეტონში სწერს, რომ წმინდა ნინოს დღეობა ადგილობრივად საინტერესო არ იყო. მონასტერში ადგილობრივი მოსახლეობა შეიკრიბა, უნდოდათ წმინდა ნინოს საფლავზე ელოცათ, მაგრამ ვერ მოახერხეს, რადგან წირვა მათთვის გაუგებარ ენაზე (რუსულად) იყო, „მდაბიო მორწმუნეებში ხშირად გაისმოდა წირვის დროს კვნესა: რა არის, ერთი უფალო შეგვიწყალებს მაინც

გაგვაგონონ ქართულად და სხვა...“ავტორი ამხანაგს უყვება, რომ წირვას რუსი მღვდელმთავარი ატარებდა, რომ აქ ქართველი მღვდელმთავრებიც იყვნენ, მაგრამ „ქართველ მღვდელს რუსულად უფრო ეხერხება წირვა, ვიდრე ქართულად. შკუფია-კამილაკის მიღებით გატაცებულნი რუსულად კი არა ოღონდ ეს მთავრობას მოსწონდეს და ინგლისურად სწირენ.“ „ქრისტიანი“ წერს, რომ წირვა 14 იანვარს საქართველოს დედაქალაქშიც რუსულად ჩატარდაო. ის ამხანაგს სთხოვს, მის მიერ მოყოლილი ამბავი შეულამაზებლად გადასცეს იქაურებს, რათა დაინახონ, თუ როგორ გადაგვარდნენ ქართველები: „ჩვენთვის ეხლა სულ ერთია, რა ეროვნებისაც უნდა ვიყოთ ეკლესია ქართული რად გვინდა, როდესაც ღმერთი და ქრისტე დავივიწყეთ, უარ ვყავით, მამული რად გვინდა, როდესაც სამშობლო არა გვწამს. უთხარ სწორეთ და დაიმსახურე მათგან ჯეროვანი, სამართლიანი პასუხი: „ ახი ყოფილა თქვენზე, აღარ ჰყოფილხართ ეხლნდელი ქართველები ღირსნი და წაურთმევიათ კიდევ ის საუნჯე, რომლითაც უამაყნიათ თქვენ დიდებულ წინაპრებს.“ [„ქრისტიანი“, 1914]

ნაწარმოების ავტორი მწარედ განიცდის იმას, რომ საქართველოში ქართული ენა მეორეხარისხოვანი ხდება და ცდილობს, რომ საკუთარი ქვეყნის და ხალხის მანკიერი მხარეები სააშკარაოზე გამოიტანოს , იმიტომ არის, რომ მთელი თხზულება დიდი გულისტკივილითაა გაჯერებული. ამით, „ქრისტიანმა“ როგორც ზემოთ განხილული ფელეტონის („ფირფიტა“. „ხმა კახეთისა“. 1912წ. N14), ავტორმა, ილიკო ბაზერაშვილმა, სცადა, ქართველი ხალხის გამოფხიზლება და გარკვეული ბიძგი მისცა ქართველებს, რათა უფო მეტად დააფასონ მშობლიური ენა.

„მწარე სინამდვილე“ რუბრიკა „პატარა ფელეტონში“ „ქრისტიანის“ ავტორობით რამდენჯერმე გამოქვეყნდა, ყველა მათგანს ცალკე ქვესათაური ჰქონდა. ერთ-ერთი მათგანია ფელეტონი „უპრინციპო“, სადაც მდიდარი მოვახშის, თორნიკეს ამბავია მოთხრობილი. თორნიკე, მოთხრობის მიხედვით, თანასოფლელთა ფულით მას შემდეგ გამდიდრდა, რაც სოფელში ფულის გასესხება დაიწყო. ყველა გაჭირვებული მასთან მირბოდა, თორნიკე კი სარგებელს ერთი ორად იღებდა. მან ცოლად ერთი ღარიბი ოჯახის შვილი მოიყვანა, თუმცა შვილი არ ეყოლა. თორნიკემ სმა და იწყო და თანდათანობით ცოლიც შეაჩვია სასმელს. მალე თორნიკე დაქვრივდა და მეორე



ცოლი მოიყვანა, თუმცა, შვილი არც მასთან ეყოლა. ამბის მთხრობელი წუხს, რომ მევახშის ქონება მისი გარდაცვალების შემდეგ შესაძლოა უაზროდ გათავდეს და გადაწყვეტს, თორნიკეს დაელაპარაკოს: „დავსხედით ბაღში მარტონი, ადამ და ევადან დავუწყე საუბარი, სრულიად უბრალო, გასაებ ენით, ველაპარაკე ღმერთზე, ადამიანზე - მის დანიშნულებაზე, ცხოვრებაზე, ცოდო-მადლზე, სიმდიდრეზე, მის გონივრულად მოხმარებაზე და სხვა. ისეთი აღტაცებით და სიამოვნებით ისმენდა ჩემს საუბარს თორნიკე, რომ გამიკვირდა და იმედი მომეცა, უეჭველად გავიმარჯვებ მეთქი, ამაგრამ როდესაც გადაველ ადამიანის გარდაქმნაზე, მის მეორედ დაბადებაზე, მთლად გამოცვლაზე, რომ ღვთის სასიამოვნებლად და ხალხის სასარგებლოდ ყოველმა კაცმა, ვისაც როგორ შეუძლიან, უნდა კეთილი, უკვდავი საქმე გააკეთოს მეთქი... აქ კი თორნიკემ წარბი შეიჭმუხნა და ისე დაიღრჩა, გეგონებოდათ ყურებს ნემსებით უჩხვლეტენო...“ თორნიკე მიუხვდა თანამოსაუბრეს რისი თქმაც უნდოდა, თუმცა, თავისი ქონების თუნდაც ნახევრის კეთილი საქმეებისთვის მოხმარებაზე უარი განაცხადა. მისი თქმით, სულელია ის ადამიანი, რომელიც თავის ქონებას სხვებს დაურიგებს. „სიკვდილით მაშინებ - შეიძლება ბევრი სიცოცხლე არ მიწერია? ვინ იცის იქნებ ერთ ამდენს კიდევ ვიცოცხლებ, და თუ მოკვდი, მაშინ არც ჩემ ქონებაზე ვფიქრობ... თუნდ მიწაში დამპალა, თუნდ წყალს წაულია, თუნდ შორ ნათესავს, თუნდ სოფელს და თუნდ ეშმაკს, სანამ ცოცხალი ვარ კი, შენ კი არა, ქრისტე ღმერთიც რომ ჩამოვიდეს - ისიც რაიმე „თვალსაჩინო, უკვდავ ქველს საქმეზე“ - როგორც შენ უწოდებ, ვერ დამითანხმებს“. [„ქრისტიანი“, 1914]. ამ ნაწარმოებში სიკეთესა და ბოროტებას შორის არსებული ბრძოლაა წარმოდგენილი. ავტორმა ამ ფელეტონით გვაჩვენა, რომ ბოროტი ადამიანის გამოსწორება შეუძლებელია. დაახლოებით მსგავსი თემატიკისაა „ქრისტიანის“ შემდეგი ნაწარმოები, რომელსაც „რწმენის გამოცვლა“ ჰქვია. ფელეტონში ერთი მორწმუნე კაცის ამბავია მოთხრობილი, რომელსაც სურდა, რომ მისი შვილი ღვთის სამსახურში ჩამდგარიყო. ბავშვიც საოცრად ღვთისმოსავი იყო, გულკეთილი და თავმდაბალი გიორგი სოფელშიც ყველას უყვარდა. ბიჭი სემიანარიაში შეიყვანეს, ის მუდამ იმაზე ფიქრობდა, სემიანარიას რომ დავამთავრებ და მღვდლად ვეკურთხები, მერე რა სარგებლობა შემიძლია მოვუტანო ხალხსო? „ვთქვათ იდეალური მღვდელი ვიქნები,

ხალხში ვიცხოვრებ, თავისუფლად, ხშირად ვიქადაგებ, ხალხს გავაღვიძებ, გავანათლებ, მაგრამ ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვები იქნება. ასეა თეორეტიულად, პრაქტიკა - ცხოვრება კი სულ სხვას გვეუბნება..... იმას არა სჯობია რომ რომ სწავლა გავარძელო, ექიმის კურსებზე წავალ, ხუთი წელიწადი მალე გაივლის, გავხდები ექიმი და დაუბრუნდები ჩემს საყვარელ სოფელს..... უნივერსიტეტს რომ გავათავებ მღვდლად ვეკურთხები - ერთი კაცი ორნაირად ვემსახურები სოფელს: ვიქნები მის სულიერი და ხორციელი მკურნალი“. მართლაც, გიორგი კარგი ექიმი დადგა, ავადმყოფებს უფულოდ სინჯავდა და მათ უფასოდ მკურნალობას სხვა ექიმებსაც სთხოვდა ხოლმე. როდესაც გიორგიმ ცოლი შეირთო, ერთ სამაზრო ქალაქში დასახლდა. როცა მასთან ავადმყოფები მიდიოდნენ, მაგიდაზე თითო მანეთს სტოვებდნენ. დღეში თხუთმეტ მანეთამდე უგროვდებოდა. ახალგაზრდა ექიმი ისე შეეჩვია ფულის აღებას, რომ გადაწვიტა, ანაზღაურების გარეშე არც ერთი პაციენტი აღარ მიეღო. ზაფხულში, თავის სოფელში დასასვენებლად ჩასულ გიორგის მეზობელმა პაციენტის გასინჯვა სთხოვა, მაგრამ ექიმმა გასამრჯელო მოითხოვა. თანასოფლელებმა მისი ქცევის შესახებ მალე შეიტყვეს და აღარავინ ესალმებოდა, თავის მხრივ, გიორგიც აუგად იხსენიებდა მეზობლებს და სოფელიც მალე დატოვა. [„ქრისტიანი“, 1914წ ].

წინა ფელეტონში საუბარი იყო იმაზე, რომ ძნელია ბოროტი და ცუდი ადამიანის გამოსწორება. აქ კი ნაჩვენებია, თუ როგორ იცვლება სიკეთე ბოროტებით, როგორ ცვლის ფული ადამიანს. ბავშვობიდან ღვთის მოსავი და კეთილი გიორგი, რომელიც მუდამ ადამიანებზე ზრუნავდა, ფულის გამო მთლად შეიცვალა და მის მიერ აღებულ ცხოვრების გზას გადაუხვია. ავტორი ამ მოთხრობებით გვიჩვენებს, თუ როგორ ცვლის ადამიანს პატივმოყვარეობა.

გაზეთში კიდევ ერთი ფელეტონი, „მწარე სინამდვილე“ იბეჭდება, რომელსაც თან ერთვის ფსევდონიმი „ლეო“, ჩვენ გავშიფრეთ ეს ფსევდონიმი, რომლის უკანაც ა.ბაბახანიანი დგას. ნაწარმოებში ყოველდღიური რეალობა მხატვრულად არის გადმოცემული. ჩვენთვის უცნობია, არის თუ არა ეს სინამდვილე, თუმცა, იმ პერიოდის ცხოვრების ამსახველია. მოთხრობა სოფლის პეიზაჟის აღწერით იწყება, შემდეგ კი ავტორი თედოსა და მაროს ამბავს ჰყვება, რომლებსაც ერთმანეთი

შეუყვარდათ და დაქორწინდნენ, თედო მანამდე მოჯამაგირედ მუშაობდა, ცოლის მოყვანის შემდეგ კი მოჯამაგირეობას თავი დაანება და მთლიანად ოჯახს მიუბრუნდა. თუმცა, მალე თედომ პატიოსან ცხოვრებაზე ხელი აიღო და ქურდების წრეს დაუახლოვდა. სოფელში ბევრი ცხენი, ძროხა და კამეჩი მოიპარა. შეწუხებულმა თანასოფლელებმა იმსჯელეს და თედო სხვა ქურდებთან ერთად ციმბირში გადაასახლეს. მარო თავიდან ქმარს ელოდებოდა, ბოლოს კი მეზობელი სოფლიდან საყვარელი გაიჩინა. ერთ დამეს მოულოდნელად თედო დაბრუნდა, როგორც მან ცოლს უთხრა, მის უნახავად ვერ ძლებდა და ციმბირის ციხიდან გამოიპარა. მარომ ურჩია, მეზობელ სოფელში რამდენიმე წლით მოჯამაგირეთ წასულიყო, ამასობაში სოფელიც შეეგუებოდა მის დაბრუნებას, დაივიწყებდა თედოს მიერ ჩადენილ დანაშაულს და ძველებურად, სიყვარულით და პატივისცემით მიიღებდა მას. თედომაც დაუჯერა, მარომ ამასობაში თავის საყვარელს გააგებინა ეს ამბავი და სთხოვა, თავისი ქმარი მოჯამაგირედ აეყვანა, ამით მარო და ანდრო თედოს გაკონტროლებას შეძლებდნენ. თედომ მოჯამაგირედ სამი წელი იმუშავა და შემდეგ თავის სოფელში დაბრუნდა. სოფელმა კვლავ მიიღო ის, თუმცა, მაროს საყვარელმა ანდრომ და მამასახლისმა თედო მაზრის უფროსთნ დააბეზღეს და შეატყობინეს, რომ ციმბირიდან იყო გამოქცეული. მაზრის უფროსისაგან მამასახლისმა ბრძანება მიიღო, სასწრაფოდ დაეპატიმრებინა თედო, რათა ის, როგორც წერილში იყო ნათქვამი, ხალხს მარცვავედა ( ამის შესახებ საჩივარი თავად მამასახლისმა შეიტანა). სოფლელებს ჩაფრები მოსავალის ასაღებად არ უშვებდნენ და მთელ დროს სამმართველოს შენობის წინ ატარებინებდნენ. თედო კი ამ დროს მახლობელ სერზე იჯდა და სოფელს თვალ-ყურს ადევნებდა, ის ხედავდა, რომ თანასოფლელებს მომწიფებული მოსავალი უფუჭდებოდათ, ვეღარ გაუძლო ამ ცოდვის ყურებას და თვად მივიდა სოფლის ბოქაულთნ. თედოს საქმის განხილვა ნახევარი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, ბოლოს კი სამხედრო სასამართლომ მას ჩამოხრჩობა მიუსაჯა. მარომ კი ცოტა ხნის შემდეგ სახლი მიატოვა და ანდროსთან გადავიდა საცხოვრებლად. [„ლეო“, 1914წ ]. როგორც ჩანს, აღნიშნული ნაწარმოები წინა ორი ფელეტონის თემატურ გაგრძელებას წარმოადგენს (თუმცა მათ სხვადასხვა ავტორი ჰყავს). ამ ფელეტონში სწორედ რომ „მწარე სინამდვილეა“ ასახული. წარმოდგენილია

გზას აცდენილი, ერთ დროს კეთილი კაცი, რომელიც გამოსწორებას ცდილობს და მის მიერ ადრე გამწარებული თანასოფლელებისაგან პატიებას ელის. ზემოთ მოყვანილი მოთხრობებიდან ერთი გვიჩვენებს, რომ ბოროტება სიკეთეს არ წარმოშობს, მეორეში ნაჩვენებია, თუ როგორ იცვლება ღვთისმომშიში ადამიანი და როგორ ხდება ის ყველასთვის არასასურველი. ამ უკანასკნელი ფელეტონით კი ავტორმა გადმოგვცა, თუ როგორ ცდილობს გზასაცდენილი ადამიანი წესიერი ცხოვრების დაწყებას. ამის დასადასტურებლად, ნაწარმოების ბოლოს, თედოს მიერ სოფლისთვის გაღებული მსხვერპლი შეიძლება მოვიყვანოთ. თუმცა, ეს მსხვერპლი მისთვის სასიკეთო არ აღმოჩნდა, რადგან მას წლების წინ ჩადენილი დანაშაული არ აპატიეს და სოფლის მმართველებმა სიკვდილით დასაჯეს. ამ ნაწარმოებში ნათლად ჩანს, თუ როგორია გარშემომყოფების როლი იმ ადამიანების ცხოვრებაში, რომლებმაც წარსულში დანაშაული ჩაიდინეს. თედო რომ არ დაებაზღებინათ, ის შესაძლოა სამაგალითო მეზობელი, მეგობარი და თანასოფელი ყოფილიყო, თუმცა მას სასამართლომ ამის საშუალება აღარ მისცა.

რუბრიკაში „პატარა ფელეტონი“ აქტიურად წერდა „კვესი“. როგორც ცნობილია ფსევდონიმი იოსებ ყაჭეიშვილს ეკუთვნის [შენგელაია, 2003]. . მან აღნიშნულ რუბრიკაში რამდენიმე ნაწარმოები გამოაქვეყნა. მისი ფელეტონები ირონიული ხასიათისაა და გარკვეულ სარკაზმსაც შეიცავს. ერთ-ერთ ფელეტონს სათაურად აქვს „ახტალა“, რომელიც პატარა ლექსით იწყება.

„კამეჩების ახტალა, სადიდკაცოდ გამხდარა,  
კნეინები ბანობენ, ეს რა საქმე მომხდარა,  
რუსებს სახლი აუგიათ, „ნაჩალნიკი დამდგარა;  
ქალაქიდან წიგნი მოდის - ორიოდე დამხრჩვალა“.

მოთხრობაში კურორტ „ახტალაში“ არსებული ვითარებაა აღწერილი, სადაც სამკურნალოდ მისული ადამიანები ერთმანეთს „ახტალასთან“ დაკავშირებულ სხვადასხვა ისტორიას უყვებიან, თუმცა, საბოლოოდ მაინც ვერ შეთანხმებულან, სასარგებლოა თუ არა კურორტის ტალახი ჯანმრთელობისთვის. ბოლოს კი, პაციენტებმა იქ მისული ექიმიც დაინხეს. ფელეტონი კი ასე სრულდება: „- ეს ვიღა მობრძანდა საბანაოდ?“

- ეტყობა ვიღაც დიდი კაცია.
- ეგ ექიმია, ხშირად ეგეც ბანაობს.
- რას ამბობს, რგებს რამეს ახტალაო?
- ძლიერა რგებს ყველა ავადმყოფობასაო.
- ეე, დამანებე თავი, თუ ღმერთი გწამთ, ჯერ სწორედ არაა გამოკვლეული რასა რგებს და რას არა.

- მოლა ნასრედიანის არ იყოს და... ხალხი რომ მოატყუა ფლავს არიგებენო და თვითონაც გაიქცა... ექიმსაც ასე მოუვიდა, ჯერ ხალხს უჩევდა, იბანავეთ, განიკურნებითო და რა დაინახა ამოდენა ხალხი მოვიდა საბანაოდ, იფიქრა იქნებ მართლა რგებდეს რამესო და თვითონაც დაიწყო ბანაობა... ხა...ხა...ხა...“ [„კვესი“, 1913].

კიდევ ერთი „პატარა ფელეტონი“, რომელიც იოსებ ყაჭეიშვილის ავტორობით გამოქვეყნდა, არის „ფრთხილი ქმარი“. ნაწარმოებში მოთხრობილია ზაქარიას ამბავი, რომელიც ფიქრობდა, რომ „ცოლსა და ცხენს თავის მაგრა დაჭერა უნდა, წინააღმდეგ შემთხვევაში პირველი დაგიბრიყვებს, გიღალატებს, გაგექცევა; მეორე კი – წაიბორძიკებს, გადმოგაგდებს და კისერს მოგტეხსო“, ამიტომ არც ცხენზე ჯდებოდა (მატარებელზე მეისრედ მუშაობდა) და არც ცოლის მოყვანას აპირებდა. თუმცა, ერთ დღეს, ზაქარიამ ცოლის მოყვნა მაინც გადაწყვიტა და ორმოცი წლისა ოცი წლის ქალზე დაქორწინდა. ის პირველივე დღიდან ცოლს სასტიკად ექცეოდა, სახლიდან გარეთ არ ახედებდა, მამაკაცებთან საუბარს უკრძალავდა, მალე ცემაც დაუწყო - ცოლს თუ ქმრის შიში არა აქვს არ ვარგაო. ამასობაში ზაქარიას ცოლი მეზობელ მიწის მზომელს დაუმეგობრდა, რომელმაც რჩევა-დარიგება მისცა, მარგომაც დაუჯერა მას და შინ დაბრუნებულ ზაქარიას გადაჭრით უთხრა: შენთან ცხოვრება შეუძლებელია, დღეის შემდეგ თუ შეურაცხყოფას კიდევ მომაცენებ, გადაწყვეტილი მაქვს, თავი მოვიკლაო. - ზაქარია შეშინდა, ჩემი ცოლი აღარ ხუმრობს სჯობია ანგარიში გავუწიო, აღარ გავაბრაზებ, აღარ ვცემ, მაგრამ მეთვალყურეს მივუჩენო. ამისთვის მან თავისი მოსამსახურე გოგო, ქსენია დაიქირავა და ქალბატონის თვალთვალი დაავალა. მარო ქმარს ჩანაფიქრს მიუხვდა, ქსენია გამოტეხა და თავის მხარეს გადმოიბირა. როცა ზაქარია ქსენიას კითხავდა - მიაშბე, როცა სახლში არ ვიყავი, სად წავიდა ქალბატონი,

ან ვინ იყო მასთან სტუმრადო, ქსენია ეუბნებოდა - ქალბატონი სულ სახლში იყო, სტუმარი კი არა, მეზობლის კატაც არ შემოსულა მასთანო. ქმარი დამშვიდებული მიდიოდა სამსახურში, ის ცოლის სიყვარულში დარწმუნდა. ქსენია კი ხშირად იტყოდა ხოლმე: ტკბილ სიტყვას რა სჯობია, ორივეს გულს მოვიგებ ესენიც ტკბილად იცხოვრებენ და მეც ორივესგან საჩუქრებს მივიღებო. [„კვესი“, 1914].

ამ ნაწარმოებით ავტორმა გვიჩვენა, თუ რა შეუძლია ქალს, თუ ის ჭკუას და მოხერხებულობას გამოიყენებს. მართალია, ზოგჯერ ამ თვისებებს ბოროტადაც იყენებენ ხოლმე, მაგრამ ამ შემთხვევაში, მარომ თავისი საქციელით ზაქარიას ხასიათიც გამოუსწორა და ოჯახიც შეინარჩუნა.

იოსებ ყაჭეიშვილი („კვესი“) კიდევ ერთ ფელეტონს, „საპოვნელას“ აქვეყნებს, სადაც ქურდების „უსტაბაშის“, ილიას ამბავია მოთხრობილი. მოთხრობის მიხედვით, სადაც კი რამე მსხვილი ქურდობა მოხდებოდა, იქ უეჭველად ილიას ხელი ერია. სოფელს ეშინოდა ილიასი, რადგანაც, თუმ ვინმე მასზე ცუდად დაილაპარაკებდა, მას კარგი არაფერი ელოდა. ერთ დღეს ილიამ საიდანღაც მშვენიერი ცხენი მოიყვანა, ეს მისმა მეზობელმა მღვდელმა დაინახა და მამასახლისს შეატყობინა ამის შესახებ. მამასახლისმა სთხოვა მღვდელს, თავი დაენებებინა ილიასათვის, მაგრამ მღვდელმა გადაჭრით მოსთხოვა მოპარული ცხენის გამოყვანა. ეზოსთან მისულ პოლიციელებს ილიამ შიგნით შესვლის ნება არ მისცა, ისინიც გაბრუნდნენ. მომჩივანი მღვდელი გაწყრა: მაშ რიღას პოლიციელები ხართ, დამნაშავის ეზო თუ ვერ გაჩხრიკეთო. ილიას სახლს მათ კიდევ ერთხელ შემოარტყეს ალყა და ღობეს შლა დაუწყეს. ილიამ რომ დაინახა, ხალხი აღარ ხუმრობდა, მათ მიმართა: ხალხო, ღობეს ნუ დაანგრევთ და ცხენს გამოვუშვებო. გლეხები დათანხმდნენ, ილიამ ცხენი გამოუშვა, მაგრამ ცხენის პატრონმა მაინც უჩივლა. სასამართლოზე მოწმეებად მამასახლისი, მისი ნაცვალი და ილიას ორ მეგობარი იყვნენ. ილიამ მოსამართლეს უთხრა, რომ ცხენი ტყეში იპოვა და შინ წამოიყვანა, შემდეგ კი პატრონს დაუბრუნა. მისი ნათქვამი მოწმეებმაც დაადასტურეს. მოსამართლემ ასეთი განაჩენი გამოიტანა: ილიას კი არ მოუპარავს ცხენი, როგორც გამოირკვა, უპოვია, ამიტომ ის კი არ უნდა დაისაჯოს, პოვნისთვის ათი მანეთი გასამრჯელო უნდა მიიღოს ცხენის პატრონისგანო. მომჩივანიც დაემორჩილა

სასამართლოს გადაწყვეტილებას და ილიას ათი მანეთი „საპოვნელა“ გადაუხადა. კმაყოფილი ხალხი მშვიდად დაბრუნდა სახლში. [„კვესი“, 1914].

ავტორმა საკმაოდ თამამად წარმოაჩინა იმ დროის რეალობა, თუ როგორ დათარეშობდნენ ქურდები თამამად სოფლებსა თუ ქალაქებში და როგორ ხდებოდა უსამართლო გადაწყვეტილების მიღება და აღსრულება.

ერთ-ერთი ფელეტონი სათაურით „გაუგებრობა“ N129-ში იბეჭდება. იოსებ ყაჭიიშვილმა ამ ნაწარმოებით ჩვენთვის კარგად ნაცნობი საკითხი წამოსწია წინ. მოთხრობა იმ სახელმწიფო მოხელეების ამბავს გადმოგვცემს, რომლებსაც წარმატების მიღწევის აუცილებელ პირობად რუსული ენა მიაჩნდათ. ერთ-ერთ სოფლის მღვდელს მაზრის უფროსის დავალებით მორიგე „ჩინოვნიკი“ სასწრაფო მიწერილობას უგზავნის, სადაც მაზრის უფროსი სასულიერო პირს იმ სოფელში გარკვეულ წლებში დაბადებულთა დაბადების მოწმობების აღწერილობის გამოგზავნას სთხოვს. თუმცა „ჩინოვნიკმა“ ეს წერილი იმდენად გაუგებრად მისწერა, რომ მღვდლის თარჯიმანმა ვერაფერი გაიგო, თავად მღვდელმა კი რუსული არ იცოდა. ამიტომ მან საპასუხო წერილი დაუწერა, სადაც წერს: „სოფლის მამასახლისს: ჩემგან არაფერ მეტრიკულ აღმოწერილობას ვერ მიიღებ, სანამ ჯეროვნად არ მაცნობებთ რა აღმოწერილობა გინდათ. მთხოვთ აღმოგიწეროთ პროროგორიანთ წოდების პირნი: ასეთი წოდება არ არსებობს, არც ასეთი გვარის კაცი მყავს მე მრევლში, მამასახლისო, ან ამ რუსულის დამწერი ყოფილა გადარეული, ანდა ამის გადამთარგმნი. ეს ჩემი პასუხი გაუგზავნე ვისაც გინდა და სადაც თქვენი დაიკვეხით, იქ ჩემიცა სთქვით“. მაზრის უფროსის კანცელარიის საქმის მწარმოებელმა ეს წერილი კანცელარიიდან გამოგზავნილ მოწერილობასთან ერთად წაიკითხა, სადაც მამასახლისი მღვდელს აბეზღებს, რომ რუსული არ იცის და რომ ის მთავრობისგან გამოგზავნილი ბრძანებების დამწერს ლანძღავს. ამაზე საქმის მწარმოებელმა ბევრი იცინა, ბოლოს გადაწყვიტა, რომ თავად გაეკეთებინა მიწერილობა მღვდელთან, სადაც გარკვევით გამოჩნდებოდა, თუ რას ითხოვდნენ მისგან. [„კვესი“, 1914]. ამ ნაწარმოებში ნათლად არის წარმოჩენილი, თუ რა გავლენა ჰქონდა იმ პერიოდში რუსულ ენას, რუსულის ცოდნა აუცილებელი იყო როგორც სახელმწიფო

მოხელეების, ჩინოვნიკების საქმიანობაში, მის უცოდინრობას სასულიერო პირებსაც არ პატიობდნენ.

„პატარა ფელეტონის“ რუბრიკის ქვეშ ორი ნაწარმოები ილო მოსაშვილს გამოუქვეყნებია. ერთ მათგანს ფსევდონიმი „დონ ბაზილიო“ აქვს მითითებული. მოთხრობის სათაურია „სურათები ველისციხელთა ცხოვრებიდან.“ ფელეტონში „ისპანიელი“ ავტორი თავის ველისციხელ მეგობარს სტუმრობს და იქაურ ამბებს ეკითხება. ისიც სოფლის სიახლეებს უამბობს. ამ საუბარში ველისციხელი გლეხი გაზეთში „ნ-თ.ს“ მიერ დაბეჭდილ წერილს ახსენებს, სადაც ავტორი ითხოვს გამოირკვეს, თუ სად იხარჯება სოფლის წლიური შემოსავალი ფული. ამით აღშფოთებული ველისციხელი მეგობარს ეუბნება, რომ ასეთი საქციელი გამართლებული არ არის და ეს „ცუდი კაცის საქმეა“. მისი აზრით სოფლის ფული ისევ სოფლში იფლანგება. ბოლოს კი, „ისპანიელ“ სტუმარს ასეთ რამეს ეუბნება: „მე კი ამასაც გეტყვი, მეგობარო, რო ჩვენს დაუდევრობას ცხოვრებისადმი არ მოელება ბოლო, ვიდრე ველისციხე იარსებებს! მართალია, თუმცა ეს სოფელი სიღნაღის და თელავის მაზრების სოფლებთა შორის ყველას ყვინჩილად მივაჩნივართ, მაგრამ სინამდვილეში კი დაგარწმუნებთ, როგორც უცხო კაცს, რო ჩვენის დაუდევრობით, ჩვენზედ დაბეჩავებული სოფელი ამ ორს მაზრაში აღარ უნდა მოიპოვებოდეს!...“ ამ სიტყვების შემდეგ მეგობარმა ველისციხელს ცნობებისთვის მადლობა გადაუხადა და დაპირდა, რომ სამშობლოში დაბრუნებული ესპანელებს აქაურ ყოფა-ცხოვრებას გააცნობდა.[„დონ ბაზილიო“,1914]. ავტორი ამ მოთხრობით ქართველების თვისებებს, ადგილობრივი მოსახლეობისა და საერთოდ, ცხოვრებისეულ ნაკლზე მიგვითითებს. აქ საინტერესოდ არის გამოყენებული უცხოელის, „ისპანიელის“ ფაქტორი, რათა სწორედ უცხოს თვალთ დაგვანახოს არსებული რეალობა. ავტორმა ფსევდონიმიდან ალბათ ამიტომ აირჩია „დონ ბაზილიო“.

ილო მოსაშვილის კიდევ ერთი ნაწარმოები ქვეყნდება „პატარა ფელეტონის“ რუბრიკაში. მას „ჩემო სამშობლოვ“ ჰქვია. ავტორმა წინა მოთხრობის ხაზს არ გადაუხვია და ამ შემთხვევაშიც პატრიოტული თემა შემოგვთავაზა. რუბრიკაში ჩანახატია წარმოდგენილი, სადაც საქართველოს თვალწარმტაცი ბუნებაა დახასიათებული. ილო მოსაშვილი თავის გრძნობებს და განცდებსაც გადმოგვცემს:



„...აი ეხლა... ჩემს ოთახში მარტოდ ვზივარ... გარშემო ყველას სძინავს... ღამეა... მე კი პატარა სარკმელიდან ვჭკრეტ შენს მომაჯადოვებელს სიტურფეს... ვხედავ თოვლით თეთრად შემოსილს კავკასიის მთების ნაწნავს და სიამაყით შუბლ-შეჭმუხვნილი, სიამით ვიგონებ შენს სანეტარო წარსულს... გული მიკრთის გრძნეულის დეღვით. დაბლა ჭალაში დაუდევარი ალაზანი მწუხარედ მიდუდუნებს... და იმ მთებში მიჯაჭვული გმირი ამირანის დაუსრულებელ ზღაპარს მოუთხრობს... .. და მესმის უიმედო სულის კვნესა... ვხედავ შენს ცრემლიანს თვალებს... და აი მეც ავტირდი... ვფიცავ შენს სანატრელს მომავალს... ცრემლი გადმომვარდა თვალიდან... ნეტავ შენს ტანჯვას როდის ექნება დასასრული, რომ ერთხელ მაინც ვიფიქრო ტკბილად. შენ გენაცვალე! კმარა, ნუ სტირი... აგერ ცისკარმა გადაშალა ოქრისფერი დალალები ... განთიადია... თენდება... იღვიძებს არე-მარე... იქნებ ეს განთიადი მორბედია შენის სანატრელის მომავლის!... ჩემო მშობელო დედავ! ჩემო სამშობლოვ!... ლამაზო მხარევ... აგერ - მთის მწვერვალებზე შავ ღრუბელს ცეცხლი მოეკიდა... იქნებ ამირანი ამტკრევს რკინის ბორკილებს?! ჩუ, აგერ შორეულ ამომავალ მზის სიმღერა მესმის... გათენებისას რა ლამაზი ხარ და თვალწარმტაცი ჩემო ლამაზო სამშობლო მხარევ!“ [მოსაშვილი, 1915].

ავტორმა მართლაც მთელი სიძლიერით გამოხატა თავისი შინაგანი განცდები სამშობლოსთან დაკავშირებით, იმდენად ძლიერად, რომ ამ ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ ვერც ერთი ქართველი გულგრილი ვერ დარჩება, თითქოს მართლა ისმის ამირანის ბორკილების მსხვრევის ხმა და ეს სამშობლოს თავისუფლების ხმასთან გაიგივებულია. ილო მოსაშვილის ეს „პატარა ფელეტონი“ ერთი დიდი, გრძნობებით სავსე ნაწარმოებია, თუმცა ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგან მწერალმა გაზეთში (და არა მარტო გაზეთში) ბევრი მაღალმხატვრული ღირებულების ნაწარმოები გამოაქვეყნა.

„ხმა კახეთისა“ „პატარა ფელეტონის“ რუბრიკაში ილია შანშიაშვილის (ფსევდონიმით „მიშ“, გაშიფრულია გ.ჯავახიშვილის მიერ ) მოთხრობას, „ ჩხვინკი და მამალი“ ბეჭდავს. მოთხრობა ჭკუის სასწავლებელია და იგავის ხასიათს ატარებს. ნაწარმოებში მოთხრობილია „ჩხვინკის“ ამბავი, რომელიც საქათმეს თავს ესხმოდა და წიწილებს მუსრს ავლებდა. ამით შეწუხებულმა მამალმა საქათმესთან დარაჯები

დააყენა. „ჩხვინკმა“ ეს რომ გაიგო, მამალს „ეპისტოლე“ გაუგზავნა, სადაც სწერდა, რომ ის ქათმების მტერი არ იყო და თუ მის მამა-პაპას მათ წინააღმდეგ რაიმე დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, წარსული მტრობა უნდა დაივიწყონ და მეგობრული თანაცხოვრება დაიწყონ. ამისათვის კი მამალს სთხოვდა, საქათმისკენ გასავლელი გზა გაეხსნა. მამალი მიუხვდა ეშმაკობას, დარაჯები გაუშვა, თუმცა კვლავ მახე დაუგო და ერთი მათგანი საქათმეში დამალა. გახარებულმა „ჩხვინკმა“ მეგობარ ყვავს უხმო და საქათმეში გაგზავნა - რაც ჩვენთვის სასარგებლო ნახო, გამოზიდეო - თან ფიქრობდა, ამით გავიგებ , მამალმა ნამდვილად დამიჯერა თუ არაო. ყვავი გაეშურა საქათმისკენ და დარაჯები რომ არ დახვდა, პირდაპირ ქათმებისკენ გასწია. ამ დროს იქვე მიმალული მამალი სწვდა და ტვინის წოვა დაუწყო. მომაკვდავი ყვავი კი ასე მოსთქვამდა: „ოხ ჩხვინკო! მახეს სხვას უგებდით მაგრამ აბა მახის დაგებაც ასეთი უნდა! მე გამატუტუცე, მაგრამ შენ ჩემზე ტუტუცი ჰყოფილხარ: ხრიკი გამოგპარვია და ვერ შეგიძნევია, რო ხრიკების დრო წაგსვლია. საქათმის მცხოვრებნი უკვე ჭკვას მოსულან და უწინდებურად ველარავინ ველარ ისარგებლებს მათის გულუბრყვილობით და ვერ იქეიფებს მათის საცხოვრებლით. დაგავიწყდა, რო „დრონი მეფობენ და მელას ერთხელ მაინც საქათმეში გაუთენდება“.[„მიმ“,1914]. ასე აჯობა ჭკუით და მოხერხებულობით მამალმა შემოჩვეულ მტაცებლებს.

იმდროინდელი გაჭირვებული ცხოვრების ამბავს გვიყვება ფელეტონი „მებატონენი“, რომლის ავტორია ი. აფხაზი (ვინაობა დაუდგენელია). ნაწარმოების მიხედვით, მაზრაში გუბერნატორის შესახვედრად ემზადებოდნენ. ყველაზე მეტად ამ შეხვედრას თავადები - აბუთიძე და თადუმაძე ელოდნენ, რადგანაც თხოვნა ჰქონდათ გამზადებული, მათი შვილები სასწავლებლად სამხედრო კორპუსში მიეღოთ სახელმწიფოს ხარჯზე და „პრიკაზის“ ვალები ჩამოეწერათ.

თავადი აბუთიძე ღარიბი და წვრილშვილის პატრონი იყო, მას სუფთა ტანსაცმელიც კი არ ჰქონდა, ასეთი შემთხვევებისთვის კი გაჭირვებიდან მეზობელი ქვრივი იხსნიდა ხოლმე, რომელსაც ქმრისგან ახალი ჩოხა-ახალუხი და ჩექმები დარჩა. ქვრივი ტანსაცმელს არ ჰყიდიდა, თუმცა მეზობელს ათხოვებდა ხოლმე. ახლაც ამ იმედით მივიდა მასთან აბუთიძე, მაგრამ კარი რომ შეაღო იქ თავადი თადუმაძე დახვდა. დამხვდურნი მიხვდნენ, რაც სურდა აბუთიძეს. ქვრივმა უთხრა,

რომ მეორე თავადიც ჩოხა-ახალუხისთვის იყო მისული. ტანისამოსი ჩემია - თქვა თადუმაძემ - პირველი მე მოვედი და ვითხოვე. აბუთიძემ მიუგო - შენ დღეს პირველად მოხვედი, მე კი რამდენი ხანია ვთხოვლობ ხოლმე. ასე შელაპარაკდნენ თავადები, საბოლოოდ საქმე გაწევ-გამოწევამდე მივიდა. აქ კი ქვრივი ჩაერია - რა გაჩხუბებთ, ან ვის სახლში ჩხუბობთ, არც ერთს არ მოგცემთ ტანსაცმელსო და ორივე გაყარა სახლიდან. თავადები გუბერნატორის სანახავად ვეღარ წავიდნენ, თხოვნაც თხოვნადვე დარჩათ. [ი.აფხაზი, 1913].

ავტორმა ამ ნაწარმოებით იმ დროის მებატონეების სავალალო მდგომარეობა ერთგვარი ირონიით, მაგრამ თავისებური ტრაგიზმით დაგვანახა. მაშინ, როცა მათ თავიანთი წარმომავლობა არ ავიწყდებათ, ფინანსური გაჭირვების ფონზე ასეთ სასაცილო ვითარებაში ვარდებიან ხოლმე.

კიდევ რამდენიმე ნაწარმოები გამოქვეყნდა „პატარა ფელეტონის“ რუბრიკით. მათ შორის ს.ქელბაქიანის „უფასო სადილი“ და „ენტეს“ (ეგნატე მენტეშაშვილი) „ჩემი მერცხალი“. მოთხრობაში „უფასო სადილი“, რომელსაც მიწერილი აქვს „სურათი სინამდვილისა“, ერთი ადამიანის მაგალითზე ზოგადად არსებული უკიდურესი გაჭირვებაა წარმოდგენილი. მოთხრობილი ერთ გლახაკთან შეხვედრის ამბავს ჰყვება, რომელსაც ტანისამოსი ისე შემოხეოდა, რომ სუსტ სიცივესაც კი ვერ აკავებდა. როგორც გლახაკმა უთხრა, ალექსანდრეს ბაღში უფასო სადილს არიგებდნენ და იქით მიიჩქაროდა. ავტორი თანამოსაუბრის მონაცემს ასე გადმოგვცემს: „მარტო ღარიბებისთვისო განა! მაშ მდიდრებს რათ უნდათ? თავისიც ბევრი აქვთ. კაია უფასო სადილი!- დიახ,მართალია, გამოცხადებულია ყველგან - უთხარი მე.- ჰო მოგახსენებენ და მეც იქით მივდივარ. სუყველაფერი შენი იქნება, რასაც მოგიტანენ სუფრზედაო.- როგორ სუყველაფერი?- აი, სადილზე: ერთი ბოთლი ღვინო კაცის თავზე, ისე კერძი, ისე პური და სხვა რამეები. - მართალია, მართალი-დავემოწმე მე.- მერე ჭურჭელიცაო, კი კაცო, რაც ჭურჭელს მოგიტანენ, სულ შენ გეკუთვნისო, ესეც კარგია, ყველაფერი გაიყიდება, ფულათ იქცევა. ბოთლში ვინ არ მომცემს ერთ შაურს? ისე საინი, ისე სალფეთქი. სუ ფულს იტყვის. ერთ სადილს კიდევ მაჭმევს... ამასობაში მივალწიეთ იმ ადგილს, სადაც ტრამვაი ჩერდება. ტრამვაიში ჩავსვი ჩემი ბეჩავი ნაცნობი და გავისტუმრე. „ერთ სადილს კიდევ

გაჭმევს, მაგრამ მერე რას იზავ შე საცოდაო“ - გავიფიქრე მე. ამ ფიქრმა ბევრი სხვა მწარე ფიქრები აღმიძრეს თავში“. [ქელბაქიანი, 1913წ ]. აქ აღარ არის გაგრძელებული, თუ რა მწარე ფიქრები მოაწვა მის გულს, მაგრამ ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ მწერალს სწორედ არსებული გაჭირვებული ყოფა-ცხოვრება და გლახაკად ქცეული ადამიანების ბედი უკლავდა გულს.

კიდევ ერთი „პატარა ფელეტონია“ „ჩემი მერცხალი“, რომელსაც მითითებული აქვს, რომ არის პაწია ესკიზი. ნაწარმოები ეგნატე მენთეშაშვილის დაწერილია. ავტორი თავის მეგობარ მერცხალთან საუბარს გვაცნობს, რომელსაც ბუდე მისი აივნის ქვეშ დიდი ხანია აუგია. „ამჟამად ოთხი ბარტყიცა ჰყავს და მათ ზედ, როგორც დედა მთელი დღე თავს ევლება, რაიცა ხშირად იშვიათია ჩვენს ქალებთა შორის!“ მერცხლის ჭიკჭიკზე გამოღვიძებულმა ნაწარმოების გმირმა ფრინველს ჰკითხა, თუ რატომ ჭიკჭიკებდა. მან კი მიუგო, დარდი მაჭიკჭიკებსო. თანამოსაუბრემ ჰკითხა, თუ რა დარდი აწუხებდა. მერცხალმა კი ასეთი რამ მიუგო. „ მე მთელი დღე დავძრწი ჰაერში, ჩემი ბაღნების საზრდოს მოსაპოვებლად, ვიჭერ მწერს თუ ბუზებს და მათ კი ვასაზრდოვებ, მაგრამ ამავე დროს ვაკვირდები ხალხის ცხოვრებას!... მართალია მე უცხო სტუმარი გახლავარ, მაგრამ მათს ყოფა ცხოვრებას თავს რო დავცქერი, გული შემტკივა!... მე მინდა , რომ ჩემის ჭიკჭიკით გამოვაფხიზლო, გამოვალვიძო ყოველი მხნე, მომუშავე; შთაუნერგო მას გულში დილის სიყვარული, რათა იგი შეუდგეს თავის დროზე შრომა-მოქმედებას... ჩემს დილის ხმაში ისიც კი გამოიხატება, რომ თვით ცხოვრების ზარმაცნიც გამოვაფხიზლო, ფეხზე ავაყენო, რათა მათაც მოიშალონ თავიანთი ზარმაცობა, დავრდომოლობა, გულ დაუდეგრობა და მიჰბადონ მხნე, მშრომელ მუშას.- აი უსწრაფესი და თუმცა ნაღვლიანი საგანი ჩემის „ჭიკჭიკისა“ და რას მიბრძანებთ ამის შემდეგ, ჩემო მფარველო, ნუთუ გავჩუმდე?- მე პასუხი ვედარ მივუგე და უფრო შემიყვარდა ჩემი მერცხალი“. [მენთეშაშვილი,1913], აქ კი ადამიანების უარყოფითი მხარეები ავტორმა მერცხლის პირით წარმოაჩინა. ამ შემთხვევაში, კრიტიკა ორი სხვადასხვა მიმართულებით მიდის. ძირითადი აქცენტი მაინც ადამიანის სიზარმაცეზეა გაკეთებული და მერცხალი სწორედ ამის გამისამყლავნებლად და ზარმაცი ხალხისთვის სწორი გეზის მისაცემად გამოუყენებია ავტორს. თუმცა, ნაწარმოების დასაწყისშივე კიდევ ერთი საკითხია წინ

წამოწეული. როცა საუბარია იმაზე, თუ როგორ უვლის მერცხალი თავის ბარტყებს, იქვე მინიშნებულია, რომ ასეთი რამ „ ხშირად იშვიათია ჩვენს ქალთა შორის!“-ო. მართალია ეს თემა აქვე წყდება და მთელი დანარჩენი მოთხრობის მანძილზე აღარ არის ნახსენები, მაგრამ ეს ერთი ფრაზაც საკმარისია იმისათვის, რომ ქართველი დედის პრობლემა მუდამ აქტუალურ საკითხად დარჩეს. იმ პერიოდის ქალებისა და დედების საკითხი ხშირად განიხილებოდა „ხმა კახეთისას“ ფურცლებზე როგორც პუბლიცისტურ წერილებში, ისე ლიტერატურულ ნაწარმოებებში, ასე, რომ გასაკვირი არ არის, ავტორმა ამ თემას გვერდი რომ არ აუარა. თუმცა ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ იმ დროს საქართველოში ყველა ქალი და დედა თავისი საქციელით მისაბამი არ იყო.

რაც შეეხება თავად რუბრიკას „პატარა ფელეტონი“, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჟანრობრივად ნაკლებად ჯდება ფელეტონის დღევანდელ გაგებაში, თუმცა, ზოგიერთ მათგანში მისი ელემენტები შეინიშნება. თავად ნაწარმოებები შინაარსობრივად საინტერესოა, მათი უმრავლესობა იმ ეპოქის საჭირბოროტო საკითხებს ეხება და ხშირად დამრიგებლურ ხასიათსაც ატარებს. რუბრიკაში წარმოდგენილი ნაწარმოებების თემატიკა მრავალფეროვანია, თუმცა მათ შორის ბევრია ისეთი მიმართულებისა, რაც მოსახლეობასა და თავად ავტორებს აწუხებდათ, ასეთი თემები იყო: პირველ რიგში ქართული ენის რუსულით ჩანაცვლების მცდელობა, რელიგიური დღესასწაულების დაუფასებლობა, სიკეთესა და ბოროტებას შორის არსებული მარადიული ბრძოლა, მდიდარი ხალხის უარყოფითი გავლენა სოფლის ღარიბ მოსახლეობაზე, ქურდებისა და ყაჩაღების უთავბოლო და დაუსჯელი პარკაში, ჩინოვნიკების თავგასულობა და სხვა. რაც მთავარია, არც ერთი ავტორი ნაწარმოებებში წარმოჩენილ დანაშაულებებსა თუ სხვადასხვა პერსონაჟების მიერ ჩადენილ არასწორ საქციელს არ განიკითხავს. უბრალოდ, სააშკარაოზე გამოაქვთ ეს პრობლემები და ხშირად მათი მოგვარების და გამოსწორების გზებიც არის ნაჩვენები. ასე, რომ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, აქ გამოქვეყნებული ნაწარმოებები ნამდვილად იძლევა იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა იცხოვრონ ადამიანებმა.

#### 4. ფოლკლორული მასალები „ხმა კახეთისას“ ფურცლებზე

გაზეთი „ხმა კახეთისა“ თავისი არსებობის მანძილზე დიდ ყურადღებას აქცედა ხალხურ ზეპირსიტყვიერებას. ადგილობრივი ფოლკლორული მასალები გაზეთის ფურცლებზე ეტაპობრივად ქვეყნდებოდა. პროფესორი გიორგი ჯავახიშვილი თავის წიგნში „გაზეთი „ხმა კახეთისა“ მისი მუდმივი თანამშრომლის, ნიკო ხატისკაცის ინფორმაციას გვაწვდის: „რედაქციაში თითქმის ყოველდღე მოდიოდა წერილები და გვაწვდიდნენ კახეთის სოფლებში შეკრებილ ფოლკლორულ მასალებს. კარგად მახსოვს, მაშინ ამ გაზეთის რედაქტორს, კოტე ტყავაძეს ვცვლიდი. რედაქციაში იმხანად მოვიდა ახალგაზრდა, ნიჭიერი პოეტის, გიორგი ლეონიძის მიერ თავის სოფელში შეკრებილი ხალხური ლექსები. მე მაშინ ძალიან დაინტერესებული ვიყავი ქართული ხალხური ანდაზების შეკრებითა და შესწავლით. ამიტომაც, რედაქციაში მიღებულ ანდაზებს მე მიგზავნიდნენ, რომელსაც დღესაც სათუთად ვინახავ. გაზეთმა რედაქციაში თავმოყრილი დიდძალი ფოლკლორული მასალის ძალიან მცირედი ნაწილის გამოქვეყნება მოასწრო“. [ჯავახიშვილი, 2002- 29]. ნიკო ხატისკაცის არქივში 5 000-ზე მეტი ქართული ხალხური ანდაზაა დაცული, რომელთაც ვარიანტები და კომენტარები აქვს დართული.

გაზეთ „ხმა კახეთისას“, პროფესორ თედო ბეგიაშვილის ცნობით, ინგილოური ფოლკლორული მასალების შეკრებაც დაუწყია. მისი შემკრებნი იყვნენ რაჟდენ და ლეონტი ხუციშვილები, ზაქათალაში მოღვაწე ნადირაშვილების ოჯახი, გაზეთის უახლოესი თანამშრომლები დიმიტრი ბარნაბიშვილი და ვანო კარბელაშვილი. სამწუხაროდ, ინგილოური ფოლკლორის ნიმუშების პუბლიკაცია გაზეთმა ვერ მოასწრო, დიდძალი შეკრებილი მასალები კი 1924 წელს საბჭოთა მილიციამ მოსპო. [ჯავახიშვილი , 2002- 29].

გაზეთის ინტერესი ქართული ფოლკლორის მიმართ იმაშიც გამოიხატება, რომ „ხმა კახეთისას“ N194-ში ასეთი განცხადება დაიბეჭდა: „რედაქცია სიამოვნებით დაჰბეჭდავს ხალხურ შაირებს, ანდაზებსა და არაკებს“ [რედაქცია1914]. ამავე

ნომერში, სოფელ ჯუგანში ჩაწერილი, სხვადასხვა ადამიანებისგან გაგონილი ხალხური ლექსებია მოყვანილი, მათი უმეტესობა სასიყვარულო განწყობისაა. მაგალითად: „ხალხური ლექსები ჩაწერილი ჯუგანში (გაგონილი შ.ალადაშვილისგან).

სიყვარულმა ფრთა გაშალა  
ტურფავ, შენთან გადმოფრინდა,  
ჩემი გული წამოიღო,  
გქონდეს, გქონდეს თუ კი გინდა.,,  
ან კიდევ:  
„მე შავგულიძე გახლავართ, ,  
სახელად მქვია ზაქარა  
სასმელათ მიყვარს კახური  
და სათამაშოთ ნაღარა.“

„გაგონილი პრაქან გომელაურისგან:  
ქვეყნისათვის თავი დავდე,  
თავიც შევწირე, გულიცა,  
მას ვანაცვალე ყოველი,  
ცოლ-შვილის სიყვარულიცა.  
მაგრამ ამ ტიალ ქვეყანამ  
მაინც მე დამცა ზიანი,  
ვერ ვნახე ჩემი მოსარჩლე  
მე, ერი, ადამიანი.  
სოფელი ასე მუხთალი  
ჩემს დღეში არ მინახია,  
მან მომკლა, ბოლო მომიღო,  
სხვისთვისაც ასე მახეა.“

[ რედაქცია,1914].

ამ ლექსების ჩამწერი გაზეთში მითითებული არ არის. აღნიშნული ხალხური ნაწარმოებები სხვაგან არ გამოქვეყნებულა და ისინი „ხმა კახეთისამ“ შემოინახა.

საინტერესოა გაზეთთან ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ია კარგარეთელის თანამშრომლობაც. კარგარეთელი აქვეყნებს წერილს სათაურით „ძველებურზედ, ჩვენებურზედ“, სადაც სწორედ ქართულ ხალხურ პოეზიას ახასიათებს: „ქართული ხალხური პოეზია მრავალი განათლებული კაცის ყურადღებას იზიდავს. გამუდმებული, ცეცხლივით მგზნებარე გულისთქმა, შადრევანივით მჩქეფარე ვნებათა დეღვა, მუდმივი თაყვანისცემა და გაღმერთება თავისი კერპისა, ჩვეულებრივი ქართველური უყურადღებობა, ფიქრ-ოცნებით აღმაფრენა, შნოიანი ხანდაზმულის კვეთებით აპილპილებული მხიარულება, - აი რას გვეტყვის და რას გვახსენებს ხალხური ლექსთაწყოება და სიმღერა...“ [კარგარეთელი, 1913].

ამავე წერილში ავტორი მკითხველს მოუწოდებს, ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობისთვის საზოგადოებრივი ხასიათი მიეცათ. ია კარგარეთელი ხალხური სიტყვიერების აღორძინებას დიდ ეროვნულ საქმედ მიიჩნევდა: „კახეთი აკვანია ჩვენი ერის წარსული ცხოვრებისა, კახეთი სავანეა შარავანდედით მოსილ ქართველებისა, კახეთმა მიისვენა გულზედ მრავალი ტანჯული და სამშობლოსთვის თავდადებული გმირი. აქ უნდა ჩამოირეკოს ზარი, აქ უნდა დაიკაკანოს ალაღმა და გარს შემოგვიხმოს ყველა კუთხიდან ბარტყები ამ ეროვნული საქმისთვის გულ-შემატკივარნი. ამ საეროვნო საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველამ: თავადმა თუ გლეხმა, სამღვდელოებამ თუ საერომ, ნასწავლმა თუ უსწავლელმა, მოხუცმა თუ ყრმამ, ოჯახმა თუ ეკლესიამ“. [კარგარეთელი, 1913].

ია კარგარეთელმა „ხმა კახეთისაში“ ქართლში შეკრებილი რამდენიმე ხალხური ლექსიც გამოაქვეყნა. გაზეთში დაიბეჭდა ცნობილი „ვერცხლისა თასად მაქცია“, „შენი თითბერის ენითა“, „ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ“, „დამეხსენ, დედი, დამეხსენ.“ „ვერცხლისა თასად მაქცია“ და „ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ“ სერგო გერგამეს 1920 წელს თავის მიერ შედგენილ წიგნში, „კაზმულსიტყვაობის ქრესტომათია“, გამოუქვეყნებია. კარგარეთელის მიერ შეგროვილი ლექსები სატრფიალო ხასიათს ატარებს. ლექსში „ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ“, ქალის სილამაზე უმაღლეს საფეხურზეა აყვანილი. აქ წარმოდგენილი მშვენიერება თითქოს



ვიზუალურ, ფერწერულ სურათს ქმნის და ნაწარმოებში პოეზიისა და მხატვრობის ერთი მთლიანობა იქმნება:

„ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ, ფრანგის ქვეყნები ვნახეო,  
სულ დავიარე ხმელეთი, ვერ ვნახე შენი სახეო,

.....  
შურით დაგფრენდა ნიავი, გირხევდა დალალ-კავებსა,  
წარბი-წამწამი ყორნისა ბურავდა გიშრის თვალებსა.  
თვალსა, რა თვალსა, ცის მნათსა, წყვდიადში მოელვარესა  
მოვლინებულსა ამ ქვეყნად, ნუგეშად დამაშვრალებსა.“

[ რედაქცია,1913].

ლექსი რიტმის მრავანფეროვნებით გამოირჩევა და თითქოს ერთიან, მუსიკალურ ჯაჭვს ქმნის. საერთოდ, მსგავსი განწყობა ხალხურ შემოქმედებაში ხშირად ჩანს ხოლმე და ის მრავალი ადამიანის გულისთქმას გამოხატავს. საინტერესოა აგრეთვე გაზეთში გამოქვეყნებული ლექსი „დამეხსენ, დედი, დამეხსენ“ ( მოძიებული ია კარგარეთელის მიერ), სადაც გასათხოვარი ქალის გულისტკივილია გამოხატული:

„დამეხსენ, დედი, დამეხსენ, ნუ მიკლავ ქალობასაო,  
რათ გინდა გავყვე ცოლათა დუშმანსა, ჭიტუასაო,  
რას ვაქნევ ვაჟკაცს უგუნურს, უშნოს, ტოტყოს და ტლანქსაო,  
ვეფხვათ ნაზარდი არ იყოს, არ ამშვენებდეს გვარსაო.“

როგორც ცნობილია, მსგავსი ტიპის ლექსებში ხშირად მთავარი ადგილი გმირის ვაჟკაცობის შექებას ეთმობა. ფოლკლორში გმირ კაცს საროსტანი, ან ალვისტანი, ქორული გამოხედვა, ომში გმირობა და ამტანობა უნდა ახასიათებდეს. ამ ლექსის მთავარი პერსონაჟიც ისეთ ვაჟს უარყოფს, რომელიც:

„აბჯარ-ფარს რომ არ ისხავდეს, არ აღმერთებდეს ხმალსაო,  
მტერს არ ეკრძალოს ქორული ლაშქრობა მისი ბარსაო,  
კარზედ მომდგარსა ვერაგსა ვერ ახვედრებდეს ფარსაო,  
სიტყვა-პასუხსა უფრთხოებდეს, მწყრალ იყოს ზრდილობასაო“.

ლექსის მთქმელი ქალი თავის სურვილს გამოთქვამს, როგორი უნდა იყოს მისი რჩეული. ეს აღწერილობაც, ცხადია, ვერ იქნება ორიგინალური, რადგან ასეთი სურვილები ხალხურ შემოქმედებაში ხშირად ერთმანეთს ემთხვევა ხოლმე. იდეალურ რჩეულს მზეს, მთვარესა და ვარსკვლავებსაც კი ადარებენ, ასეა ამ შემთხვევაშიც. ლექსში საქმროდ შერჩეული ვაჟკაცი სწორედ მნათობების მსგავსი და დარი უნდა იყოს.:

„მე მინდა ვაჟკაცთ-ვაჟკაცი, არ მზისა დასარიდია,  
მხნეთა-მხნე იყოს შინ, გარეთ, მოყვარე, არა ფლიდია.  
ლომი ლომობდეს, ფრანგულით მტერსა დაჰმართოს რიდია,  
მოყვართ-მოყვარე, მთლად თემში ლხინი, იმედი დიდია,  
რა დაწვეს, ამას იტყოდე - მზე ჩაესვენა, ბინდია,  
ადგების - ამოესვენოს - მთვარე გეგონოს მშვიდია.,,

[რედაქცია,1913].

მნათობებთან შედარების ხერხები უხვად არის გამოყენებული „ვეფხისტყაოსანშიც“, მაგ: შოთა რუსთაველი წერს: „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინებდა“. [ რუსთაველი, 1987-19]. ავთანდილი კი არის „საროსა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა“ [რუსთაველი, 1987-15]. ასეთი ეპითეტები პოემაში მრავლად არის. შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ მსგავსი გამონათქვამების სიჭარბე სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობამაც განაპირობა.

გაზეთში კიდევ ერთი საინტერესო ხალხური ნაწარმოები იბეჭდება. ლეგენდა, რომელსაც „ხომატიანი“ ჰქვია, კახეთში, გმირი ხომატის მიერ გველეშაპის მოკვლის ამბავს მოგვითხრობს. როგორც ცნობილია, ხალხურ თქმულებებსა და ზღაპრებში ხშირად მოთხრობილია ბოროტი დევებისა თუ გველეშაპების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის აწიოკებისა თუ ხელმწიფეთა დაშინების ამბები. ამ ლეგენდის მიხედვითაც ასეა. ხომატ და მისი ძმა ეგრეზ იყვნენ კახელები, სოფელ გავაზიდან. მათ დევ-ვეშაპების ეპოქაში მოუხდათ ცხოვრება. ერთი ვეშაპი მეტად უზარმაზარი და საშიში იყო, მთისტოლა ურჩხული პირიდან ცეცხლს აფრქვევდა და ამ ცეცხლისგან მთა-ბარს აღმური ასდიოდა. იგი თავზარს სცემდა ქვეყანას.

„იმ გველეშაპის მოსვლის დროს, ცა მაიბრუნდის ჯანყითა,

ღრუბლები დაშავდებოდა, წვიმებს იწყებდა წარღვნიოთა,  
ცოტა ხანს გადიშუქებდა, ხეების ტოკვა-ქანვითა,  
საზარლათ გამაიქუხის ვეშაპმა გულის ფხანვითა.  
ხალხსა ჰყლაპავდა, საქონელს, დიდ ტბასთან ჰქონდა ბინაო,  
იმის ელდამ და შეხედვამ აღარვინ დააძინაო.“

გაჭირდა ცხოვრება, მეფეც შეწუხდა. ტბის პირას ურჩხულის მოსაკლავად თილისმები დააწყეს, მაგრამ ის უფრო გაცეცხლდა. შეუტია მეთილისმეებს და იმ არემარეზე ყველა გადაყლაპა. ამით რომ არ ეშველა ქვეყანას, მეფეს მოაგონდა ეგრეზი და ხოშატი. დაიბარა ეგრეზი, მან მოახსენა: მეც მინდოდა გველეშაპის მოკვლა, მაგრამ ვერ შევბედე. ჩემს ძმას, ხოშატს მიმართე და თუ მოკლავს, ის მოკლავს, მე მჯობია ბრძოლაში და გულითაც ჩემზე მაგარიაო. დაიბარა მეფემ ხოშატი და საზარელი მტრისგან ქვეყნის დახსნა სთხოვა. ხოშატი დათანხმდა - უთუოდ მოვკლავ, თუ ამიშენებთ ფართო კარებიან სადგომს ტბის პირას და თორმეტ უღელ ბუღა კამეჩს მომირეკავთო. მეფემ სიხარულით შეუსრულა სურვილი. ხოშატი ციხე-გალავნის ფართო კარებს უკან დაიმალა, კარებს წინ კი კამეჩების ბაკი იყო. ხოშატმა მეფეს უთხრა: მართალია გველეშაპს მოვკლავ, მაგრამ მეც აქვე მოვკვდები, ნუ დამივიწყებ, მეც აქვე დამმარხე და საფლავზე საყდარი დამიდგო. ამასობაში ჭექა-ქუხილიც მოისმა, მთებმა დაიგრიალეს, ატყდა საშინელი ქარიშხალი, გველეშაპიც გამოჩნდა, დაეცა კამეჩებს და გადაყლაპა, შემდეგ ხოშატისკენ გაექანა, მაგრამ მან დაასწრო და თავი გაუპო. ქვეყანა გამოცოცხლდა, მაგრამ გმირმა ხოშატმა მესამე დღეს სული დალია. მოვიდა მთელი ერი, მეფემ დიდებულად დამარხა ქვეყნისათვის თავდადებული და საფლავზე საყდარი აუგო, რომლის ქვაზეც დააწერა:

„გამარჯვება და დიდება

შენს ხმაღს, სისხლისა ცხეზაო!

იყო მთისტოლა ვეშაპი,

ქვეყანას აოხრებდაო...

ის მოკლა გმირმა ხოშატმა...“

[რედაქცია, 1915].

ეს წარწერიანი ქვა ლეკებს გაუტაციათ, ხოლო „ხომატანი“ საყდარი ეხლაც იქ არის ციხე-სიმაგრითა და სხვა ნანგრევებით. დღეს იქ იმერეთიდან გადმოსახლებული ქართველების სოფლებია, ციხე-სიმაგრის ეზო კი იმხელაა, რომ დიდძალ ხალხს იტევს, რომელიც ყოველ წელს დღეობას მართავს. ადგილობრივების ცნობით, ციხის წინ ვრცელი ტბა არის, სადაც გარეული იხვი და ბატი ბუდობს, იქ წამომართულ მთებს კი „ეგრეზიანს“ უწოდებენ. ეს ლეგენდა, როგორც „ხმა კახეთისა“ იუწყება, მოხუცი მ.ჭავჭავაძის გადმოცემით მ.ჯანაშვილმა ჩაიწერა. ლეგენდა „ხომატანიზე“ მთელს კახეთში ყოფილა გავრცელებული. მასზე გამოკვლევა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის (ახლანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტის) შრომებში მ.ჩხაიძეს გამოუქვეყნებია, თუმცა, მისი ერთ-ერთი პირველი ჩანაწერი მკვლევარს მხედველობიდან გამორჩენია.[ჯავახიშვილი, 2002-28].

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გაზეთის საშუალებით ქართველ ერს ხალხური ზეპირსიტყვიერების მოგროვებისკენ დიდი მგოსანი აკაკიც მოუწოდებდა. პოეტმა ივანე მაჩაბლის დაკარგვის გამო სტატია გამოაქვენა, სადაც მკითხველს მაჩაბლის მიერ ნათარგმნი „შექსპირის“ გამოცემას სთავაზობს: „შესდგება მისთანა თანხა, რომ ეყოფა გამოცემას და რაც მორჩება და მეტი იქნება, ის მოხმარდეს რომელსამე საქველმოქმედო საქმეს მის სასახელოდ, მაგალითად ავიღოთ თუ გინდა, ზეპირსიტყვიერების მოგროვება, რომელსაც ასე თანაუგრძნობდა ვანო მაჩაბელი.“ [წერეთელი,1913].

ფოლკლორული მასალების განხილვისას აუცილებელია აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ „ხმა კახეთისა“ აქვეყნებდა სხვადასხვა ქვეყნების ხალხური შემოქმედებების ნიმუშებს, რომლებსაც თავად გაზეთის თანამშრომლები თარგმნიდნენ. აქ დაიბეჭდა თათრული ლეგენდა „აბდულ ჰამიდის სიზმარი“, იაპონური ხალხური ზღაპარი „მთვარე, წვიმა და ქარი“, აგრეთვე ინდოეთის ზღაპარი „ვინაა ოჯახის უფროსი?“

თათრული ლეგენდა, რომელიც თეოფილე ხუსკივაძეს უთარგმნია, პატრიარქ იოაკიმე მე-3-ისა და ოსმალეთის ხონთქარის, აბდულ-ჰამიდის ამბავს ასახავს. გადმოცემის მიხედვით, ხონთქარ ბეიმ სიზმარი ნახა, თითქოს მართლმორწმუნე ოსმალოს ოჯახში უშველებელი დათვი შემოვარდა ხუთი პატარა ბელით, რომლებიც მაშინვე დიდ დათვებად გადაიქცნენ, ოსმალოს შვილები შექამეს, მამა კი გააძევეს,

შემდეგ ბეიმ დაინახა მოხუცებული, რომელსაც თავზე გვირგვინი ედგა, გვირგვინს კი ორთავიანი არწივი იცავდა. აბდულ-ჰამიდმა სიზმრის ამხსნელ ეფენდის მოუხბმო, რომელმაც მოახსენა: „უშველებელი დათვი – ეს რუსეთია, დათვის შვილები – ეს ხუთი ბალკანეთის სახელმწიფოა და მოხუცებული? მოხუცებული ვინდაა?“, სიზმრის ამხსნელმა მოხუცებულში პატრიარქი დაინახა. ხონთქარი ამაზე გაცეცხლდა და იოაკიმეს პასუხი მოსთხოვა. პატრიარქმა კი ასე აუხსნა სიზმარი: „დათვი და მისი ბელები - ხუთი ეროვნებაა, რომელიც შეადგენს თქვენ ძლიერ სახელმწიფოს: ისინი აჯანყდებიან თქვენ წინააღმდეგ. ამ დროს მე, ეს პატარა კაცი ვერ გიშველით, შენ მოგეხმარება ფრანციოსები, ავსტრიის მეფე. იმის გვირგვინზეც ორი არწივია გამოხატული, რომლის მძლავრი ფრთები მსწრაფელ მოსპობს შენი დიდებული სახელმწიფოს მტრებს და ორგულებს.“ - ხონთქარს მოეწონა პატრიარქის მიერ ჭკვიანურად ახსნილი სიზმარი და იოაკიმს ამგვარი წინასწარმეტყველებისთვის მვირფასი ყალიონი აჩუქა. [რედაქცია,1913].

„ხმა კახეთისას“ N51-ში იბეჭდება ენტეს (ეგნატე მენტეშაშვილის) მიერ ნათარგმნი იაპონური ხალხური ზღაპარი „მთვარე, წვიმა და ქარი“, სადაც მოთხრობილია იაპონური ტრადიციის, მიჩინოეს (იმედის ღამის) შესახებ. ეს ღამე 15 აგვისტოს დგება და ადამიანები, ხალხური ჩვეულებისამებრ სიხარულით უნდა მიეგებონ, რისთვისაც, თავის მხრივ, მთვარე მიწას ბედნიერებას მიუძღვნის. ზღაპარში სამზადისში მყოფი მთვარის წვიმას და ქარს შეშურდებათ და გადაწყვეტენ, მნათობს დღესასწაული ჩაუშალონ, მიწაზე დაეშვებიან და მთვარის გასამასპინძლებლად შეკრებილ ხალხს თავს დაატყდებიან. ხალხმა ტკბილეული სწრაფად აალაგა და თავი სახლებს შეაფარა, ქარი და წვიმა უფრო გაცეცხლდნენ, სახლებს უტევდნენ, თუმცა ვერაფერი დააკლეს, თვითონ კი დაიქანცნენ და უკან დამარცხებულები დაბრუნდნენ. ამ დროს ცა გადაიწმინდა და ვერცხლისფერმა მთვარემ გამოანათა, დედამიწაზე ყველაფერი კვლავ გამოცოცხლდა, ადამიანებმა სახლების კარები გააღეს, გამოიტანეს ეზოში მაგიდები სამზადისებით, ყველა მაღლიერი იყო მთვარის ამოსვლით და ამბობდნენ: რა მშვენიერია მთვარე ქარბუქისა და წვიმის მერეო. [რედაქცია, 1913].

კიდევ ერთი ზღაპარი, რომელიც ინდური ხალხური შემოქმედებიდანაა წარმოდგენილი, არის „ვინაა ოჯახის უფროსი?“ ზღაპარი „გოლას“ ფსევდონიმით გიორგი მუმლაძეს უთარგმნია [მიქაძე, 1998]. ნაწარმოები ოჯახში ქალისა და კაცის უფროს-უმცროსობის საკითხს ეხება. ზღაპრის მიხედვით, ახლად ჯვარდაწერილმა ახალგაზრდამ მამას ჰკითხა, თუ ვინ იყო ოჯახში უფროსი - ქმარი, თუ ცოლი? მამამ შეიშინა ასი ქათამი და ორი ცხენი მისცა, თან დაარიგა: წადი, ქვეყანა შემოიარე, ყველა ოჯახში იკითხე, ვინ არის უფროსი-თქო, თუ ცოლია უფროსი, მის ქმარს ქათამი მიეცი, თუ თავად კაცია უფროსი - ცხენი და შენი კითხვის პასუხსაც გეცოდინებაო. ვაჟი წავიდა, შემოიარა ოთხმოცდაცხრამეტი ოჯახი და დარჩა მხოლოდ ერთი ქათამი და ორივე ცხენი, მეასე ოჯახში, რომ მივიდა, კაცს ჰკითხა. ვინ არის თქვენთან ოჯახის უფროსი?- მეო, მიუგო ქმარმა, რაც ცოლმაც დაუდასტურა, მაშინ ცხენი უნდა გაჩუქო, რომელს აირჩევ, შავს თუ ნაცრისფერსო? შავი მირჩევნიაო, უთხრა კაცმა, თუმცა ამ დროს ცოლმა განზე გაიხმო და ჩუმად რაღაც უთხრა, ქმარი დაბრუნდა და ახლა ნაცრისფერი ცხენი მოითხოვა. არაო, მიუგო ვაჟმა, გატყობ, ქათამი გირჩევნიაო და ქათამი მისცა. [რედაქცია, 1914]. აქ მთავრდება ზღაპარი, თუმცა დასკვნის გაკეთება ძნელი არ არის და ამ ჰკუის სასწავლებელი გამოკითხვის შემდეგ თავის შეკითხვაზე- ვინ არის ოჯახის უფროსი?- ვაჟმა პასუხიც მიიღო.

როგორც ჩანს, რედაქცია არა მარტო ქართული ხალხური შემოქმედების პოპულარიზაციას ახდენდა, არამედ მკითხველს მსოფლიო ხალხთა ტრადიციებსა და ცხოვრებასაც აცნობდა.

გარდა ამისა, გაზეთში ხშირად იბეჭდებოდა ხალხური ანდაზები და გამონათქვამები, რომელთა ნაწილი სხვადასხვა წერილებს ეპიგრაფადაც აქვს წამმდვარებული. ასე, რომ ფოლკლორული მასალების დიდი ნაწილის გამოუქვეყნებლობის მიუხედავად, „ხმა კახეთისამ“ მაინც შეძლო და ხალხში მოგროვილი ლექსები, ლეგენდები თუ სხვა გადმოცემები მიიტანა როგორც მაშინდელ მკითხველამდე, ჩვენც საშუალება მოგვცა მათ გავცნობოდით. ვფიქრობთ, ეს მასალები ქართველი ფოლკლორისტებისთვისაც საინტერესო იქნება.

## 5. „ხმა კახეთისას“ პუბლიცისტიკა

წერილების ციკლი „ნახული და ფიქრები“ გაზეთში „ხმა კახეთისა“ მეორე ნომრიდანვე ჩნდება. წერილები ძირითადად იმ დროის რეგიონის საჭირობო საკითხებსა და მიმდინარე მოვლენებს შეეხებოდა. „ნახული და ფიქრები“ „X“ -ის ავტორობით ქვეყნდებოდა. ფსევდონიმი, როგორც ცნობილია, იროდიონ ევდომვილს ეკუთვნის. ამის შესახებ თავის წიგნში პროფესორი გიორგი ჯავახიშვილი წერს: „იროდიონ ევდომვილი „ხმა კახეთისას“ გამოსვლამდე ერთი თვით ადრე სოფელ ბოდბისხევში ისვენებდა და თვალყურს ადევნებდა ქალაქ სიღნაღის მოსახლეობის ცხოვრებას. გაზეთის მეორე ნომერშივე დაიბეჭდა მისი წერილი სათაურით „ნახული და ფიქრები“, რომელსაც ხელს აწერდა „X“. დაკვირვებამ იმ დასკვნამდის მიგვიყვანა, რომ ეს წერილები ეკუთვნის იროდიონ ევდომვილს. . . . აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „X“-ის ფსევდონიმით უფრო ადრე თავიანთ წერილებს დიმიტრი მაჩხანელი, მიხეილ თამარაშვილი და სხვა პიროვნებებიც ბეჭდავდნენ“ [ჯავახიშვილი, 2002- 52], თუმცა, გიორგი ჯავახიშვილის თქმით, წერილების ავტორის სტილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „X“ სწორედ იროდიონ ევდომვილი უნდა იყოს. აღნიშნული ფსევდონიმის შესახებ თავის მონოგრაფიაში „იროდიონ ევდომვილი“, პროფესორი შალვა გოზალიშვილიც წერს: „წერილების ეს სერია, რომელიც ყოველგვარი ეჭვის გარეშე ირ.ევდომვილის კალამს ეკუთვნის, გამოქვეყნებულია „X“-ის ხელმოწერით... სათანადო ლიტერატურული მონაცემებით დასტურდება აგრეთვე, რომ იროდიონ ევდომვილს ფსევდონიმი (ხელმოწერა) „X“ გამოყენებული აქვს ადრევე. სახელდობრ პირველ არალეგალურ ქართულ ბოლშევიკურ გაზეთ „ბრძოლას“ ამავე სათაურით მან მიუძღვნა ლექსი, რომელიც 1901 წელს დაიბეჭდა ( N2-N3)“. ](გოზალიშვილი, 1961-75). ამავე ფსევდონიმით იროდიონ ევდომვილს 1909 წელს გაზეთ „დროებაშიც“ უსარგებლია, ამდენად ეჭვის საფუძველი არ რჩება, რომ ფსევდონიმი „X“ სწორედ მას ეკუთვნის.

გაზეთში „ხმა კახეთისა“ სათაურით „ნახული და ფიქრები“ ევდომვილის 15-მდე წერილი გამოქვეყნდა. ყველა მათგანი ეპიგრაფით იწყება, რომლებიც ცნობილ შემოქმედებს ეკუთვნით.

პირველ წერილს ილია ჭავჭავაძის სიტყვები აქვს წამძღვარებული: „რაც ვყოფილვართ ის აღარ ვართ, რაც ვართ ის ნულარ ვიქნებით“. წერილში აღწერილია იმჟამინდელი ქიზიყის მდგომარეობა. ავტორი წუხს, რომ ქიზიყელები ისეთები აღარ არიან, როგორებიც მათი მამა-პაპანი იყვნენ. იროდიონ ევდომვილი აქაურთა ცხოვრების წესს ასე ახასიათებს: „ეხლა რანი-და ვართ ქიზიყელნი?!.. ყოვლად ზარმაცი, დაკნინებული, ეროვნულ აღლო-გრძნობას მოკლებული, საზოგადოებრივ საქმიანობას არ ჩვეული, დაჩიავებული. მას თავისი კერძო ინტერესები, პირადი კეთილდღეობა ყველაზე უპირველესად მიაჩნია, ქვეყანა და ქვეყნის სამსახური კი მას ამო ჰგონია“ [ X, 1912], ავტორი ქიზიყელთა ამგვარ ქცევას ეროვნულობას მოკლებულ სასწავლებელსა და წრეში აღზრდას უკავშირებს. იროდიონ ევდომვილის აზრით, მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავს როგორც თავად-აზნაურობა და მოხელეები, ასევე გლეხ-კაცობა, ამგვარ ფონს კი შური და გაუტანლობა ქმნის. ავტორი წუხს, რომ ადამიანების უმრავლესობამ მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლებას თავი დაანება და ეროვნულ სკოლას ზურგი აქცია.

ადამიანის ნაკლოვანებებზე საუბრობს ევდომვილი კიდევ ერთ წერილში, რომელსაც ისევ ილიას სიტყვები აქვს წამძღვარებული:

„ეხლა რა ვართ? ჩვენი თავი  
საწველ ფურად გადვიქციეთ,  
ის ოჯახი, ის დიდება  
ჩვენის ხელით დავაქციეთ“.

[„X“,1912]

წერილში ევდომვილი ჩვეული, მხატვრული ფერებით აღწერს ქიზიყის პეიზაჟს, მწერალი აღფრთოვანებით ხატავს კახეთ-ქიზიყის ბუნებას: „რა დიადი, თვალის წარმტაცია კახეთ-ქიზიყის ბუნება თუ რო ცივ-გომბორის, სოფლებით მჭიდროდ დასახლებულ მთა-გრეხილიდან გადაჰხედავთ, მდინარე ალაზნის ხელის გულივით გაშლილ, თვალ-უწვდენელ ტრიალ ველ-მინდორს..... როდესაც ალაზნის ველზე ჯანლ-ბურუსი ჩაწვება და საოცნებო ზღვასავით ღელავს, თვალს ვერ მოაშორებთ ამ საარაკო, თვალის-მომჭრელ სანახაობას, ყველა ამ დროს ადამიანი უმაღლეს ნეტარებისამოვნიებას განიცდის“. მის ფონზე მწერალი კვლავ ადამიანურ ნაკლოვანებებზე



საუბრობს და კახელებს ამ ულამაზეს ადგილებში ცხოვრების ღირსად არ მიიჩნევს. ავტორს მაგალითად კონკრეტული ფაქტი მოჰყავს. მისი ინფორმაციით, ლაგოდების მახლობლად ჯუგაანიდან გადმოსახლებული 40 ოჯახი ძალით აყარეს, „ქოხები მიუნგრ-მოუნგრიეს, მათ ნასახლარებზე შუა გუბერნიიდან გადმოსახლებულნი დაასახლეს და ძველი მოსახლენი „მაწიმელნი“ კი ღვთის ანაბარად ოთხივ კუთხივ გაჰფანტეს“. ავტორის თქმით, ისინი გაზაფხულამდე არ გააჩერეს თავიანთ საცხოვრებელეებში და შემოდგომითვე გაყარეს. ღია ცის ქვეშ დარჩა მათი საქონელი და საქონლისთვის მომარაგებული საკვებიც. იროდიონ ევდოშვილი წერს, რომ ამ ფაქტის შემსწავლელი და განმკითხავი არავინ არის, წერილს კი ასე ამთავრებს: „... ან სად გვცალიან სამართლიანი სიტყვის თქმისთვის, როდესაც ჩვენ ყველანი კერძო კეთილდღეობის, პირადი ბედნიერების ძიებაში ვათენ-ვალამებთ, ქვეყანა, საზოგადოებრივი საქმეები კი, უკაცრაო პასუხია, ფეხებზე გვკიდია!... მერე როდემდის?..“ [„X“,1912]

წერილების ციკლში „ნახული და ფიქრები“ ავტორი ძირითადად მის მიერ ნანახი, ან მეგობრებისგან მოყოლილი ამბების შესახებ გარკვეულ ანალიზს აკეთებს. ერთ-ერთი წერილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ცნობილი სიტყვებით იწყება: „ არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არა არგოს რა“ (პერიფრაზში არსებული უზუსტობა თავად გაზეთშია, ამოტომ უცვლელად გადმოგვაქვს). იროდიონ ევდოშვილი მაჩხანის ეკლესიის მღვდლის, იოსებ ტუკუშაშვილის უანგარო შეწირულობაზე წერს, ავტორის თქმით, მან თავისი ქონება და სახლ-კარი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა. ევდოშვილის აზრით, სასიხარულო იქნება, თუ ბევრი ქართველი მიზამავს მის მაგალითს და ქართულ საქმეში საქველმოქმედო წვლილს შეიტანს.[„X“,1912]

ევდოშვილს ერთ-ერთი წერილის წანამძღვრად ხალხური ანდაზაც გამოუყენებია. „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“ . ასეთი შედარება მოაქვს ავტორს სოფლის ექმის მიერ მოყოლილ ამბავზე, რომლის მიხედვითაც სოფლის ბაზაზი (დუქნის მფლობელი) თავის მეგობრებს ენდო და დუქნის მართვის უფლება გადასცა, მეგობრებმა კი უღალატეს და მთელი მისი ქონება გადაიფორმეს. როდესაც

სოფლის მცხოვრებლებმა ეს ამბავი გაიგეს, გაკოტრებული თანასოფლელის დახმარება გადაწყვიტეს და სასამართლოში იჩივეს. განაჩენის მიხედვით ბაზაზს თავის ქონება დაუბრუნდა.[„X“,1912]

ავტორი თავის წერილების ციკლში გლეხის ცხოვრებას ეხება. ამ საკითხზე ჟან-ჟაკ რუსოს დამოკიდებულებას გვაცნობს და „ახალი ელოიზადან“ ნაწყვეტები მოჰყავს. წერილში მოყვანილ ნაწილში რუსო ჰყვება თავის მოგზაურობას პარიზიდან ლიონში, როცა ის შემთხვევით დარიბი გლეხის ოჯახში შევიდა. ეს გლეხი ხარჯის ამკრეფთა და პოლიციელთა შიშით, სახლში რაც კი რამ კარგი ჰქონდა, ყველაფერს მალავდა. ავტორის თქმით, რუსო მთლიანად აცნობიერებს მშრომელი ხალხის საზოგადოებრივ დანიშნულებას და ამბობს, რომ გლეხი, სხვებთან შედარებით არც ერთი საფეხურით დაბლა არ დგას.

ერთ-ერთ წერილში იროდიონ ევდომვილი ქალისა და კაცის უფლებრივი თანასწორობის საკითხს ეხება და შოთა რუსთაველის ანდაზა მოჰყავს: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, გინდა ხვადია“. ევდომვილი ასეთ ამბავს ჰყვება: ის თავის მეგობართან ერთად ქუჩაში შეკრებილ ხალხს შეხვდა, როგორც გაირკვა ერთ-ერთი მათგანის შვილს ვაჟი შეეძინა და მახარობლის დასაჩუქრებას სთხოვდნენ: „ შენ სამახარობლო გახეხე! აქამდის თუ გოგოებისგან თვალ-გული გქონდათ ამომწვარი, ეგე ეხლა ბიჭიც გაგჩენიათ..... - რა ვქნა, ქა, ჯერ არა მჯერა და თუ მართალია, სამახარობლოზე თავს როგორ დავხრი! - მიუგო ეხლა კი ცოტა არ იყოს, სიხარულის ელფერ-გადაკრულმა, სახე მოლიმარმა ნუშომ“. ამ ფაქტმა ავტორსა და მის თანამგზავრზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა. მათი აზრით, „ჩვენში ვაჟიშვილის გაჩენა უხარიათ, ქალისა კი სწყინთ. ვისაც ვაჟიშვილები ჰყავს, ის ბედნიერად მიაჩნიათ და ვისაც მხოლოდ ქალები - უბედურ არსებად“.

ამასთან დაკავშირებით ავტორთან მყოფი ერთ-ერთი პიროვნება კი ასეთ ამბავს ჰყვება: ერეკლე მეფეს კოდორის ციხის აღება გაუჭირდა და გარშემო სოფლებიდან ქუდზე კაცი გამოიძახა. ერთ ოჯახში დაუძღურებულ კაცს შვიდი ქალი ჰყავდა, ერთ ერთმა ბრძოლაში წასვლის სურვილი გამოთქვა. ციხეზე შეტევის წინ კი ჯარისკაცებს მიმართა: „ძმებო! დღეს გამოჩნდება, ვინ იქნება ჩვენთაგანი მამაცი, ან ლაჩარი. ვინც გულდაგულ მივა ციხის ასაღებად და გულში ექნება ტყვია მოხვედრილი, იმას

ეთქმება ნამდვილი კაცურ-კაცობა და თუ მტერს ზურგი უჩვენა და ტყვიაც უკნიდან ექნება მოხვედრილი, ის მანდილოსანი იქნება და ლეჩაქიც მას უნდა ჰხურებოდა. მეორე დღეს ციხის აღების შემდეგ დახოცილთა შორის ის გმირი ქალიც აღმოჩნდა, მას ტყვია გულში ჰქონდა მოხვედრილი, ბევრი მამაკაცი კი ზურგში იყო დაჭრილი. ამ ამბის მოყოლით ავტორმა ქალისა და მამაკაცის თანასწორობას გაუსვა ხაზი. [„X“,1912]

თავის პუბლიცისტურ წერილებში ევდომვილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სიღნაღის განყოფილების გახსნას ეხმაურება და მას დადებით მოვლენად აფასებს.

ერთი სტატია კი მწერალმა მთლიანად იმ დროს ქიზიყში მომუშავე ექიმს, ალექსანდრე ბეგლარის ძეს მიუძღვნა, რომელიც სამწლიანი მუშაობის შემდეგ თავის სამშობლო-კუთხეში გადაიყვანეს. ავტორის თქმით, ეს ექიმი ძალზე განსწავლული და განათლებული კაცი იყო, სწორედ ამიტომ მას ადგილობრივებში დიდი სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია, თუმცა, მისთვის გულიც ბევრჯერ უტკენიათ. „- რა უყოთო - უთქვამს ყველასთვის - გაუნათლებელი ხალხია, მაგათ ეპატიებათ, ამასთანავე თავისუფალი ქიზიყის შვილნი არიან, მაგათ ბატონ-ყმობის უღელი არასოდეს უგემნიათ და ამიტომ ასე თავწასულნი, გაყვინიზებული ხალხია. მაგათ რომ სწავლა-ცოდნის შალაშინი მოჰხვდეთ მაგათზე დარბაისელი, დაბრძენებული ხალხი არავინ იქნებაო“. იროდიონ ევდომვილი წერს, რომ ალექსანდრე ბეგლარის ძე განსაკუთრებით სომეხ- ქართველთა პრესაში გაჩენილ კინკლაობაზე წუხდა და ამბობდა, რომ ეს დაპირისპირება მტერს უხარებდა გულს.

ექიმის წასვლასთან დაკავშირებით მეგობრებს გამოსათხოვარი საღამოს გამართვა მოუწოდებიათ, ამგრამ ალექსანდრეს სასტიკი უარი უთქვამს - რაც ფული უნდა დახარჯოთ, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირეთო. ევდომვილის აზრით, ექიმზე ბევრი კარგი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ, ამ ნათქვამიდან მკითხველმა უნდა გაიგოს, რომ ექიმს პროფესიონალიზმთან ერთად ადამიანური მოქცევაც მოეთხოვება.[„X“,1912]

რამდენიმე წერილში იროდიონ ევდომვილი ადგილობრივი მოსახლეობის უუფლებო მდგომარეობაზე წერს. ავტორი მხატვრულად აღწერს ალაზნის ველის

ულამაზეს ხედებს, მაგრამ იქვე გულნატკენი დასძენს, რომ აქაურ გლეხს ბუნების სიმდიდრის გამოყენება არ შეუძლია. როგორც მისი მეგზური, ნიკა თვალაბეიშვილი ჰყვება, რამდენიმე წელია ამ ადგილებში ტყეებს გლეხოზა ინახავდა, საყარაულოდ ქიზიყელები გადადიოდნენ, ეხლა კი ეს ტყე გადმოსახლებულთა საკუთრება გამხდარა და მათ ფიჩხის მოხმარების უფლებასაც არ აძლევენ.

ერთ-ერთ ბოლო წერილში კი ავტორი გულისტკივილით ამბობს, რომ საქართველოს ნაყოფიერ მიწებს ადგილობრივი მოსახლეობა ვერ იყენებს, ევდომვილი წერს, რომ ალაზნისპირის საუკეთესო ადგილები რუსეთიდან გადმოსახლებულებს ჩაუგდიათ ხელში. ქიზიყის მოსახლეობა მთელი წლის განმავლობაში წვალობს, რომ მოსავალი მოიყვანოს და ისიც ფოსტის ფულსა და სხვა გადასახადებში არ ჰყოფნით. აქაური გადმოსახლებულები კი არა თუ ამ მხრივ უზრუნველყოფილნი არიან, კარგი მოსავალიც მოსადით და სხვა მხრივაც დიდ დახმარებას იღებენ. მათ ყველა სოფელში სკოლები და სამასწავლებლო სახლები აუშენეს, სახელმწიფო ხარჯით კი სამლოცველოები აუგეს. ევდომვილი თავის წერილს ასე ამთავრებს: „ამ ამბებს განმარტება აღარ ესაჭიროება, იგინი თვითონვე თვალნათლივ ყველაფერს დადაბებენ“ [X 1913].

ამ სტატიის შემდეგ გაზეთში წერილების ციკლი „ნახული და ფიქრები“ აღარ გარძელებულა. მალე „ხმა კახეთისას“ ფურცლებზე იროდიონ ევდომვილის ავადმოფობის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა. 1916 წელს კი მწერალი გარდაიცვალა.

რაც შეეხება ევდომვილის პუბლიცისტურ წერილებს, ისინი მეტყველებენ ავტორის სოფლის ცხოვრების კარგ ცოდნაზე. მისი სტატიები გარდა იმ დროის რეალობის აღწერისა, ლიტერატურულ ღირებულებასაც წარმოადგენს, რადგან მათში მრავლადაა პეიზაჟების მხატვრული აღწერა. ავტორი იყენებს სხვადასხვა ლეგენდებსა თუ გადმოცემებს, პროზაულ ნაწარმოებებსა და პოეზიას, რათა ზუსტად გადმოსცეს ქიზიყში არსებული ვითარება, საკუთარი შეხედულებები და განცდები. იროდიონ ევდომვილმა შეძლო ლიტერატურულ-პუბლიცისტური ხერხებით აქტუალური გაეხადა ქიზიყელთა ცხოვრების პრობლემატური და თუნდაც მანკიერი მხარეები.

გაზეთში „ხმა კახეთისა“ პუბლიცისტური წერილების კიდევ ერთი სერია ქვეყნდება, რომლის ავტორი პოეტი, დრამატურგი და პუბლიცისტი სანდრო შანშიაშვილია. სანდრო შანშიაშვილმა პირველი ლექსი 1905 წელს გამოაქვეყნა. პრესაში მისი ნახატები და კარიკატურებიც იბეჭდებოდა. 1907 წელს სანდრო შანშიაშვილი რევოლუციურ-პროპაგანდისტული საქმიანობისთვის დააპატიმრეს, თუმცა, იმის გამო, რომ არასრულწლოვანი იყო, მხოლოდ სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს. მწერალი და პუბლიცისტი 1911 წელს შვეიცარიაში მიდის, 1912 წლიდან კი გერმანიაში გადადის საცხოვრებლად, მოგვიანებით სანდრო შანშიაშვილი ლაიპციგის უნივერსიტეტში იწყებს სწავლას.[ციციშვილი, 1962-6].

შანშიაშვილი თავის მოღვაწეობას უცხოეთშიც აგრძელებს და ლექსებს თუ წერილებს ქართულ პრესას უგზავნის. სწორედ გერმანიიდან გამოგზავნილი მასალები სიღნაღში გამომავალ გაზეთში „ხმა კახეთისა“ იბეჭდებოდა. ამ მასალების ციკლს „წერილები მეგობრისადმი“ ჰქვია. წერილები გაზეთში 1913 წლის 28 თებერვლის N32-ში ჩნდება. სანდრო შანშიაშვილი ყველა მათგანს მეგობრისადმი მიმართვით იწყებს და თითქოს კონკრეტულ ადამიანს ესაუბრება, მაგრამ ქართველი მკვლევარების აზრით, „ამ წერილებს კონკრეტული ადრესატი არა ჰყავდა და მას ავტორი იყენებს, როგორც პუბლიცისტური წერილების ერთგვარ მანერას.“ [ჯავახიშვილი, 2002-61]

სანდრო შანშიაშვილი წერილებში იმ დროს აქტუალურ თემებს ეხება და განიხილავს მიმდინარე პროცესებს. წერილების დიდი ნაწილი ქართველი ერისა და ქართული ენის მნიშვნელობას ეხება. უცხოეთში გადახვეწილი ახალგაზრდა მწერალი მეგობრისადმი მიმართვით იმ ადამიანებს ეხმაურება, რომლებიც ქართულ ენაზე წინ უცხო ენას, ამ შემთხვევაში რუსულს აყენებენ. ავტორი იმ ქართველებსაც აკრიტიკებს, ვინც, მისივე თქმით, ქართული ენის მნიშვნელობას აკნინებენ. შანშიაშვილი გმობს იმათ აზრებს, ვინც ფიქრობენ, რომ „სულ ერთია თუნდ ვიყვნეთ და თუნდ ჩვენს მიწა-წყალზე სხვები დასახლდნენ.“ [შანშიაშვილი, 1913]. მწერალი ქართველებს მოუწოდებს, საქართველოსა და ქართველი ერის გადასარჩენად ყველანაირი მსხვერპლი გაიღონ: „უნდა გაიჟღენთო ერის სიყვარულით, შენი გული უნდა ერისთვის ჰფეთქავდეს“. [შანშიაშვილი, 1913]

სანდრო შანშიაშვილი ერთ-ერთ წერილში ქართველების ერთმანეთისადმი მტრობის საკითხებზეც საუბრობს. ავტორს მაგალითად მეზობლებს შორის წამოწყებული უბრალო კამათი მოჰყავს, რომელიც ხშირად დიდ დაპირისპირებაში გადადის ხოლმე. მწერალი ყურადღებას საუკუნეების მანძილზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს შორის არსებულ მტრობასა და ქიშპობაზე ამახვილებს.

სანდრო შანშიაშვილს რამდენიმე წერილში ქართველებისა და პოლონელების მშობლიურ ქვეყანასა და ენასთან დამოკიდებულების შედარება მოჰყავს. ავტორი ხაზს პოლონელების პატრიოტიზმს უსვამს და გულდაწყვეტილი კითხულობს, მამ ჩვენ რაღა დაგვემართაო? „ჩემო მეგობარო! შენ თვით კარგად იცი სხვა ერები როგორ ებლაუჭებიან თავიანთ ენას, შენ იცი, თუ ამას რისთვისაც ჰშვრებიან – და ჰშვრებიან იმიტომ, რომ ენა თავიანთ უწმინდეს საუნჯედ მიაჩნიათ. მამ ჩვენ, ქართველები რაღა ჩაჩიკაშვილები ვართ, რომ სხვას უკან ჩამოვრჩეთ, საკუთარი ენა დავკარგოთ, შოთას ენა უკუვაგდოთ და უცხო ენაში გავითქვიფნეთ?“ [შანშიაშვილი, 1913]

მწერალი ქართველი კაცის უმოქმედობაზე წუხს და „დღემეხვალიეობის“ პრობლემაზე საუბრობს: „სულ ერთია, დღეს თუ ასე დაქვეითებულები ვართ, ხვალ უეჭველად ავმალდებით - ლულლულებენ ჩვენი მესვეურნი - სულ ერთია, დღეს თუ ზამთარია, ხვალ გაზაფხული იქნება - გაიძახიან ფუქსვატი მგოსნები და ფუქსავატი მწერლები“. [შანშიაშვილი, 1914]. სანდრო შანშიაშვილი პულიცისტური წერილების ციკლში „წერილები მეგობრისადმი“ იმ დროის მნიშვნელოვან საკითხებს შეეხო. იმ პერიოდში, გაზეთში „თემი“, დაიბეჭდა შოთა რუსთაველის ძეგლის დადგმისთვის ფულის შეგროვების მოწოდება. სწორედ ამ თემას ეხმაურება ავტორი და დიდი მგოსნისთვის ძეგლის დადგმის იდეას აღფრთოვანებით ხვდება. როგორც შენიშნულია, ახალგაზრდა პოეტი მეგობართან საუბრის ფორმას იყენებს და კახეთისა და ქიზიყის მოსახლეობას ძეგლისთვის ფულის შეგროვებაში პასიურობისთვის საყვედურობს: „გესმით ყოველი კუთხე საქართველოსა დაფაცურდა, მხოლოდ კახეთი თავის ქიზიყთან ერთად დუმს. ხომ იცი, ყველა ჩვენ გვსაყვედურობს, რომ კახელები განათლებით ჩამორჩენილნი ვართ, რომ კერძოდ ქიზიყი „კამბეჩოვანი“ მხარეაო და ნუთუ ეს მართლა უნდა დავამტკიცოთ და სხვა ქართველობას არ უნდა დავეხმაროთ შოთას ძეგლის ასაგებად?“ [შანშიაშვილი, 1913]

რუსთაველის თემას შანშიაშვილი თავისი წერილების ციკლში ერთხელ კიდევ უბრუნდება და სარგის კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებულ რუსთველოლოგიურ კვლევას აკრიტიკებს. ავტორი ეწინააღმდეგება იმ აზრს, თითქოს პოემა მეთორმეტე კი არა, მეთხუთმეტე საუკუნეშია დაწერილი და უცხო ერის, სპარსული ზღაპარია გალექსილი. (თუმცა მკვლევარს ეს შეხედულებები შეცვლილი აქვს თავის წიგნში „შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, თბ.1966). „ვიცოდი, რომ კაკაბაძე ამ აზრისა იყო და ამიტომაც ვიოხუნჯე ერთხელ: სერგო კაკაბაძის გამოკვლევით „ვეფხისტყაოსანი“ მაშინ დაიწერა, როდესაც საქართველოს შახაბაზი შემოესია და ამ შახაბაზმავე შეასწორა შოთას ენა და ამიტომ არის, რომ შიგ რუსიციზმები არ არისო“ - წერს ავტორი. სანდრო შანშიაშვილი ღრმად არის დარწმუნებული, რომ პოემა სწორედ მეთორმეტე საუკუნეში საქართველოს რეალობაზე დაყრდნობით დაიწერა და ის რუსთაველმა ფარული ტრფობის ობიექტს, თავის სათაყვანებელ არსებას მიუძღვნა. ამის დასტურად შანშიაშვილი ნაწარმოებიდან რამდენიმე ამონარიდსაც იყენებს: „ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული“, - რუსთაველმა ასე ავთანდილი შეამკო. ან კიდევ: „მადლი ჰკადრა ფხიზელურად, თუცა იყო ღვინო სმული“. - წერილების ავტორი აქვე დაურთავს, რომ იმ პერიოდში სპარსელები ღვინოს კი არა მხოლოდ შარბათს სვამდნენ. [შანშიაშვილი, 1913]

გაზეთში „ხმა კახეთისა“ კიდევ ერთი საინტერესო წერილი გამოქვეყნდა, სადაც სანდრო შანშიაშვილი მაჩხაანის თეატრის აღდგენის აუცილებლობაზე საუბრობს. ის ამ თეატრის დაარსების სავარაუდო თარიღად 1888-1893 წლებს ასახელებს. მწერალი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ თეატრის შენობისგან მხოლოდ ორი კედელია დარჩენილი. ავტორის თქმით, ახალი შენობის ასაშენებელი ფული და მასალა შეგროვილია და ახლა მხოლოდ იქაურების მონდომებაა საჭირო. სანდრო შანშიაშვილის აზრით, აქვე უნდა გაიხსნას სამკითხველოც. ის თვლის, რომ თეატრს დიმიტრი მაჩხაანელის სახელი უნდა მიენიჭოს და წერილსაც მისივე სიტყვებით ასრულებს:

„კაცო ნუ ხარ უთავბოლო,  
ნუ იმახი ხვალე, ხვალეს,  
დრო ძვირფასი ოქრო არის,

საქმეს სჭიდე ხელი მალე!“

[შანშიაშვილი, 1914]

შანშიაშვილი თავის ერთ-ერთ წერილში ქართულ - სომხურ ურთიერთობებსაც შეეხო. ავტორი ამბობს, რომ საქართველოში მცხოვრები ზოგიერთი სომეხი მწერალი ეთნიკურ პრობლემებზე საუბრობს მაშინ, როცა მათ საქართველოში ფეხი მაგრად აქვთ მოკიდებული. „რომელი ჭკუათამყოფელი გაილაშქრებს სომეხი ერის წინააღმდეგ? რას გვიშავებს იგი? ჩვენ ვიცნობთ სომხის მშრომელ ხალხს და მათთან მეგობრობის მეტი არა გვწადიან - რა“ - წერს სანდრო შანშიაშვილი და ზოგიერთი სომეხის გამოსვლას ანდაზით პასუხობს - „ჩემი შენ არ გითხრა გული რით მოგიკლაო“.[შანშიაშვილი, 1914].

ერთ-ერთ წერილში სანდრო შანშიაშვილი არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას ვრცელ ადგილს უთმობს. ავტორი ჯორჯაძის ღირსებებსა და დამსახურებაზე საუბრობს, ნაწერს კი ასე ასრულებს: „რავდენ ქართველს აპოვნინა თავი თვისი, რავდენი ქართველი დააყენა ეროვნულს, სწორე, შეგნებულს გზას. მისი ნაწერები კიდით-კიდემდე საქართველოს მცხოვრებს ნათელს ჰფენს და ასწავლის, თუ როგორ უნდა დამკვიდრდეს ივერიის კეთილდღეობა. საუკუნოდ იყოს ხსენება ჩვენის მოძღვრისა! მან შეურყეველ და მკვიდრ ჰყო ეროვნული საძირკველი და ჩვენ, მისმა მოწაფეებმა - მომავალმა თაობამ უნდა განვაგრძოთ ტაძრის აშენება“.[შანშიაშვილი, 1913]

შანდრო შანშიაშვილმა გაზეთში „ხმა კახეთისა“ თავისი ფილოსოფიური წერილებიც გამოაქვეყნა. მის პირველ წერილში აღნიშნულია, რომ შემდგომი მასალები სხვადასხვა ფილოსოფოსთა ნააზრევის თარგმანი იქნება. ავტორი ათამდე წერილს ინდურ, სპარსულ, ძველი კელტებისა და გალების, ჩინეთისა და გერმანიის ფილოსოფიურ მოძღვერებებსა და ფილოსოფოსებს უთმობს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წერილი შანშიაშვილმა გაზეთის 117-ე ნომერში გამოაქვეყნა. მწერალი ქართული მიწებისა და ადგილ-მამულების უცხოელებზე გაყიდვას წუხს. იგი აღნიშნავს, რომ ქართული წარმოების აღორძინება შეიძლება, ამის ნაცვლად კი მნიშვნელოვანი დაწესებულებები უცხოელებმა იყიდეს და ისინი ნახულობენ სარგებელს. ახალი წლის მისალოც წერილში ავტორმა ეკონომიკურ პრობლემებზეც გაამახვილა ყურადღება და „მეგობარს“ მიმართა: „ მაშ მეც ახალი



წლისთვის გისურვებ ნაკლებ ლაპარაკს, ნაკლებ ყვირილს და ბლომად საქმის გაკეთებას, თორემ საქმე ხელიდან წაგვივა და მშრალზე დავრჩებით. ჩვენს თავს დავმარხავთ და მტერი მიწასაც არ მოგვაყრის“.[შანშიაშვილი, 1914].

გაზეთში „ხმა კახეთისა“ სანდრო შანშიაშვილის 28 წერილი გამოქვეყნდა. მათი უმეტესობა პრობლემატურ საკითხებს შეეხებოდა და არა მარტო მაშინდელ, დღევანდელ ცხოვრებასაც ეხმაურება. ამ ყველაფრის შესახებ ავტორი ღიად და თამამად საუბრობს. ეს მისი მხრიდან დიდ გამბედაობად უნდა ჩაითვალოს, თუმცა, შესაძლოა ეს გასაკვირი არც იყოს: „ცნობილია, რომ ქიზიყში ბატონყმობას ფეხი არასოდეს მოუკიდია და იქ გლეხები ძველთაგანვე თავისუფალნი იყვნენ. ეს სილაღე, ამაცი სული და ჯიქურობა ქუდბედად დაჰყვა პატარა სანდროსაც“. [ციციშვილი, 1962-6].

1914 წლის ბოლოს სანდრო შანშიაშვილი პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ საქართველოში ბრუნდება. ბოლო „წერილები მეგობრისადმი“, რომელსაც ის გერმანიიდან გზავნიდა, გაზეთ „ხმა კახეთისას“ N202-ში, 1914 წელს გამოქვეყნდა. მისი წერილების ციკლის ბეჭდვა აღარ გაგრძელებულა.

გარდა ამისა, გაზეთში გამოქვეყნდა ვაჟა-ფშაველას ორი პუბლიცისტური წერილი: „ქართველთა ახალშენი შირაქში“ და „დაგვიანებული პასუხი“. როგორც ცნობილია, XX-ის დასაწყისში კახეთში გაჩნდა სოფელი ზემო და ქვემო ქედი და არხილოს კალო, სწორედ ვაჟა-ფშაველა იყო შირაქში მთიელთა ჩასახლების ერთ-ერთი მოთავე, ამ საქმეში პოეტი მათ რწმუნებულად ითვლებოდა. ამ პერიოდში „ხმა კახეთისაში“ გაზეთის კორესპონდენტის, გიორგი ხატისკაცის („მეთვალყურე“) წერილი დაიბეჭდა, სადაც ის ვაჟა-ფშაველას ქედელებისთვის „მამულის გატანაში“-ფულის მითვისებაში ადანაშაულებს. როგორც ირკვევა, პოეტამდე ეს ინფორმაცია დაგვიანებით მისულა, რადგან ღია წერილი, „დაგვიანებული პასუხი“ ცილისმწამებლური სტატიის გამოქვეყნებიდან რამდენიმე თვის შემდეგ იბეჭდება. ამის შესახებ თავად ვაჟა-ფშაველა წერს: „ბატონო რედაქტორო! ისეთ ადგილას მარგუნა ბედმა ცხოვრება, რომ არ შემძლიან, ადგილობრივი პირობებისა გამო წესიერად ვადევნო თვალ-ყური ჩვენს ჟურნალ გაზეთობას; დამორებული საზოგადოებას, მოკლებული ვარ აგრეთვე ნაცნობ მეგობრებთან პირადად შეხვედრას,

საშუალებას იმათგან მაინც საჭირო საყურადღებო ცნობა ჩემს შესახებ, ან საზოგადო ხასიეთისა, რათა შემემძლოს ხმის ამოღება, გამოხმაურება.... სწორედ ოთხი თვის შემდეგ ვაგიგე ამ წერილის შინაარსი. ვაგიგე თვით ქედულების პირით.“ ვაჟა-ფშაველა კატეგორიულად უარყოფს იმ ფაქტს თითქოს „მინდვრის გატანას“ დაჰპირდა ქედულებს, ის წერს, რომ მინდორი ქედულებმა გაცილებით ადრე, 1905-1906 წლებში დაიჭირეს და მისი აქტიური მფლობელებიც გახდნენ, რაც შეეხება ფულის აღებას, პოეტის თქმით, მას ქედულებმა მხოლოდ გზის ხარჯები დაუფარეს. ამ თემაზე ვაჟა წერს: „ავიღე იმიტომ, რომ თავად ღარიბი კაცი ვარ და სხვაც რომ არა ვსთქვათ, გზას, მისვლა-მოსვლას დიდი ხარჯი სჭირდება. ჩემს მოკამათე მეთვალყურეს კი იმას მოვახსენებ პირველად და უკანასკნელად, მე რომ ხალხისთვის ფულების დატყუვნაზე მევლო, ს. ჩარგალში საქათმეში არ ვიცხოვრებდი და დაგლეჯილი ჩოხით და ჩუსტებით არ ვივლიდი. ფიზიკური მუშაობით ხელებზე და ზურგზე ტყავი არ მექნებოდა გადამძვრალი. ამით ვათავებ ყოველგვარ კამათს ამ საგანზე, როგორც მეთვალყურეებთან, ისე გაზეთ „ხმა კახეთისა“-სთან.“

ვაჟა-ფშაველა. [ვაჟა-ფშაველა, 1914]

სტატიას ბოლოში რედაქციის განცხადება ერთვის, სადაც ნათქვამია, რომ „გაზეთმა „ხმა კახეთისამ“ მოათავსა მხოლოდ წერილი ცნობილი კორესპონდენტისა და ამასთან ძალიანაც შეამოკლა, რადგან ძლიერ მკვახეთ ეხებოდა ბ. ვაჟა-ფშაველას. თვით რედაქციას საკამათო პატივცემულ პოეტთან არაფერი აქვს“ [რედაქცია, 1914]

იმის გარდა, რომ პოეტი „ხმა კახეთისას“ მეშვეობით იძულებული გახდა, რომ თავი ემართლებინა. ვაჟა-ფშაველა ქედში მთიულების ჩასახლებას დიდ მაულიშვილურ საქმედ მიიჩნევს. „ქედში კი მთის ხალხის ჩამოსახლებით დიდი საქმე გაკეთდა, მეორე საქართველო შეიქმნა თითქმის. ვისაც კი ჩვენგანს იოტის ტოლა შეგნება აქვს, სიყვარული თავის ხალხისა, ამ ფაქტს უნდა სიხარულით ეგებებოდეს. საუბედუროდ ყველა არ მიეგება სიხარულით და ზოგიერთი მოხელე დღესაც ამ გზას ადგია, ხოლო არ ვიცი ამისთანა ქართველმა როგორ უნდა ატაროს ქართველის სახელი?“ [ვაჟა-ფშაველა, 1914] ამ წერილების გამოქვეყნების შემდეგ ვაჟა-ფშაველას გაზეთთან აღარ უთანამშრომლია.

## 6. ლიტერატურული წერილები და ინფორმაციები „ხმა კახეთისაში“

გაზეთში „ხმა კახეთისა“ N95-დან იწყება ახალი რუბრიკა „ჩვენი მწერლები“, სადაც XIX საუკუნის ცნობილი ქართველი მწერლებისა და მათი ნაწარმოებების შესახებ ვრცლად არის მოთხრობილი. რუბრიკას უძღვებოდა თედო ბეგიაშვილი, რომელიც ამ პერიოდში ესტონეთში, ტარტუს უნივერსიტეტის სტუდენტი იყო და წერილებსაც იქიდან უგზავნიდა რედაქციას. ავტორი რამდენიმე ნომერში მკითხველს საშუალებას აძლევს ქართველი მწერლები უკეთ გაიცნოს.

პირველი წერილი სოლომონ დოდაშვილს შეეხება, აქ წარმოდგენილია მოკლე ბიოგრაფიული ცნობები დოდაშვილის ცხოვრებისა და მისი დამსახურებების შესახებ. კერძოდ, რომ სოლომონ დოდაშვილმა რუსულად შეადგინა ლოგიკის სახელმძღვანელო და წინასიტყვაობაში „იმ აზრს გამოთქვამს, რომ რუსეთის მფარველობის ქვეშე საქართველოს გამოუბრწყინდება შუქი მზისა და განათლებისა“. ავტორი ჰყვება, რომ საქართველოში დაბრუნებული სოლომონი კეთილშობილთა სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად დაინიშნა, რის შემდეგაც ის ადგენს ქართულ გრამატიკას (დაიბეჭდა 1930წ.) და გამოსცემს „რუსულ-ქართული რაზლოვორის“ წიგნს. ამის შემდეგ დოდაშვილი „ფარული საზოგადოების მისწრაფების“ მონაწილე გახდა, ამიტომ, მან პროპაგანდის გასაწევად განაახლა ქართული გაზეთი „ტიფლისის უწყებანი“, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის დახმარებით. ამ გაზეთის მხოლოდ 5 ნომერი გამოვიდა. წერილში სოლომონ დოდაშვილის ნიჭიერებისა და ღირსებების დასამტკიცებლად მოყვანილია ნაწყვეტი მილოცვიდან, რომელიც დოდაშვილმა ბატონიშვილ ბაგრატის მცირეწლოვან შვილს, დავითს მიუძღვნა. გაზეთში წერია, რომ „ავტორი ანტონ კათალიკოზისებურის მაღალის ენით ამბობს: „უკეთილშობილესი სისხლი შენი განვლის ღირსების ყველა ხარისხს, თუ სარწმუნოების კეთილს წესებს დაიცევ და ერთგულად და ყურადღებით შეასრულებ ყოველსავე იმასა, რასაც აღმზრდელი გვასწავლის. - მტკიცედ დაიცევ სარწმუნოების კანონი, რომ მოგეცეს ძალა და შეიმოსო იგი. ისმინე ღვთისა, რომ განგიახლდეს წარსული იგი სიხარული და

ნათელი და იდიდოს ისევ დღესა მას შენსა, რომ გლოვა და ურვა მხოლოდ სიხარულად შეგეცვალოს, ხოლო ბნელი ივერიისა - სინათლედ. მეც და ივერიის დანარჩენი ხალხიც ვითხოვთ ერთხმად, რომ ძველის-ძველი მეფობა თქვენი განახლებულ იქნეს თქვენითა და ამიერიდან უკუნისამდე კურთხეული.“ ამგვარივე პატრიოტული მისწრაფებით აღფრთოვანებულია ავტორი მისი ლექსის გაცნობისას, რომელიც შეთქმულთა ჰიმნადაც შეიძლება ჩაითვალოს:

„მაისში იქნება მოწვევა ქართველთა ძალის გამომხატველი!  
ავიღოთ ხელში მახვილი და დავცეთ მტერს შიშისა ზარი!  
შევკრიბოთ მოხალისენი, თავზედ დავესხათ მედგრადა,  
გავდევნოთ ძალით მოსულნი, სამშობლოს მახრებელნი!  
ქართველებო ხართ-ღა სადმე? არავინ იცის, გონს მოდით!“

(წერილის ავტორისაგან განსხვავებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ლექსი მხატვრულ ელემენტებს ნაკლებად შეიცავს და აქ მხოლოდ იდეოლოგიური მოწოდება ისმის.) წერილის ბოლოს აღნიშნულია, რომ „სოლომონ დოდაშვილი თავის ოცნების განხორციელებას ვერ მოესწრო. შეთქმულება გამომჟღავნდა, მოთავენი დაქსაქსეს, მათ შორის დოდაშვილი, რომელსაც ბრალი შეუმცირეს იმიტომ, რომ რუსის ქალი ჰყავდა ცოლად, გადაიყვანეს სამსახურში ჩრდილოეთ რუსეთის მხარეს. გარდაიცვალა ირკუტსკში 1836 წელს და თან საფლავში ჩაიტანა უმწიკვლო სიყვარული სამშობლოსადმი. [ბეგიაშვილი 1913]

გაზეთის ამავე ნომერში იბეჭდება წერილი ალექსანდრე ჭავჭავაძის შესახებ. ავტორი მკითხველს, როგორც წინა შემთხვევაში, მწერლის ბიოგრაფიას აცნობს, ჰყვება მის მონაწილეობაზე 1804 წლის საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ მომხდარ ამბოხში. დეტალურად არის მოთხრობილი მისი წარმატებები რუსეთში სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს. თედო ბეგიაშვილი აქვე მსჯელობს ჭავჭავაძის 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობა - არ მონაწილეობის საკითხზე (შეთქმულების ამბავი, რომლის მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო, იასე ფალავანდიშვილმა გაამხილა). ავტორი ალექსანდრე ჭავჭავაძეს ასე

ახასიათებს: „იგი იყო მხიარული კაცი, დარდი-მანდი, სტუმართ-მოყვარე, საუცხოოდ უკრავდა თარსა და ჩონგურზე, რომელზედაც მღეროდა თვითონ და მისი ლამაზი ქალები“. აქვე ნათქვამია, რომ მის შემოქმედებაში სპარსული ლიტერატურის გავლენა იგრძნობა. განხილულია აგრეთვე მისი ლექსები: „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“, „მაისის ვარდმან ფურჩვილმან“, „გოგჩის ტბა“. აქვე აღნიშნული, რომ ალექსანდრემ სახელი მოიხვეჭა, როგორც საუკეთესო მთარგმნელმა, მან რუსულიდან თარგმნა პუშკინის ნაწარმოებები, გერმანულიდან - გეტესი, ფრანგულიდან - ვოლტერის „ალზირა“, რასინის „ფერდა“, ლაფონტენის იგავ-არაკი „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ [ბეგიაშვილი, 1913.]

გაზეთის 96-ე ნომერში წარმოდგენილია გრიგოლ ორბელიანის შესახებ ცნობები, ბეგიაშვილი წერს, რომ სამხედრო სამსახურის მოწმობით გრიგოლი 1800 წელს დაიბადა. თანამედროვეთა მოსაზრებით კი ის 1804 წელს არის დაბადებული, იგი სამხედრო სამსახურში შევიდა და უცოლოდ დარჩა. ავტორის თქმით, მას ცხოვრება მოუწია იმ დროს, როცა „ბატონ-ყმობა შეადგენდა საზოგადოებრივის ცხოვრების საფუძველს, ეკლესია- განათლების წყაროს, მამაკაპური გადმონაცემი - წარსულთან დამაკავშირებელ ხიდს.“ 1832 წლის აჯანყებაში მონაწილეობის მიუხედავად გრიგოლ ორბელიანი სამხედრო სამსახურს მალევე დაუბრუნდა. თედო ბეგიაშვილი მის ნაწარმოებებზე საუბრობს და საუკეთესოდ „სადღეგრძელოს“ ასახელებს. ახსენებს ლექსს „იარალი“ და წერს, რომ „სწორედ ამ ლექსით იწყება ჩვენში პატრიოტული ლირიკა, მამულისადმი სატრფიალო მგოსნობა“-ო. ბეგიაშვილი ორბელიანის შემოქმედებაში ბესიკისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის გავლენას ხედავს. ბოლოს კი აღნიშნულია, რომ „ილი ჭავჭავაძის სალიტერატურო მიმართულების ზეგავლენით, გრიგოლ ორბელიანმა დაწერა პატრიოტული ლექსი (1877 წ.) „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ და „მუშა ბოქულადე“ - მსგავსად ილიას „მუშისა“. [ბეგიაშვილი,1913]

შემდეგ ნომრებში წარმოდგენილია ნიკოლოზ ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის, ლავრენტი ადაზიანისა და გრიგოლ რჩეულიშვილის ბიოგრაფიული და შემოქმედებითი დახასიათებები. თედო ბეგიაშვილმა მკითხველს კიდევ ერთხელ გააცნო ბარათაშვილის ტრაგიკული ბედის შესახებ, აღნიშნულია მისი ნაწარმოებები:

„ბულბული ვარდზედ“, „შემოღამება მთაწმინდაზედ“, „ჩონგური“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „მერანი“.

N99-ში აღწერილია გიორგი ერისთავის ცხოვრება და მოღვაწეობა. წერილში ნათქვამია: „პლატონ იოსელიანი, ცნობილი მეცნიერი, ამბობს, რომ გ. ერისთავმა „დაბადა ენა ქართული ახალი გვარის მწერლობისათვის“. მან დააფუძნა პირველი ქართული თეატრი, დაარსა პირველი ქართული ჟურნალი „ცისკარი“. ისიც 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობდა. რუბრიკა „ქართველი მწერლების“ ავტორი მის მწერლობას ორ ნაწილად წარმოგვიდგენს: ლირიკულ პოეზიად და დრამად. აღნიშნულია მის ნაწარმოებები - „შეშლილი“, „დავა“ და „გაყრა“.

ბოლო წერილებში წარმოდგენილია დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“, ლავრენტი ადაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ და გრიგოლ რჩეულიშვილის „ქვრივის ლიმონები“, „თამარ ბატონიშვილი“ და „ანუკა ბატონიშვილი“.

აღსანიშნავია, რომ თედო ბეგიაშვილის აღნიშნული რუბრიკა 1913 წლის N99-ით სრულდება, აღნიშნული წერილების ციკლი აღარ გაგრძელებულა.

ამის მიუხედავად, გაზეთი „ხმა კახეთისა“ აქტიურად ეხმაურებოდა ყველა იმ მოვლენას, რომელიც იმ პერიოდის ლიტერატურულ, სამწერლო ცხოვრებას შეეხებოდა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს კოტე ტყავაძის მუდმივი რუბრიკა „ჩემი დღიურები“, სადაც ძირითადად წარმოდგენილია რეგიონის ყოველდღიური ცხოვრების პრობლემატიკა, თუმცა, მისთვის არც ლიტერატურული თემატიკაა უცხო. კ. ტყავაძე ფსევდონიმით „მხედარი“, ორ ნაწილს უთმობს იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებას და მოღვაწეობას. კოტე ტყავაძე წერს: „იაკობი საზოგადოებასაც და მასწავლებელთაც მუდამ აღვიძებდა, მუდამ ჩასჩინებდა, ურკვევდა მიზანს სწავლა აღზრდისას, უკეთესს და უმთავრესს იარაღად მიზნის მიღწევისათვის უჩვენებდა სამშობლო ენას. როგორც კრუხი წიწილებს, იაკობი თავს დასტრიალებდა ქართველ ბავშვებს და მათ სამშობლო ენას და როგორც ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, ისე რუსულშიაც მხურვალე დამცველი იყო მათი“. წერილში აღნიშნულია იაკობ გოგებაშვილის დამსახურება ქართული ენის განვითარებაში, ნათქვამია, რომ იაკობმა შეადგინა „ქართული ანბანი“, „ბუნების კარი“, „დედა ენა“, მანვე შეადგინა პირველ

დაწყებითი სახელმძღვანელო „რუსული ენისა ქართველ ყრმათათვის“, გაზეთის რედაქტორი წერს, რომ იაკობი დიდებული პედაგოგი და მწერალი იყო, მან რაც თავისი დაუღალავი მუშაობის 50 წლის მანძილზე დააგროვა, ყველაფერი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა.[„მხედარი“ 1912]

რუბრიკაში „ჩემი დღიურები“ კოტე ტყავაძე რაფიელ ერისთავის შესახებ წერს. სტატიაში საუბარია მწერლის ბიოგრაფიაზე, ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. წერილში აღნიშნულია, რომ რაფიელ ერისთავი ლექსებთან ერთად წერდა პიესებსა და მოთხრობებს. ავტორი მწერლის ღვაწლზე საუბრობს და მის ლექსს, „სამშობლო ხევსურისა“, განიხილავს. [ტყავაძე 1912]. ერთ-ერთ წერილში კი კოტე ტყავაძე იაკობის გარდაცვალებასა და მის დასაფლავებაზე წერს: „წელს, 10 ივნისს, ტფილისის დიდუბის ეკლესიის გალავანში დავასაფლავეთ ერთი უკეთესი ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობის აღმზრდელ-მეგობარი გოგებაშვილი“-ო. [ტყავაძე,1912].

„ხმა კახეთისა“ აქტიურად ადევნებდა თვალყურის აკაკი წერეთლის მოღვაწეობას, იმის გარდა, რომ აკაკის უშუალო თანამშრომლობა გაზეთთან „ხმა კახეთისა“ უკვე დადასტურებულია, რედაქცია მგოსნის გარშემო არსებულ სიახლეებს ეხმაურებოდა. ასეთი სიახლეების გამოქვეყნება გაზეთმა გამოსვლიდან სულ მალე დაიწყო. მეათე ნომერში იბეჭდება ცნობა იმის შესახებ, რომ ქუთაისში დაიწყო ხელმოწერების შეგროვება აკაკის ახალ წიგნზე, რომელშიც მისი ისტორიული პოემა, „ვორონცოვი და მისი დრო“ შევა.

გაზეთში იბეჭდება ცნობა იმის შესახებ, რომ ზუგდიდის საზოგადოებას აკაკისთვის ვერცხლის ფრთის მსგავსი კალამი უჩუქებია. აკაკის კი თავმდაბლად განუცხადებია: „დიდად გმადლობთ ყურადღებისათვის, ეს თქვენი გულუხვი ძღვენი ბევრად აღმატება ჩემს შრომას და მოღვაწეობას, მაგრამ როგორც სახსოვარს მივიღებ სიტკბოებითა და სიყვარულით. გიღმენით უგულითადეს მადლობას“. [რედაქცია, 1914].

გაზეთი მუდმივად წერს აკაკის საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობის შესახებ. ერთ-ერთ წერილში კოტე ტყავაძე მგოსნის შესახებ, ვრცლად საუბრობს და ავრცელებს ცნობას, რომ ქიზიყში სტუმრად ჩამოსვლას აპირებს დიდი

მწერალი აკაკი წერეთელი. ტყავაძე აკაკის დიდ დამსახურებასა და მისი დიდებულად დახვედრის აუცილებლობაზე წერს. ეს შეხვედრა წერა-კითხვის გამავრცელებელ სიღანაღის საზოგადოებაში უნდა შემდგარიყო აგვისტოში, მაგრამ მალე გავრცელდა ცნობა მგოსნის ავადმყოფობის შესახებ. „ხმა კახეთისაში“ გაზეთ „იმერეთში“ გამოქვეყნებული წერილიც გადმოიბეჭდა „აკაკი წერეთლის ავადმყოფობის გამო“, სადაც წერია, რომ აკაკის ჯანმრთელობის მდგომარეობით მთელი ქართველობაა დაინტერესებული. აქვეა მოყვანილი გამგეობის გადაწყვეტილებაც: „1. ეთხოვოს იმ პირთ, რომელთაც თვით აკაკის მიერ დავალებული აქვთ მისი ანდერძის შესრულება და მისი ყოველივე ნაწერები და საბუთები ახარიათ, რო ეს საბუთები მტკიცედ იქნას დაცული იმ ადგილას, სადაც იგი თვით მგოსანს აქვს მიბარებული და შენახული. 2. აირჩეს სამი კაცისგან (იაკობ ფანცხავა, სილოვან ხუნდაძე და გრიგოლ გველესიანი) შემდგარი კომიტეტი, რომელიც იზრუნებს ავადმყოფი მგოსნის ნივთიერ დახმარებისთვის. ამ კომიტეტმა იშუამდგომლოს ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის წინაშე, რომ მისცეს აკაკის მისთვის დანიშნულ პენსიიდან დარჩენილი ხვედრი ფული ამ წლისა. 3. უშუამდგომლონ ტფილისის თავადაზნაურობის წინაშე, რათა იმათაც აღმოუჩინონ ავადმყოფს ნივთიერი დახმარება“. [რედაქცია, 1915წ.] ეს წერილი გაზეთმა 1915 წლის 25 იანვარს გამოაქვეყნა, 26 იანვარს კი აკაკი გარდაიცვალა. „ხმა კახეთისაში“ მგოსნის გარდაცვალების შესახებ ცნობა 1915 წლის პირველ თებერვალს, 226-ე ნომერში დაიბეჭდა. გაზეთის პირველსავე გვერდზე რედაქტორის, კოტე ტყავაძის წერილი „არ გვეღირსა“ გამოქვეყნდა. ავტორი თავის გულისტკივილს გამოხატავს დიდი მგოსნის გარდაცვალების გამო და თანამემამულეებს მიმართავს: „ჩვენი ტურფა სამშობლო ძაძებით შეიმოსა, პატარა საქართველოს ბედმა არ აკმარა ის მსხვერპლი, რომელსაც ათასობით სწირავს მსოფლიო ომის ველზე, არც გვაკმარა მუხთალმა ბედმა, რო ნაწილი ჩვენის პატარა ქვეყნისა თვით გადაიქცა დაუნდობელ ომის ველად და ნადგურდება! დაობლდა ჩვენი ქვეყანა, ატირდება მთელი ქართველობა. მოსტაცა უკეთესი შვილი აღმზრდელი რამდენიმე თაობისა. დამამაშვიდებელი, სიამაყე ივერიის ჩვენი გამამხნევებელი. ჩვენი უკეთესის იმედის ჩამწერგავი, ჩვენი ქვეყნის მნათობი. რუსთაველისებურ უკვდავ ქმნილებათა მთხზველი. ბიბლიურ



პატრიარქთა მსგავსი ლამაზ სახიანი და ტკბილ ენიანი დიდი მგოსანი ჩვენი სათაყვანებელი აკაკი. ქიზიყ-კახელნო! ვიტყვით ჩვენი ქვეყნის დაობლება - უფრო კი ვიტყვით ის, რო მსოფლიო ომმა ჩაგვიშალა ჩვენი სამზადისი წარსული წლის აგვისტოს ღირსეულად დავხვედროდით სიღანლსა და სოფლებში ჩვენს სათაყვანებელ მამულისშვილს. გაგვეცნო ჩვენი ხალხისთვის დიდი აკაკი და აკაკიც დამტკბარიყო ჩვენის მისადმი სიყვარულით - ჩვენი მისადმი თაყვანისცემით, მაგრამ მუხთალმა ბედმა აქაც გვიმუხთლა - მსოფლიო ომის ველმა წაგვგლიჯა ათასობით ჩვენი ქვეყნის თვალი ვაჟკაცნი, როს გამოც ძვირფას სამშობლო ქვეყნის სიამაყის - პატარა საქართველოს მნათობის დიდი აკაკის ჩვენს ოჯახებში მიღება არ გვეღირსა!“ [ტყავაძე, 1915]

როგორც ჩანს, ავტორი აკაკი წერეთლის გარდაცვალების ტკივილს მსოფლიო ომის ტრაგედიასთან ერთად აყენებს და ქართველებისთვის არანაკლებ უბედურებად მიჩნევს.

გაზეთის ამავე ნომერში იბეჭდება წერილი „აკაკი აღარაა“, რომლის ავტორიც სამსონ ფირცხალავაა ( ფსევდონიმით „სიტყვა“)[ჯავახიშვილი, 2002-81]. წერილში კორესპონდენტი აკაკის ღირსებასა და დამსახურებებზე საუბროს, მის გარდაცვალებას კი ეროვნულ ტრაგედიად მიიჩნევს: „აკაკი აღარ არის! აღარაა ის, ვისაც მარტო ერთი ღვთაება სწამდა - ქართველი ერი! ვისაც მარტო ერთი სამლოცველო ჰქონდა - საქართველო! ვინც მარტო ერთს სატრფოს ეთაყვანებოდა - თავის ერის ბედნიერებას! ვინც მარტო ერთს მზეს შეჰხაროდა - საქართველოს მზეს! ვისაც მარტო ერთი სძგდა, ერთს ვერ ურიგდებოდა - თავის ქვეყნის მტერს!“ [„სიტყვა“ 1915]

„ხმა კახეთისა“ N 227-ში „არყალელის“ ( ფსევდონიმი გაშფრული არ არის) წერილი გამოქვეყნდა, სადაც ის მწარედ გლოვობს დიდი მგოსნის გარდაცვალებას: „მართალია შეწყდა ძვირფას აკაკის მოსიყვარულე გულის ძგერა, მართალია ძნელია დიად უბედურებათან შეგუება, მაგრამ ნუ გაიტეხთ გულს ქართველნო, გაუუმადრდეთ განსაცდელს, შემოვიკრბეთ დიდებულ ცხედრის გარშემო და ჩავძახოთ მას სამარეში, - რომ მისი „ცა ფირუზ,- ხმელეთ ზურმუხტი სამშობლო მხარე“ კვლავ

იცოცხლებს, შვილები მისი არ დაივიწყებენ დიად მოძღვრებას დიად მგოსნისას და წმინდად შეასრულებენ ანდერძს უკვდავი აკაკისას“. [„არყალელი“, 1915]

გაზეთში იბეჭდება კოტე ტყავაძის წერილი „ერთი კვირა აკაკის კუბოსთან“, ტყავაძე ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე მგოსნის დამსახურებაზე საუბრობს და არც მის კახეთთან და „ხმა კახეთისასთან“ ურთიერთობას ივიწყებს: „მახსოვს, როდესაც ათასი შინაური და გარეული მტერი დამესია მე და ნამეტნავად ჩემს პატარა გაზეთს, აკაკის წერილი მივიღე, რომელშიც მამხნევებდა და მასთან გამოეგზავნა ლექსი, რომელშიაც „ხმა კახეთისას“ ჰლოცავდა ჩვენს სიბნელესთან საბრძოლველად..... აკაკის კუბოსთან ერთმა კვირამ დაგვარწმუნდა, რო დიდებულ მამულიშვილთა - აკაკის, ილიას და სხვათა უკანასკნელ 60 წლის შრომამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო და მათი ნესტან-დარეჯანი ავთანდილმა უკვე იპოვა და მოკლე მომავალში ტარიელი მას გაანთავისუფლებს... ამ ერთმა კვირამ აკაკის კუბოსთან იმედი ჩაგვინერგა - რო კავკასიის მთებზე მიჯაჭვულ ამირანს ეღირსება ჯაჭვის გაწყვეტა და თავის მშვენიერ სამშობლო არე-მარის აღორძინება და აყვავება.“ [ტყავაძე 1915წ.]

გაზეთში ფსევდონიმით „ვინმე“ ( დიმიტრი ბარნაბიშვილი, გაშიფრულია პროფ. გ. ჯავახიშვილის მიერ) აქვეყნებს წერილს სახელწოდებით „მგოსანი აკაკი“, სადაც მწერლის შემოქმედებას განიხილავს, ბოლოს კი დასძენს: „უკვდავია აკაკი მშობლიური ერის ხსოვნაში! იგი ქართველთა იანუსია: ერთი მხრით წარსულს გაჰყურებს, სადაც მარხია ჩვენი დიდება, ჩვენი კულტურა, ხოლო მეორე მხრით გზნებული თვალთ იყურება მომავლისკენ, სადაც უნდა აიგოს ახალი ტაძარი ტანჯული ერისა, თვით გახდა გზად და ხიდად და შეაერთა ორი ნაკადი ჩვენი ცხოვრებისა“. [„ვინმე“ 1915წ.]

„ხმა კახეთისაში“ იბეჭდება აგრეთვე კიტა აბაშიძის, ივანე გომართელის, თედო ჟორდანიას, თედო ბეგიაშვილის, კაჭრეთელი გლეხის დ. სოლოღაშვილის და სხვების წერილები და აკაკის დაკრძალვაზე წარმოთქმული სიტყვები.

გაზეთში გამოქვეყნდა იოსებ მჭედლიშვილის, ნიკო დარაშვილის, მიხეილ ჭეიშვილის, ვასილ სიფრაშვილის, ბოდბის წმინდა ნინოს სასწავლებლის მოსწავლის,

დარიკო ვაჩნაძის და გლეხი პოეტის, გიო კანაშვილის ლექსები, რომლებიც აკაკის ხსოვნას მიეძღვნა. ქიზიყელმა მწერალმა, ნიკო დარაშვილმა ასე გამოიგლოვა აკაკი:

#### აკაკის ხსოვნას

„მოკვდა მგოსანი... მოაკლდა სოფელს...  
მიდუმდა გული მგზნებარე მარად,  
ჰგლოვობს და გოდებს ქართველი ერი  
ჩამოსდის ყველას ცრემლები ღვარად.  
მოკვდა მგოსანი... მხოლოდ სხეულით,  
აზრი მისი კი უკვდავ იქნება,  
ვიდრე არსებობს მისი სამშობლო,  
ვიდრე მის ერი გარდაიქმნება...“

[დარაშვილი 1915]

მიხეილ ჭეიშვილი კი აკაკისადმი მიძღვნილ ლექსში „მთა წმინდა ტირის“, წერს:  
„შენც, შენც დამშვიდდი, ერო მწუხარევ,  
გაიქრე გულში ცეცხლის ალია,  
ჯერ არ მომკვდარა ჩვენი აკაკი,  
ჯერ არ მომკვდარა, დღეს ცოცხალია.  
მაშინ მოკვდება, როს მისი არფა  
სულ მომხიბლავი არ იწკრიალებს  
და მისი დროშა ცის კაემანში  
ძლევს მოსილად არ იფრიალებს“

[ჭეიშვილი 1915]

გლეხი გიო კანაშვილი კი („გ.კანანელი“) მგოსანის გარდაცვალებას უსამართლობას, თავად აკაკი წერეთელს კი ერის ბურჯს უწოდებს:

„ხორცად მოკვდა სულით არა!...  
სული ზეცამ მიიბარა,  
ამ სიკვდილმა უსამართლომ,

ერის ტანჯვა არ იკმარა.  
ეჰ სიკვდილო, გამოგვტაცე  
ჩვენი ქვენის მკვიდრი ბურჯი!  
ცას ჩააცვი შავი ძაძი  
აღარა სჩანს ფერად ლურჯი“...

[გ.კანანელი 1915]

თედო ჟორდანიას კი წერილში „ილია და აკაკი“ ასეთ ამბავს იხსენებს: „ილიას დამარხვის დღეს, როდესაც ზღვა ხალხმა ილიას წმინდა გვამი გამოატარა იმ სახლთან, სადაც მაშინ ავადმყოფი აკაკი იწვა, გულდათუთქული აკაკი ლოგინიდან წამოიწია: ცხედარი დამანახეთო. ორმა მხლებელმა ხელი მოჰკიდეს ავადმყოფს და ბალკონზე გამოიყვანეს თავშიშველი, თმაგაწეწილი აკაკი. ეს ზღვა ხალხი შედგა სმენად იქცა, აკაკიმ ხელები შემოიკრა და შესჩივლა ცხედარს: ეს რას ვხედავ! რათ მიღალატე ძმაო: ერთ უღელში ვებით, ჭაპანს ერთად ვეწეოდით, ახლა უღლიდან თავი გამოგიშვია მარტო დაგიგდივარ, გრცხვენოდეს! ახლა ცალი-და რისი მაქნისი ვარ, რატო თან არ წამიყვანე? რად გამეყარეო? აკი დღეს ისევ შეყრილან ეს ორი უკვდავი გმირი უკვდავ ქვეყნაში გაბრწყინებულნი, გამარჯვებულნი, დაგვირგვინებულნი ერის საუკუნის ხსოვნითა. ორივემ ერთი ჭაპანის წვევაში დალიეს თავისი გრძელი „ჭირის ცხოვრება და წმინდა სული“. [ჟორდანიას 1915] (ეს წერილი თავდაპირველად გაზეთში „ახალგაზრდა ქართველი“ დიბეჭდა).

კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია, რომელსაც „ხმა კახეთისა“ N 249-ში ქვეყნებს. რედაქცია იუწყება, რომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სიღნაღის განოფილებამ გადასწყვიტა 9 თიბათვეს, სიღნაღის ახალ კლუბის დარბაზში გაიმართოს აკაკის დაბადების დღის საღამო, რომელიც შესდგება სხვა და სხვა განყოფილებებიდან და რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას ჩვენი სტუმარი მსახიობნი შალვა დადიანი და ელო ანდრონიკაშვილი“. [რედაქცია, 1915]

გაზეთის ბოლო 250-ე ნომერში კი რედაქცია იუწყება, რომ მგოსნის საიუბილეო საღამო 9-ს ნაცვლად 14 ივნისს გაიმართა, გაზეთის ინფორმაციით, საღამოზე

მონაწილეობა შალვა დადიანმა და ელო ანდრონიკაშვილმა მიიღეს, აკაკის ლექსები წაიკითხეს, მართა ტყავაძემ (კოტე ტყავაძის მეუღლე), ქ. ჯანიკაშვილმა და ნუკრიანის სკოლის მოსწავლე გოგონამ. საღამო განსაკუთრებით შთამბეჭდავი გახდა შალვა დადიანის, თედო ბეგიაშვილისა და დიმიტრი ბარნაბიშვილის რეფერატებმა. საზოგადოებას განსაკუთრებით დადიანის გამოსვლა მოეწონა. რეფერატში აკაკის მოღვაწეობის პერიოდის პოლიტიკურ-ეკონომიური ვითარებაა აღწერილი და ამ ფონზე მგოსნის შემოქმედებაა განხილული. ავტორი ამბობს: „ფოლადი თითქოს მოხვდა კაქს და ნაპერწკლები გაჰყარა. იგი მართლაც შეეხო თავის სათუთის საქმით ხალხის გულს, გამოუძებნა მისი სატკივარი და თუ ერთის მხრით ამბობდა: „ჩამომეხსენ ოსმალელო, რა გაქვს ჩემთან საზიაროვო“, ესე იგი, თუ ერთის მხრით სწუხდა, რომ მისი ხალხი მედგარ პოლიტიკურ უღელში იყო მონათ გაბმული, მეორე მხრით მან უმღერა პირველი ნაწინა „გაპუტულ გლეხის შვილს“. მან ორივე დიდი ფქტორი მაშინდელის ჩვენის ცხოვრებისა უცნაურად შეიგრძნო და ორივეს თავისი საპროტესტო, მახვილი კალამი შეახო“. ავტორი ამბობს, რომ კაკი თავის ლექსებში იმ დროის აქტუალურ პოლიტიკურ თემებსაც შეეხო: „აკაკის მთელს მის სიცოცხლეში ორი მთავარი მოტივი ასულდგმულედა: მისი ქვეყნის მონობიდან დახსნა და მისი ხალხის ბედნიერება. ეს, მოგეხსენებათ, უფრო პუბლიცისტიკის საქმეა. აკაკიც, თავის ლექსებით, არ ყოფილა საკითხი მის დროს, წვრილმანი თუ მსხვილმანი, არ გამოხმაურებოდეს. იგი თითქოს პუბლიცისტურ თემებს ლექსავდა, შაირად აკეთებდა, ეს კი მეტად სახიფათო მანერაა წერისა, შეიძლება სამოქალაქო მოტივებმა სრულად ჩაახშოს პოეტური აღმაფრენა, მაგრამ აკაკის ეს არ მოსვლია რადგან ის მართლაც სწორ - უტყუარ მგოსნად იყო „ცის ნიჭად მოვლენილი“, ამიტომ იგი უკვდავია, ხოლო ყოველი უკვდავი ხალხის ხსოვნაში უსათუოდ მსოფლიო მოწინავეებში ჩაირიცხება“. [დადიანი 1915]

გარდა ამისა, „ხმა კახეთისაში“ ხშირად ქვეყნდებოდა აკაკის შესახებ მცირე ინფორმაციები, ეს იქნებოდა ახალი ლექსის დაბეჭდვა თუ კრებულის გამოცემა. ის ფაქტი, რომ გაზეთი აქტიურად ადევნებდა თვალ-ყურს მგოსნის ცხოვრებას და მისი გარდაცვალებაც რედაქციამ და თანამშრომლებმა მტკივნეულად განიცადეს, შემთხვევითი არ არის. აკაკის მთელი საქართველოს ბედი აწუხებდა და ყოველ

კუთხე კუნჭულს, ყველა რეგიონს ეფერებოდა. მას არც კახეთი გამორჩენია. ამ კუთხეში მოგზაურობის შესახებ მის პუბლისცისტურ წერილებში ბევრია ნათქვამი, მისი დამოკიდებულება „ხმა კახეთისას“ მიმართ კი თავად გაზეთს ფურცლებზე გამოჩნდა, როცა კოტე ტყავაძეს წერილი მისწერა და „ხმა კახეთისას“ ლექსი მიუძღვნა, რომელიც ქვეთავში „ხმა კახეთისას“ პოეზია“ განვიხილეთ, ამიტომ, გაზეთი აკაკის მიმართ განსაკუთრებულ კეთილგანწყობას ამჟღავნებდა.

„ხმა კახეთისაში“ ინფორმაციები სხვა მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა შესახებაც იბეჭდებოდა. იმის მიუხედავად, რომ გაზეთის გამოსვლის დროს ილია ჭავჭავაძე უკვე 5 წლის გარდაცვლილი იყო, რედაქციას მისი ღვაწლი და დამსახურება ყურადღების მიღმა არ დარჩენია. აქ ქვეყნდება ისეთი სიახლეები როგორებიცაა ილიას ძეგლის გახსნა და მისი კურთხევა, სადაც გაზეთი იუწყება, რომ როგორც იქნა დაიდგა ილიას ძეგლი, როგორც ჩანს, ამ პროცესს წარმომადგენელი სიღანდიდანაც დასწრებია, ამის შესახებ „ხმა კახეთისას“ რედაქცია წერს: „დღეს ყოველი შეგნებული ქართველი პირადად თუ ვერ მოახერხა, სულით და გულით მაინც დაესწრობა ტფილისში მთაწმინდის ეკლესიასთან დაუვიწყარს მგოსნის და საზოგადო მოღვაწის, ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის საფლავზე ძეგლის კურთხევას. წ.კ.გ.ს-ს სიღნაღის განყოფილებამ გაგზავნა თავის წარმომადგენლად თ. ნიკ. ალ. ჯანდიერი.“ (ეს ის ნიკოლოზ ჯანდიერია, რომელიც აკაკი წერეთელმა თავის ლექსებში „კახელებს“ მოიხსენია)

გაზეთის 79-ე ნომერში კი გამოქვეყნდა დ-ლის (უცნობი ავტორია) წერილი. „ილიას ხსოვნა თელავში“, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ ჩატარდა თელავში ილიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. ავტორი მიიჩნევს, რომ ასეთი ღონისძიებები მწერლის ნაწარმოებების პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. როგორც წერილში წერია, ილიას გარდაცვალების დღეს კი მისი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი იქნება გადახდილი. [დ-ლი, 1913]. ერთი წლის შემდეგ გაზეთი კვლავ ბეჭდავს ინფორმაციას ილიასადმი მიძღვნილი საღამოს შესახებ. წერილში საუბარია მწერლის შემოქმედებასა და მის როლზე ერის ისტორიაში: „ყოველი ერის გამოჩენილი და დიდებული მწერალი, პოეტი მრავალნაირ საუკუნო საუნჯეს ანიჭებს თავის ერს. მწერალი თავის უკვდავი ნაწარმოებების შემწეობით ხელს უწყობს ხალხის

განვითარებას, აღვივებს ხალხის გულში მრავალ კეთილ გრძნობებს და აძლევს ხალხს სულიერ საზრდოს. მაგრამ მარტო ამით არ განისაზღვრება მწერლის მნიშვნელობა. იმაში გამოიხატება, რომ იგი აღვივებს თავის ხალხში ეროვნულ სიამაყეს, გრძნობს და ამის გამო ხდება ერის შემაერთებელ ბურჯად“. აქვე საუბარია ილიას დიდ დამსახურებაზე ქართული მწერლობისა და ქართველი ხალხის თვითშეგნების ამაღლების საკითხში. ბოლოს კი რედაქცია იმედს გამოთქვამს, რომ სიღნაღის და სოფლების მცხოვრებნი მივლენ ამ სადამოზე და „მით აღასრულებს თავის მოავალეობას დიდებული ქართველის ხსოვნის წინაშე“ [რედაქცია, 1914წ.]

ილიას ძეგლის კურთხევასთან დაკავშირებით „ხმა კახეთისაში“ სიკო ფაშალიშვილის ლექსი „სისხლის ლაქა“ ქვეყნდება. ახალგაზრდა ავტორი ილია ჭავჭავაძის მკვლელობას შემზარავ ფაქტად და სრულიად საქართველოს სამარცხვინო ლაქად მიიჩნევს:

#### სისხლის ლაქა (ილიასადმი)

„ის მოვკალით, ვინც ცის შუქით ბნელ გონებას გვინათებდა,  
მამულის და მშობელ ერის სიყვარულით გულს გვინათებდა,  
ვინც მომავლის მწვავ კოცონზე თავის გული დასდო მსხვერპლად  
და სიცოცხლე შიგ ჩაჰქსოვა დასაწვავად, დასაფერფლად!..  
ვინცა ჰკენესდა ხალხის კენესით, მისთვის იყო ძილ დამკრთალი-  
წარსულს სტირდა, აწმყო სძულდა, ახარებდა მომავალი!  
ის მოვკალით!... ცივის დაშნით გაუგმირეთ მტკიცე გული,  
სადაც ჰფეთქდა ჩაუქრობლად თვით მტერთდამი სიყვარული-  
ტყვია ვკარით მის მაღალ შუბლს, ცის დასთაგან მირონცხებულს  
და მის წმინდა სისხლის ლაქა აღებეჭდა ჩვენს სულს... ჩვენს სულს!..  
დრო გავიდა... მის ქარტეხილს, ერის გლოვა თან არ გაჰყვა,  
მხოლოდ ლაქა, სისხლის ლაქა ჩვენს გონებას ლადნად აჰყვა  
ცოცხალ სახით წინ გვიხვდება, გვიკრთობს, გვიწვავს თვალთა ხედვას;  
„მომიტყვე!“ ამისაც კი ვერ ვახერხებთ თქმას, გაბედვას...  
დრო კვლავ მიჰქრის, მაგრამ ლანდი ჩვენს თვალთა წინ არა ჰქრება  
და ბრმათ, რაც კი წუთით ვქმენით კვლავ შვილიშვილთ ცოდვად გვრჩება!..

სისხლის ლაქა, სისხლის ლაქა, სდევნის, ჰქენჯნის ჩვენსა სინდისს  
და მას ცრემლით სინანულის გადავრეცხავთ? არვინ იცის!..

[ფაშალიშვილი. 1913]

როგორც ჩანს, მწერალმა ნათლად გააცნობიერა ილიას სიკვდილით გამოწვეული  
დანაკარგი და მისი მუხანათური მკვლევლობა ეროვნულ ტრაგედიად წარმოაჩინა.

ილია ჭავჭავაძეს ეძღვენება კიდევ ერთი ლექსი, რომელსაც „ილიასადმი“ ჰქვია.  
ლექსის ავტორი იოსებ მჭედლიშვილია. მასში ილიას დიდ დამსახურებაზეა საუბარი:

#### ილიასადმი

„ის კაცი იყო და იმისათვის  
ალალი არის კაცის სახელი!  
მზემ ის კი არა მან მზე გვიჩვენა  
და მოგვაფინა სხივი ნათელი.  
მისმა ციურმა ჩანგმა, სიმღერამ  
დაფანტულები შეგვყარა ერთად!  
უმიზნოდ მყოფებს მოგვცა მიზანი-  
მან დაგვისახა სამშობლო ღმერთად!  
მხურვალე ბრძოლის კორიანტელში  
იგი უვიც ბრბოს წინ მიუძღოდა:  
„გავწყდეთ სამშობლოს მტანჯველებთანო“  
გმირულის ხმითა აღმოიტყოდა:  
და ამ ბრძოლაში დაეცა კიდევ,  
გულგანგმირულმა თავი დახარა,  
მაგრამ მის სისხლი გზაზე კი არა  
ჩვენ ნორჩ ძარღვებში გადმოიღვარა!“

[მჭედლიშვილი, 1912]



ილიაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მისი ლიტერატურული ნაწარმოებები „ხმა კახეთისას“ ფურცლებზე არ გამოქვეყნებულა, თუმცა, ამის მიუხედავად, გაზეთი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვან თარიღებს ყოველთვის აქტიურად ეხმაურებოდა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გაზეთში სხვადასხვა ცნობები ვაჟა-ფშაველას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე გამოქვეყნდა. „ხმა კახეთისას“ „ახალი ამბების“ რუბრიკაში ინფორმაცია ვრცელდება პოეტის ავადმყოფობასთან დაკავშირებით, სხვა ნომერში კი იბეჭდება ცნობა იმის შესახებ, რომ ვაჟა-ფშაველა უკვე ყოფილა თიანეთში მკურნალობს. ეს ინფორმაციები გაზეთს მისმა კორესპონდენტებმა - კონსტანტინე მაღალაშვილმა და თეოფილე რუსიშვილმა მიაწოდეს, რომლებმაც ავადმყოფი პოეტი თიანეთში ყოფნის დროს ინახულეს.

„ხმა კახეთისაში“ ერთი საინტერესო ინფორმაცია გამოქვეყნდა: „მგოსანი ვაჟა-ფშაველა, ათ სექტემბერს ტფილისს ჩამოვიდა, სადაც რამდენიმე დღეს დაჰყოფს. მგოსანი ოც ივლისს როდესაც თელავს მიემგზავრებოდა ილიას საღამოზე დასასწრებად, ქისტაურსა და ახშაანს შუა დაუკარგავს ჩანთა, რომელშიც სხვა ქალაქებთან ერთად ყოფილა ახლად დამთავრებული პოემა მგოსნისა სათაურით: „ჩაღმა-წოვანი“. ბ-ნს ვაჟს ჩანთის დაკარგვის ამბავი ქისტაურის მამასახლისის პრისტოვისა და ახმეტის ბოქაულისათვის უცნობებია და როგორც ჩანს უკანასკნელთ დღემდე არავითარი ღონისძიება არ მიუღიათ ჩანთის მოსაძებნათ.“ [რედაქცია, 1913]

პროფესორ თედო ბეგიაშვილის ცნობით, „ხმა კახეთისას“ რედაქციის თნამშრომლები, მისი თელაველი და სიღნაღელი მეგობრები ვაჟ-ფშაველას ხშირად მოინახულებდნენ ხოლმე. მეგობართა შორის შეკრებილ შეწირულობებსა და სანოვაგეს კი პოეტს თავისი ახლო ნათესავის ილო მოსაშვილის საშუალებით უგზავნიდნენ. [ჯავახიშვილი, 2002-52]

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „ხმა კახეთისაში“ იბეჭდებოდა ქიზიყელი მწერლის, იროდიონ ევდოშვილის ლექსები და პუბლიცისტური წერილები, რომლებიც უკვე განვიხილეთ. ამის პარალელურად გაზეთი მის შესახებ სხვადასხვა ინფორმაციებსაც ავრცელებს. აქ დაიბეჭდა ცნობა იმის შესახებ, რომ ქუთაისში იროდიონ ევდოშვილის საღამო გაიმართა, სადაც დიდძალი ხალხი მივიდა და სცენა ვარდებით აავსეს.

მაღე ინფორმაცია გავრცელდა მწერლის ავადმყოფობის შესახებ. ამის გამო, „ხმა კახეთისა“ მკითხველს მოუწოდებდა, რომ „ხელი გაუწოდოს საზოგადოდ ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლოს, კერძოთ, ჩვენი ქიზიყის (ბოდბისხეველთა) სახელოვან შვილს, რათა საშუალება მიეცეს მეტი იცოცხლოს და არა ერთხელ დაგვატკბოს მისმა ლექსმა ჩვენს დაბეჩავებულ ცხოვრებაში. აი, რაგვარ ხალხს უნდა უშველოთ, აი, ვისთვის უნდა სადამოებიც და წარმოდგენებიც, ამგვარი ხალხისთვის დახარჯული ფული ერთიანად და ასად უბრუნდება საზოგადოებას“. [„კ-ტ-ე“, 1913] (წერილი კოტე ტყავაძეს ეკუთვნის).

გაზეთში ქვეყნდებოდა ცნობები პოეტის სახელოზე შეწირულობის შეგროვებისთვის, ამასთან ერთად, „ხმა კახეთისა“ მუდმივად აწვდიდა მკითხველს ცნობებს მისი ჯანმრთელობის შესახებ. საზოგადოების თანადგომით გამხნეებული იროდიონ ევდოშვილი კი წერდა: „ თქვენი გააზეთის საშუალებით ნება მიბოძეთ მადლობა გადავუხადო ყველა მათ, რომელთაც აღმოაჩინეს როგორც მატერიალური დახმარება, ისე გულითადი თანაგრძნობა ჩემს დღევანდელ მდგომარეობაში. ბოდიშს ვიხდი, რომ არ შემიძლია ყველას სათითაოდ გადავუხადო მადლობა“.

ამ წერილების გვერდით ი. ელოშვილისა და ია ეკალაძის ლექსები გამოქვეყნდა, რომლებიც იროდიონ ევდოშვილს მიემძღვნა. ლექსი „მღეროდა მგოსანი“ 1913 წლის ივლისშია დაბეჭდილი, მასში ელოშვილს თითქოს იროდიონ ევდოშვილის შინაგანი სამყარო წარმოუჩენია:

„სიცოცხლის სიზმრით მოქანცული ოცნება ტკბილი,  
მყუდრო სავანეს არ ეძებდა,-სურდა ეფრინა...  
ობლობის ნავი... ფიქრის კიდით...შორს გატყორცნილი  
წინ,წინ ილტვოდა!...ის კვლავ სდუმდა, მას კვლავ ეძინა!  
სევდის ანძაზე დაყრდნობილი მგოსანი სულის...  
მღერდა და მღერდა... ცხოვრების გზა კი ბობოქრობდა...  
მშობელ მხარეზე არ ისმოდა ხმა სიყვარულის...  
ის კვლავ კვნესოდა... კვლავაც სდუმდა...კვლავაც ობლობდა.  
მღეროდა, თუმცა მის მღერაში სჩქეფდა ნაღველი-  
უმაღურობა სიცოცხლისა-წყეულ ბედისა“.

[ელაშვილი.1913]

ლეჟი „ობლის აღსარება“ კი , როგორც აღვნიშნეთ, ია ეკალაძეს დაუწერია, რომელიც თავდაპირველად გაზეთ „იმერეთში“ დაბეჭდილა, 1914 წლის 7 ივნისს კი იროდიონ ევლაშვილის სადამოწოე წაუკითხავთ.

როგორც ვხედავთ, „ხმა კახეთისას“ რედაქცია დიდ ყურადღებას აქცევდა ლიტერატურულ მასალებსა და სამწერლობო სფეროს. გაზეთის მეშვეობით კი მკითხველს საშუალება ეძლეოდა გაცნობოდა იმ სიახლეებს, რომლებსაც აღნიშნულ სფეროში ჰქონდა ადგილი. აქ მუდმივად იბეჭდებოდა როგორც რეგიონში მოღვაწე, ისე მთელს ქვეყანაში ცნობილი მწერლების ნაწარმოებები და ცხადია, მათ შესახებ არსებული ინფორმაციებიც მკითხველისთვის საინტერესო იყო.

### თავი III

#### გაზეთი „ახალგაზრდა ქართველი“

ცნობილია, რომ XIX საუკუნის 90-იან წლებამდე თელავში სტამბა არ ყოფილა. 1890 წელს თელავს ეწვია ცნობილი ქართველი მესტამბე ექვთიმე ხელაძე და ქალაქში სათავე დაუდო სასტამბო საქმეს. სწორედ ამ წლიდან დაიწყო თელავში ქართული წიგნის ბეჭდვა..... იყო ცდა, რომ თელავში წიგნებთან ერთად გაზეთის ბეჭდვაც დაეწყოთ. ამისათვის თავის დროზე ზრუნვა არ დაუკლიათ ნიკო მთვარელიშვილს, ვასილ ბარნოვს, ივანე პაატაშვილის, ნიკო სულხანიშვილის, მაგრამ მაშინდელი საცენზურო პირობების გამო ვერ განხორციელდა. ცხადია, გაზეთის გამოცემაზე ფიქრი, სხვა მრავალ სასიკეთო საქმეებთან ერთად დროებით შეწყდა. თუმცა, 1919 წლის 20 იანვრიდან თელავში გამოსვლას იწყებს ყოველკვირეული მოწაფეთა სამხატვრო-სალიტერატურო გაზეთი „ახალგაზრდა ქართველი“. გაზეთის შესახებ სხვადასხვა დროს ალექსანდრე გვენცაძემ, ლამარა იანვარაშვილმა, გრიგოლ იარალოვმა და გიორგი ჯავახიშვილმა დაწერეს. ლ. იანვარაშვილი თავის მოკლე ნარკვევში „ივანე როსტომაშვილის ცხოვრება და საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობა“, გაზეთის შესახებ შემდეგი ინფორმაციის გვაწვდის: „აღსანიშნავია, რომ მწერალი ქალის სევდიას (ნინო გოგოლაძე) პირად არქივში აღმოჩნდა ყოველკვირეული მოწაფეთა სამხატვრო-სალიტერატურო და საპედაგოგიო გაზეთი „ახალგაზრდა ქართველი“, რომელიც 1919 წლით თარიღდება. გაზეთს ხელს აწერს ვინმე დ.ა-ძე, როგორც მასწავლებლები თელაველი ნინო ყაზახაშვილი და გიორგი მელითაური თავიან ზეპირ მოგონებებში გადმოგვცემენ, დ.ა-ძე უნდა იყოს, მაშინდელი გიმნაზიის მოწინავე მოსწავლე დათუნა აბაშიძე. სავარაუდოა, რომ გაზეთის გამოცემის საქმეს ფაქტიურად იმ დროინდელი გიმნაზიის დირექტორი ივ. როსტომაშვილი ხელმძღვანელობდა. რაზეც თვით გაზეთის დახვეწილი ტექნიკური მხარე და მდიდარი შინაარსი მეტყველებს. ამ მოსაზრებას ისიც აღმავებს, რომ გაზეთში აღზრდის საკითხებზე თვით ივანე როსტომაშვილის რამდენიმე ყურადსაღები წერილია დაბეჭდილი.“ [იანვარაშვილი, 1975-68]

ამ გაზეთის შესახებ მოგვინებით კვლევა პროფესორმა გიორგი ჯავახიშვილმა ჩაატარა. მისი ინფორმაციით 1917 წელს თელაველი მოსწავლე დათუნა აბაშიძე თბილისში, ნათესავთან სტუმრობის დროს ლიტერატურულ საღამოზე წაუყვენიათ, დათუნამ აქ საკუთარი ლექსი წაიკითხა და დიდი მოწონება დაიმსახურა.

დ. აბაშიძე თელავში დაბრუნებისთანავე შეუდგა „მოსწავლეთა კლუბის“ ჩამოყალიბებაზე ზრუნვას და ერთ თვეში გაიხსნა კიდევ „მოსწავლეთა კლუბი“, რომლის საქმიანობაში ჩაებნენ: ცნობილი პედაგოგი ივანე როსტომაშვილი, მხატვარი ვალერიან სიდამონ-ერისთავი, რეჟისორი მიხეილ ქორელი, კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი. პედაგოგები: თამარ ვახვახიშვილი-აბაშიძისა, დიმიტრი დეკანოზიშვილი, და მწერალი ქალი ნინო გოგოლაძე („სევდია“).

1919 წელს თელავს ეწვივნენ ქართველი მწერლები: დავით კლდიაშვილი, ტიცინა ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე და სხვები. როგორც ნინო მაყაშვილი იუწყება თავის წიგნში: „ტიციანი და მისი მეგობრები“, „ალავერდობის შემდეგ თელავში პოეზიის საღამო გავმართეთ. ამ საღამოს ორგანიზატორი გახლდათ თელველი პოეტი დათუნა აბაშიძე“. სწორედ მათთან უშუალო შეხვედრისას გაირკვა, რომ თელავს ჰქონდა საკუთარი გაზეთი და მისი რედაქტორი გმირი ქართველი ქალის, მარო მაყაშვილის დახასიათებით, „თელაველი ცისფერყანწელი“ იყო. [ჯავახიშვილი 2002-2003, 129 ].

ამდენად, როგორც ირკვევა 1919 წლის იანვრიდან „მოსწავლეთა კლუბმა“ დათუნა აბაშიძის ხელმძღვანელობით თელავში პირველი ნაბეჭდი გაზეთი „ახალგაზრდა ქართველი“ გამოსცა. გაზეთის პირველივე ნომერში გამოქვეყნებულ მოწინავე წერილში ნათქვამია „მივალწიეთ ჩვენს მიზანს, ჩვენს მისწრაფებას, გამოვიდა დღეს პირველად „ახალგაზრდა ქართველი“ და იმედია, რომ ჩვენი საზოგადოება თანაგრძნობით მოეპყრობა ჩვენს ახალდაწყებულ საქმეს და მომავალშიაც შეგვაძლებინებს მის გამოცემას. თავისუფალი სკოლის საზოგადოდ, და ჩვენი ქვეყნის კულტურული წინსვლა, ხელოვნების განვითარება, ახალგაზრდების ერთად შეჯგუფება და ერთის ენერგიით, ერთი ახალგაზრდული ძალით წინსვლა, აი რაში მდგომარეობს ჩვენი გაზეთის პროგრამა.“ [დ-ა-ძე, 1919].

გაზეთის გამოსვლას სიხარულით შეგებებია თელავის ინტელიგენცია. ერთ-ერთი მათ შორის იყო მწერალი ნინო გოგოლაძე, რომელიც ახალგაზრდებს გაზეთის გამოცემას ასე ულოცავს: „პირველად გამოვიდა ამ მივიწყებულ კუთხეში გაზეთი და ეს მით უფრო სასიხარულოა, ეს დიდი ნაბიჯი გადადგით თქვენ, ახალგაზრდა ქართველებო...“

თელავის ახალგაზრდა ქართველობა ყოველთვის ავანგარდს შეადგენდა თელავის საზოგადოების მოღვაწეობაში და დღესაც მან პირველმა ჩაუდგა ღრმა სამირკველი თელავში მუდმივი გაზეთის არსებობას.

თქვენ, ახალგაზრდებო! ნუ დაგავიწყდებათ, რომ ხართ მედროშეები თელავის საზოგადოების აღორძინებისა და წინსვლისა, მისთვის გაამართლეთ საზოგადოების იმედები. სალამი თქვენს მუშაობას.“ [„სევდია“, 1919].

ლამარა იანვარაშვილის ინფორმაციით „ახალგაზრდა ქართველის“ 3 ნომერი (6, 7, 8) ნინო გოგოლაძის არქივში ინახებოდა. თუმცა ჩვენი კვლევის პერიოდში ეს არქივი მთლიანად დაკარგული აღმოჩნდა. ასე რომ ეს გაზეთის ეს ნომრები ჩვენთვის ხელმიუწვდომელია. „ახალგაზრდა ქართველის“ პირველი, მეექვსე და მეათე ნომრები პროფესორ გიორგი ჯავახიშვილს შემოუნახავს, რომელმაც საშუალება მოგვცა ეს გაზეთი გაგვეცნო.

გაზეთის პირველივე ნომერში „ძველგალავნელის“ (ზაქარია ჩხიკვაძე, ფსევდონიმი გახსნილია გიორგი ჯავახიშვილის მიერ) და „ილურთელის“ „ახალგაზრდა ქართველისადმი“ მიძღვნილი ლექსები გამოქვეყნდა:

„ახალგაზრდა ქართველი“ ვარ  
ჯერ პატარა, ამხელა!  
მსურს კახეთის ავ-კარგის  
მკითხველებთან გამხელა...  
ჯერ მოწაფემ დამწერა,  
მერე სტამბამ დამხელა,  
მისთვის ვიქეც მკითხველო  
სულ პატარა, ამხელა!...“

[„ძველგალავნელი“, 1919].

გაზეთის 6-ე ნომერში ქვეყნდება რ. მურთაზაშვილის მოთხრობა „ზამთრის სიზმრები“, სადაც ბუხართან მჯდარი მოთხრობის გმირი ჩაფიქრებული შემის წვას უყურებს. ნაწარმოებში ის აზრია გატარებული, რომ როგორც ბუხარში შემა, ადამიანის სიცოცხლეს ასევე იფერფლებს, მისი აზრით ასეთია ბუნების კანონი.

ამავე ნომერში გამოქვეყნდა „ილაღეს“ ფსევდონიმით ლექსი „დარაჯი“, აქვე დაიბეჭდა დათუნა აბაშიძის ლექსი „დატანჯული სიყვარული“. ახალგაზრდა პოეტს თავისი ბოზოქარი გრძნობები ამ ლექსში გამოუხატავს:

დატანჯული სიყვარული  
„გრძნეულების ჯაჭვით შემკრა,  
სულს მიხუთავს მძლავრი ტრფობა,  
რა ვქნა სატრფოვ შენი თავი,  
ჩემთვისაც კი არ მეთმობა.  
დავიღალე ამ მწველ გრძნობას  
ვეღარ უძლებს ჩემი გული,  
ამას ჰქვიან მხოლოდ ამას  
ეგ უზომო სიყვარული.  
თვით მზეზეც კი ვეჭვიანობ  
ზედ რომ გაფრქვევს თვის სხივებსა,  
მთვარეც კი მძულს, თვითონ მთვარეც,  
რომ ის ბედავს შენს ალერსსა.  
და ეს გრძნობაც უსაზღვროა,  
ისე როგორც ოკეანე  
და ისევე ანკარაა  
ვით მთის წყარო მოკამკამე.  
დავიღალე ამ მწველ გრძნობას  
ვეღარ უძლებს ჩემი გული,  
ამას ჰქვიან მხოლოდ ამას  
ეგ უზომო სიყვარული“. [დ.ა-ძე, 1919]

გაზეთის 6-ე ნომერში უსათაურო ლექსს აქვეყნებს ავტორი ფსევდონიმით „ილალე“. ნაწარმოები სასიამოვნო წასაკითხია და საინტერესო შინაარსს შეიცავს:

„დაფიქრებით მე მივფრინავ ამ საღამოს, წყნარს და მძინავ,  
სად მიილტვის ჩემი გული - სად ოცნების ფრთებით ვფრინავ.  
უხილავად ნისლში ვცურავ, ამ ფიქრებით იმ არეში.  
სადაც ფიქრთა გამიტაცეს, ამ ოცნების იმ მხარეში.  
მალე მინდა იქ მე მისვლა - არც კი მინდა დავისვენო  
სად ამ ქვეყნად დავიბადე და სად მინდა განვისვენო.“ [„ილალე“ 1919].

„ახალგაზრდა ქართველში“ საგირეთელის (ალექსანდრე პოპიაშვილის) ლექსი „ეჰ ცხოვრებავ მოწყენილო“ დაიბეჭდა, სადაც ავტორი ამ ცხოვრების ამაოებაზე წერს და თავის ბედისწერაზე წუხს:

„ ეჰ, ცხოვრებავ მოწყენილო, სად მიგყევარ რომელ მხარეს?  
სად მიპირებ მე გატყორცნას! რომელ კუთხეს, რომელ არეს?  
სად შესწყვეტავ ობოლ ქნარზე გესლიანსა სევდის სიმებს?!  
სად გაჰფანტავ, ან ვის უძღვნი ამ ჩემს მტანჯველ შავსა ფიქრებს?!  
სად მეწვევა მე სიკვდილი, რომელ კუთხეს, რომელ მხარეს?!  
სად მალირსებ მოსვენებას, სად გამითხრი შავ სამარეს?  
ვერა, ვერა, ვერ მოსვწყდები მე ბედკრულთა ღარიბ კერას!...  
მასთან ერთად აქ მოკვდები, აქ შევსწყვეტავ გულის ძგერას.“

[„საგირეთელი“, 1919].

გაზეთი თავის ფურცლებზე სხვადასხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებს აქვეყნებდა, მაგრამ, სამწუხაროდ ყველა მათგანის გაცნობა ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო ვერ მოვახერხეთ.

„ახალგაზრდა ქართველის“ 6-ე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით მისი კორესპონდენტი გ. ნაიბიშვილი წერდა: „ეს უკვე ჩვენი გაზეთის მეექვსე ნომერი გამოვიდა. შეერთებულმა მოსწავლე-ახალგაზრდობამ პირველი დაბრკოლებანი უკვე გადალახა და დღეს ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენს გაზეთს ექნება მომავალი და



ამიერიდან უფრო მტკიცე და გასუფთავებულ გზადკვილზედ ივლის.“  
[ნაიბიშვილი, 1919].

ასეთი იმედიანი განხცხადების მიუხედავად გაზეთის მხოლოდ ათი ნომერი გამოვიდა. „ახალგაზრდა ქართველის“ ფაქტიური რედაქტორი დათუნა აბაშიძე მოულოდნელად გარდაიცვალა, რაც გაზეთის დახურვის მიზეზი გახდა.

იმის მიუხედავად, რომ გაზეთი მცირე ტირაჟით გამოდიოდა და მისი მხოლოდ ათი ნომერი გამოიცა, მან თავისი როლი შეასრულა თელავის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცხოვრებასა და შემოქმედებით განვითარებაში. ამასთან ერთად გაზეთში უამრავი საინტერესო სტატია გამოქვეყნდა, რომელიც ეხებოდა განათლების საკითხებს, სპორტულ ცხოვრებას ფსიქოლოგიასა და საბიბლიოთეკო საქმეებს. ამდენად გაზეთი მრავალმხრივ საინტერესო მკვლევარებისთვის, მითუმეტეს, რომ ის ჟურნალ-გაზეთების არც ერთ ბიბლიოგრაფიულ გამოცემაში აღწერილი არ არის.

XX საუკუნის პირველ ოცწლეულში კახეთი ჟურნალ-გაზეთების გამოცემის სიმრავლით არ გამოირჩეოდა. როგორც ნაშრომშიც აღვნიშნეთ, ყველაზე ხანგრძლივად გაზეთი „ხმა კახეთისა“ გამოიცემოდა(1912-1915წწ). თუმცა, ჩვენთვის ცნობილია, რომ გასული საუკუნის ოციან წლებში სიღნაღში მოსწავლეთა ჟურნალი „იმედი“ გამოვიდა. აღნიშნული ფაქტის ირგვლივ ქართული პრესის ისტორიის აკადემიურ გამოცემებში არაფერია ნათქვამი. ამ ჟურნალის შესახებ პირველი ცნობები 1960-1961 წლებში გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა, 1967 წელს მისი ისტორიის შესწავლა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, შალვა გოზალიშვილმა დაიწყო. არსებული მასალით ირკვევა, რომ ქალაქ სიღნაღში 1920 წლის 20 თებარვლიდან „იმედის“ სახელწოდებით გამოდიოდა სიღნაღის გიმნაზიის მიწაფეთა ყოველთვიური ჟურნალი. ეს იყო მოსწავლეთა პირველი ნაბეჭდი ჟურნალი საქართველოში, რომლის გამოსვლა მეოთხე ნომრით შეწყვეტილა. საკითხის ისტორიის სრული გათვალისწინებისთვის საჭიროა გავიხსენოთ ყველა ის პირობა, რომელშიც მომზადდა სიღნაღის გიმნაზიის მოწინავე მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელობით ჟურნალ „იმედის“ გამოცემა.

ამ გიმნაზიაში 1918 წელს მოსწავლეთა მიერ ჩამოყალიბდა სამეცნიერო წრე, რომლის ხელმძღვანელები ყოფილან ისტორიის მასწავლებელი ელენე ბერძენიშვილი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თედო ბეგიაშვილი, ბუნებისმეტყველების მასწავლებელი, დიტო ბარნაბიშვილი. სამეცნიერო წრის სხდომების მსვლელობას თავმჯდომარეობდნენ მოწაფეები: სტეფანე ფურცელაძე, ალექსანდრე გზირიშივილი, ილია ქადაგიშვილი და სხვები. წლის მეცადინეობაზე, სისტემატიურად იკითხებოდა სამეცნიერო ხასიათის თემები. ამას გარდა წრის ხელმძღვანელობით ჩატარებულა იროდიონ ევდომვილისა და სხვა ქართველი მწერლებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოები.

გიმნაზიაში არსებული მოწაფეთა სამეცნიერო წრის მუშაობის შედეგად თავი მოუყრია მნიშვნელოვან ლიტერატურულ მასალას. ამრიგად მოწაფეთა შორის გაჩნდა

აზრი, დაეარსებინათ ხელნაწერი ჟურნალი და მასში გამოექვეყნებინათ სამეცნიერო წრეში გარჩეული და დამუშავებული მასალებიდან შერჩეული ლექსები, მოთხრობები და სხვა. ხელნაწერი ჟურნალის გამოცემის განხორციელებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ გიმნაზიის სამასწავლებლოში ჰქონიათ ხელით საბეჭდი მანქანა.

ჟურნალ „იმედის“ დაარსების შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის თავად ჟურნალის ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი ალექსანდრე გზირიშვილი: „მეექვსე კლასში ქართულს ილია ჭავჭავაძის კურსის ამხანაგი მიხაკო ნასიძე გვასწავლიდა. მისი ინიციატივითა და სკოლის დირექტორის რაჟდენ მენტეშაშვილის მხარდაჭერით დავაარსეთ და დავსტამბეთ მოწაფეთა ჟურნალი „იმედი“. ეს სახელი ჩვენ შევარჩიეთ, სარედაქციო კოლეგიამ და ყველას მოეწონა. მასალებს ვაგროვებდით არსებული წრეებიდან და საინიციატივო ჯგუფიდან.

ლიტერატურულ წრეში გავარჩიეთ „განდეგილი“. იცავდა სტეფანე ფურცელაძე, მე ბრალმდებელი ვიყავი. გავარჩიეთ აგრეთვე „თორნიკე ერისთავიც“. მსოფლიო ლიტერატურის წრეში წავიკითხე მოხსენება - „დანტე ალიგიერის უკვდავი ქმნილება „ღვთაებრივი კომედია“ და მისი გავლენა მსოფლიო აზროვნების განვითარებაზე“. შოთა რუსთაველის წრეში ვკითხულობდით შოთას უკვდა ქმნილებას და სიტყვების მნიშვნელობას ვხსნიდით. ნაწარმოების გარჩევაში დიდად გვეხმარებოდა მიხაკო ნასიძე. ხშირად იშველიებდა სულხან-საბას ლექსიკონს და ილია ჭავჭავაძის თხზულებებს. ჩვენს ერთ ამხანაგს ანაგელ ივანე მჭედლიშვილს დავალებულ ჰქონდა ჟურნალის ყველა ნომრისათვის მოემზადებინა განმარტებანი. მართლაც, ყოველ ნომერში ნახევარი გვერდი ტექსტი იბეჭდებოდა, ნახევარი კი განმარტებებს შეიცავდა. ჩვენი მიზანი იყო მასებისთვის გასაგები და მისაწვდომი გაგვებადა ეს უკვდავი ქმნილება. გვინდოდა ბოლომდე მიგვეყვანა ეს საქმე და ორ წელიწადში უკვე გვექნებოდა „ვეფხისტყაოსანი“ განმარტებებით, რომლის ცალკე გამოცემასაც გვპირდებოდა მასწავლებელი მიხაკო ნასიძე, მაგრამ „იმედი“ დაიხურა.“ [ოჩიგავა-გზირიშვილი, 1979-40]. ეს მოგონება თავის ბიოგრაფიულ წიგნში „ალექსანდრე გზირიშვილი“ მისმა მეუღლემ თამარ ოჩიგავა-გზირიშვილმა გამოიყენა.

თავდაპირველად საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელობით 1919 წლის 7 დეკემბრიდან სიღნაღში გამოსვლას იწყებს ხელის მანქანაზე გადაბეჭდილი

ორკვირეული ხელნაწერი ჟურნალი, რომლის სულ ორი ნომერი გამოვიდა. ჟურნალს ხელს აწერს „სარედაქციო კოლეგია: ი. ქადაგიშვილი, ს. ფურცელაძე.“

ხელნაწერი ჟურნალი საბეჭდ მანქანაზე ათ ცალად გადაუბეჭდავთ ჩვეულებრივი რვეულის ზომის 23 გვერდზე და ისე გაუვრცელებიათ. 1919 წლის უკანასკნელ თვეს ხელნაწერი ჟურნალის 2 ნომრის გამოშვების შემდეგ, სარედაქციო კოლეგიის ენერგიული მუშაობის შედეგად „იმედი“ ნაბეჭდ ორგანოდ გადაიქცა. როგორც ჩანს ნაბეჭდი ჟურნალი „იმედის“ 4 ნომერი გამოვიდა. ჟურნალის პირველ და მეორე ნომერზე ხელს აწერენ რედაქტორები - ილია ქადაგიშვილი და სტეფანე ფურცელაძე, ხოლო მესამე ნომერზე რედაქტორია ილია ქადაგიშვილი.

ჟურნალში იბეჭდებოდა მოწინავე მოწაფეთა ლექსები, მოთხრობები, სტატიები და წერილები ლიტერატურიდან, ისტორიიდან. ბუნების მეტყველებიდან, ქრონიკა და სხვა. ილია ქადაგიშვილისა და სტეფანე ფურცელაძის გარდა ჟურნალში თანამშრომლობდნენ: ალექსანდრე გზირიშვილი, იოსებ გოზალიშვილი, გიორგი ლეკიაშვილი. აგრეთვე მასწავლებლები: მ. ყოჩიაშვილი, ლევან ძეძამიძე, საგირეთელი (ალ.პოპიაშვილი), ი. ხვეისპირელი, თამარ ბოსტაშვილი და სხვები.

ჟურნალ „იმედის“ დანიშნულების შესახებ პირველი ნომრის სარედაქციო წერილში „ჩვენი მიზანი“, ვკითხულობთ: „ახალი ორგანო მოწაფეებისა „იმედი“, რა არის მისი დანიშნულება, რა არის მისი მისწრაფება, რას ემსახურება? აი კითხვები, რომლებიც სამართლიანად იქმნებიან ჩვენკენ მომართულნი და ჩვენც ვრაცხთ ჩვენს თავს მოვალედ სათანადო პასუხი გავცეთ. „იმედი“ იქნება უპირველესად ორგანო სიღნაღის გიმნაზიელთა თვითგანვითარების, გონებრივ თვითმოქმედებისა“. [რედაქცია, 1920].

როგორც ვხედავთ ჟურნალი „იმედი“ უმთავრეს მიზნად ისახავდა მოსწავლეთა თვითგანვითარებას.

ჟურნალის პირველ ნომერში მოწინავე წერილის გარდა გამოქვეყნდა მეექვსე კლასის მოწაფის, ალექსანდრე გზირიშვილის მოთხრობა „ვისი ბრალია“, ამავე კლასის მოსწავლის თამარ ბოსტაშვილის მხატვრული ნარკვევი „საახალწლო“, მეშვიდე კლასის მოწაფე „ბერი იერონიმეს“ ფსევდონიმით ლექსი „მთაწმინდას“, მეხუთე კლასის მოწაფე სოსო გოზალიშვილის მხატვრული ესკიზი „ოქროს

შემოდგომა“, „თაიგულის“ ფსევდონიმით ხელმოწერილი ლექსი „ადამიანი“, „ვეფხისტყაოსნის“ შესავლის 8 სტროფის ტექსტი, დამუშავებული გიმნაზიის მოსწავლის, ივანე მჭედლიშვილის მიერ.

ჟურნალის მეორე ნომრის ლიტერატურულ ნაწილში დაბეჭდილია „საგირეთელის“ ფსევდონიმით ხელმოწერილი უსათაურო ლექსი, ი. ხვეისპირელის ლექსი „იმედს“, „ბერი იერონიმეს“ უსათაურო ლექსი და ილიას ხელმოწერით ლექსი „ღაღადისი“. სავარაუდოდ ეს „ილია“ ილია ქადაგიშვილი უნდა იყოს. ჟურნალის მესამე ნომერში იბეჭდება ილია ქადაგიშვილის ლექსი „გაზაფხულდა“, აქვე საგირეთელი (ალ.პოპიაშვილი) აქვეყნებს ლექსს „კახეთს“.

რაც შეეხება ჟურნალის მეოთხე ნომერს, ის სავარაუდოდ 1920 წლის ივნისში უნდა გამოსულიყო, თუმცა ეს ნომერი დღემდე მიკვლეული არ არის.

ჟურნალ „იმედის“ სამივე ნომერში წარმოდგენილი ლექსები, მხატვრული პროზის ნიმუშები - მოთხრობები, ესკიზები, პუბლიცისტური წერილები და ნარკვევები, ცხადია თანაბარი სიძლიერითა და სიღრმით არ არის დაწერილი, მაგრამ ისინი მაინც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან იმ პერიოდის სიღნაღის გიმნაზიის მოწინავე მოსწავლე ახალგაზრდობის ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მათ მისწრაფებებზე, ცოდნასა და საქმიანობაზე.

ჟურნალს ყოველი ნომრის ბოლოს მითითებული აქვს, რომ დაიბეჭდა ქალაქ სიღნაღში ი.გ. ტერ-დავიდოვის სტამბა „სხივში“.

თუ რა რაოდენობით იბეჭდებოდა ჟურნალი აღნიშნული არ არის, თუმცა პროფესორი შალვა გოზალიშვილი თავის წერილში „ჟურნალი „იმედი“, წერს: „როგორც ალექსანდრე გზირიშვილის გადმოცემიდან ვიცით, მისი ტირაჟი განსაზღვრული ყოფილა ასი ცალის რაოდენობით. ცხადია, ჟურნალს მძიმე მატერიალურ პირობებში უხდებოდა მუშაობა. ძირითადად ჟურნალის შემოსავალი ყოფილა მოწინავე მოსწავლეთა და მასწავლებელთა კერძო დახმარება-შემოწირულობის სახით.“[ გოზალიშვილი, 1967].

ერთის მხრივ მატერიალური უსახსრობა (სასტამბო ხარჯები, ქაღალდი და სხვა) და მერეს მხრივ გამკაცრებული ცენზურა, ასევე ჟურნალის გამოცემის

ხელმძღვანელობაში მომხდარი უთანხმოება გახდა მიზეზი, რომ ჟურნალს ფუნქციონირება შეეწყვიტა. 1920 წლის ივნისში „იმედმა“ არსებობა შეწყვიტა.

იმის მიუხედავად, რომ ჟურნალ „იმედის“ სულ ოთხი ნომერი გამოვიდა და მის შესახებ ფართო ლიტერატურულ და სამეცნიერო წრეებში ბევრი არაფერია ცნობილი, მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელი სიღნაღის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცხოვრებაში. მასში გამოქვეყნებული მასალები ლიტერატურის მკვლევარებისთვისაც საინტერესო იქნება. საბოლოო ჯამში კი შეიძლება ითქვას, რომ სიღნაღის გიმნაზიის ჟურნალი „იმედი“ ითვლება მოსწავლე ახალგაზრდობის პირველ ნაბეჭდ ჟურნალად საქართველოში.

## დასკვნა

როგორც ვნახეთ, XX საუკუნის პირველი ოცწლეული აქტიური ლიტერატურული და შემოქმედებითი ცხოვრებით გამოირჩეოდა. კახეთში კი ამ პროცესს ხელი ჟურნალ-გაზეთების გამოცემამაც შეუწყო. 20-იანი წლების ბოლოს სიღნაღში გამომავალი მოწაფეთა ჟურნალი „იმედი“ და თელავში გამოსული გაზეთი „ახალგაზრდა ქართველი“ იქ მცხოვრები ახალგაზრდებისთვის სტიმული გახდა, რომ ლიტერატურული წრეები შეექმნათ და საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმულიყვნენ. ორივე გამოცემაში მოწაფეებთან ერთად გიმნაზიის პედაგოგებიც მუდმივად თანამშრომლობდნენ. რაც ყველაზე მთავარია, აქ დაბეჭდილი ლიტერატურული ნაწარმოებები სხვა გამოცემებში არ გამოქვეყნებულა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გაზეთ „ხმა კახეთისას“ მნიშვნელობა. ეს გაზეთი იმ დროის კახეთში ყველაზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოდიოდა და ბევრი თანამოაზრე შეიძინა. აქ ლექსებს, მოთხრობებსა თუ სხვა მხარვრულ და ლიტერატურულ ნაწარმოებებს აქვეყნებდნენ როგორც მისი მუდმივი თანამშრომლები, ისე რიგითი ადამიანები და ცნობილი მწერლები. „ხმა კახეთისათი“ იმ დროს დიდი მგოსანი, აკაკი დაინტერესებულა და მისთვის ლექსიც მიუძღვნია, თავისი კეთილგანწყობა გაზეთისადმი არც იოსებ გრიშაშვილსა და გიორგი ლეონიძეს დაუმალავთ. აქ გამოქვეყნებული ლიტერატურული ნიმუშების უმრავლესობა მხოლოდ „ხმა კახეთისამ“ შემოინახა. ასწლოვანი გაზეთის ფურცლებზე უამრავი ჯერ გამოუქვეყნებელი და დასამუშავებელი მასალა თავმოყრილი. ჩვენ შევეცადეთ, რომ ისინი მაქსიმალურად შეგვესწავლა და იმ დასკვნამდე მივედით, რომ აქ დაბეჭდილი ნაწარმოებების დიდი ნაწილის შესახებ მწერალთა აკადემიურ გამოცემებსა და კრებულებში არაფერია ნათქვამი, ხშირად კი, შენიშვნებსა და დამატებებში არ მოიპოვება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ესა თუ ის ნაწარმოები „ხმა კახეთისამ“ გამოაქვეყნა.

სწორედ ამის გამო ჩავთვალეთ საჭიროდ, ხელი მოგვეკიდა ამ საკითხის შესწავლისთვის. ამ პერიოდის კახეთის ჟურნალ-გაზეთების ლიტერატურული მასალები ძირითადად ეპოქის გამომხატველია და იმ დროის ქვეყნისა და ხალხის

ცხოვრებას ასახავს. ამასთან ერთად, ეს მასალები ძალზე მრავალფეროვანია როგორც ჟანრობრივად, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისითაც. გაზეთში „ხმა კახეთისა“ გამოქვეყნდა როგორც ლექსები და მოთხრობები, აქ წარმოდგენილი იყო რუბრიკა „პატარა ფელეტონი“, სხვადასხვა ხასიათის პოემები, პიესები და სცენები, რომლებსაც ხშირად მაშინდელი თეატრალური დასები დგამდნენ. გაზეთში დაბეჭდილი პუბლიცისტური წერილები კი სამშობლოს სიყვარულით იყო გამსჭვალული და მათი ავტორები საზოგადოებას მუდმივად გამოფხიზლებსკენ მოუწოდებდნენ.

ჩვენ ამ ნაწარმოებების დიდი ნაწილი განვიხილეთ და ამ ნაშრომის საშუალებით ბევრი უცნობი მასალა და ავტორი აღმოვაჩინეთ, ამიტომ, ვფიქრობთ, რომ მათი გაცნობა საჭირო და დროული არის საზოგადოებისა და სამეცნიერო-ლიტერატურული წრეებისთვის.



## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. აბაშიძე, 1962 - კ.აბაშიძე, „ეტიუდები“, თბ.1962
2. ბაქრაძე, 1946 - გ.ბაქრაძე, „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“, თბ.1946
3. გოცირიძე, 2009 - გ.გოცირიძე, „პირველი მსოფლიო ომი და საქართველო“, თბ.2009
4. გოზალიშვილი, 1961 - შ.გოზალიშვილი, „იროდიონ ევდოშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“. თბ.1961
5. თოფურია, 1990-ვ.თოფურია, „აკაკი და ქართული სალიტერატურო ენა“, აკაკის სამრეკლო. თბ.1990
6. იანვარაშვილი, 1975 - ლ.იანვარაშვილი, „ივანე როსტომაშვილის ცხოვრება და საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობა.“ თბ.1975
7. მოსიაშვილი, 2009 - ა.მოსიაშვილი, „კახეთის რეგიონი პირველი მსოფლიო ომის პერიოდში“ (სადისერტაციო ნაშრომი). თელავი, 2009
8. მჭედლიშვილი, 1928 - ი.მჭედლიშვილი, „მსოფლიო გრგვინვაში“, თბ.1928
9. მიქაძე, 1968- გ.მიქაძე, „ძველი ქართული მწერლობის ბიბლიოგრაფია“, თბ.1968
10. ოჩოგავა-გზირიშვილი, 1979 - თ.ოჩოგავა-გზირიშვილი, „ალექსანდრე გზირიშვილი,“ თბ.1979
11. ჟღენტი, ჭილაია, 1987- ბ.ჟღენტი, ს.ჭილაია, „ქართული ლიტერატურა“, თბ. 1987
12. რუსთაველი, 1987- შ.რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ.1987
13. სურგულაძე, სურგულაძე, 1979 - ა.სურგულაძე, პ.სურგულაძე, „საქართველოს ისტორია“, თბ.1979
14. შაიშმელაშვილი, 1973 - ივ.შაიშმელაშვილი, „ქიზიყი“, თბ.1973
15. ციციშვილი, 1962 - გ.ციციშვილი, „სანდრო შანშიაშვილის ცხოვრება და შემოქმედება.“ თბ.1962
16. წერეთელი, 1990 - ა.წერეთელი, „პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები,“ ტ.V, თბ.1990

17. ჯავახიშვილი, 2002 - გ.ჯავახიშვილი, „გაზეთი ხმა კახეთისა“, თბ.2002
18. ჯავახიშვილი, 2002-2003 - გ.ჯავახიშვილი, თესაუ-ს შრომები, ტ.IV,V (13-14)  
„თელავის პრესის ისტორიისათვის“, 2002-2003

### პერიოდიკა

19. არყალელი, 1915 - არყალელი, „აკაკის“, ხმა კახეთისა, N227, 1915
20. აფხაზი, 1913 - ი. აფხაზი, „მებატონენი“, ხმა კახეთისა, N56, 1913
21. ბეგიაშვილი, 1913 - თ.ბეგიაშვილი, „სოლომონ დოდაშვილი“, ხმა კახეთისა,  
N95, 1913
22. გოლა, 1914 - გოლა, „ვინაა ოჯახის უფროსი“, ხმა კახეთისა, N133, 1914
23. გოზალიშვილი, 1967 - შ.გოზალიშვილი, „ჟურნალი „იმედი“, კოლმეურნე, N5,  
1967
24. გრიშაშვილი, 1914 - ი.გრიშაშვილი, „კახეთში“, ხმა კახეთისა, N167, 1914
25. გრიშაშვილი, 1914 - ი.გრიშაშვილი, „მთვრალი ალერსი“, ხმა კახეთისა, N167,  
1914
26. გრძელიშვილი, 1913 - ს.გრძელიშვილი, „ფიქრები სიკვდილით დასჯის  
შემდეგ“, ხმა კახეთისა, N76, 1913
27. გომართელი, 1914 - ივ.გომართელი, „დაწყველილი დღე“, ხმა კახეთისა, N139,  
1914
28. დარაშვილი, 1915 - კ.დარაშვილი, „აკაკის ხსოვნას“, ხმა კახეთისა, N228, 1915
29. დარაშვილი, 1913 - კ.დარაშვილი, „ქრისტე აღსდგა“, ხმა კახეთისა, N45, 1913
30. დადიანი, 1915 - შ.დადიანი, „რეფერატი“, ხმა კახეთისა N250, 1915
31. დ-ა-ძე, 1919 - დ-ა-ძე, „მოწინავე წერილი“, ახალგაზრდა ქართველი, N1, 1919
32. დ-ა-ძე, 1919 - დ-ა-ძე, „დატანჯული სიყვარული“, ახალგაზრდა ქართველი,  
N6, 1919

33. დ-ლი, 1913 - დ-ლი, „ილიას ხსოვნა თელავში“, ხმა კახეთისა, N79, 1913
34. დემონი, 1914 - დემონი, „ხაპხაპა“, ხმა კახეთისა, N145, 1914
35. დემონი, 1914 - დემონი, „ხაპხაპა“, ხმა კახეთისა, N150, 1914
36. დემონი, 1915 - დემონი, „სცენები ბნელეთის დევ-გმირთა ცხოვრებიდან“, ხმა კახეთისა, N242, 1915
37. დემონი, 1915 - დემონი, „სცენები ბნელეთის დევ-გმირთა ცხოვრებიდან“, ხმა კახეთისა, N243, 1915
38. დემონი, 1915 - დემონი, „სცენები ბნელეთის დევ-გმირთა ცხოვრებიდან“, ხმა კახეთისა, N247, 1915
39. დონ ბაზილიო, 1914 - დონ ბაზილიო, „სურათები ველისციხელთა ცხოვრებიდან“, ხმა კახეთისა, N122, 1914
40. ენტე, 1913 - ენტე, „კურდღელი“, ხმა კახეთისა, N73, 1913
41. ენტე, 1913 - ენტე, „მთვარე, წვიმა და ქარი, ხმა კახეთისა“, N51, 1913
42. ენტე, 1913 - ენტე, „ჩემი მერცხალი“, ხმა კახეთისა, N66, 1913
43. ელოშვილი, 1913 - ი. ელოშვილი, „მღეროდა მგოსანი“, ხმა კახეთისა, N70, 1913
44. ვაჟა-ფშაველა, 1913 - ვაჟა ფშაველა, „კახეთს“, ხმა კახეთისა, N55, 1913
45. ვაჟა-ფშაველა, 1913 - ვაჟა-ფშაველა, „იმერეთს“, ხმა კახეთისა, N32, 1913
46. ვაჟა-ფშაველა, 1914 - ვაჟა-ფშაველა, „დაგვიანებულიპასუხი“, N204, 1914
47. ვინმე, 1915 - ვინმე, „ფოტოლი“, ხმა კახეთისა, N231, 1915
48. ვინმე, 1915 - ვინმე, „მგოსანი აკაკი“, ხმა კახეთისა, N232, 1915
49. ი. ბაზ, 1912 - ი, ბაზ, „ფირფიტა“, ხმა კახეთისა, N14, 1912
50. ილალე, 1919 - ილალე, „უსათაურო“, ახალგაზრდა ქართველი, N6, 1919
51. კანანელი, 1913 - კანანელი, „ფუტკარი“, ხმა კახეთისა, N42, 1913
52. კანანელი, 1913 - კანანელი, „ვარცხვინოთ“, ხმა კახეთისა, N70, 1913
53. კანანელი, 1913 - კანანელი, „მესვეურე“, ხმა კახეთისა, N71, 1913
54. კანანელი, 1915 - კანანელი, „ქება“, ხმა კახეთისა, N225, 1915
55. კანანელი, 1915 - კანანელი, „ალილო“, ხმა კახეთისა, N217, 1915
56. კარგარეთელი, 1913 - ი. კარგარეთელი, „ძველებურზედ, ჩვენებურზედ“, ხმა კახეთისა, N81, 1913

57. კარგარეთელი, 1913 - ი.კარგარეთელი, „ხომალდში ჩავჯექ, ზღვეს გაველ“, ხმა კახეთისა, N45, 1913
58. კარდენახელი, 1912 - კარდენახელი, „ხელ-ფეხნი გაიფიცნენ“, ხმა კახეთისა, N2, 1912
59. კარდენახელი, 1913 - კარდენახელი, „კაპიკის ფასი“, ხმა კახეთისა, N46, 1913
60. კარდენახელი, 1914 - კარდენახელი, „რედაქტორი უბრდურია“, ხმა კახეთისა, N130, 1914
61. კვესი, 1913 - კვესი, „ახტალა, ხმა კახეთისა“, N78, 1913
62. კვესი, 1914 - კვესი, „ფრთხილი ქმარი, ხმა კახეთისა“, N156, 1914
63. კვესი, 1914 - კვესი, „საპოვნელა“, ხმა კახეთისა, N200, 1914
64. კვესი, 1914 - კვესი, „გაუგებრობა“, ხმა კახეთისა, N149, 1914
65. ლეონიძე, 1915 - ლეონიძე, „ჩანჩქერი“, ხმა კახეთისა, N250, 1915
66. ლეონიძე, 1915 - ლეონიძე, „ანდერძი“, ხმა კახეთისა, N249, 1916
67. ლეო, 1914 - ლეო, „მწარე სინამდვილე“, ხმა კახეთისა, N160, 1914
68. ლეო, 1914 - ლეო, „მწარე სინამდვილე“, ხმა კახეთისა, N161, 1914
69. მახნია, 1913 - მახნია, „ალალი კაცის ქომაგი ღმერთია“, ხმა კახეთისა, N45, 1913
70. მხედარი, 1914 - მხედარი, „ომის დღიურები“, ხმა კახეთისა, N204, 1914
71. მხედარი, 1912 - მხედარი, „იაკობ გოგებაშვილი“, ხმა კახეთისა, N9, 1912
72. მჭედლიშვილი, 1912 - მჭედლიშვილი, „ქართველ გლეხს“, ხმა კახეთისა, N23, 1912
73. მჭედლიშვილი, 1912 - ი. მჭედლიშვილი, „კახელებს“, ხმა კახეთისა, N3, 1912
74. მჭედლიშვილი, 1913 - ი. მჭედლიშვილი, „მგზავრი“, ხმა კახეთისა, N18, 1913
75. მჭედლიშვილი, 1913 - ი. მჭედლიშვილი, „ვინ შევიყვარო“, ხმა კახეთისა, N27, 1913
76. მჭედლიშვილი, 1913 - ი. მჭედლიშვილი, „ნინო წმინდა“, ხმა კახეთისა, N19, 1913
77. მჭედლიშვილი, 1913 - ი. მჭედლიშვილი, „ჭმუნვა, ხმა კახეთისა“, N35, 1913
78. მჭედლიშვილი, 1912 - ი. მჭედლიშვილი, „გლეხი ზაქრო“, ხმა კახეთისა, N15, 1912

79. მჭედლიშვილი, 1912 - ი.მჭედლიშვილი, „ილიასადმი“, ხმა კახეთისა, N7, 1912
80. მოსაშვილი, 1915 - ი.მოსაშვილი, „ახალი წელი“, ხმა კახეთისა, N217, 1915
81. მოსაშვილი, 1915 - ი.მოსაშვილი, „აღდგომა“, ხმა კახეთისა, N237, 1915
82. მოსაშვილი, 1915 - ი.მოსაშვილი, „ჩემო სამშობლო“, ხმა კახეთისა, N224, 1915
83. მოსაშვილი, 1914 - ი.მოსაშვილი, „აპასუხო“, ხმა კახეთისა, N170, 1914
84. მოსაშვილი, 1914 - ი.მოსაშვილი, „ქალო“, ხმა კახეთისა, N214, 1914
85. მიხ.ბნელი, 1912 - მიხ.ბნელი, „ნეტავ“, ხმა კახეთისა, N123, 1912
86. მიშ, 1914 - მიშ, „ჩხვინკი და მამალი“, ხმა კახეთისა, N140, 1914
87. მთიები, 1914 - მთიები, „მტვერი“, ხმა კახეთისა, N191, 1914
88. ნაიბიშვილი, 1919 - გ.ნაიბიშვილი, „ახალგაზრდა ქართველი“, ახალგაზრდა ქართველი, N6, 1919
89. ჟორდანია, 1915 - თ.ჟორდანია, „ილია და აკაკი“, ხმა კახეთისა, N235, 1915
90. რომანიშვილი, 1915 - ალ.რომანიშვილი, „ყველა იბრძვის“, ხმა კახეთისა, N244, 1915
91. რომანიშვილი, 1915 - ალ.რომანიშვილი, „კმარა ტირილი“, ხმა კახეთისა, N245, 1915
92. რედაქცია, 1912 - რედაქცია, „ახალი ამბები“, ხმა კახეთისა, N1, 1912
93. რედაქცია, 1913 - რედაქცია, „ახალი ამბები“, ხმა კახეთისა, N32, 1913
94. რედაქცია, 1915- რედაქცია, „აკაკი წერეთლის ავადმყოფობის გამო“, ხმა კახეთისა, N244, 1915
95. რედაქცია, 1914 - რედაქცია, „ხალხური ლექსები“, ხმა კახეთისა, N194, 1914
96. რედაქცია, 1914 - რედაქცია, „ახალი ამბები“, სახალხო გაზეთი, N9, 1914
97. რედაქცია, 1916 - რედაქცია, „ახალი ამბები“, სახალხო ფურცელი, N61, 1916
98. რედაქცია, 1920 - რედაქცია, „სადერაქციო წერილი“, იმედი, N1, 1920
99. სანგანიძე, 1913 - სანგანიძე, „ჰქვითინებს დედა“, ხმა კახეთისა, N57, 1913
100. საგირეთელი, 1919 - საგირეთელი, „ეჰ, ცხოვრებავ, მოწყენილო“, ახალგაზრდა ქართველი, N10, 1919
101. სიტყვა, 1913 - სიტყვა, „ფიქრები, მხოლოდ ფიქრები“, ხმა კახეთისა, N49, 1913
102. სიტყვა, 1915 - სიტყვა, „აკაკი აღარა“, ხმა კახეთისა, N226, 1915

103. სირაძე, 1913 - ივ. სირაძე, „მოულოდნელი გაჩხრეკა“, ხმა კახეთისა, N70, 1913
104. სევდია, 1919 - სევდია, „ახალგაზრდა ქართველს“, ახალგაზრდა ქართველი, N1, 1919
105. სევდია, 1912 - სევდია, „ოცნება“, ხმა კახეთისა, N5, 1912
106. ტაბიძე, 1915 - გ. ტაბიძე, „მოგონება“, ხმა კახეთისა, N224, 1915
107. ტყავაძე, 1914 - კ. ტყავაძე, „ჩემი დღიურები“, ხმა კახეთისა, N127, 1914
108. ტყავაძე, 1915 - კ. ტყავაძე, „არ გვეღირსა“, ხმა კახეთისა, N226, 1915
109. ტყავაძე, 1915 - კ. ტყავაძე, „ერთი კვირა აკაკის კუბოსთან“, ხმა კახეთისა, N230, 1915
110. ტყავაძე, 1912 - კ. ტყავაძე, „ჩემი დღიურები“, ხმა კახეთისა, N13, 1912
111. ფაშალიშვილი, 1913 - ს. ფაშალიშვილი, „სოფელს ეძინა“, ხმა კახეთისა, N30, 1913
112. ფაშალიშვილი, 1913 - ს. ფაშალიშვილი, „ორი ლექსი“, ხმა კახეთისა, N68, 1913
113. ფაშალიშვილი, 1913 - ს. ფაშალიშვილი, „შაირი“, ხმა კახეთისა, N62, 1913
114. ფაშალიშვილი, 1913 - ს. ფაშალიშვილი, „სისხლის ლაქა“, ხმა კახეთისა, N51, 1913
115. ქრისტინი, 1914 - ქრისტინი, „წმინდა ნინოობა“, ხმა კახეთისა, N128, 1914
116. ქრისტინი, 1914 - ქრისტინი, „უპრინციპო“, ხმა კახეთისა, N197, 1914
117. ქელბაქიანი, 1913 - ს. ქელბაქიანი, „უფასო სადილი“, ხმა კახეთისა, N36, 1913
118. შანშიაშვილი, 1912 - ს. შანშიაშვილი, „ჩემი სულის სიამაყე“, ხმა კახეთისა, N14, 1912
119. შანშიაშვილი, 1913 - ს. შანშიაშვილი, „ცელქო გოგონი“, ხმა კახეთისა, N79, 1913
120. შანშიაშვილი 1914 - ს. შანშიაშვილი, „ზოგიერთ თანამედროვე ქართველს“, ხმა კახეთისა, N163, 1914
121. შანშიაშვილი, 1914 - ს. შანშიაშვილი, „სურათი ქიზიყელთა ცხოვრებიდან“, ხმა კახეთისა, N125, 1914

122. შანშიაშვილი, 1913 - ს.შანშიაშვილი, „წერილები მეგობრისადმი“, ხმა კახეთისა, N63, 1913
123. შანშიაშვილი, 1913 - ს.შანშიაშვილი, „წერილები მეგობრისადმი“, ხმა კახეთისა, N32, 1913
124. შანშიაშვილი, 1913 - ს.შანშიაშვილი, „წერილები მეგობრისადმი“, ხმა კახეთისა, N45, 1913
125. შანშიაშვილი, 1913 - ს.შანშიაშვილი, „წერილები მეგობრისადმი“, ხმა კახეთისა, N46, 1913
126. შანშიაშვილი, 1913 - ს.შანშიაშვილი, წერილები მეგობრისადმი, ხმა კახეთისა, N47, 1913
127. შანშიაშვილი, 1913 - ს.შანშიაშვილი, „წერილები მეგობრისადმი“, ხმა კახეთისა, N43, 1913
128. შანშიაშვილი, 1913 - ს.შანშიაშვილი, „წერილები მეგობრისადმი“, ხმა კახეთისა, N117, 1914
129. შანშიაშვილი, 1913 - ს.შანშიაშვილი, „წერილები მეგობრისადმი“, ხმა კახეთისა, N135, 1914
130. შანშიაშვილი, 1913 - ს.შანშიაშვილი, „წერილები მეგობრისადმი“, ხმა კახეთისა, N153, 1914
131. შენგელაია, 2003- ლ.შენგელაია, „გაშიფრული ფსევდონიმები“, საქართველოს რესპუბლიკა, 13 იანვარი, 2003.
132. ცეცხლაძე, 1915 - გრ.ცეცხლაძე, „შემიყვარე“, ხმა კახეთისა, N235, 1915
133. ძველგალავანელი, 1919 - ძველგალავანელი, „ახალგაზრდა ქართველს,“ ახალგაზრდა ქართველი, N1, 1919
134. ძველი მხედარი, 1914 - ძველი მხედარი, „ომის გარშემო“, ხმა კახეთისა, N181, 1914
135. წერეთელი, 1913 - ა.წერეთელი, „კახელებს“, ხმა კახეთისა, N74, 1913
136. წერეთელი, 1913 - ა.წერეთელი, „თანამედროვე“, ხმა კახეთისა, N29, 1913
137. წერეთელი, 1915 - ა.წერეთელი, „სიკვდილი,“ ხმა კახეთისა, N228, 1915
138. წერეთელი, 1915 - ა.წერეთელი, „სიკვდილი,“ თეატრი და ცხოვრება, N5, 1915

139. წერეთელი, 1912 - ა.წერეთელი, „რაჭა-ლეჩხუმი“, ხმა კახეთისა, N7, 1912
140. წერეთელი, 1913 - ა.წერეთელი, „აკაკის ძველი ნაწერებიდან“, ხმა კახეთისა, N138, 1913
141. ჭეიშვილი, 1915 - მ.ჭეიშვილი, „მთა წმინდა სტირის“, ხმა კახეთისა, N229, 1915
142. ჭეიშვილი, 1915 - მ.ჭეიშვილი, „აღსდგა, აღსდგა“, ხმა კახეთისა, N238, 1915
143. ხ.კ, 1913 - ხ.კ, „წინასწარმეტყველი“, ხმა კახეთისა, N72, 1913
144. ხ.კ, 1913 - ხ.კ, „წინასწარმეტყველი“, ხმა კახეთისა, N73, 1913
145. ხუსკივაძე, 1913 - თ.ხუსკივაძე, „აბდულ-ჰამიდის სიზმარი“, ხმა კახეთისა, N48, 1913
146. ?, 1914 - ?, „საახალწლო მილოცვა“, ხმა კახეთისა, N117, 1914
147. X,1912 - X , „ნახული და ფიქრები“, ხმა კახეთისა, N2, 1912
148. X,1912 - X , „ნახული და ფიქრები“, ხმა კახეთისა, N7, 1912
149. X,1912 - X , „ნახული და ფიქრები“, ხმა კახეთისა, N4, 1912
150. X,1912 - X , „ნახული და ფიქრები“, ხმა კახეთისა, N8, 1912
151. X,1912 - X , „ნახული და ფიქრები“, ხმა კახეთისა, N9, 1912
152. X,1912 - X , „ნახული და ფიქრები“, ხმა კახეთისა, N12, 1912
153. X,1912 - X , „ნახული და ფიქრები“, ხმა კახეთისა, N13, 1912
154. X,1912 - X , „ნახული და ფიქრები“, ხმა კახეთისა, N15, 1912
155. X,1913 - X , „ნახული და ფიქრები“, ხმა კახეთისა, N24, 1913
156. X,1913 - X , „ნახული და ფიქრები“, ხმა კახეთისა, N50, 1913
157. X,1913 - X , „ნახული და ფიქრები“, ხმა კახეთისა, N107, 1913
158. X,1913 - X , „ნახული და ფიქრები“, ხმა კახეთისა, N112, 1913